

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

2.1978

ქურხალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე ლ ა ტ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. ვეახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глонти

რ ე დ ა კ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.VI.1978; შეკვ. 532; ანაწყობის ზომა 7×111/2;
ქაღალდის ზომა 7×1081/16; ნაბეჭდი თაბახი 16.80; საარტიტეო-სავამომცემლო
თაბახი 16.20; უე 07562; ტირაჟი 2000.
ფასი 1 მან.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

*
საქ. სსრ შეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060. კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია	5
დ. წოწკოლაური, ვაჟ-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და სიუჟეტის საკითხი	8
ი. ქართველიშვილი, ბაჩანას პოემები	23
ლ. ბოჩკოვა, ნ. ბარათაშვილისეული ი. ჭავჭავაძის პოეზიაში	38
ა. ბელენიცი, ორი ხატოვანი გამოთქმის შესახებ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“	55
ზ. თანდილაძე, ლეგენდა სოფელ ვერნებზე	56
გ. შეთეკაური, ეპითეტი ხალხური პოეზიის ნიმუშების მიხედვით	68
ნ. ჭიშკარიანი, ხაყანის წერილები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის	84
მ. ფათეში, განმანათლებლური იდეების გავრცელების წინამძღვრები XIX ს. დასაწყისის სპარსულ ლიტერატურაში	93
ე. დონანაშვილი, „მცხეთური ბიბლიის“ დაბადების წიგნის ბერძნულში	102
შ. ფუტყარაძე, ზმნურ ფუძეთა წარმოების ზოგი თავისებურება შალვა დადიანის თხზულებებში	107
ც. ბოქორიშვილი, ზნის გრამატიკულ ფორმათათვის „მირიანში“	123
ა. ასრათოვი, მასალები რეგილური დიალექტის ლექსიკონისათვის	134
ე. კაბაშვილი, ერთი სტრიქონი აღმოსავლური კულტურის ისტორიიდან	141
ბ. ჯორბენაძე, ენის ფორმობრივი და ფუნქციური კატეგორიები	145

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. სვანიძე, გურჯინადე — თბილისის დაპყრობის წიგნი	160
ა. სილაგაძე, მეცნიერის უკანასკნელი ნაშრომი	165
ნ. ბეროზაშვილი, ნ. კოტარევი — ეგვიპტელი მწერლები, XX საუკუნე	169

ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	171
---	-----

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ ა ხ ა ლ ი კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეორე სესიამ ა. წ. 15 აპრილს მიიღო და გამოაქვეყნა საქართველოს ახალი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).

საქართველოს ახალი კონსტიტუცია საეხებით შეესატყვისება საბჭოთა კავშირის ამჟამად მოქმედ კონსტიტუციას, მაგრამ იგი ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის სპეციფიკურ პირობებს. როგორც საბჭოთა კავშირის მოქმედი კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციაც საბჭოთა მოქალაქეებს ანიჭებს ფართო უფლებებს. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, მათ აკისრებს შესაფერის მოკალეობათ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

კონსტიტუცია ნათლად ასახავს იმ მიღწევებს, რაც რესპუბლიკას მშობელებული აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მიღწევები კი მართლაც დიდი და შთამბეჭდავია.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ჩვენს ქვეყანას ბევრი სიკეთე მოუტანა — მიანიჭა ეროვნული და სოციალური თავისუფლება, სკოლას (დაწყებითს, საშუალოსა და უმაღლესს) დაუბრუნა მშობლიური ენა, საფუძველი დაუდო ეროვნული მეცნიერების აღორძინებას, შეაპირობა ეროვნული მწერლობისა და ხელოვნების აყვავება.

რევოლუციამდელ პერიოდში ქართულ კულტურის მეცნიერებისა და მწერლობის სარბიელზე მოღვაწეობდნენ ცალკეული სახელოვანი მამულიშვილები. საბჭოთა სინამდვილეში კი მეცნიერებაზე, მწერლობაზე და ხელოვნებაზე ზრუნვა დაკისრებული აქვს სახელმწიფოს. მეცნიერულ კვლევა-ძიებას ახლა ეწევიან სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სკოლების კათედრები, მწერლობისა და ხელოვნების საქმეებს აწესრიგებენ შემოქმედებითი კავშირები. ყველაფერ ამას ასახავს ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის 26-ე მუხლში ვკითხულობთ: „საზოგადოების მოთხოვნისა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწყევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში“.

კონსტიტუციის 45-ე მუხლი ეთმობა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხს. აქ აღნიშნულია, რომ: „სახელმწიფო ქმნის საამისოდ (ე. ი. ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის) საჭირო მატერიალურ პირობებს“. კონსტიტუცია მოითხოვს „პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარების“ ხელის შეწყობას (მუხლი 27).

საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ზრუნვის შედეგია, რომ საქართველოში თვალსაჩინოდ დაწინაურდა წიგნის, კერძოდ, მხატვრული მწერლობის ძეგლების გამოცემის საქმე. აკაკი წერეთელი ერთ დროს ჩიოდა: „ოცდაშვიდი წელიწადია, რაც ვწერ და ჯერ კიდევ ჩემს ნაწერებს ცალკე წიგნად გამოსვლა არ ღირსება“. ახლა დიდი ტირაჟებით გამოდის აკაკის როგორც ცალკეული ნაწერები, ისე თხზულებათა კრებულები. მეცნიერულად, კომენტარებითა და გამოკვლევით გამოქვეყნდა 15 ტომად აკაკის თხზულებათა სრული კრებული. ასევე სრულად რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ილია ქავეკავაძის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი. სრულ-

ლი კრებულების სახითაა გამოცემული საბჭოთა მწერლების ნაწერებიც. არ დარჩენილა ძველი ქართული მხატვრული მწერლობის არც ერთი ძეგლი, რომ მას ჩვენ დროში არ ენახა მზის სინათლე. ქართული პოეზიის გვირგვინთ-გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“ საბჭოთა პერიოდში გამოვიდა ოცდაათოთხმეტჯერ. სწორად იბეჭდება ქართული ხალხური სიტყვიერების ძეგლები.

არაჩვეულებრივად წავიდა წინ, განსაკუთრებით ბოლო დროს, მხატვრული მწერლობის ძეგლთა თარგმნის საქმეც. ქართულ ენაზე ითარგმნება უცხოური და მოძმე საბჭოთა ხალხების ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, ასევე ქართული ძეგლებიც ბლომად ითარგმნება მოძმე ხალხთა ენებზე და უცხოურად. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ აახლოებს და აკავშირებს ხალხებს მათი სულიერი საუენჭის, უწინარეს ყოვლისა მხატვრული მწერლობის ურთიერთგაცნობა. ეს ამდიდრებს ხალხთა სულიერ სამყაროს. საბჭოთა პერიოდში ქართული მწერლობა ორგანულად ჩაერთო საერთაშორისო ლიტერატურული ცხოვრების მიმოქცევაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 5—6 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ოთხმეტი ახალი თარგმანი სხვადასხვა ენაზე. მარტო 1976—1977 წლებში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ორი ახალი ინგლისური თარგმანი (სტივენსონისა ნიუ-იორკში, ვიკიანისა ლონდონში). ორიც გერმანული (ბუდენზიგისა თბილისში, ვიკტორია რუიკა-ფრანცისა — ბერლინში). მეორე გერმანული თარგმანი წარმოადგენს რუსთველის პოემის მოზარდათთვის დამუშავებულ ტექსტს. ავტორი-თარგმნელს სიტყვიერება. შოთა რუსთველი მთელი ჩვენი პლანეტის ერთი უდიდესი პოეტია. პირველად გამოქვეყნდა 1977 წელს (თბილისში) „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი ელისაბედ ორბელიანისა და სოლომონ იორდანაშვილისა. შარშან „ვეფხისტყაოსნის“ სამი რუსული თარგმანი დაიბეჭდა (მოსკოვსა, ლენინგრადსა და თბილისში) 440 000 საერთო ტირაჟით...

ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლასა და პუბლიკაციას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ხელნაწერი ფონდების კონცენტრაცია, მათი აღწერილობებისა და კატალოგების შედგენა. ამჟამად ძირითადად დამთავრებულია როგორც ცენტრში. ისე ადგილებზე დაცული ხელნაწერი კოლექციების აღწერილობა-კატალოგიზაცია. მკვლევართა განკარგულებაშია საზღვარგარეთის (იერუსალიმის, სინას მთის, ათონის, ლონდონის, ოქსფორდის, პარიზის, ვენის, გრაციის...) ქართულ ხელნაწერთა ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილის მიკროფილმები და ფოტოპირები. მაგრამ საერთოდ ამ ფონდების ბედი მაინც დიდ შეშფოთებას იწვევს, ზოგი რამ იქიდან გაქრა და დაიკარგა, ზოგიც გაუფანტა. გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ სინას მთიდან თუ იერუსალიმიდან მიტაცებული ქართული ხელნაწერების უძვირფასესი ფოლიანტები დროდადრო იყიდება ამერიკის წიგნის ბაზრებზე. ჩვენს სახელმწიფოს და ფართო საზოგადოებრიობას მოეთხოვება შეუნელებელი ზრუნვა წინაპრების ნაამბი-გარი ფასდაუდებელი სულიერი განძის შეგროვების, სათუთად მოვლა-პატრონობის და საგულდაგულოდ დაცვის უზრუნველსაყოფად. ახალი კონსტიტუცია საამისო პირობებსაც გვიქმნის.

ფართო მასშტაბებით და წარმატებით ხორციელდება ჩვენში არქეოლოგიური გათხრები. საქართველოს მადლიანმა მიწამ უხვად შემოგვინახა მსოფლიო მნიშვნელობის განძეულობა. მოპოვებულია, თავმოყრილია, ნაწი-

ლობრივ შესწავლილია დიდძალი არქეოლოგიური მასალა. გაკეთებული მანც წვეთია ზღვაში. ჩვენი ქვეყანა მეტად მდიდარია მატერიალური კულტურის დიდებული ძეგლებით. ბევრი რამაა მოსაგვარებელი ამ ძეგლების დაცვისა და შესწავლისათვის. დაცვა, მოვლა-პატრონობა და მუდმივი მზრუნველობა სჭირდება ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ბუნებას, მის მიწა-წყალს, მის ჰაერს. მის ფლორასა და ფაუნას. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხსაც. კონსტიტუციის მე-18 მუხლში ჩაწერილია: „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებულად. რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შესანარჩუნებლად, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებასა და ადამიანის გარემომცველი ბუნების გაუმჯობესების მიზნით“.

ესა უნდა გადაეღობოს ყოველი ჭურის ბრაკონიერს!

კონსტიტუციის 75-ე მუხლი აცხადებს, რომ: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. კონსტიტუცია სახელმწიფოსაგან მოითხოვს ბეჯითად ზრუნვას ჩვენი უდიდესი ეროვნული განძის, ჩვენი დედაენის ყოველმხრივი განვითარებისათვის. იგი აკანონებს ქართული ენის ფართო, შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. დედაენის სიწმინდისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი მასშტაბით დაკისრებული აქვს ქართულ სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას. რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მშობლიურ ენას მეურვეობენ ჩვენი შესანიშნავი მხატვრული მწერლობა, ჩვენი ეროვნული აკადემია, ჩვენი უნივერსიტეტი, მეცნიერებიდან ვერ ამოიხილება ის გრანდიოზული სახალხო ზეიმი. რომლითაც აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის უკედავი „დედაენის“ ასი წლისთავი. შთაბეჭედავი ზეიმი მოუწყო ჩვენმა ხალხმა ქართული ენის დიდსა და დაუცხრომელ მკვლევარს აკადემიკოს აკაკი შანიძეს მისი დაბადების 90-ე წლისთავზე.

ქართული ენის მშვენიერებას ჭერ კიდევ X საუკუნეში მიუძღვნა წარმტაცი ჰემნი პალესტინისა და სინას მთის ქართული კულტურული კერების მოღვაწე მწიგნობარმა იოანე-ზოსიმემ — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“. მწერალი ქართულს უწოდებს ყველა ღირსებით უხვად „შემკულ და კურთხეულ“ ენას. ამ „შემკულ და კურთხეულ“ ენაზე დაიწერა „მუშანაყის წამება“ და „ვეფხისტყაოსანი“. ამ ენაზე ჰქმნიდნენ წარუვალი ღირებულებების შედევრებს სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. აკაკი და ვაჟა. გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლევანიძე...

მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე ქართველობა სამაგალითო ჰუმანურობასა და შემწყნარებლობას იჩენდა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ თუ დროებით შემოხიზნული სხვა ხალხების შვილების მიმართ. არ აკლებდა მათ მფარველობასა და კეთილდღეობისათვის ზრუნვას. საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუცია თავიანთი ენებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას აძლევს აქ მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს.

დავით წოვაოლაური

ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და სიუჟეტის საკითხი

„გოგოთურ და აფშინა“

ვაჟა-ფშაველას საკუთარ ეპიკურ ქმნილებათა წყაროებზე მსჯელობისას არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ზოგიერთი მათგანი ხალხურ ძველ ამბავზეა დამყარებული. ოღონდაც, პოეტისავე თქმით. „დიდი სახელი მხოლოდ მეტად თავისებურად შემუშავებულმა ამბებმა მოიპოვეს საზოგადოებაში“¹. როგორც ვაჟას ამ და მრავალი სხვა გამონათქვამიდან ჩანს, მისთვის ამბის „თავისებურად შემუშავება“ ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი იყო. აქედან იწყებოდა ქეშმარიტი შემოქმედება, ანუ თვისებრივად ახალი მხატვრული საწყაროს სრულქმნა პოეტის მიერ. ვაჟა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებს ნაირგვარი ობიექტური მასალისა და შემოქმედებითი წარმოსახვის რთული ურთიერთქმედების ნაყოფად მიიჩნევდა. რასაკვირველია, ამგვარ მსჯელობათა პროცესში იგი არასოდეს ივიწყებდა ხელოვანისათვის ყოფითი და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის დიდ მნიშვნელობას. იპ. ვართაგავას საპასუხოდ დაწერილ სტატიაში ვაჟამ მასალასთან დამოკიდებულების ნაირგვარი მხარე დაახსიათა. იგი წერს: „...ბევრი ამბავი და ზღაპარი, მე შევქმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი „ძველისძველი ამბავი“, „ზღაპარი“, „თქმულებაო“. იპ. მოსაზრებით, დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც ხალხური თქმულებას მითვისება...“

ამ ნაკლს გავასწორებ მხოლოდ მაშინ, როცა დაიწყება ჩემის ნაწერების ცალკე წიგნებად გამოცემა, — მაშინ აღუნიშნავ, რომელია მართლა ძველი ამბავი და რომელი მთლად ჩემგან დაძველებული, ძველ ამბად მონათლული“². ვაჟა აქ გარკვევით აშბობს, რომ ძველ ამბებს იყენებდა; ამასთანავე იმასაც გვაუწყებს, რომ მან ბევრი ნაწარმოები ისე შექმნა, რომ „იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია“, თუმცა ქვესათაურად უწერია „ძველისძველი ამბავი“, „ზღაპარი“, „თქმულებაო“. ქვესათაურს ამა თუ იმ თხზულებას მწერალი ზოგჯერ შეგნებულად, წინასწარი განზრახვით უწერდა და ამგვარ მოქმედებას მაშინდელი საცენზურო პირობები განსაზღვრავდა. ცნობილია, რომ სრულიად ახალგაზრდა ვაჟას ცენზურამ რამდენიმე ნაწარმოების გამოქვეყნება აუკრძალა³.

პოეტი ღრმად სწვდებოდა შემოქმედებითი პროცესის ნიშან-თვისებებს. ამიტომაც აღუნიშნა, რომ მის პოეტურ წარმოსახვას შეეძლო ამბების შექმნა. ზღაპრის გამოგონება და, რაც მთავარია, ახალი ამბის „დაძველება“, „ძველ ამბად მონათლა“. მწერლის ამ სიტყვებში ისიც იკვლიანსმება, რომ ხელოვანს აქვს თავისებური ძალა ამბის, ცხოვრებისეული შემთხვევის „დაძველებისა“. მას შეუძლია ჩვეულებრივი რეალური მოვლენები ან მხატვრულ-

გამონაგონი ფოლკლორისათვის ნიშანდობლივი უშუალოდ ალბეკდოს, განცდათა შინაარსს არქაული იერი მისცეს და საკუთარი გრძნობა-გონების ნაყოფი ხალხური შემოქმედების ბუნებას დაუახლოოს. ვაჟა მითთაქმნადობის ამგვარი სპეციფიკური უნარით დაკილდობული პოეტია. იგი ხალხურ შემოქმედებასთან საკუთარ თხზულებათა ნათესაობის შთაბეჭდილებას იმითაც გვიძლიერებს, რომ მთიელთა ყოფაში ცოცხლად შემონახულ უძველეს ადათ-წესებსა და რწმენა-წარმოდგენებს ხალხისავე საოცნებო იდეალების გათვალისწინებით გამოხატავს, როცა ძველ მასალას ახალი შინაარსით ავსებს. ხალხური მოღეჭეცა და მწერალიც გრძნობათა სუბიექტური შინაარსით მონაწილენი ხდებოდნენ გარე მოვლენებისა, წარსულისა; სინამდვილის ავკარგზე აუუძენებდნენ მხატვრული წარმოსახვის ძალას, გრძნობათა პოეტურ დინებას. თავის განცდებს ხელოვანი ცხოვრების პირობებს უფარდებდა და მრავალფეროვანდაც გამოხატავდა. შემოქმედი ხალხიც ეპოქათა ზეგავლენით წარმოაჩენდა მრავალმხრივსა და ერთიმეორისაგან გამორჩეულ სურვილებსა და ტკივილებს, სიხარულსა და წყრომას. ეს გარემოება აპირობებდა ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების ტენდენციებს, მათს თემატურ მსგავსებასა და განსხვავებას.

მეტად თავისებურია ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება სოციალური ფაქტების, ეთნოგრაფიული მოვლენებისა და ფოლკლორული ტრადიციისადმი. მთის სოციალური ყოფა, ეთნოგრაფიული თავისებურებები და ხალხური სიტყვიერება პოეტმა თავისი თხზულებების ისეთ მასალად აქცია, რომელიც ადვილად ემორჩილებოდა ორიგინალური მხატვრული სიუჟეტის შექმნის ამოცანას და, მაშასადამე, ზოგადი მნიშვნელობის სახეების ხატვის მიზანს. მასალასთან ამგვარი მიმართების სიკეთეზე მწერალი შემდეგს ამბობდა: „გენიოსთა ნაწარმოებები ეროვნულ ნიადაგზე და სშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მაშასადამე — კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი...“⁴ სინამდვილისადმი ამგვარი მიდგომა მიაჩნდა ვაჟას ინდივიდუალური თხზულების, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზენაციონალური ღირებულების გამაპირობებლად. მას სწამდა, რომ მხოლოდ ნიჭიერი ხელოვანის მხატვრული წარმოსახვის ძალით „...კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება“. ე. ი., საყოველთაო, ზოგადი განუმეორებელ ინდივიდუალურ მხატვრულ ფორმაში და თანაც ნაციონალურ გარემოში გამოიხატება.

ვაჟა-ფშაველა ეროვნულ, კერძოდ, ფოლკლორულ მასალაზე საკაცობრიო მნიშვნელობის ნაწარმოებთა შემოქმედად რუსთაველს, შექსპირს, გოეთეს. პუშკინსა და ტოლსტოის ასახელებდა. იგი მიუთითებდა კონკრეტული ყოფითი მასალის მხატვრულად გარდაქმნა-განზოგადების პოეტურ პროცესებზე და გარკვევით აღნიშნავდა, რომ გარემოსთან შემოქმედებითი მიმართების თვალსაზრისით დიდი მწერლები ერთმანეთს ენათესავენებიან. ვაჟა წერს: „უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება.“

ამის მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია. ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული სწორედ ისე, როგორც ზევით მოგახსენეთ. როგორც ამას ჩვეულან ჩჩეულნი ამა ქვეყნისანი დიდი ნიჭის პატრონი მწერლები. ავტორები „ფაუსტს“ გიოტეს გარდა ასობითა ჰყვანდა. მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი ფაუსტის დაწერა ვერაინ შესძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქერამ სხვა მწერალთა ვერ შესძლო გადაღლება ხალხისაგან მოცემულს მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა.

ესევე დაემართათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომეო და ჯულიეტას“ და სხვა.

ესევე ითქმის დიდებულს შოთაზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“.

— მე, თქვენი უმორჩილესი მონა. რა სახსენებელი ვარ ამ გოლიათებთან, მაგრამ ერთი გარეშობა მაძლევს უფლებას ჩემი თავიც იმათთან ერთად ვახსენო — ეს ვახლავთ მსგავსება ქმნისა. შემოქმედებისა^{ან}. ყოფითსა და ეთნოგრაფიულ მოვლენებთან. ასევე ფოლკლორულ ნიმუშებთან შემოქმედთა პოეტური დამოკიდებულება ვაჟამ მთელი სიღრმით გაგვითვალისწინა. მან დაახასიათა შემოქმედებითი პროცესის ის ზოგადი კანონზომიერებანი, რომელთაც მწერლები გვერდს ვერ აუვლიან. ვაჟას აზრით. შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ხელოვანთა მოღვაწეობას. საზოგადოდ წყაროებთან მათი მიმართების ბუნებას, ერთიმეორესთან ანათესავენ. ამიტომ ამბობდა ვაჟა, რომ „მსგავსება ქმნისა, შემოქმედებისა“ მაძლევს უფლებას ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიშან-თვისებები ცნობილ მწერალთა შემოქმედებითი ისტორიის გვერდით განვიხილო. ეს იმას გულისხმობს, რომ მწერლები ნაირ-ნაირ მასალას იყენებენ, გარდაქმნიან, საკუთარ „სულიერ ქერაში“ გადაადღებენ, აქედან სრულიად ორიგინალურ, ინდივიდუალური შემოქმედის ესთეტიკური იდეალის გამომხატველ ფაბულას, სიუჟეტს, სახე-ხასიათებსა და სიტყვერ რეალობას ქმნიან. დიდი ტალანტის ხელოვანი ერთი ამბებს, ფაქტებს, თვალს შეავლებს, ხოლო სათქმელს კი საკუთარს, ორიგინალურს იტყვის. ასეთი მწერალია ვაჟა, იგი ცალკეულ მოვლენათა ამა თუ იმ მხარეს ყოველთვის მხატვრული წარმოსახვისა და აზრის განვითარების შესაძლებლობათა თვალსაზრისით აჯახებდა. გარე სინამდვილისადმი ამგვარი მიდგომა მწერალს, საზოგადოდ. ათავისუფლებს შემოქმედების მომხდენი მასალისა და ტრადიციებისადმი მონური მორჩილებისაგან.

პოემა „გოგოათურ და აფშინა“ მწერლის შემოქმედებითი ისტორიისათვის საგულისხმო მომენტებს შეიცავს. ამ თხზულების წყაროებზე ვაჟას მსჯელობამ გახსნა გზა ხალხურ და, საზოგადოდ, ცხოვრებისეულ მასალასთან მწერლის შემოქმედებითი მიმართების რაობის ახსნისაკენ. პოეტის მსჯელობიდან კიდევ ერთხელ ვახდა ცხადი, თუ რა დიდი სირთულით ხასიათდება შემოქმედებითი პროცესი, რომლის შინაგანი სტრუქტურის გათვალისწინება მკვლევარს კი არა. ხშირად თვითონ ხელოვანთაც კი უჭირთ.

ვაჟა ზოგიერთი პოემის წყაროს დაწერილებით ახასიათებს, მსჯელობს მასალასთან შემოქმედებითი დამოკიდებულების მეთოდებზე, მაგრამ იგი ბევრს არაფერს ამბობს მხატვრული გარდასახვის კონკრეტულ პროცესებზე. იგი ერთგვარად თავს იკავებს შემოქმედებით პროცესში აქტიურად მონაწილე სუბიექტური ფაქტორების დახასიათებისაგან. მას მიაჩნია, რომ ინდივი-

„უღალური შემოქმედის მხატვრული მოღვაწეობის არსი თვითონ ნაწარმოებმა უნდა წარმოაჩინოს და. მაშასადამე, ხელოვანის იდეურ-ესთეტიკური სამყაროს შეფასება არა მწერლის, არამედ კრიტიკოსისა და ლიტერატურისმცოდნის კომპეტენციაში შედის. ამას გულისხმობს ვართავაფასადმო მიმართული პისი სიტყვებიც: „ბ. ვართავაფამ, თუ მას კარგი კრიტიკული ალლო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს, რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა ანდივიდუალური“.

„გოგოთურ და აფშინას“ შემოქმედებითი ისტორია საინტერესო და თანხებურია. ავტორმა პოემას ქვესათაურად „ძველი ამბავი“ მისცა. ხოლო ამ ნაწარმოების გამოქვეყნებიდან ოცდაშვიდი წლის შემდეგ კი პოემის წყარო სეთნაირად დაახასიათა: „გოგოთური და აფშინა“ ძველი ამბის ღირსებას მოკლებულია თითქმის სრულიად. ეს გოგოთური, პოემის გმირი სცოცხლობდა მე-19 საუკუნის პირველ ხანში, ცხოვრობდა ს. ყოფჩაში. ყოფილა გოგოთური ფრიად ახოვანის ტანისა, ლამაზის სახისა და დიდი ჯანის პატრონი, მაგამ მშვიდი და ლპობერი. თუ არ გაუჭირდებოდა ძალიან, იგი ღონის გამოხენას საჭიროდ არ სთვლიდა. იყო მონადირე და ომში ყოფილა თუ არა თავის სცოცხლესში. ეს არ ვიცით. იმის მოტანილი ბრტყელი. საფლავის ქვის სჯავუსი ლოდი დღესაცა გდია კოპალის სალოცავთან და ისეთი მნიშვნა .ორ ვაცს გაუჭირდება ამ ქვის გადაბრუნება. ჩემს ჭეოლობაში მეც ბევრჯელ ვე-ვაჭგურებოდი ამ გოგოთურის მოტანილს ქვას და ვცდილობდი გოგოთურხე უტი ღონე გამოქეჩინა. ეს ცდა, რასაკვირველია, ამო იყო.

არავითარი შეტაკება გოგოთურს ხევსურ აფშინასთან არ მოჰსვლია: ქონდა მას ერთი შემთხვევა როგორც ზეპირგადმოცემით გამოგია ხევსურებთან შეჭახებისა: გოგოთურმა ქურდობაში დაიჭირა ორი ხევსური, ორივე შეკონა და მოიყვანა თავის სახლში“⁶. ვაჟა იმასაც ამბობს, რომ ქურდი ხევსურებისათვის ზნეობის სწავლება გოგოთურმა თავისებური შემარცხვენელი ხალხური წესით მოინდომა და არ მიმართა მათს ფიზიკურ დასჯას. ამის შემდეგ ავტორი ახასიათებს ამ მასალასთან შემოქმედებითი მიღგომის ზოგჯერო ხარეს.

„გოგოთურ და აფშინას“ წყაროდ პოეტმა დაასახელა ისეთი მასალა, რომელიც ხალხური მხატვრული ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის. არამედ ყოფა-მოცხდარი ფაქტის აღწერაა. გოგოთური ცხოვრობდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ფშაველა, სოფელ ყოფჩაში. ამ მთიელი კაცის ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს და ქცევა-გარეგნობას მისი თანამედროვეების ყურადღება მიუქცევია, თუმცა გოგოთურის ვინაობა ხალხური პოეტური სიტყვიერების აგნად არ გადაქცეულა. ივარაუდება, რომ გოგოთური მწერლის მამის ან პაპის თანამედროვე იყო. მასალაზე დაკვირვებისას ბუნებრივად ჩნდება კონსტრუქციები: რატომ უწოდა ვაჟამ ამ მართლაც „ძველი ამბის ღირსებას“ მოკლებულ არამხატვრულ ცხოვრებისეულ მასალას ზეპირგადმოცემა, თქმულება? ზეპირგადმოცემის ამ თქმულების ტერმინოლოგიურ სამოსელში მოქცევა ამგვარ მასალას ბუნებას ვერ შეუცვლის და ხალხურ პოეტურ ნაწარმოებად ვერ გადააქცევს. ამ ამავეა ორი თაობის მენსიერებაში არამხატვრულად შევიწრო არსებობა. საყურადღებოა ის, თუ რამ გააპირობა ასეთ წყაროზე დაურღ-ბილი თხზულებას მოქცევა იმ პოემათა რიგში, რომელთა ხალხურობაზე-

დაც ავტორი მსჯელობდა. საქმე ის არის, რომ პოეტმა საკუთარ პოემათა წყაროებში, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ცალ-ცალკე არ გამოიყენა ხალხური მხატვრული ნიმუშები და ხალხში მომხდარი შემთხვევები. ეს განსხვავებული მოვლენები ვაჟა ხალხურობის ცნების ზოგად შინაარსში მოათავსა. მან ზეპირგადმოცემა, თქმულება, არაკი დაარქვა მხატვრულ ნიმუშსაც და ცხოვრებისეულ შემთხვევაზე ჩვეულებრივ მონათხრობსაც. პოეტმა ზედმწევნით აღწერა ყოველივე, ხოლო აღწერილის მხატვრულ და არამხატვრულ ბუნებაზე თვითონ წარმოჩენილ მასალას უნდა მიეთითებინა. როგორცა ჩანს. ხალხური მასალის ცნებაში ვაჟა ყოველთვის არ გულსხმობდა პოეტურ-მხატვრულს, ხშირად, ხალხურს უწოდებდა ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ფაქტებს და მათზე უბრალო მონათხრობს — ხალხურ ზეპირგადმოცემას, არაქს.

ვაჟა-ფშაველა ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების საყრდენ მასალას რეალურ ცხოვრებაში ხედავდა, მთის ფოლკლორის ერთ-ერთ წყაროდ ტრადიციული ადათები, რწმენა-წარმოდგენები და მორალის ნორმები მიაჩნდა. იგი ფიქრობდა, რომ თითოეული ადამიანის ქცევა-მოქმედებასაც და ცხოვრებისეულ შემთხვევებსაც ტრადიციულ ურთიერთობათა შინაარს-განსაზღვრავდა. ვაჟა ამიტომ აფართოებდა ხალხური წყაროების ცნებით შინაარსს და მასში ათავსებდა ყველა მოვლენას, რომელიც კი ხალხში ხდებოდა და წმინდა ხალხური წარმომავლობისა იყო. ცხადია, ამგვარი ხალხური მასალის გამოყენების გამო მსჯელობდა პოეტი „გოგოთურ და აფშინას“, „აღუდა ქეთელაურის“ და „სტუმარ მასპინძლის“ ხალხურ წყაროებზე. ავტორის განმარტებებში არა ჩანს, რომ ის ამ თხზულებათა გაპაპირობებელ ფაქტორად ხალხურ პოეტურ შემოქმედებას მიიჩნევდა. ერთ-ერთ წერილში ვაჟა წერდა, რომ „უშეტესი ჩემი პოემები ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა ამენებული“⁷. ეს „ხალხში გაგონილი“ ორ-სამი სიტყვა, ჩვენი აზრით, ცხოვრებისეულ და ხშირად ისეთ ტიპურ შემთხვევებს გამოხატავდა, რომელთა მასალაც გამოყენება, ფართოდ გავრცელების გამო, თამამად შეეძლო ინდივიდუალური შემოქმედდაც და ხალხსაც. ცხოვრებისეულ შემთხვევას, ამბავს, ფაქტს აქვს თავისებური ძალა ზემოქმედებისა. მაგრამ მას აკლია მხატვრული სრულქმნა. ისეთი პოეტური განზოგადება, რომელშიაც ამაღლებული სახით წარმოჩნდებოდა ყოფითი რეალების სოციალურ-ეთიკური და ესთეტიკური მხარე. კერძო შემთხვევები ხალხის მიერ უპირატესად ლოკალური მნიშვნელობით აღიწერებოდა. საყურადღებოა, რომ „გოგოთურ და აფშინას“, „აღუდა ქეთელაურის“, „სტუმარ-მასპინძლისა“ და „გველის მკაპლის“ წყაროდ ვაჟას მიერ დასახელებული მასალა ამგვარივე შინაარსითა და ფორმით ხალხურ მხატვრულ შემოქმედებას არ წარმოუჩენია. რაც შეეხება ამ პოემათა ფაბულებს. სიუჟეტებსა და გმირთა სახეებს, მათი ტოლფარდი ხალხურ პოეზიაში საზოგადოდ არ მოიპოვება. თუ აქა-იქ თავს იჩენს ვაჟას პოემებისა და ხალხურ პოეზიის ცალკეულ ეპიზოდთა ანალოგიები, ისინი გაპაპირობებულნი არიან ყოფისათვის ნიშანდობლივი ტიპური ვარემოებებით და მათი სიტყვიერი რელიზების დიალექტური შესაძლებლობებით. ასეთ ვითარებაში უმჯველ მხატვრულ გავლენებზე ვერ ვიმსჯელებთ, ხოლო ის კი ცხადლივი იქნება, რომ ტიპურ მოვლენებს, შემთხვევებს, ამბებს მწერალისა და ხალხიც ცხოვრებადან ითვისებდა. ეს იყო და არის წყარო მსგავსების ასოციაციებისათვის.

ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ წყაროდ, ცხოვრებისეული არამხატვრული მასალის გარდა, სხვა წყარო არ დაუსახელებია. ხალხურ შემოქმედებაშიაც არ იპოვება ისეთი ნაწარმოები, რომელიც პოემის ფაბულას ეფარდებოდეს. ანდა თვით ავტორის მიერ მოთხრობილ „ნამდვილი გოგოთურის“ ამბავს გამოხატავდეს. საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. მწერლის ეპიკურ თხზულებათა უმრავლესობა მთის ადათ-წესებისა და მორალური ნორმების ღრმა გათვალისწინებით იქმნებოდა. მარალია, ვაჟას შემოქმედებაში ნაირ-ნაირი მასალა ფერსა და მიზანს იცვლიდა, ირიგინალურ ფაბულასა და სიუჟეტს ექვემდებარებოდა, მაგრამ ეს ვერ გააღრიცხავდა ტრადიციულ საწყისზე დამყარებულ ხალხურ და ინდივიდუალურ ნაწარმოებთა ზოგიერთი ეპიზოდის მსგავსებას. ამასთანავე შედარების პრინციპის მტკიცედ დაცვა გვიჩვენებს, რომ მსგავსებათა საფუძველი უმეტესად გართოდ გავრცელებული ერთგვაროვანი ტრადიციულ-ყოფითი არამხატვრული მასალაა. აღნიშნულ გარემოებაზე უფრო ნათლად თვით ხალხური ლექსების ერთიმეორესთან თემატური და ამასთანავე ცალკეულ სიტუაციათა მიხედვით მსგავსება ნიკვითითებს. ხალხური ლექსების თემებისა და სიტუაციების მსგავსებას ამოსავალ წყაროდ ქცეული მასალის ტრადიციულ შეხედულებათა თვალსაზრისით გააზრიანებაც იწვევდა. ვაჟას პოეტურ ეპოსშიც ძალიან ხშირად თავს იჩენს მთიელთა ადათ-წესები, რომელთა მშობლიური ნიადაგიდან მოწყვეტასა და გაუცხოვებას მწერალი არ ცდილობს. უფრო მეტიც, იგი ქმნის ყოფის ანალოგიურ ახალ სიტუაციებსა და ფაბულებს. გარე უღელნებისადმი ასეთი შემოქმედებითი მიდგომა უნდა მივიჩნიოთ ვაჟასა და ხალხური პოეზიის თემატურ-ეპიზოდური მსგავსების განმსაზღვრელ ფაქტორად. ტრადიციული ამოსავლის იგივეობის პრინციპი არ გვაძლევს უფლებას, რომ ვაჟას ეპოსისა და ხალხური შემოქმედების მსგავსებანი მხოლოდ პოეტური სიტყვიერების მწერალზე შემოქმედებად მივიჩნიოთ. ინდივიდუალურ შემოქმედებზე პოეტური ფოლკლორის გავლენა დამაჩერებლად შეგვიძლია ვამტკიცოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესადაარებელ ნაწარმოებთა ფაბულის, სიუჟეტის, გმირის ხასიათის ქმნალობისა და ცალკეულ ეპიზოდთა სიტყვიერი ვარდასახვის იშვიათი მომენტების იგივეობა აღმოჩნდება. მსჯელობის ამ მიზართულებით წარმართვის საშუალებას იძლევა ის გარემოებაც, რომ საკუთრივ ხალხური შემოქმედების წყაროები და თვით პოეტური სიტყვიერება, ეფექციის თვალსაზრისით, ერთი და იგივე არ არის და ღირებულებათა სხვაობის გამოც ერთ სიბრტყეზე ვერ განიხილება. ხალხურ შემოქმედებასაც მასალად სჭირდება ცხოვრებისეული ამბები, შემთხვევები და კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაირ-ნაირი წესები. პოეტურ ფოლკლორსაც თავისი მასალისაგან უწინარეს ყოვლისა მხატვრულად თქმის მიზანი, მოთხოვნილება და ხარისხი გამოარჩევს.

მრავალი ხალხური ლექსიდან ჩანს, რომ მამაკაცისათვის საბრძოლო არალის წართმევა, საზოგადოდ, დიდ დამკირებად ითვლებოდა³. მთის ფოლკლორმა ეს ვითარება ფართოდ ასახა, რაც იმის დადასტურებაცაა, რომ ხალხი აღნიშნულ საგანზე ტრადიციათა გათვალისწინებით მსჯელობდა. ცხადია, მარალის აყრის მოტივის შემკველი ხალხური ლექსები ერთიმეორიდან არ გამოდინარეობენ. ეს გარემოება უწინარეს ყოვლისა იმაზე მიგვანიშნებს,

რომ ტიპური ცხოვრებისეული შემთხვევები ერთგვარად აისახებოდა ხალხის შეგნებაში. ფოლკლორში და ზოგჯერ ინდოევოლუტურ შემოქმედთანაც.

ეაჟა-ფშაველას მიერ „გოგოთურ და აფშინას“ წყაროდ აღიარებულ ამბავში იარაღის აყრაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. პოემაში კი გმირისათვის იარაღის აყრის ამბავი პერსონაჟთა მორალური თვისებების წარმოჩენ ძირითად ფაქტორად მოგვევლინა. ამ ეპიზოდმა მთელი ძალით წარმოაჩინა გოგოთურის სულგრძელობა და საპირისპიროდ ამისა, აფშინას სულმოკლეობა. გვიჩვენა ის, რომ გოგოთურს იმთავითვე სწორად წარმართავს სინდისის შინაგანი ხმა, ხოლო აფშინას სინდისის გრძნობის გასაფხიზლებლად კი აუცილებელია ვარეგანი იძულება. პოემის მიხედვით, აშკარა ის არის, რომ სრულიად სხვადასხვა პოზიციისა და თვითშეგნების ადამიანებმა იარაღის აყრა მტკივნეულად განიცადეს. ეს ფაქტი ორჯერ გმირმა გაიყენებინა, როგორც საეაჟაკო იდეალის დაკარგვა. ამა თუ იმ მიზეზით, გმირისათვის იარაღის ჩამორთმევა პერსონაჟის მძიმე სულიერ განცდათა საფუძვლად და დაქცეული ეაჟას „ძალიცა ხიმიკაურსა“ და „ივანე კოტორაშვილის ამბავში“.

ეაჟა-ფშაველამ „გოგოთურ და აფშინას“ ეთიკურ პრობლემათა სიღრმეზე ამ თხზულების წყაროებზე მსჯელობისასვე მიგვანიშნა. მწერალმა ზოგად პლანში გაგვეცნო ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომლებმაც პოემის დაწერა შთააგონეს. წყაროების პარალელურად ავტორმა თხზულების ფაბულისა და სიუჟეტის შექმნის ზოგიერთი მხარეც უნებლიეთ წარმოაჩინა. იგი წერს: „ეს პოემა საკუთარმა ინციდენტმა დამაწერინა, გოგოთურად ვგუობდი თავის თავს“⁹. ეაჟამ პირდაპირ გვითხრა, რომ გოგოთურის სახეში თავის თავს გულისხმობდა. სამი წლის შემდეგ კი, როცა საგანგებო მიზნით კვლავ დაახასიათა „გოგოთურ და აფშინას“ შემოქმედებითი ისტორია, მან აღარაფერი თქვა პოემის გოგოთურთან ავტორის იგივეობის თაობაზე. ამ შემთხვევაში პოეტი მხოლოდ კონკრეტულ მიზანს ისახავდა; იგი პასუხს აძლევდა კრიტიკოს იმ. ვართავავას საკუთარი ეპოსის ხალხური წყაროების ხასიათზე და ამიტომ საჭიროდ აღარ მიიჩნია პირადი კონფლიქტის დახასიათება. თუმცა ბოლო ცნობაშიც ავტორმა რომელიღაც პირადი შემთხვევა და მისგან აღბრული განცდები მაინც აღიარა თხზულების შემოქმედებითი პროცესის განმაპირობებელ ერთ-ერთ მომენტად: „თუ რა პირადმა განცდამ, რა შემთხვევამ დამაწერინა „გოგოთური და აფშინა“ ან ვინა მყავს გოგოთურად. ვინ აფშინად დახატული ეგ ჩემი საიდუმლოებაა და საფლავში თან ჩავიყოლებ, ნავას არ ვიტყვი და არც საჭიროა, რადგან თქმა არაფერს შეჰმატებს საქმეს და უთქმელობაც არაფერს დააკლებს“¹⁰.

როგორც მწერლისეული ცნობიდან ირკვევა, მან იცოდა გოგოთურის ხასიათის ზოგიერთი ნიშანი და ხეცუსურებთან მისი შეჯახების ამბავი. მაგრამ ეს მასალა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებითს პროცესში ავტორის პირადმა შემთხვევამ და მისმა თავისებურად განცდამ ჩართო.

სამართლიანობისა და მაღალი ზნების დამცველ პოეტს მრავალჯერ ჰქონია შეჯახება მრუდე სამართლისა და ქცევის მიმყოლ ადამიანებთან. „გოგოთურ და აფშინას“ დაწერაც, როგორც ჩანს, ერთ-ერთმა ასეთმა შემთხვევამ და ამ შემთხვევის საზოგადოებრივი მნიშვნელობის პირადმა განცდამ შთააგონა.

ავტორისეული ცნობის შესაბამისად ნათელია, რომ ვილაცასთან ისეთი კონფლიქტი მოუხდა, რომელიც ასოციაციით გოგოთურისას ახსენებდა. მაშასადამე, ყოფილი გოგოთური, ანუ ვაჟას სიტყვისამებრ „ნამდვილი გოგოთური“; ავტორი და პოემის გოგოთური შინაგანად ეხმიანებიან და აესებენ ერთიმეორეს.

ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ როგორი იყო სულიერ-ზნეობრივი ავლა-დიდება ავტორთან „ინციდენტში“ მონაწილე ადამიანისა. გუშანი კი ვეკარნახებს, რომ მის მიერ დიდსულოვნებით დაფარული მოწინააღმდეგე, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, იმათი მსგავსი იქნებოდა, როგორი ზნეობის ადამიანთა სახეებიც აღძრა მან შემოქმედის წარმოსახვაში.

საანალიზო პოემის შემოქმედებითი ისტორიის საკითხებზე ცნობათა მოწოდებისას მწერალმა ყურადღება გაამახვილა მასალის ტრადიციულ-ზნეობრივ ნიშნებზე. იგი „გოგოთურ და აფშინას“ წყაროებს სწორედ ეთიკური თვალსაზრისით მიუღდა. ავტორმა ყოფით ამბავში ამოიკითხა, ამოიკნო ზნეობრივი ურთიერთობის ურთულესი მომენტები, განავითარა ისინი და წარმოგვიდგინა ესთეტიკური დამოკიდებულების საგნად.

ხალხურ მასალაში დახასიათებულია გოგოთურის სილამაზე, ახოვანება, ჯან-ღონიანობა და მითითებულია მის ისეთ სულიერ თვისებებზე, როგორიცაა: ღმობიერება, მომშენობა, სიმშვიდე. ძალგულოვანი და ზნემალალი გოგოთურის სახე ვაჟას ფანტაზიას ყრმობის ემსვე ალუბეჭდავს. როგორც თვითონ აღნიშნავს, ჭილობისასვე საყუთარ ძალას სცდიდა კოპალის სალოცავში გოგოთურის მოტანილ ქვაზე და ღონის გამოჩენაში ეჯიბრებოდა თავისი პოემის მომავალ გმირს. მასალასთან მწერლის ამგვარი მიმართება ბევრის მტკმელია. იგი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მწერალი მასალის ანალიზისა და სინთეზის უნარს თავისი დროის მაღალ ეთიკურსა და ესთეტიკურ იდეალებთან აკავშირებდა. ვაჟა „გოგოთურ და აფშინას“ ფაბულისა და სიუჟეტის ფორმირებისას ცნობილი ხალხური მასალიდან მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდს, ზოგიერთ ქცევასა და ექსტს გარდასახავდა, დანარჩენი კი მისი პოეტური წარმოსახვის მიღმა რჩებოდა. განსასახიერებელ ამბავს, ქცევა-მოქმედებას მწერალი აფართოებს, ანიჭებს მას განუმეორებელ მხატვრულ სიცოცხლეს. ავტორი, გმირის ხასიათის სრულქმნის მიზნით, ხშირად ეყრდნობა ტრადიციულ შეხედულებებს. პოემის წყაროდან ვიცით, რომ გოგოთური „ლამაზის სახისა“ ყოფილა. ვაჟა-ფშაველას თხზულებაში კი გოგოთურის გარეგნობა საზოგადოდ ხალხური კაი ყმის გარეგნული უბრალოებით წარმოდგა:

კოპალის ქვასთან გამოჩნდა
კაცი მთასავით მქვიწვარე,
მაიზლაზნება ზოვივით,
პირქეში, არა-მცინარე.

განსაკუთრებული დაკვირვების საგნად პოეტმა გოგოთურის სულიერი სამყარო აქცია. სულიერ თვისებათაგან მნიშვნელოვნად მიიჩნია გმირის ღმობიერება, მოთმინება და სიმშვიდე. ეს თვისებები ზნეობრივი მართლგანსჯის ძირითად პირობად დასახა. ავტორს არ ავიწყდება ისიც, რომ „გოგოთურს ეჯავრება საშინლად ავაზაკობა, ქურდობა, სხვის დაჩაგვრა“. სწორედ ეს თვისებები იქცა პოემაში გმირის მორალურ სწრაფვათა ღირებულების საზომად. გოგოთურის ვაჟკაცურმა სამართლიანობამ აამალა, ახალი ზნეობრი-

ვი იდეალისაკენ შემობრუნა აფშინა, დააფიქრა იგი და ქვეშაირიტი სიკეთისაკენ სავალი გზაც გაუხსნა.

წერილში „კრიტიკა ბ. იმ. ვართაგავასი“ ვაჟამ ენერგიულად განაცხადა: „არაერთარი შეტაკება გოგოთურს ხევსურ აფშინასთან არ მოსვლია; ჰქონდა მას ერთი შემთხვევა. როგორც ზეპირგადმოცემით გამოგია, ხევსურებთან შეჯახებისა: გოგოთურმა ქურდობაში დაიჭირა ორი ხევსური. ორივე შეკონა და მოიყვანა თავის სახლში“¹¹. გოგოთური შეპყრობილთა ხასიათის გამოსწორებას შერცხვენის ხალხური წესით. ე. ი. „ძაღლის სალაფავის“ მირამევით ცდილობს. ხალხური მასალის ეს ეპიზოდი ვაჟას ესთეტიკურმა თვალსაზრისმა არ გაიზიარა. აფშინას შეტად თავისებური სახის შესაქმნელად ავტორმა ხალხური მასალიდან ორი ქურდის მხოლოდ მძარცველური სწრაფვა გამოიყენა. მან ორი მძარცველი ერთად აქცია. ხალხურ ამბავში მძარცველთა არც გარეგნობა და არც სულიერ თვისებათა რაიმე რთული მოძრაობა წარმოჩენილი არ არის. ყოფით მასალასთან ამგვარი დამოკიდებულების შინაარსიდან ჩანს, რომ ვაჟა ზოგ შემთხვევაში ხალხურ რეალურ ამბავს ამღივრებს ცხოვრებისეული ადათ-წესებისა და შეხედულებების მოხმობით (მაგალითად, იარაღის აყრა, ფიცვერცხლის ჭამა, სახატო რიტუალი), ხოლო ზოგჯერ კი წყაროდ აღიარებული კონკრეტული მასალიდან იწუნებს ან უგულვებელყოფს ცალკეულ ეპიზოდებს. ერთი მხრივ, ამას გულისხმობს მასალის გადაშლავების ანუ საკუთარ სულიერ ქურაში „გადაღლეების“ პოეტისეული პრინციპი, ხოლო მეორე მხრივ, ამ გადასამუშავებელ ან „გადასაღლებელ“ ყოფითს შემთხვევებთან ღრმა სოციალურ-ეთიკური და ესთეტიკური მიმართების დამყარება. ვაჟა-ფშაველა კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების ფაბულის, სიუჟეტისა და პერსონაჟების ხასიათის ფორმირების ეჟამ თავისუფალი ერთმმართველია. ცხოვრებისეული და ხალხური მასალა მას მხოლოდ ორიგინალური თხზულების შექმნის იმპულსებს აძლევს. როდესაც გაირკვევა, თუ მის პოემებში რა იყო შენარჩუნებული რეალური ამბიდან, წყაროდან ან რა ეპიზოდებმა შეიძინეს სხვაგვარი სახე, მაშინ გამოშუერთდება მწერლის მიერ მნიშვნელოვნად მიჩნეული ურთიერთობები და ყოფით შემთხვევათა ტიპურობის მაუწყებელი მომენტები.

„გოგოთურ და აფშინას“ წყაროების დახასიათებისას პოეტმა თხზულების ფაბულისა და სიუჟეტის წარმოქმნის ზოგიერთ თავისებურებაზედაც მიგვანინა. იგი წერს: „ხევსურების მდგომარეობამ შექმნა კომბინაცია აფშინას სახით. ერთის კაცისაგან ორი კაცის შეპყრობა და შეკონვა ადვილი არ არის მინცა და მინც. ამან გამოიწვია ჩემს ოცნებაში ის სურათი, როცა გოგოთური მთელს იარაღს აფშინას აბარებს, აძლევს და შემდეგ უიარაღო იარაღით დატვირთულს აფშინას მთლად გაატიტლებს“¹². აქედან კარგად ჩანს, რომ მწერლის წარმოსახვამ თითქმის სრულიად შეუცვალა სახე ყოფითს მასალას; „გოგოთურ და აფშინას“ შექმნის პროცესში ვაჟა უპირატესად ცხოვრებისეული მასალიდან მომდინარე განზოგადების შესაძლებლობებს აქცევს სათავისოდ, იგი კერძომი ჰვრეტს ზოგად კანონზომიერებებსა და ღირებულებებს. ასე იქმნება პოემის ორიგინალური სიუჟეტი. „ნამდვილი გოგოთურის“ ქცევის ზნეობრივი ღირებულება, ორი მძარცველისათვის მის მიერ მოგონილი პორალური სასჯელი, როგორც მწერალი მიუთითებს, „დამაფიქრებელი“ და „სინანულის აღმძრავია“. გოგოთური ფიზიკურად არ სჯის შეპყრობილთ,

მხოლოდ ეუბნება, რომ სხვისი სარჩოს მიმტაცებელი უღირს კერძს — „ძაღლის სალაფავს“ იმსახურებსო. ხალხური მასალის აღნიშნული ეპიზოდი პოემაში არ შევიდა, თუმცა ავტორმა აფშინას სახის შექმნისას მისი გამოყენება სხვაგვარად მოახერხა. რეალური შემთხვევის ეს ეპიზოდი მწერალმა ასე შეაფასა: „ამ საშუალებამ დაბადა ჩემში აფშინას სინანული, ლოგინად ჩავარდნა, ხევისბერად შედგომა და სამუდამოდ ქურდობაზე ხელის აღება“...¹³ პოეტური მიმართების ამგვარი შინაარსი გვიჩვენებს, რომ მწერალი ნაწარმოების ფაბულის, სიუჟეტისა და გმირთა ხასიათების ჩამოყალიბების პროცესშივე აღმოაჩინა ობიექტური მასალის ორიგინალურად გარდასახვის ახალ-ახალ შესაძლებლობებს.

წყაროში მოხსენიებული პირადი შემთხვევის საიდუმლო ავტორმა არ გაგვიხილა. მინიშნებული საიდუმლოს გამომკვლავება, მართალია, ხალხური წყაროების რაობას ვერ გაგვირკვევდა, მაგრამ პოემის სიუჟეტის წარმოქმნის თავისებურებას კი გაგვითვალისწინებდა. ვაჟას სიტყვებში იგულისხმება, რომ ავტორი პირად კონფლიქტს აქცევს ისეთ ასასახავ მასალად, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს თხზულების ფაბულისა და სიუჟეტის ქმნალობის პროცესში. თუმცა ამ კონფლიქტის რეალური ზნეობრივი არსის გამკვლავება პოეტმა საჭიროდ არ ჩათვალა. როგორც ვხედავთ, ავტორის პირადი კონფლიქტი საიდუმლოდ მონაწილეობს შემოქმედებით პროცესში. ამგვარი ვითარება ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ წყაროებთან მიმართება, აქასთანავე მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის ფორმირება სუბიექტური და ობიექტური მოვლენების რთული ურთიერთქმედების პროცესს ექვემდებარება.

ვაჟა-ფშაველა იმ მოაზროვნეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ღრმად ჰქონდა გათვალისწინებული სიტყვიერი ხელოვნების ზნეობრივი არსი. მისი ქმნილებების ძალაღზნეობრივი ღირებულებანი ავტორის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალის სიდიდით იყო განპირობებული. პოეტის აზრით, ცხოვრება არის ადამიანის სულიერ უნართა და მოთხოვნილებათა მრავალმხრივობის გამოხატულება. ყოველივე ეს კი მკიდროდ უკავშირდება მორალურ გრძობათა რთულ მოძრაობას. ამიტომაც, პოეტის რწმენით, ლიტერატურა ადამიანის სიყვარულს, მისი სოციალურ-ეთიკური ბუნების წარმოჩენას უნდა ემსახურებოდეს. მწერლობას ევალება ადამიანზე ზრუნვა, ადამიანის ხასიათის ხატვა, მისივე სულის სიმტკიცისა და ზნეობის ასამაღლებლად.

ყოფისა და ადამიანის ურთიერთობაში ისახება კონკრეტული და ზოგადი მნიშვნელობის მორალური ღირებულებანი. ამის გამო ცხოვრების სინამდვილისა და ადამიანის სოციალური ბუნების მხატვარი ზნეობის პრობლემების გამოხატვას გვერდს ვერ აუვლის. უფრო მეტიც, გარემოსთან მრავალმხრივი შემოქმედებითი მიმართებებიდან ერთ-ერთი ძირითადი ეთიკური მიმართება ჩანს.

ვაჟა წერს: პოეტებს „უყვართ სილამაზე, რომელსაც უსათუოდ ქალის სახით წარმოადგენენ, — ბუნება, გმირობა, თავდადება, ხასიათის სიმტკიცე, საზოგადოდ ალტრუისტული მისწრაფებანი და სძულთ ძალმომრეობა, ადამიანისა ადამიანის მიერ ჩავკრა, მონობა და ზნეობრივად დაცემა საერთოდ“¹⁴. ადამიანის სულისა და ცხოვრების ცოდნა, მისი ზნეობრივი შეგნების მამოძრავებელ მოტივთა ღრმად წვდომა მკვეთრი ნიშანია ვაჟას მთელი შემოქმედებისა. მის ეპოსში მთლიანი, ჰარმონიული გმირის სახე მხოლოდ მორალური

პოემის წყაროდ მიჩნეული „ნამდვილი გოგოთურის“ ცხოვრების ეპიზოდი არ არის პატრიოტული შინაარსის შემცველი. ავტორის იმ პირადი შემთხვევის მამოძრავებელი მოტივებიც უცნობია, რომელმაც იგი პოემის შესაქმნელად განაწყობა. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ მწერლის ცნობიერებასა და შემოქმედებითს მრწამსს ქართული მწერლობის ძლიერი პატრიოტული ნაკადი ასაზრდოებდა, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები კი განაპირობებდა. სწორედ ამან შეუწყობ ხელი რეალური მასალის აზრითა და გრძნობით გამდიდრებას. ამიტომ ჩაეჭსოვა საანალიზო პოემის სიუჟეტში გოგოთურის მაღალი პატრიოტული ქცევისა და თვითშეგნების გამომხატველი ეპიზოდები.

ნაწარმოების პირველსავე თავში მკითხველი ეცნობა გმირთა ხასიათის ნიშნებს, მათს მისწრაფებებს. პოემის დასაწყისი მეტად თავისებურია. ავტორი, როგორც ინდივიდუალური შემოქმედი, გაუჩინარებულა. კოლექტიური მთხრობელი საზოგადოებას, მსმენელს ზოგადი სიტყვებით („ამბობენ“, „იტყვიან“, „მეფესაც უთქვამს“), მაგრამ უჩვეულო დამაჯერებლობით უხასიათებს პერსონაჟთა ქცევების რეალურ შინაარსს. ამ ქცევათა თავისებურებაში, მათს სხვადასხვაობაში ინსაკვება თხზულების სიუჟეტის შექმნის პერსპექტივა. მალე ნაწარმოებში კოლექტიური მთხრობელის ადგილს პერსონაჟთა დიალოგები და ავტორის სიტყუა იკავებს. აქედან დასაბამი ეძლევა პერსონაჟთა დინამიზმით აღსავსე ურთიერთქმედების დეტალურ გამოხატვას.

ხალხის გადმოცემით, პოემის პირველსავე სტროფში აფშინა ასეთნაირად არის დახასიათებული:

ამბობენ, ბლოელ აფშინა,
მინდოდაურის გვარისა,
სტარცეავს რჭულიან-ურჭულოს,
მარჭვედ მომხმარე ფარისა,
ჭერხო აავსო უნჯითა,
როგორც სალარო ხანისა.

ხალხის სიტყვით და მეფის აზრითაც, გოგოთური სამშობლოსათვის გმირული სამსახურის, შრომისმოყვარეობისა და სულგრძელობის მაღალი პრინციპების ერთგულია. მას საკუთარ ზნეობრივი გრძნობათა დაცვის ფიზიკური ძალაც შესწევს:

მეფესაც უთქვამ: „გოგოთურ
ათასს კაცთან ვადარე,
ათასგანა მყავს ნაცადი;
ათასგან ომში ვატარე;
გოგოთურს რკინის გული აქვს,
მკლავი ხომ გადამეტია,
რამდენჯერ მარტომ შაბერტყის
მტერი ქვიშაზედ მეთია.“

გოგოთურის მოქმედების მიზანი სინდისისა და მოვალეობის უღრმეს კავშირებს ემყარება:

ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,
არა-ღ, ვიქნით ცელია,
ნადავლით, ნაყაჩაღარით
კაცის დარჩომა ძნელია!“

გმირის ამალღებული თვითშეგნება და ფიზიკური ძალმოსილება პარამონიულად ერწყმინან ერთიმეორეს. ამიტომაც

არავის ახსოვს, ფშავეშია
 სმა-მალა ასძრახდომოდეს, (გოგოთური)
 ვანამღაც საცარცვადა
 გზად ვისმე გადასდგომოდეს.

ჭერ კიდევ პოემის ცენტრალური გმირების კონფლიქტამდე ისახება მათი იდეალების თვისობრივი სხვაობა. გოგოთური პიროვნებად ჩამოყალიბებული ისეთი ადამიანია, რომელიც ობიექტური სიტუაციების მრავალმხრივობას წინასწარ აფასებს. მისი სინდისი მომავალი ქცევის კანონმდებელია. ამიტომაც გოგოთურს ზნეობრივი შეცდომები არ მოსდის. ზნეობრივ გრძნობათა სიმაღლის წყალობით, იგი ადვილად უვლის გვერდს საკუთარი მეუღლის მრუდე ქადაგებასაც. გოგოთურის ხასიათი მყარ შინაგან კანონზომიერებას ემორჩილება. იგი განუწყვეტლად ფიქრობს იმაზე, თუ როგორია ადამიანთა ურთიერთობები და როგორი უნდა იყოს იგი იდეალის მიხედვით.

ნაწარმოებში პერსონაჟთა მცირე რიცხვი მოქმედებს; ამიტომაც სათქმელი აზრი კონცენტრირებულია გოგოთურისა და აფშინას დიალოგში, მათი სულიერი განცდების გამომხატველ მოქმედებებში. გმირთა მიზანსწრაფვის შინაარსი ვრცლადაა ვადმოშლილი თხზულების მესამე თავში. გოგოთურისა და აფშინას კონფლიქტის მიმდინარეობამ, მათმა დიალოგმა, პერსონაჟის სიტყვამ წარმოაჩინა დაპირისპირებული თვითშეგნების ადამიანების ურთიერთ-მიმართების არა მარტო ზნეობრივ-ფსიქოლოგიური საფუძვლები, არამედ წარმოგვისახა გმირის გარეგნული ნიშნებიც. გმირის სულის დრამატული მოძრაობა სიტყვაშია რელიზებული, აღნიშნავენ, რომ: «...каждое высказывание героя есть также своего рода движение, человеческое действие, в котором выражается либо внутреннее движение, переживание, либо направленное во вне волеизъявление, — в последнем случае высказывание представляет собой почти поступок»¹⁷.

გოგოთურმა აფშინა ზნეობრივი გამოცდის წინაშე დააყენა. მის მკაცრ მოთხოვნას სულგრძელობა და სამართლიანი შეგონება დაუპირისპირა. გოგოთური მოაგონებს მოწინააღმდეგეს, რომ ისაც დედის გაზრდილი ვაჟაკია, რომელსაც იარაღის დათმობა ოჯახისა და ხალხის წინაშე დიდ დამცირებლად მიიჩნია. თანაც მტრიან ქვეყანაში კაცის უიარაღოდ გაშვების უსამართლობაზე მიუთითა. ხვეწნა-ვედრებამ აფშინას აზრი და გრძნობა ვერ შეუტყალა. გოგოთურმა უბრძოლველად ჩააბარა იარაღი მოწინააღმდეგეს და როცა

აფშინამ ლურჯას დეზი ქკრა,
 იგიც გაფრენას ლაშობდა;
 გოგოთურს თმენა გაუწუდა,
 ვამოცხადებთ ჭაერობდა;
 —შაშ მიქონ ჩემნ იარაღნი,
 კიდევ არ შაირცხენია?
 დადეგ. შე უნამუსოვო,
 ქვაზედ გინაყო ტენინაი —

გოგოთურის მოთმინებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. იგი მიხვდა, რომ აფშინას სინდისის გამოღვიძება, მისი სიკეთისქმედების საწყისებზე გადაყენა სულგრძელობის გამოჩენით შეუძლებელი იყო. ამიტომაც უიარაღოდ დარჩენილმა გოგოთურმა ვანაიარაღა აფშინა, დაბეგვა და შეკონილი დააგდო გზაზე. მხოლოდ ახლა იგრძნო აფშინამ იარაღაყრილი კაცის დამცირებული მდგომარეობა. იგი ევედრება გოგოთურს, რომ აპატიოს, იძმოს და თავისი იარაღიც დაუბრუნოს. გოგოთური კვლავ გაუთვალისწინებს აფშინას მის მი-

ერ ჩადენილ შეცდომებს და ბრალს სწორედ იმაში დასდებს, რომ სამშობლოს მტრებთან ბრძოლის ნაცვლად, ბეჩავ, ომუნახავ ადამიანებს ძარცვავს და თავისი უნამუსობით კიდევ ამაყოფს. გოგოთურის რწმენით, არ შეიძლება თანამოძმეთა მძარცველი და ვერცხლის მომხვეუკი პატრიოტიზმის უკვდავი გრძნობით იყოს დაჯილდოებული. ასევე ჭეშმარიტ პატრიოტს არ ძალუძს თანამემამულეთა მიმართ ძალშომრეობდეს, უზნეოდ იქცეოდეს, რადგანაც ადამიანის იდეალი სამართლიანობის, სინდისიერების, სიკეთისა და სილამაზის პრინციპების ერთიანობით უნდა იქმნებოდეს.

გოგოთურმა შეიწყნარა აფშინას ვედრება: დაუბრუნა ცხენი, მისცა იარაღი და მოვალეობის გრძნობის გასამახვილებლად უთხრა —

პა შენ იარაღს რად მინდა,
სამრუდის გზაზე ნავალი?
შინაცა აქვის გოგოთურს
ფარი და ხმალი მრავალი.

ამ სიტყვებმა თავიანთ მიზანს შეიძლია: აფშინამ იგრძნო საკუთარი მიდრეკილებების უსაგნობა და უსუსურობა. იგი დიდხანს ებრძოდა საკუთარ გრძნობებს და ბოლოს

ცხენი, აბჯარი სხვას მისცნა,
გახდა ერთგული რჩულია.

აფშინას ხასიათის ცვალებადობის პროცესი ვაჟამ გრძნობად-კონკრეტულ საგანთა და ქცევა-მოქმედებათა სფეროში მოაქცია. თვალთ დასანახი გახდა განყენებული გრძნობებისა და იდეალების ცოცხალ სინამდვილესთან კავშირის ნამდვილი არსი. აფშინამ სხვაგვარად გაიაზრა საკუთარი ქცევის მოტივები და კაცი, რომელიც ადრე „რჩულიან-ურჩულოს სძარცვავდა“, ახლა

ხალხს ხატს ახვეწებს ტკბილის ხმით,
იწევს მფარველად ჭეყნისა.

ნაწარმოების უკანასკნელი სტროფი მიგვანიშნებს აფშინას სინდისის ტრაგიკულ დელეაზე:

ამბობენ: ჭეთინი მოღის
ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა:
-ვაჰ, მკვდარო ვაჟაკობაო,
ცოცხლად დამარხევე თავისა!“

გმირის იდეალმა, მართალია, სახე შეიცვალა, მაგრამ ეს სახეცვლილება არ მომხდარა სინდისის შინაგანი გრძნობის კარნახით; გარდაქმნის პროცესი არ განხორციელებულა გმირის ნების თავისუფლების პირობებში. აფშინა განსხვავებული ზნეობრივი პოზიციის ადამიანმა გამოაღვიძა. სწორედ ეს გარეგანი იძულება ქცეულა მისი სულიერი ტანჯვის წყაროდ.

როგორც ჩანს, პოეტური გარდასახვის ვაჟასეულმა ძალამ კონკრეტულ ყოფითს შემთხვევაში ორიგინალური, ღრმად პატრიოტული ნაწარმოების ფაბულისა და სიუჟეტის წარმოქმნის შესაძლებლობა აიოვა. ვაჟას დიდმა ნიჭმა ცხოვრებისეულ ფაქტში არა მარტო მრავალმხრივი კავშირები აღმოაჩინა, არამედ მრავლისმეტყველი ადამიანური ხასიათებიც დაინახა. „გოგოთურ და აფშინას“ მხატვრულმა სიუჟეტმა სინამდვილესთან პოეტური წარმოსახვის უწყვეტი კავშირიც ცხადყო და შემოქმედის სულის უსაზღვრო თავისუფლებაც გამოავლინა.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

¹ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, კრატეა ბ. იპ. ვართაგავასი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964, გვ. 363. შემდეგში ყველგან ამ გამოცემას ვიმოწმებთ.

² იქვე, გვ. 362—363.

³ იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვაეა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე, თბილისი, 1940, გვ. 249.

⁴ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, ნიჭიერი მწერალი, ტ. IX, გვ. 295.

⁵ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, ტ. IX, გვ. 361—362.

⁶ იქვე, გვ. 367.

⁷ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, Pro domo sua ტ. IX, გვ. 182.

⁸ იხ. დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, ტფილისი, 1887, გვ. 62; აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, ტფილისი, 1931, გვ. 15, 16; ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები ჩაწერილი თ. რაზაკშვილას მიერ, მ. ჩიქუანას რედაქციით, თბილისი, 1953, გვ. 23, 30, 65.

⁹ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, ფიქრები „ეფთხაბტყაოსნის“ შესახებ, ტ. IX, გვ. 323.

¹⁰ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, კრატეა ბ. იპ. ვართაგავასი, ტ. IX, გვ. 368.

¹¹ იქვე, გვ. 367.

¹² იქვე, გვ. 367.

¹³ იქვე, გვ. 368.

¹⁴ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, ნიჭიერი მწერალი, ტ. IX, გვ. 298.

¹⁵ გრ. ქ ი ე ნ ა ძ ე, ვაეას ფენომენი, კრებული ვაეა-ფშაველას, თბილისი, 1966, გვ. 17.

¹⁶ В. И. Л е н и н, философские тетради, М., 1947, гв. 256.

¹⁷ Теория литературы, кн., II, М., 1964, гв. 416.

დ. მ. ცოცკოლაური

ВОПРОС ОБ ИСТОЧНИКАХ И СЮЖЕТЕ ЭПОСА ВАЖА-ПШАВЕЛА

Резюме

В работе рассмотрена взаимосвязь творчества Важа-Пшавела не только с народной словесностью, но также и бытом горцев вообще. В ней проанализированы соображения, высказанные писателем относительно творческой истории отдельных его произведений. На примере «Гоготур и Апшина» показано, какова природа поэтической взаимосвязи с народным творчеством, отмечено, что отношении Важа-Пшавела к народному творчеству является весьма условным и даже не имеет характера «литературной взаимосвязи». Рассказываемая в «Гоготур и Апшина» история не является фактом народного творчества.

Важа-Пшавела использует жизненные события, этнографические реалии, поэтому его произведения и народное творчество очень часто восходят к общим источникам. Однако наличие общих источников не указывает на художественную зависимость писателя от народных произведений. Сюжет «Гоготур и Апшина» выявил как непрерывную связь поэтического воображения с действительностью, так и безграничную духовную свободу великого мастера.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაეა-ფშაველას კაბინეტი
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთა-
ველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ივანე ჯავახიშვილის

ბაჩანას კომედი

XIX საუკუნის კლასიკური ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელია ბაჩანა. რთულ შემოქმედებით წინააღმდეგობათა გადალახვის გზით „მუხის“, „არჯაკელის“, „დაბარებულის“, „ფშაველი ქალის ტირილის“, „ტყვის სიმღერის“, „სიმღერის“, „თალღაურას“, „ნანაის სიმღერის“ ავტორი ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების — ილიას, აკაკის, ვეფხისტყაოსნის პლედარული ამოუდგა როგორც მგზნებარე მთის შემოქმედი.

ბაჩანა ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად და განმავითარებლად გვესახება.

ილია ქავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად ქართველი ერის საკეთილდღეოდ შეუპოვრად იბრძოდნენ მთის საუკეთესო მგოსნები — ვეფხისტყაოსნის, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პავლე რაზიკაშვილის მთელი ოჯახი — თვითონ პავლე, ბარბაღლე, გიორგი, მართა, სანდრო — ჰმადიდებდა ამ სამეფულს და ყველა პოეტური სულით იყო გაჯღენტილი.

ძმებმა რაზიკაშვილებმა მწერლობაში ახალი სამყარო შექმნეს. მათ იგი გაამდიდრეს მებრძოლი რევოლუციური იდეებით. ცხადია, შათი შემოქმედება იკვებებოდა ქართული ხალხური შემოქმედებით, უმთავრესად კი ამოუწურავი მდიდარი ფშაური ფოლკლორით.

ბაჩანა პედაგოგი იყო — ფშავ-ხევსურეთის პირველი განმანათლებელი. იმავე დროს ბაჩანა დიდი პოეტია, რომელიც ღირსეულად გვერდში ედგა გენიოს ვეფხისტყაოსნის. ბაჩანას ქართველი ერის, მისი ხალხის სატიკივარი სტიკიოდა, სინჯარული, მხნეობა კი ახარებდა და, როგორც თვითონ იტყოდა, „ამირანის ჯანს მატებდა“.

ბაჩანას პოეზიაში გვხვდება ყველა ის მოტივი, რაც დამახასიათებელი იყო ქართული, განსაკუთრებით XIX საუკუნის, პოეზიისათვის. ბაჩანა 60-იანელთა მიმდევარი და თანამოაზრე მგოსანი იყო. მისი არაგვის დინებასავით ძლიერი შემოქმედება მამულიშვილის მიერ გაღებული წვლილია მშობლიური ერისა და ლიტერატურის სამსახურში. ბაჩანას მჩქეფარე შემოქმედება თავის დროზე საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ქართველ საზოგადოებაში. მისი შემოქმედების ნიმუშები ი. გოგებაშვილს შეჰქონდა სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ბაჩანამ თავის შემოქმედებაში ღრმად გამოხატა პატრიოტიზმის, სოციალური და სატრფიალო მოტივები; ბუნებისა და ზოგადადამიანური ხასიათის სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა.

„ბაჩანა, მართლაც, თავისი პოეტური სტილით ვეფხისტყაოსნის მიმართულებას მიეკუთვნება, როგორც თემატიკურად, ისე ენობრივად და პოეტური ზერხებით. ბაჩანაც, როგორც ვეფხისტყაოსნისა და საერთოდ მთის მწერლები, ღვიძლი შვილია თავისი რთული ეპოქისა და მისი პოეზიაც ძირითადად ასახი-

ერებს ეპოქის მტკივნეულ, აქტუალურ საკითხებს, ძალუმად ეხმაურება XIX საუკუნის ქართული კლასიკოსების შემოქმედების წამყვან მოტივებს. ბაჩანას პოეტური ნიჭი იზრდება და იხვეწება, როგორც ქართული ხალხური, განსაკუთრებით კი ფშავ-ხევსურული, ზემირშემოქმედების საფუძველზე, ისე ქართული კლასიკური პოეზიის — რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილიასა და აკაკის შემოქმედებაზე².

1904 წელს ჟურნალ „მოგზაურის“ მე-5—6 ნომრებში დაიბეჭდა ხატიაშვილის ბიბლიოგრაფია ბაჩანას პოემა „ღლიაკნიანის“ შესახებ. ბიბლიოგრაფია გვამცნობს: „ბ. ბაჩანაში და მის პოეზიაში ლევიის ისეთივე ცეცხლი, როგორც ვაჟას გულში, იმ გარჩევით, რომ ერთში პრიალბს და გუგუნებს, მეორეში დაკრძალულია — სიწმინდით. ერთი მოჩქეფს არაგვის ტალღებსავე და ღრიალებს, მეორე წყნარად და კამკამად მორაკრაკებს კაწალხევად (სოფელია ფშავში, სადაც „კა წყალ ხევი“ მოდის. — ი. ქ.) და ორივენი ერთმანეთს შეამსებენ. ერთი სიტყვით, ბაჩანა არის ძმა ვაჟასი“³.

ბაჩანა ძველი ელინივით შესტრფის მითებს, ჩაფლულია მითოლოგიის წილში. იგი ორგანულად უკავშირდება სიტყვის ანტიკურ ოსტატებს. მითოლოგია მისი შემოქმედების წყაროა. ფშაველ-ხევსურნი და მთიულ-გუდამაყრელნი ლაშარს, გუდანს, პირიშხესა და ლომისას ისევე ლოცულობენ. როგორც ძველი ბერძნები და რომაელები იუპიტერსა და აპოლონს. თვით ხალხი ორგანული ნაწილია ანტიკური ეპოსისა. ბაჩანას გმირების ხასიათი, ვაჟას გმირების ხასიათის ანალოგიით, ანტიკური მწერლების გმირების ხასიათს მოგვაგონებს.

კონტინენტის მოწინავე ძალებისათვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთსა და საქართველოში ნათელი გახდა, რომ ინგრევა ძველი დრომოკმული საზოგადოება და ჩნდება ახალი პროგრესული ცხოვრების ნათელი გზა. მაგრამ ბრძოლისა და ადამიანის გარეშე მომავლის გზის გაწმენდა შეუძლებელი გახდა. დადგა დრო ადამიანის, გმირის ძიებისა. ძლიერი, ვაბედული, სამართლიანი, შეუპოვარი, გაუტეხელი ხასიათის გმირი უყო საჭირო, რათა ყოველგვარი დაბრკოლებანი მამაცურად გადაეღახა. მითები ასეთ გმირებს ხან ბაზალეთის ტბის ფსკერზე ეძებდნენ (გავიხსენოთ ი. ჰავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“ და ლეგენდა), ხან — კავკასიონის ქედების გრეხილში, არაგვისა და იორის, მტკვრისა და ალაზნის, რიონისა და ენგურის ტალღებში, ხან კიდევ — თერგის „ზარიან ხუილში“.

ბაჩანა გმირ-ვაჟაკებს ფშავ-ხევსურულ სადევგმირო ეპოსში ხელადა. მაგრამ პოეტი ვიწრო კუთხური ქარგით კი არ შემოზღუდულა, არამედ მისი შემოქმედება ფართო ეროვნული მნიშვნელობისა იყო. ასეთია ბაჩანას პოემები „თაღლაურა“, „საფრთხე“, „ნანაის სიმღერა“, „წაწლობა“ და სხვ. როგორც ვაჟას, ისევე ბაჩანას პოემები საქართველოს მთიანი ხალხის ცხოვრების ფონზე იშლება. ბაჩანას პოემების ძირითადი ნიშანი არის, გვაჩვენოს თემური ცხოვრებიდან მომდინარე აურაცხელი შეტაკებანი მთიელ ტომებსა და მეზობელ ერებს შორის.

„თაღლაურა“. სადევგმირო ეპოსის გავლენით არის შექმნილი პოეტის ეპიკური პოემა „თაღლაურა“.

პოემა „თალაურა“ პირველი ეპიკური ნაწარმოებია ბაჩანასი. ჰაბუკი ბაჩანა 18 წლისა იყო, ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობდა, როცა ეს პოემა დაწერა და 1884 წელს გამოაქვეყნა. ბაჩანა სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა როგორც მოწიფული შემოქმედი. პოემაში მოცემულია ქართველი, მთიელი გმირის — თალაურას ბრძოლის ეპიზოდები. თალაურა თემში განთქმული ვაჟაკია, გმირი, გაბედული, უშიშარი, მამაცი მეომარია. მის სახელს არა მარტო საქართველოში, არამედ დაღესტანშიც იცნობენ. ის ლეკებს, რომლებიც ქართველებს მტრობენ, შიშის ზარს სცემს.

პოემა „თალაურა“ თერთმეტი თავისაგან შედგება და ბუნების მშვენიერი სურათების აღწერით იწყება. გაზაფხულის მთვარიანი ღამე ილევა... „ბუჩქში მიუყუჩდენ იანი“, საცაა განთიადის მაუწყებელი შურთხი დარეკავს ხარს. გმირის ოჯახს სძინავს, „მიწყნარდა კოშკიც მაღალი“.

თალაურა გმირი ვაჟაკია, რომელიც ხალხს უყვარს, ხალხი მხარს უჭერს, მაგრამ მტერიც ბევრი ჰყავს. „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუღამ მტრიანი“ („ააღუდა ქეთელაური“). ლეკებმა პირდაპირი გზით რომ ვერაფერი დააკლეს სახალხო გმირს, მუხანათურად შეებრძოლნენ მას. ლეკებმა დრო იხელთეს და როდესაც თალაურა სახლში არ იყო, მოისყიდეს მისი ნათესავი, ბიძის შვილი ხუმარა, რომლის მეშვეობით გააღებინეს ციხესიმაგრის კარები და დიაც ყმაწვილს თავს დაესხნენ „თალაურაის ციხესა ჰირი აღგება კარზედა“, — ამბობს მწერალი.

თალაურას მოხუცმა დედამ თამარმა და მისმა ახალგაზრდა ცოლმა ყამარმა, მოსალოდნელი უბედურება წინასწარ იგრძნეს. კოშმარულია თამარის ნანახი სიზმარი, საერთოდ შემადრწუნებელია რძალ-დედამთილის საუბრის სცენა. დედამთილი ეუბნება რძალს:

გულმა სულ ცეცხლში ჩამაგლო,
სულ რასღაც შეუბნებო;
მეორ-მესამე დღე მიღეს,
სიზმრები შეჩვენებო...
მითომ სამ წვიმა მოვიდა,
ღაიწუო დიდი ავდარი.
ცას ცეცხლი ეკიდებოდა,
მიწას გაჰქონდა ზანზარი.
თან სეტყვა წამოუშინა,
გარეგნა მთა და ბარია,

ჩრდილებში დასკდა ზვაეები,
ჩვენ კოშკს შოადგა ღვარია,
მე, შენ და თალაური.
სანამ მოჰვლევდა ღობოსა,
ჩაესხედით კიღობანშია,
ვევრდიც ჩამოსკდა ციხესა!
ღვარამ წაგვიხვნა სამნივა,
იქით და აქეთ ვიღოლით,
„გვიშველეთ თქვენი ჰირიმე“,
გამომვლითა, ეტიროლიქ.

ლეკების ბრბომ თალაურაის სახლკარი გადასწვა, სოფლები გაძარცვეს და ყამარი ტყვეებთან ერთად გაიტაცეს.

ბაჩანა აღრევე გვამცნობს (IV თავი), რომ თარეში, მტრობა და სისხლის ღვრა აღამიანური საქციელი არ არის. პოეტი თავის გმირს მიმართავს:

ნუ ჰლიდობ, თალაურაო,
ვაჟო, ნუ მოგწონს თავია,
ჰჭობია, თარეშს დაესხნა,
ლეკთ დაანებო თავია.
ფშავში გაქებენ ქალები,
ვაჟაკსა ეღეს გაზრდილსა,
მარტო ცხვარ-ძროხას სად დატევე

ლეკით გადმორეკილსა?
ნუ გინდა იმთ ტყვეები.
ღედათ ნუ ამვლოეიარებ.
თოფი ლეკებმაც იცინა,
საპირისწამლე რკისათ,
გადმოსელა ჰიუხებშია,
ხმარება ხანგრებისაო.

ამით მწერალს სურს თავის გმირს ჩააგონოს, რომ უპატიო სისხლისღვრას მოერიდოს, რომ ამ ძნელბედობის ქაშის ადამიანი გმირი საჭიროა, რომ თავს და თავის ქვეყანას გაფრთხილება უნდა.

თალლაურა დედისერთაა. ის ცნობილი ფშაველი მეცხვარეა და თემში კაცსაკითხი კაცი. გმირი უაღრესად შრომისმოყვარე და კაცთმოყვარეა; გამკითხავი და ლმობიერი, მაგრამ მტერთან შეუპოვარი და დაუნდობელია.

თალლაურას შეატყობინეს, რომ მტერმა თემ-სოფელი გაანადგურა და მისი ცოლი ყამარიც სხვა ტყვეებთან ერთად გაიტაცა. გმირმა შეკაზმა თავისი ლურჯა, ალაზნის აუზში მიატოვა თავისი სამწყსო და სახლისაკენ გაქუსლა.

პინდერთ დიძრა ფრინველი,
არწივი მთების შვილია,
საფშაოდ გამოემართა
თალაის ნივ-წერილია.

ჯაზაფხულის სურნელი დგას ივრის ხეობაში. მიქრის თალლაურას ლურჯა ჯა მთა-გორებს ეხმინება იმისი ნაღების წივილი. გაშლილი ათასგვარი ყვავილი „მიწას აბერტყენ ღალასა“. ჭრელ-ჭრელი ყვავილებით აფეთქებული ბუნება შეხვედრას უწყობდა თავის გმირს.

თალლაურა წინასწარ გრძნობს, რა დღეც ადგას მის ოჯახს, მაგრამ გაუტეხელი ბუნების გმირი მაინც სიმღერის ხასიათზე არის.

თალლაურას გზაც გრძელი ჰქონდა გასავლელი და დროც აღმოაჩნდა იმდენი, რომ შვიდი სიმღერა ემღერა. ამ სიმღერებში მელაუნდება გმირის სულიერი სამყარო და მისი შეუღრეკელი ბუნება. თითოეული სიმღერა ფილოსოფიური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

გმირს ზედმიწევნით უყვარს სამშობლო კუთხე, მიჭმუჭნილ-მოჭმუჭნილი მთა-კლდეები, გველეშაპის ენასავით მთის კალთებზე დაკიდებული თეთრი ნაკადულები თავს ევლება მშობლიურ იორს:

შენაც მიყვარხარ, იორო,
შენ ვერ-რა შეგედარება,
ჰმღინარებ... იღენ მუდამა.
რა ცხენი დაგვალალება?!
ხმლით ვერას გამოგარჩებია,
ტყვია არ მოგეკარება,
აღიღღე, შენი ღრიალი
ღვეთა ხმას შეადარება!

შენი დაკელება მაშინა
როსტომსაც შეზარება,
ახრჩობდე — მაინც კარგი ხარ,
მადლი არ დაგეცარება,
დაქმნდები — ისე მადლი ხარ...
სულიერთ გაეზარება!

გულზე ცეცხლმოდებული თალლაურა „იორზე შამოემართა“ და თავის ბუღისაკენ — არტნისაკენ გასწია.

შემაზრზენი სურათი წარმოუდგა თალლაურას. ბოლოს სვეტები ცას მიბჯენია, თემ-სოფელი მთლიანად გათქერილია. თალლაურაის სახლკარი „ყვავე-ყორნებს ჩამოეშალა: თვითონ კი გაქვეულოყენენ, მუქარა შამოეთვალათ“. გმირმა ლურჯას მათრახი მიამალა, მივიდა ბაღდადში, სადაც ის დაიბადა და აღიზარდა. ნახულმა შეაშფოთა გმირი:

უტკერდა იმის სოფელში
სახლებს სულ ბოლი ჰდიოდა.
ყმაწვილი ქალი და ვაჟი
იქ აღარავინ ჰდიოდა.

ბერხუნი კაც-დედაკაცი,
ეყარა იქ და ჰჩიოდა,
პატარა ბავშვი დედასა
ეძახდა, ძუძუ ჰჩიოდა.

დედის მეშვეობით თალაურამ ყველაფერი გაიგო. აბჯარი შეამოწმა და ქეთელაურიც მარტო გაუდგა სალევო გზას. ივრის სათავეებში ქაელევის ჰოსთან წამოეწია ლეკებს, იშიშვლა ხალიბური მახვილი, ხუმარასა და მურთაზს — აღმათის ხანს თავები გააგდებინა, დანარჩენი „გულხატარები“ შეშინდნენ და უგზო-უყვლოდ გაიფანტნენ ღრმა ხეობებში.

გმირმა ვაკეაცმა „ყამარიც გულში ჩაიკრა, ტყვეებიც გამოაბრუნა“ და სახლში გამოსიტუმრა. თვითონ თალაურა თავისი ძვირფასი ყამარით სევენებ-სევენებით შინისაყენ წამოვიდა.

თალაურა და ყამარი
ჩაბრძანებასა მზისასა,
ქალზე ჩამოდიოდნენ
საარტნოდ ივრის გზისასა
წინ ლეკი შემოეყარა,
ხანნი შესული ბებერი“.

თალაურა დაუპატიებელ „ისტუმარს“ შეუტევს: „შენაც იქ იყავ, რჯულ-ძაღლო. რომ მოგაშორო კისერი?!“ მაგრამ ცბიერი ლეკი მელაობით თავს იხსნის. გმირის მუხლებთან დაიჩოქებს და შეევედრება:

თუ კი შამქარებ მოხუცა,
რა ძლიერ ვაგიჭირდება?
გამიშვა, — ბერი შეგაქებს,
სახელი დაგიღარდება.

წავალ და ყველან ეიუბნებ,
თუნდა არ მოგხედეთ გზობასა.
მე ბევრჯელ შეეთხოვ უფალსა,
შენთვის მშვიდობით ყოფნასა.

თალაურა დიდბუნებოვანი ადამიანია. მან დაღისტნელი დაინდო: რუს-თაველისა არ იყოს, რახან მტერს მოერია, დაიყოვნა, აღარ მოკლა. მაგრამ ღმობიერებამ და ჰუმანურმა საქციელმა იმსხვერპლა გმირი. ლეკმა არ დაინდო. ზურგიდან მუხანათურად ესროლა: „ზურგსა ჰკრა, გულში გაჰვარდა, მუხლი მოეჭრა მავალი“.

მძიმედ დაჭრილი თალაურა მიწაზე დაეცა. გაჩაღდა ბრძოლა სიკვდილსიციოცხლეს შორის. ბებერმა ლეკმა დაინახა, რომ „იწივედა, ვეღარ ჰდგებოდა“, „გამოქცეული მიჰვარდა“ გმირს მარჯვენის მოსაჭრელად. საოცარი ამბავი მოხდა, საოცარი ტრაგიკული სცენა გათამაშდა. ყამარი არ დაბნეულა: „ქალი ქვას დასწვდა კლდისასა, თავში ჰკრა, დაბლა დაამხო, ტვინი ურივა მიწასა“. ყამარმა მოკლა მკვლელი. საოცარი შურისძიება! შემდეგ ქმარს მიეშველა სიციოცხლის გასახანგრძლივებლად, მაგრამ ამაოდ... ანდერძის თქმისას თალაურა კვდება. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ყამარმა მეუღლეს „...ასწვდა ხანჯარი, გულში დაიკა, დააკვდა, როგორც ლითონი შემდნარი“. ყამარმა ქმართან ერთად განუტევა სული.

ახასიათებს რა აქილევსისა და ჰექტორის ბრძოლას, დ. ბენაშვილი წერს: „აქილევსის მსგავსად. ალუდა ქეთელაურიც მტრის მიმართ ზვიადი, გულფიცხი და შურის მაძიებელია; მაგრამ ზვიადობა, გულფიცხოება და შურისძიება არც აქილევსისა და არც ალუდა ქეთელაურს ხელს არ უშლის, რომ ორივე ღარჩეს ქეშმარიტ ადამიანად თვით უკიდურეს გამძაფრების წუთებშიაც კი“.

ღიახაც, გმირი თალაურა, მიუხედავად ტრაგიზმისა, მაინც ქეშმარიტ ადამიანად დარჩა. ის ეროვნული ხასიათის დაღებითი გმირია, რომლის მხარეზედაც დგას ბაჩანა.

„მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით „თალღაურა“ ერთ-ერთი ძლიერი პოეტური თხზულებაა ბაჩანას პოემებს შორის. თალღაურას სიმღერები, რომელიც წარმოადგენს პეიზაჟის ფონზეა წარმოდგენილი, ღრმა, კეთილშობილური გრძნობების აღმძვრელია ადამიანის გულში. აქ მოცემული ყოველი სიმღერა ფილოსოფიური ლირიკის საუკეთესო ნიმუშია. მათში აღძრული საკითხები ადამიანის სიცოცხლის რაობისა, ბუნების განცდის, მეგობრობისა და გმირობის თაობაზე საგრძნობლად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ამ პოემის ავტორზე, როგორც პროგრესულად აფართოებს ადამიანზე და პოეტური სიტყვის ნიჭიერ ოსტატზე“⁶.

დ. გამეზარდაშვილი ბაჩანას პოემა „თალღაურას“ შესახებ წერს: „პოემა „თალღაურა“ მოწონებას იმსახურებს წმინდა მხატვრული თვალსაზრისითაც. მხატვრული სახეების რელიეფურობა, პოეტური საღებავების მრავალფეროვნება, ხალხურ მემორიურობას დაახლოებული ქლერადობა ლექსისა, კომპოზიციური სიმტკიცე და ლაკონური პოეტური მეტყველება პოემას ყველასათვის საინტერესოს ზღის. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს პოეტის მუხის სილამე მთის პეიზაჟების ხატვისას. დიდ ზომიერებას და ოსტატობას იჩენს ამ სურათების პოემის მთავარ იდეურ მანაარსთან დაკავშირებაშიც. იგივე ითქმის ხალხური თქმულების გამოყენებაზეც“⁷.

მოყვანილი ციტატები ადასტურებენ ხელოვანის ნიჭიერების სიდიადეს... მაგრამ, ამავე დროს გვინდა შევნიშნოთ, რომ ბაჩანას პოემის გმირის — თალღაურას ქმედების შესახებ ქართულ კრიტიკაში შემორჩენილია შეუსაბამო მოსაზრებანი.

მკვლევარი ა. მახარაძე წერს: «პოემაში გამოხატულებას პოელოზს მწერლის იდეა: დაგმოს ის მდგომარეობა და საქმეები, რომლითაც თალღაურას ცხოვრება ხასიათდება. თალღაურას საქმიანობა იშვიათი მოვლენა არ არის იმ ეპოქისათვის, რომელსაც ბაჩანას პოემა გულისხმობს. ეს ის საქმიანობაა, რომელსაც ბევრი ფშაველი და ხევსური მისდევდა და რომელსაც შეიძლება პირობითად „აფშინობა“ ვუწოდოთ. ბაჩანა, როგორც პროგრესულად მოაზროვნე მწერალი, სწორედ ამ „აფშინობის“ კრიტიკას იძლევა ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველა თავის ცნობილ პოემაში „გოგოთურ და აფშინა“⁸.

დაახლოებით ასეთივე აზრია გატარებული მკვლევარ დ. გამეზარდაშვილის დასკვნაში: «„თალღაურა“ ბაჩანას პოემათა შორის გამოირჩევა მხატვრული დახვეწილობითა და თემის ოსტატური გააზრებით. ამ პოემით ავტორი მკითხველს პირველად წარუდგა არა როგორც მთის ხალხთა კეთილშობილური თვისებებით ამღერებელი მგოსანი, არამედ როგორც მათი ზოგიერთი ზნეჩვეულების გამკიცხავი და მამხილებელი. მშობელი კუთხის მგზნებარე პატრიოტი, ბაჩანა თავის შემოქმედებაში საერთოდ არ ერიდება იმის გამოწვევას, რაც მხოლოდ ვნებდა და ლაქას ცხებდა მის თანამემამულეთა ცხოვრებასა და ვაჟაყურ ბუნებას... „თალღაურა — მტრიათა. ფშავში განთქმულ ვაჟაყურს ბევრი ლეკის სიცოცხლე გაუშწარებია. ბევრი ცხვარ-ძროხა გადმოუსხამს დაღესტნიდან. ამიტომ ის მუდამ საფრთხეშია. სანაცვლოს მიგება მოელოს. პოეტს არ მოსწონს თავისი გმირის თამამი უსამართლო ქმედება, კიცხავს მას ლეკების დაწიოკებისათვის. თალღაურას საქციელი იმდენად მიუღებელია პოეტისათვის, აჩერებს ეპოურ თბრობას და აკეთებს ლირიკულ წიაღსვლას“⁹.

ვავაანალიზოთ საკითხი, რაც ჭეშმარიტების გზამდე მიგიყვანს.

პირველ რიგში უნდა დაეასკვნათ, თალღაურა არის თუ არა „მოთარეშე უშვეელი?“ ვის შეიძლება ეწოდოს მოთარეშე? — მოთარეშე იგივე თავდამსხმელია, რომელიც გადალახავს სხვა ქვეყნის საზღვარს, შეიჭრება იქ ქონების მოსახვეჭად და ადამიანთა მოტაცების მიზნით. მოვიგონოთ კვირიას საუბარი სანათასთან:

საქმი გაჭირდა, დედילו,
ურჯულ თათრებისგანა;
დათარეშობენ... კახეთი
მისცეს ქარსა და ნიავსა...

ან კიდევ:

„ჩენი საყდრების ტრაპეზიან ეხლა მოლები ჯალობენ“¹⁰.

კომენტარი ზედმეტა. მოთარეშე მოსისხლე მტერია, რომელიც ყველაფერს „ქარსა და ნიავს“ ატანს, სიცოცხლეს სპობს და ანადგურებს.

პოემა „თალღაურას“ მიხედვით მოქმედება ქართულ მიწაზე, ქართლის მთიანეთის ტერიტორიაზე ხდება. დიხხაც, მოთარეშეებმა, „ურჯულ“ ლეკებმა გაძარცვეს თალღაურას თემი, გაანადგურეს მისი ოჯახი, გაიტაცეს მისი ახალგაზრდა ცოლი — ყამარი, დატოვეს სისხლიანი კვალი. მაგრამ მტერს არ შერჩა გაკადნიერება. თალღაურა ვმირია. მტერს წამოეწია და უთანასწორო ბრძოლაში „რჩეული“ ლეკების გუნდი გაანადგურა. მეუღლე ყამარი და მრავალი ტყვე იხსნა გველეშაპის სასიდან. ტყუილად კი არ ღალატებდა ხალხი: „კაცი მოკვდება, ცოლზედა, მამულზე საკუთარზედა“.

თალღაურას საქციელს, რომელიც ხალხის — თემის ინტერესებიდან გამომდინარეობს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ „აფშინობა“ ვუწოდოთ. აფშინა თავზე ხელაღებული კაცი იყო, — ყაჩაღი და მძარცველი, რომელიც ცოფიანი, მშიერი მგელივით დათარეშობდა:

— იარაღ მამცენ, ფშაველო,
რად გი, არ იცი ხმარება!...
რა გაკვირვებით მიყურებ?
აფშინას შეძახიანი!

ჰა, თორღ შეუთხოვ ფრანგულსა,
ხმლო, გამიჭერ, ფხიანო!...

— ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
ჩქარა მიხსენ ხმლო,

საითაც ვაღმამაწვადე,
კარგი ექნება ძალია;
ერთი კვირაა შენ მგტსა
ვერაჲის დაკვარ თვალია.
ჩქარა მიხსენ აბჯარანი,
არად ვალოკებ ქვიშათა,
მივცემ, გათრიონ ყუნჭივით
ტალღათ არავგის წყლისათა¹¹.

აი, ვინ არის აფშინა. მაშასადამე, შეუძლებელია თალღაურას მოქმედება შევედაროთ აფშინას გაუმაძღარ სულს. სწორედ ასეთ შეუსაბამო ამბავზე ამბობდა დიდი რუსთაველი: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი, ნურვინ გაპრევთ ერთმანეთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!“¹². დიხხაც, გმირი სხვა არის და მოთარეშე სხვა.

მეორე, აუცილებლობას წარმოადგენდა თუ არა თალღაურას საქმეების „გამომწეურება?“ დაბოლოს, თალღაურა ჩაითვლება თუ არა „ლეკების დამწიოკებლად?“

— არა.

ჯერ ერთი, თალღაურა თემის უფროსი ჩანს. ერეკლე მეფის განაჩენის სიგელში (1794 წელი, აგრეთვე 1819 წელი) ჩანს, რომ: „ახალიდამ თემის უფროსი თალღაური მონაწილეობდა ჭიჩოვლებისა და გაბიდლოურების დავაში „შეშინის ვაკის“ თაობაზე“.

ადათებით მტკიცედ შეკრული თემური წყობ-ლებ-ს კანონ-თ მოწეს-რ-გებული სამართლის მიხედვით, თემის უფროსი სარდლად, მეთაურად ითვ-ლებოდა, რომელსაც თემის ავ-კარგი ეკითხებოდა.

მეორეც, იმავე მთის თემს თავის მოქმედებაზე-ს ჰქონდა სასტიკი კანონი — შურისძიება. შურისძიება უხოველთა სამართლის ერთ-ერთი ძირითადი იდეა იყო. შურისძიებამ ალუდა ქეთელაური მუცალს ნტვრი გახადა. ქარ-თველი ზვიადაური და ქისტი ჯოყოლა აღხასტაისძე შურისძიებამ იმსხვერპ-ლა. შურისძიებამ შეიწირა არსენა მარაბდელისა და კიდევ რამდენის სიცო-ცხლე. შურისძიების მიზნით ჩვენი წინაპრები მტერს თავს ესხმოდნენ¹⁹.

„ლეკების დაწოკებას“ მათგანვე გაღმონთხეული შხამის გაწმენდის სა-ნაცვლოდ ხდებოდა. ისინი ამას იმსახურებდნენ.

„თალღაურას საქციელი მიუღებელი“ კი არ არის პოეტისათვის, არა-მედ ის „ლირიკულ წილისგლამი“ უფროთხილდება თავის გმირს, არაგებს მას. რათა უაზროდ არ შეაკვდეს მტერს:

ნუ ჰღიღობ, თალღაურო,
ვაჟო, ნუ მოგწონს თავია,
ჰჯობია, თარეშს დეხსნა,
ლეკთ დაწებო თავია.

რაც შეეხება ორ ტაემს: — „მარტო ცხვარ-ძროხას სად დასტევ ლეკებით გაღმორეკილსა?“ — სწორად უნდა გავიგოთ. იმავე თემის კანონის მიხედ-ვით, მტრისაგან ადრე მიტაცებული ქონების სანაცვლოდ გამორეკილი ცხვარ-ძროხა თემის საკუთრებას შეადგენდა და ხატს სწირავდნენ. გმირს მხოლოდ საკარგვემო და სახელი რჩებოდა.

მოვიშველით ქართული ფოლკლორი. სახალხო გმირ გარა თურმანა-ულზე ნათქვამ ლექსში გვითხულობთ:

გარა ვარ, თურმანაულე,
მე ბევრჯან მიქნავ ზიანი,
მიხოცავ ლაშარის გორსა
ქისტის ხარები რქიანი²⁰.

ამგვარად, თალღაურა თავისი ეპოქის შვილი, მამაცი, გმირი ადამიანი იყო. იგი თავისი ნაოფლარით მეცხვარეობით ცხოვრობდა. გმირმა ხალხის ინ-ტერესებს შესწირა თავი.

„ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“. ბაჩანა ორი ეპოქის მიჯნაზე ცხოვ-რობდა, როგორც პოეტი, მოაზროვნე და მოქალაქე. მან ცხოვრების მძიმე გზა გაიარა. ბაჩანამ სამი რევოლუცია იხილა და რეაქციის მძაფრი დღეები გა-დაიტანა. ბაჩანა ბედს შეუპოვრად ერკინებოდა. იგი იზიარებდა დიდი რუ-სი მატერიალისტების, რევოლუციონერ-დემოკრატების — ჩერნიშევსკის, ბელინსკის, გერცენის ფილოსოფიურ შეხედულებებს. ცნობილია, რომ „თერგ-დალეულთა“ მეთაური ილია ჭავჭავაძე უნივერსალური ნიჭიერებით ყველაზე ახლო იდგა ა. გერცენთან, საყვებით იზიარებდა მოვლენებისადმი გერცენის დიალექტიკურ მიდგომას.

თავის მხრივ ბაჩანა ცხოვრების დიალექტიკის საკითხების გარკვევის თვალსაზრისით ყველაზე ახლო იდგა მე-19 საუკუნის სამ ბუმბერაზთან — ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და ვაჟა-ფშაველასთან. თავისი დროის უფროს მოღვაწეთა მსოფლმხედველობას და მათ ესთეტიკურ შეხედუ-

ლებებს იზიარებდა ბაჩანა. „თერგდალეულთა“ მსგავსად ისიც ლიტერატურის მთავარ დანიშნულებას ხალისადმი სამსახურსა და მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ხედავდა.

ვაჟა-ფშაველამ და ბაჩანამ შემოქმედების ფართო გზაზე ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციები შეიწოვეს, პოეტურ ქმნილებებში ჩააქსოვეს საკაცობრიო მორალი.

ბაჩანამ ბრძნული აზრები ჩააქსოვა სატრფიალო და ფილოსოფიურ მოტივზე დაწერილ ლექსებში და პოემებში. პოემაში „ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“ ბაჩანამ კეშმარიტად ღრმა ფილოსოფიური, ჰუმანური, სოციალური იდეები წამოაყენა, რომლებიც გამოუმუშავებულია ქართველი ერის მიერ ხანგრძლივი ცხოვრების გამოცდილების საფუძველზე.

ბაჩანა ღრმად დააფიქრა ხალხებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ, ქვეყნის უთავბოლო, მოუწესრიგებელმა ცხოვრებამ, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრამ, საერთო მტკივნეულ საკითხებზე დაფიქრებას პოეტი მიჰყავს „მსოფლიო სევდის“ თემაში. ბაჩანას გულს ღრდის ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობაზე ფიქრი. „მსოფლიო სევდის“ თემაზე ბაჩანამ სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა ლექსები — „ალარ მინდისარ“ (1886 წ.), „ჩემი ნატვრა“ (1888 წ.), „ზღვა დავიწყებისა“ (1889 წ.). ამას მოჰყვა დიდი ციკლი ლექსებისა, რომლებიც მწერალმა ერთი სათაურის ქვეშ გააერთიანა და უწოდა „ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“.

ბაჩანას ეს თხზულება შედგეგია XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში. არ გვევლება პოეტის სხვა ნაწარმოები, რომელშიც მას ისე ღრმად ჩაეხედოს ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ისე ძლიერად განეცადოს მისი ტკივილები, როგორც ამ პოემის შექმნის დროს.

ხალხური პოეზიის ფორმების გამოყენებით, ნაწარმოების კომპოზიციური მთლიანობით ბაჩანამ საუკეთესო წარმატებებს მიაღწია.

პოემაში საოცარი სიძლიერით არის დახატული მაღალი იდეების მატარებელი ადამიანის კონფლიქტი სინამდვილესთან. პოემა „ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“ უსიუეტოა. მისი მთავარი ლირიკული გმირი თვითონ პოეტი ბაჩანა არის. სიღრმითა და პოეტური გამოსახვის უბადლო ოსტატობით ბაჩანას პოემა ნ. ბარათაშვილის „მერანს“ ენათესავება, რომელიც მსოფლიო ლირიკული პოეზიის უბრწყინვალესი ნიმუშია. ბაჩანას პოემა, „მსოფლიო სევდა“ და ბარათაშვილის ლექსი „მერანი“ მომაჯადოებელ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე. ორივე ნაწარმოების ძირითადი მოტივია გონებაგაღვიძებული ადამიანის თავგანწირული ბრძოლა ბედისწერასთან.

ბაჩანამ პოემა „ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“ 1890 წელს გამოაქვეყნა და იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შევიდა როგორც პოეტი-ფილოსოფოსი. მან პოემაში გამოხატა პროგრესული კაცობრიობის გულისტკივილი არსებული ცხოვრებისადმი და იმავე კაცობრიობის მისწრაფებანი უკეთესი მერმისისაკენ. პოეტის მსჯელობით ადამიანი ასეული საუკუნის წინათ გაჩნდა, მაგრამ უკეთესი ცხოვრება ვერ შექმნა და სიცოცხლე ვერ გაიხანგრძლივა:

ჯერ ვერ მოვდივართ გულისხმას,
მუქთად ვალამებთ დღესაო,
მოვალთ, მზე მიწარებულა,

ჩრდლი აჰსვლია მთებსაო
კარზე ვვადგება სიკვდილო,
ყელზე მოგვაბამს წნელსაო.

ერთი რიგისგან, სხვა კაცია.
როგორც ფოთოლი ხესაო
ასე იქნება შემდგომაც.
უწინაც ასე ყოფილა;

ვერ მოპრჩობია სიკვილისა
ვინც ხორციელად ჰხმობილა,
ტრალი წუთისოფელი
ვერავინ გაიმობილა“.

მიუხედავად იმისა, რომ „წუთია წუთის სოფელი დახანამება თვალისა“, არსებობს ურყევი კანონი, რომლის ძალითაც დედამიწაზე დაუსრულებლად სიცოცხლე ქრება, სიცოცხლე ჩნდება. ბაჩანას გაგებით

დრო კი თავისას არ მოჰშლის
სელასა და მდინარებასა,
ჩაცმა-დახურვას — ბუნება,

მზე, მთვარე — ცაზე რებასა,
ტრფობა-ყვარებას — ქალ-ვაჟი
საწუთრო — ნეტარებასა!

პლანეტის სუნთქვაში და ბუნების ესთეტიკის დაუშრეტელ სამყაროში ხედავს პოეტი სიცოცხლეს, ცხოვრებას, მზითა და მთვარით გაბრწყინებულ მთა-ბარს. ბუნების მშვენიერებით მოხიბლული პოეტი წამოიძახებს:

ვინ იტყვის, კარგი არ იყოს,
ცისა სამოთხის სადარი;
ბუნება — მიწა-წყალითა,

ტურფა ტყე-ველით შემხდარი,
მალა მზითა და მთვარითა
დამშვენებული მთა-ბარა!

„ცა-ქვეყნის შუა კვიდივარო“, — ამბობს ბაჩანა. სიკეთის თესლი მინდა დავთესო, მაგრამ ჩემი საჯავრო ის არის, რომ კაცი — ეს მშვენიერი არსება გაჩნდა და სიკვილის ცელიც თან დაჰყვა: „თუ გაჩნდა, კიდევ ეცოცხლა, მოეკლა ყოფნის წყურვილი...“ ამიტომაც, რომ ბაჩანა მზეზე გადაფრენას ლამობს, ცის კიდეთ ეგულება ტყვის დამხსნელი ძალა. მისი სურვილია, გაანათოს ადამიანის სავალი „შავი და ბნელი გზა“. ეძებს პოეტი, ვერ უპოვნია „სამუდამო დასადგომელი“.

ბაჩანას სამუდამო დასადგომელი ეს არის თავისუფალი საქართველო.
სამუდამო დასადგომელის მძებნელ მგოსანს ვერ მოუსვენია:

ჩემთა სურვილთა სამძღვარი,
უფალს არ გაუჩენია,
ცას უარი ვყავ ქვეყნისთვის,

რაც თვალთ მისაწვდენია;
მაგრამ მე ისიც დაეკარგე...
ველარც აქ მომისვენია!

პოეტი ცხოვრებას არ გაუბრძის, სიცოცხლის წამალს ის მომავალში ხედავს და იმედიანად აცხადებს:

ვღგეუარ და შევტრფი მაღალთა,
მთათ ფიქრად მდგომიარეთა,
ცათ ხან მოწმენდით, ხან ბნელთა,

მწვიმელთ და მთოვიარეთა,
მზესა, მთვარეს და ვარსკვლავთა
ცის გულზე მწოლიარეთა!

ადამიანის, პიროვნების თავისუფლების მძებნელმა ბაჩანამ ბიბლიურ სამოთხეშიც კი იმოგზაურა, სადაც ყველაფერი უხვი, ყველაფერი ლაღი და ბედნიერი იხილა. მთა და ბარი, ველი და ტყე „ნაირ-ნაირი ყვავილებით“ „ერთად მოლადანებდა“; ფრინველი „ჰყიოდ-ჰგალობდა“; ანკარა წყარონი მორაკრაკებდნენ; ზღაპრული სუფრა იდგა გადაშლილი, სადაც აუღებელი პურ-ღვინო ელაგა, სიმღერის ისეთი „ჰანგები“ და „ჰიმნები“ ისმოდა, რომ მსგავსი მხოლოდ სიზმარში შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა.

სამოთხეში მხოლოდ ერთი დღე-ღამე გაძლო პოეტმა და გამოეშურა სამშობლო მთა-ბარში და ძმა-მეგობრებში. „უჟაც-უსწორფროდ სამოთხეც არაფრად ვარგებულაო“, — აცხადებს მგოსანი.

ბაჩანას მსოფლიო სევდის მიზეზი არსებული მეფური წყობილება არის. ეს დრომოპყმული წყობილებაა, რომელიც ბოქავს პიროვნებას. ადამიანის ხსნის გზების ძებნას მძიმე ფიქრებამდე მიჰყავს პოეტი. ბაჩანა პირდაპირ აცხადებს, რომ ქვეყნად ბედნიერების შექმნისათვის საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა: „ბედნიერებას ვინ მისცემს, ბატონის ხელში მონებას“. ბაჩანას ფიქრით, ვიდრე სოციალური უთანასწორობა არსებობს, ვიდრე მშრომელი თავისუფლებასა და მიწა-წყალს არ მოიპოვებს, ცხოვრება არარაობა იქნება.

ბაჩანას და მის თაობას აწუხებდა კითხვა — ვინ დააწესა, რომ ერთი ბატონობდეს, სხვა „იმის მონად“ იყოს? — ერთს ჯაფით წელი სწყდებოდეს, მეორე მბრძანებლობდეს?!

პაგრამ ერთი რომ მბატონობს და სხვა იმის მონადა, სასწორო მიწა-წყალა რომ გავიხდა სანატრელადა,

და ჩრდილიც თავისუფლების საძებრად, საბრძოლველად, — ეს კი მტაწავს და შაოცებს, მაქვს ძლიერ სავირეულად.

მწერალი პოემაში „ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“ ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებულ სოციალურ უთანასწორობაზე. იგი პირდაპირ აყენებს ეპოქისათვის საჭირობოტო კითხვას:

რად არის კაცობრიობა ორ დასად გაყოფილია? ერთი მსუქანი, მამარი, სიციცხლით კმაყოფილია,

მეორე: ლუბი, მშვირი, ჯაფით წელმოწვეტილია; ერთი მოახლე, მსახური, მეორე მბრძანებელია...

„შერცხვეს ასეთი დროება და სტუმარ-მასპინძელია“, — ამბობს დასასრულ პოეტი და ამით პროტესტს აცხადებს უსამართლობით აღსავსე ძველი ცხოვრებისადმი.

ბაჩანას სურს, რომ „უებრო ქადაგი“, წინასწარმეტყველი იყოს; როგორც მასწავლებელმა ქვეყანას „ხელანჯიანი“ გზა გაუქვლიოს; თვითონ გადაიქცეს მალამოდ ხალხის წყლულების მოსარჩენად, თუნდაც მხოლოდ ბნელ უკვდავების ნაცვლად „წამის სინათლე“ ჰქონდეს:

გავხდე უებრო ქადაგი. ქვეყნის — ხელანჯისა რთულსა, უშედარი მასწავლებელი, ექიმი ყველა წყლულისა, თუნდაც ერთ წამში ასრულვს, ერთის თვალის დაკილვასა;

გასქდეს მიწა და ჩაეკარდე, ის ვამიხდეს ლოგინადა. არცა ვისა ვთხოვთ ტირილსა, არცავის დანანებასა, წამის სინათლე მიჩაქვავ, ბნელისა უკვდავებასა.

„ბაჩანას ტანჯვა, — წერს მკვლევარი მ. ზანდუკელი, — გამოთქმული ამ მშვენიერ ლირიკულ ლექსში, რაოდენად მოგვაგონებს ვაჟა-ფშაველას პოემის „გველის მკამელის“ გმირის მინდიას ტანჯვას. ბაჩანასაც, მინდიასავით, ცაქვეყნის ამგვარი მესაიდუმლოება პირადი სიამოვნებისათვის კი არ უნდა, არამედ ქვეყნის, მოძმეთა სასარგებლო გახდეს“¹⁴.

პოემის განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: პირველი, ბაჩანამ პოემაში „ლექსნი მსოფლიო მწუხარებაზე“ დღის წესრიგში დააყენა ადამიანის სიციცხლის ხანმოკლეობითა და ქვეყნის ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეული გულისტკივილი, რაც ფილოსოფიურ განზოგადებამდე აიყვანა. «საერთოდ, პოეტი კმაყოფილია იმით, რომ ბუნებამ დააჩილდოვა „ციური მადლით“ — პოეტური ნიჭით. მთავარ ნუგეშს ის თავის მუშაში ხედავს და

მას უმადლის ცხოვრების ჭაობიდან ამოყვანას. ამიტომაა, რომ ემუდარება მას „მალ-მალ მალხინა ნახვითაო“ (დ. გამეზარდაშვილი).

მეორე, ბაჩანამ დროულად და შთამავანებლად გადაწყვიტა ადამიანის არსებისა და დანიშნულების მწვავე პრობლემა და დაასკვნა, რომ სიცოცხლე სიღამაზე და მშვენიერება არ არსებობს საზოგადოების გარეშე.

მესამე, ბაჩანამ ქართულ სიტყვას მიანიჭა ძლიერი ელვარება. დაეყრდნო რა ფშაურ დიალექტს, იგი ზომიერად გამოიყენა ქართული ენის ქსოვილში. პოემაში ფილოსოფიური შემეცნების თვალსაზრისით პოეტმა წამოაყენა საკაცობრიო იდეალები.

„ღმერთები და სულა“. ბაჩანას პოემა „ღმერთები და სულა“ დაწერილია 1893 წელს. პოემის ტაეპის ზომა ათმარცვლოვანია, რასაც ძველად იამბიკოს უწოდებდნენ.

ძველი შაირის ზომით არის დაწერილი ბაჩანას ლექსებისა და პოემების უმრავლესობა, მაგალითად:

ღალამ გაზარდა ერეკლე
თავისუფლების რძისმა.

ასევე ძველია მისი 16-მარცვლოვანი ზომა: „ეს ხმა პსოფლიო სევდაა. ქართველი ერის სულ-გული“.

ბაჩანას ლექსის ზომაში ახალი არაფერი შეუტანია, მაგრამ ახალი იყო ლექსიკური მასალის გადახალისება, თემები, ბგერათა შეერთება, ძველი ფორმებისათვის ახალი სულის შთაბერვა. ბაჩანას ლექსები უღარესად მიმზიდველი და მუსიკალურია. ბაჩანას ლექსიკას ვანიხილავს მკვლევარი ივ. ქეშიკაშვილი.

ბაჩანას პოემა „ღმერთები და სულას“ დანიშნულება არის, გაარკვიოს პოეტისა და პოეზიის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოეტი — ადამიანი, საზოგადოების აქტიური მშენებელი უნდა იყოს. მწერალი სამყაროსა და ადამიანს ფილოსოფიურად აღიქვამს. ბაჩანას შეხედულებანი ლიტერატურის, პოეზიის არსზე იმაში მდგომარეობს, რომ იგი უნდა ემსახუროს ხალხს, აღზარდოს იგი კეთილშობილური აზრებით. ბაჩანამ, როგორც ხალხის შეიღმა, პოემაში ჩამოაყალიბა რა თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები, მოითხოვა, რომ პოეზიას არა აქვს უფლება ზურგი შეაქციოს რეალურ, შეუფერავ სინამდვილეს. პოეტმა უნდა იცოდეს ხალხის ცხოვრების ისტორია და უნდა ზრუნავდეს თავისი შემქმნელი ერის მომავალზე.

მართალია, პოემის მთავარი გმირის — პოეტ სულას საბრძანებელი არ არის საბერძნეთის ოლიმპოს მთის წმინდა ადგილი, სადაც ძველი მითის მიხედვით ზევსმა მოიპოვა გამარჯვება თავის მამაზე, რომლის პატივსაცემად დაწესდა ხუთდღიანი ოლიმპიური დღესასწაული. სამაგიეროდ, სულა ფშაური მითის მიხედვით ხალხის გმირია, რომელიც ღმერთებს ერკინება და ადამიანების უძლიერესი მამაა. მისი საბრძანებელი ჩარგალია, „სულა-კურდღელას ციხე“.

ზევსის გოლიათური ქანდაკება სპილოს ძვლისა და ოქროსაგან შექმნა ბერძენმა მოქანდაკემ ფიდიასმა ჩვენ ერამდე V საუკუნეში, რომელიც ზევსის დიდებულ ტაძარში იდგა. სულას „ტაძარი“ კი უზარმაზარი შავფერი ციკლო-

პური ქვებით ნაგები ციხე-სიმაგრე იყო, რომლის ბრწყინვალე „ქანდაკება“ შექმნა ხალხმა წარმართული დროიდან და იგი სადაფის სამკაულებითა და ძვირფასი ქვებით — „ცად მიერ მონიჭებული“ აზრებით შეამკო ბაჩანამ.

ბაჩანა, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველა, ბუნების უნივერსალურ სიღრმეში ხედავს ედემის ბაღს, უცნაურ წალკოტს, ზურმუხტის მდელს, სადაც ტყე-ველი, ბორცვი, კლდე, მდინარე, წყარო, ქუჩი, ფრინველი და ცხოველი, — მხოლოდ ერთი დიდებული ჰანგის მოსმენით არიან შეპყრობილნი. ეს ჰანგი ბაჩანას სიმღერაა.

ბაჩანას ფრთიანი სიმღერა ნაზი კი არ არის, არამედ ხორკლიანი, ბრინჯაოსავით ჩამოსხმული ომახიანი შეძახილია, რომლის მთავარი ვალია ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ბაჩანა ბუნებაში ხედავს სიცოცხლის ფილოსოფიური განვითარების კანონზომიერებას, თუმცა წინააღმდეგობით საცესს. ყური დაეუფდოთ ბაჩანას:

სადაც ვარდია, იქ შხამიც ხარობს,
იმევე დედის ძუძუს წოვითა,
ერთხელ რომ სწვიმონ ღრუბელთ საამოდ,
გადმოვიღიან მერე თოვითა.
თალხშემოსილი, სულ-შეხუთული,
ზამთრის ქვეყანა შეიძაძება,
მაგრამ როდესაც თვისი მადლითა
შენივე ხელით დაიხარჯება,
მკედარი სიცოცხლე ხორცსვე შეისხამს,

მორცხვი სიტურფე დაიბადება!
სადაც დღე არის, იქვე ღამეა,
სადაც სიტკბოა, იქვე სიმწარე,
სადაც ყვავილი, კარგი რამეა,
იქვე ჭოყარი, მომხმარი, მკვანარი.
სადაც ველები, ან ტყე და მთები,
ყვავილ-ბალახით ამოდ ღელავენ,
იქ ცეცხლის მფრქვევი მთები ჰყუღია
და შორით-შორად ზღვებიც ჰთელმევენ.

ბაჩანა ბუნებაში ხედავს იმ ტკივილებს, რომელნიც მისი თაობის აზროვნებას აწვალებდნენ. ბუნების მრავალფეროვანი წინააღმდეგობების შესლა-შემოხლის გზაზე მან ბუნებაში დაინახა „მსოფლიო ნება“, „გამჩენი“, რომელიც „წუთისოფელსაც“ და საიქიოსაც აერთიანებს.

ბაჩანას ისევე ადამიანის მომავლის პრობლემა აწუხებს, „წმინდა სისხლის დაქცევა“ არ სურს. „გვიყვარს სიცოცხლე, გვზარავს სიკვდილი“, — ამბობს პოეტი და ღრმა აზროვან კითხვასაც სვამს:

ნუთუ იმ ძალას, რამაც დაბადა
სფერო ხმელისა და სივრცე ცისა,
ჩვენთვის მოცემად კი არ ძალეღვა
ცსაყვება თვისი. წამალი მისა?

თვით ბაჩანა-სულა პასუხს იძლევა:

არ მინდა შენი ანგელოზობა,
და უკვდავება ბოროტიანი,
არც შენი ყოვლად სრული ბუნება,
დამღვარი გუბე-კაობიანი,

სადაც ყვავილი ტრფიალებისა
არ გაწითლდება სიყვარულითა,
და გათეოლი სიტურფისდამი
არ აღივსება სიბრაულულითა.

„ბუნება მუზეუმებში და წიგნებში ვერასოდეს ვერ ჩაეტევა. ბუნება დიდი და დიდია. მთელი კულტურა და ცივილიზაცია იქიდან იღებს სათავეს და საბოლოო მიზანიც ის არის. „ორი რამ მაფიქრებს და მალეღვებს, როდესაც მათზე შეჩერდება ჩემი გონება: ვარსკვლავებით მოქვედილი ცა ჩემს ზევით და ზნეობრივი კანონები ჩემში“, — ამბობდა ფილოსოფოსი კანტი¹⁵.

ეს იყო ვაჟა-ფშაველასი და ბაჩანას შემოქმედების ძირითადი ამოცანაც. ბაჩანას აზრით, კაცის ბუნება ზღვასა ჰგავს. იგი შეგუბებული ქართველია; თუ აბობოქრდა, ვეღარ ჩაეტევა თავის კალაპოტში, გადმოხეთქავს აღლევებულ ზღვასავით და „მამინ უსამძღვრო თავისუფლება წარღვნა იქ-

ნება ქვეყანაზედა“. ახლა ყველაზე მეტად საჭიროა ბელადი, კაცი: „სიწმინდის ცეცხლში გამობრძნობილი“ და „ღმრთის ღირსებამდე ამაღლებული“, „მაგრამ სად ეპოვოთ ისეთი კაცი, დაჰწაფებოდეს ამგვარს წყაროსა?“ — კითხულობს ბაჩანა. ამგვარი კითხვა თავის დროზე დასვა დიდმა ილიამ, როცა ბაზალეთის ტბის ლეგენდას ამუშავებდა.

პოემაში „ღმერთები და სულა“ მოცემულია ცხოვრების ცვალებადობის გარდაუვალობა. ცხოვრებაში ამიტომ განუწყვეტელი ბრძოლა წარმოებს კეთილსა და ბოროტს შორის. რუსთაველის ბრწყინვალე აფორიზმით: „ბოროტსა სძლიან კეთილმა არსება მისი გრძელია“.

მრავალს ძველს რასმე და ღმერთებსაცა
ვხვდავ, თავის დრო მოუქამია
და ცვალებადს ბელს ცის და ქვეყნისთვის
სულ სხვა დროება მოუტანია.

პოემაში „ღმერთები და სულა“ ამირანი ბოროტის დასაბამია, არმაზი კი — კეთილისა. ბუნებრივია, კეთილი იმარჯვებს ბოროტზე. წილისყრის შედეგად გამარჯვება არმაზს ხვდა.

არმაზმა კეთილი საქმეების გამტარებლად სულა — ადამიანი ირჩია. სულას განწყობილება თვით ბაჩანას განწყობილებაა, რომ „ცის ქვეშეთი“ „ღაეპყროს მხოლოდ სათნობებასა“ და ქვეყანაზე ბოროტის სახსენებელი აღარ იყოს.

ამრიგად, „გარდამავალ პერიოდში, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბაჩანა, როდესაც ძველი მიდიოდა, ახალი მოდიოდა, ახალ ქვეყანას შენება ესაჭიროებოდა, მის მშენებლად აღიარებულია თვით კაცი. აქ კაცის — ადამიანის დიადი შემოქმედების რწმენაა. ასეთი რწმენის გაღვივებას თხოულობდა დრო, ეპოქა და ბაჩანაც მას ძალუმად და შეგნებულად ეხმარებოდა“¹⁶.

1. ბაჩანამ პოემაში „ღმერთები და სულა“ კარგად განჰკვირტა ცხოვრების კანონთა განვითარება-ცვალებადობა და წარმოგვიდგა როგორც რეალისტური, მოწინავე მოაზროვნე ფილოსოფოსი.

2. ქართველი ერის მომავალი ბაჩანამ რომანტიკულ ნიადაგზე ააშენა. ბაჩანა ეაქსავით ბუნების დიდებულ სურათებს ხატავს. მისი გმირები დევებად, ტიტანებად, გმირებად გვევლინება.

3. პოემაში ბაჩანას სულამ — თვით მგოსანმა შთააგონა საზოგადოებას, რომ ცხოვრების განახლების შედეგად, ცხოვრების — სამყაროს კანონზომიერი განვითარების შედეგად იმსხვერვა ძველი კერპები, რომ ცხოვრების ერთ წერტილზე გაჩერება შეუძლებელია. ბაჩანას თვალთახედვით „მიდის და მოდის სოფელი“, „მხოლოდ თვით არის უცვლელი, სიკვდილ-სიცოცხლის მყოფელი“. ეს მოძრაობა არის ადამიანის დიადი შემოქმედების რწმენა. იგი თვით სიცოცხლის ძახილი გახლავთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

¹ „ბუნების კარი“, „დედაენა“, 1892, 1900, 1907, 1910 წწ.

² შიხ. ზ ა ნ დ უ ქ ე ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, ტ. II, თბილისი, 1961, გვ. 17.

³ ხ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ბაჩანას პოემა „ღიაკენიანი“, გამოც. 1902 წ., ტურნ. „მოგზაური“, 1904, № 5—6.

⁴ ბ ა ჩ ა ნ ა, თალაურა, სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1938, გვ. 128—129. ციტატები ყველგან ამ გამოცემიდან მოგვეყვას.

⁵ დ. ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1961, გვ. 107.

⁶ ა. შ ა ხ ა რ ა ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბილისი, 1969, გვ. 362.

⁷ „მნათობი“, 1961, № 1, გვ. 129.

⁸ ა. შ ა ხ ა რ ა ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, გვ. 361.

⁹ „მნათობი“, 1961, № 31, გვ. 127—128.

¹⁰ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ლექსები, პოემები, მოთხრობები, თბილისი, 1960, გვ. 418.

¹¹ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ლექსები, პოემები, მოთხრობები, თბილისი, 1960, გვ. 345—346.

¹² გაზეთი „კომუნისმის გზა“, 1975, № 19, 24, 35.

¹³ ს. შ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავე, ტფილისი, 1934, გვ. 215. გაზეთი „კომუნისმის გზა“, 1975, №№ 19, 24, 35, ჩვენს სტატია.

¹⁴ შ. ზ ა ნ დ უ ჯ ე ლ ი, ლიტერატურულ ნარკვევები, ტ. II, გვ. 24.

¹⁵ ვ. კ ო ტ ე ტ ი ვ ი ლ ი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1965, გვ. 393.

¹⁶ შიხ. ზ ა ნ დ უ ჯ ე ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, ტ. II, გვ. 22.

И. Х. КАРТВЕЛИШВИЛИ

ЭПОС БАЧАНЫ

Резюме

В данном труде рассмотрено творчество младшего брата известного грузинского общественного деятеля Важа-Пшавела — Бачаны (Нико Разикашвили). В частности, разобран эпос Бачаны по его трем поэмам: «Таглаура», «Стихи о мировой скорби», «Боги и Сула».

Анализ этих поэм показал, что умение Бачаны прекрасно разбираться в вопросах диалектики наиболее приближает его к таким титанам грузинской литературы XIX века, какими были Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Важа-Пшавела.

Бачана разделял мировоззрения и эстетические взгляды своих старших собратьев по перу. Подобно шестидесятникам («Тергдалеули»), он основным назначением литературы считал служение народу в борьбе за лучшие условия жизни.

В данном труде показано, что Бачана в своих поэмах правильно предвидел развитие и изменчивость законов жизни; он предстал перед нами как писатель-реалист и передовой мыслитель-философ, но будущее грузинского народа было им построено на романтической почве.

Бачана, как и Важа-Пшавела, дает великолепные картины грузинской природы, героями его произведений являются сказочные дэвы и гиганты-титаны.

В труде на фоне эпоса Бачаны дан анализ ряда вопросов: герой поэмы «Боги и Сула» Сула внушил всему обществу, что преобразование жизни, ее закономерное развитие разрушает представление о незыблемости всего старого и что жизнь не может остановиться на точке замерзания. С точки зрения Бачаны, «приходит и уходит все в деревенской жизни», «неизменна лишь смерть — носительница жизни». Это движение вперед является верой в великие деяния человека, это призыв к самой жизни.

დღეშეთის რაიონის მაღაროსკარის საშუალო სკოლა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტმა

ლ უ ი ზ ა ბ ი ჯ ა მ ა ვ ა

ნ. ბარათაშვილის მიხედვით ი. ჯავახიშვილის პოეზიაში

ი. ჯავახიშვილის პოეტურ ბუნებაში იყო ძლიერი, ნათესაური სიმპათია ნ. ბარათაშვილის ლირიკისადმი, განსაკუთრებით მისი რომანტიკისადმი. იგი ნ. ბარათაშვილისაგან იღებდა იმას, რაც ჰარმონიაში იყო მის შინაგან სულიერ განწყობილებასთან. მათ შორის არის იდეის ერთიანობა.

ი. ჯავახიშვილის პოეზია არის დროულად მოვლენილი, ახალი ეპოქის შესაფერისად გაღრმავებული და განვითარებული ნ. ბარათაშვილის პოეზია. ამ განვითარებას თავისი ისტორია აქვს. ი. ჯავახიშვილმა მხოლოდ გამოიყენა ნ. ბარათაშვილის მონაპოვარი, რათა წასულიყო წინ საკუთარი გზით.

50-იან წლებშიც კი, როცა ი. ჯავახიშვილის პოეზია მისწრაფების გზაზე იყო, ასე ვთქვათ, მხოლოდ იწყებოდა და ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, უკვე ყურადღებას იპყრობდა იმით, რომ პოეტს ნაპოვნი ჰქონდა ნამდვილი გზა, რომელსაც თვითონ ნათლად ხედავდა და მტკიცე ნაბიჯით განაგრძობდა ამ მიმართულებით სვლას.

ნ. ბარათაშვილს სურდა ხალხის მიძინებული ძალები გამოედევინა, თანამემამულენი ერთ ბირთვად შეემქიდროებინა, აღენთო ხალხის შეგნება და სიამაყე. ეროვნული თავისუფლების იდეა, — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, — პირველად ნ. ბარათაშვილმა წამოაყენა „ბედი ქართლისასა“ და „სუმბულსა და მწირში“.

„ბედი ქართლისასა“ ბევრი ადგილი გამოირჩევა სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომით. ძლიერმა და ღრმა გრძნობამ გამოაღვიძა მიძინებული ძალები სულისა, რაც ერეკლე მეფის სიტყვებით ასე გამოხატა ნ. ბარათაშვილმა:

საქართველოს დღეს ვაღაუწყებდა
თავისი ბედი და უბედობა.
დღეს ეჭირვება მამულს მხნეობა,
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარა,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი.

ნ. ბარათაშვილი იკვლევს წარსულს, რათა ახსნას აწმყო და განჭვრიტოს მომავალი. იგი შიშს შეუპყვრია მამულის მომავლის; თავისი დანიშნულების გამო, რაც ყოფნა-არყოფნის პრობლემად ქცეულა.

ი. ჯავახიშვილის „აჩრდილის“ ენერჯია ნ. ბარათაშვილის პოემის ტონმა, მისი შინაარსის ხასიათმა განაპირობა. მან „აჩრდილს“ შეუნარჩუნა „ბედი ქართლისასა“ არსებითი თვისებები, ამასთანავე გააღრმავა და დაუახლოვა თანამედროვეობას:

მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა.
მე ვარო შენი თანამდევო, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარღამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.

ნ. ბარათაშვილისათვის ადამიანი უპირველეს ყოვლისა. თავისი ქვეყნის შვილია, თავისი სამშობლოს მოქალაქე, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მის ინტერესებს და ხელს უწყობდეს ზნეობრივ განვითარებაში წარმატებას:

მაგრამ, პო, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
 თქვენ სამახსოვრო გაქვთ თვით განგებით:
 რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაინდების,
 საშვილის-შვილოდ გარდაიცემის.
 ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
 აღა-შამაღ-ხანს ვიდრე ასხენებს.

ი. ჭავჭავაძისთვისაც კაცობრიობის სიყვარული ის ცხოველმყოფელი აზრია, რომელიც სამშობლოსადმი ადამიანის საყვარულს გააცისკროვნებს. ისტორიული ხილვა უნდა ედოს ამ სიყვარულს საფუძვლად და მისი განმანათლებელი მოღვაწეობისათვის გზის მაჩვენებელს წარმოადგენდეს:

წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
 მამულისათვის თავის დადება.
 ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
 ის თავის ხალხში აღარ მოკვდება.
 მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
 შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს.

სულიერი ტანჯვა დაკარგული სიკბაბუკის გამო, პესიმიზმი აქტიურ მოქმედებაში, სისხლის დუღილი პასივობის პირობებში, მოყირპების გრძნობა, რომელიც ცხოვრების დიდებულ ნადიმს არ მოჰყოლია, მოღვაწეობის წყურველი, სიბერე ახალგაზრდობაზე აღრე — ყოველივე ეს ნიშნებია ნ. ბარათაშვილის „მისი“, ნიშნებია მისი ეპოქისაც. მან პირველმა გვაგრძნობინა ეს თვისებები, რომლებმაც ნ. ბარათაშვილამდე იჩინეს თავი. ეს ტრაგიკული მოვლენაა.

საღლა არიან აწ ესე კაცნი,
 რომ არ გვალხენენ სულით მამაცნი.

ანდა:

მარტვი, რომელ შვილს ჰხედავ ღირსეულს,
 რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს...

ი. ჭავჭავაძის „აჩრდილიც“ გამსჭვალულია სევდით, მაგრამ არა ელეგიურით. ეს სევდა ფიქრია ცხოვრებით გამობრძმედილი, მასში ღრმად ჩახედული ადამიანისა. ჰუმანურობის გრძნობა პოემაში შინაგან გასხივოსნებამდე მიდის:

მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი.
 რომელსაც ვეძებთ, რომლისთვისც ესტირი.
 იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
 ჯავით აღვსილა, ვერანად ქმნილა,
 მისი დამბალი დიდი სავანი
 ჩვენში სპობილა და წარწყმედილა.

ანდა:

რას ვეძებდი მე, ჩემ ქვეყნის წარსულს,
 შენ წინ დალუპულს ჩემს ჯელსა მამულს.

ილიას ყველა ფიქრი, ყველა კითხვა, ყველა პასუხი. მთელი მისი მოღვაწეობა აღმოცენებულია ისტორიული ნიადაგიდან და ისტორიულ ნიადაგზე. ილიამ იცოდა, რომ ეს არ იყო არც სიკვდილი, არც სიბერე ქვეყნისა. ეს იყო ავადმყოფობის კრიზისი, რომელსაც მოჰყვება გამოჯანსაღება.

მეფე ერეკლეს ენატრება — „მშვიდობა ნახოს საქართველომ“. უნდა, მისმა ხალხმა ამდენი ბრძოლების, კირ-ვარამის შემდეგ დაისვენოს, უშიშროება და განვითარების პირობები მოიპოვოს. პოემაში ისე მიმდინარეობს მოქმედება, რომ უკანასკნელი მეომრის სახეზეც გამოხატულია ის შეუცნობელი აზრი, რომ ზღედა რალაც დიადი, რომლის მონაწილე თვითონაცაა.

ილიას ლირიკული გმირიც გრძნობს მომავალს, სჯერა ზვალინდელი დღის. იგი ხედავს იმ უკეთეს ნიშნებს, რასაც მომავალი ამზადებს:

„და დაიხსნერევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ახლად შობილი,
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების“.

მომავლის საიმედო სურათის დახატვა ნ. ბარათაშვილს მით უფრო ესაჭიროებოდა, რომ

„აყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი,
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მომენი“.

ი. ჰავჭავაძეც იმავე გრძნობას შეუპყრია, როცა ამბობს:

რისთვისაც მამანი იბრძოდნენ უწინ,
დღეს შეილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.
გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან.
მთვარის ღიმილზე პატროსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

ნ. ბარათაშვილისთვისაც და ილიასთვისაც ფიქრის, ძიების, სულიერი მღელვარების საგანი საქართველო იყო. თავიანთთვის ყველაზე მტკივნეულ კითხვებს სვამდნენ და პასუხობდნენ. როგორც ნ. ბარათაშვილი, ისე ი. ჰავჭავაძე კერძოს ზოგადს უკავშირებდა და საკუთარი ქვეყნის ტკივილს საკაცობრიო ტკივილად აქცევდა.

ა. წერეთლის შეხედულებით: „ბარათაშვილი და ჰავჭავაძე სწორედ ერთ ტახტზე სხდომის ღირსნი არიან, ერთგვარი დამსახურება აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთგვარად დაუფიქვრები არიან, ერთის უმეორისოდ გაგება ძნელია. ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენს ლიტერატურაში“¹.

„მეგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის,
რა მოეავარო უმკობეს ამის.
მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე,
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსაც ჰსურს, რომ თავისი შვილი
თვის სიცოცხლეშიე დაასახლაროს“.

¹ ა. წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, ტ. II, თბილისი, 1960, გვ. 20.

ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ — ეს სტრიქონები ცხოვრებისა და ღრობების ჩუმში, ფაქტობრივი ფილოსოფიაა, გონივრული ნებაა მეფე ერეკლესი. მისი ბაგენი წარმოთქვამენ სიტყვას ქმნადობისას, აღიარებს ზოგადის გამარჯვებას კერძოზე, თუმცა უარს არ ამბობს ამ კერძო ტანჯვისადმი თანაგრძნობაზე.

ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ტრადიცია ი. ჭავჭავაძის „აჩრდილში“ მქლავნდება როგორც პოეტიკაში. ასევე ცხოვრებაზე შეხედულებებში.

პოემაში „ბედი ქართლისას“ პოეტმა მთელი არსებით გაიზიარა წინაპართა გრძნობა, თითქოს, იმ ეპოქის თანამედროვეაო, მიიღო მათი იერი და ელფერი, გამოიტანა იმ ეპოქიდან ამბავი, რომელიც ყოველგვარ ისტორიაზე უეჭველია. ნ. ბარათაშვილს ეს მოცემული აქვს არა აღწერით, არამედ ცოცხალი, მწვავე დრამატული სურათით:

და მტერი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს უმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ.

ი. ჭავჭავაძემაც „აჩრდილში“ გვიჩვენა, რომ სამშობლოს წარსული ისეთივე თანაარსია მისი ბუნებისა, როგორც აწმყო. სიტუაციის შერჩევა ცხადყოფს, რომ პოეტი უკმაყოფილოა თანამედროვე სინაპდვილით და განიზნულია შორეულ წარსულში, რათა იქ ეძებოს სიცოცხლე, რომელსაც ვერ ხედავდა აწმყოში. თანაც აწმყო ისე ჩაინერგა მასში, რომ მოითხოვა მთელი მისი სიცოცხლე, მისი მოღვაწეობა. აწმყო მოელოდა მისგან გასხივისებას. იარებისა და სატკივრის განკურნებას, და მას შეეძლო შეესრულებინა ეს, როგორც აწმყოს სრულუფლებიან წარმომადგენელს, როგორც მის ფიქრთა მპყრობელს. ილიას ამ პოემაში საზოგადოებამ პოვა სევდისა და ქირ-ვარამის შემსუბუქება. ამ განმკურნებელი მოქმედების საიდუმლოება ის არის, რომ ხალხმა იცნო სატკივრის მიზეზი, თვით სატკივრის წარმოდგენით:

იქ ერთხელ ქართლის სიცოცხლე ჰქუხდა.
იქ მამულისთვის ქართლის ხმა ჰქუხდა.
შენ ზვირთებს გაყვენენ საუკუნენი
და საუკუნეთ იგი ქართველნი...
ესლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთადგომია მას გულში წყლული,
მას დაქარაგვია ტანჯვათ: შორის შენდამი რწმენა
და დაუგდისხარ ვით ტაძარი ვაუქმებულნი.

ეს პოემა შეურაცხყოფილი სულის სიღრმიდანაა დაძრული. ესაა გოდება. ევნესა ადამიანისა. რომლისთვისაც შინაგანი ცხოვრების უქონლობა არის ბოროტება, ფიზიკურ სიკვდილზე საშინელი.

ნ. ბარათაშვილის სტრიქონები — „ღუმელნი ჰუარვენ ერთგულთა ძეთა...“ პოეტის სულის შინაგან სამყაროს გამოხატავენ. ეს არის ვულისტიკოვილი. ვულის მძიმე ამონაკვეთისი. ეს არის წარწერა დაღუპულ სიხარულთა რეგლზე.

ნ. ბარათაშვილის პიროვნება განუყოფელია საზოგადოსაგან — სწყურია მოყვასთა თანაგრძნობა, მღელვარება, ცხოვრების ქარიშხალი, დაბრკოლებებ-

თან ბრძოლა. იგი ყველაფერს ეხმარება, ესმის უბედურების კენესა, თავს არ არიდებს წვედარწუნებელ დისონანსებს:

მწვემსო, კეთილო, შენს წმინდას სამწყსოს
შემოვაფედრებ შენსა სამეფოს.
გულთა მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა კირნი მოადგენ.
მრავალ არიან, უფალნო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი.
გვესწრათუ, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო.

ილიასთვისაც სიცოცხლე ნიშნავს — გრძნობდღე და აზროვნებდღე. რამდენად მეტ შინაარსს მოიცავს მისი გრძნობა და აზრი, იმდენად უფრო ღრმა და ძლიერია ტანჯვისა და ბედნიერების განცდის უნარი. ილიას პოემის ამ რამდენიმე სტრიქონში მოცემულია ადამიანური ცხოვრების უმაღლესი იდეალი და ყველაფერი ის, რაც შეიძლება ითქვას ადამიანის შინაგანი სიცოცხლის შესახებ:

ღედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხეღრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა,
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა.
მოამადლე ქართველს ქართლის წდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული.

„ზედი ქართლისას“ პირველი სტრიქონებიდანვე გვესმის ერეკლეს შთამაგონებელი, გამამხნევებელი ხმა. ილიას „აჩრდილის“ ოცდამეხუთე თავიც ლოცვით იწყება. შეიმჩნევა მსგავსება ნ. ბარათაშვილისა „და აღადგინე დღეს საქართველო“ — და ილიას — „და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული“ — სტრიქონებს შორის.

არსად არ არის სიცოცხლე ისე სრულყოფილი, როგორც სულიერი ინტერესებისა და გონივრული შეგნების სფეროში. სულიერი ინტერესები ამოძრავებდნენ ნ. ბარათაშვილისა და ი. ჰაქეჯაძის ნებისყოფას, აძლევდნენ ძალ-ღონეს მათ დაუშრეტელ მოქმედებას.

ერთ კერძო წერილში ნ. ბარათაშვილი ამბობს, რომ კაცის ბედნიერება და უბედურება იმის მიხედვით განიზომება, თუ როგორ შეასრულა მან თავისი მოწოდება ამქვეყნად, იპოვა თუ არა თავისი მისწრაფების სარბიელი, თუ იძულებული იყო ეკეთებინა, რაც არ სწამდა, — შეესაბამებოდა თუ არა მისი ქცევა მისსავე იდელებს: „ადამიანის სული, რომელმაც მიადწია სრულ განვითარებას და შეასრულა ზეცით მისთვის მიჩენილი საქმე, ეძებს ახალ საზღვარს. აზრი შენი ეტრფის უფრო დიდ საქმიანობას, უფრო ძლიერსა და პათეტიკურ სცენებს და სანამ ის თავის დანიშნულებამდე მივიდოდეს, მოწყენილი და ნაღვლიანია“.

ილიასთვის გარდა შინაგანი სამყაროსი, არსებობს ცხოვრების დიადი სამყარო — ისტორიული საზრისისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამყარო. ის დიადი სამყარო, სადაც აზრი იქცევა საქმედ, ხოლო მაღალი გრძნობა — გმირობად. ეს არის განუწყვეტელი მუშაობის, დაუსრულებელი ქმნადობის სამყარო.

ყველას გავუძღვებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით შევინება.
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა,
არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება. („ბუერი ვიტანჯე“)

ა. ჭავჭავაძემ მთელი სისაყსით შეიმეცნა ბარათაშვილის პოემის სიბრძნე:

პოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო,
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ.
ვინდა მყავს გულის შემეატყვივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი.

ილიამ შექმნა ახალი ეპოქის მოთხოვნათა შესაფერი ლექსები — „ქართვლის დედას“ და „დედა და შვილი“. ამ ლექსების ფორმა ისევე თვითმყოფელი და ორიგინალურია, როგორც სულისკვეთება:

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდს...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს... („ქართვის დედა“)

ილია თავის სულში ატარებდა და ელოლიაებოდა ხალხის გამარჯვების ოცნებას:

დედაე, ისინე ქართვის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული. („ქართვის დედა“)

ლექსში „ჩჩვილი“ ნ. ბარათაშვილი აყენებს ფილოსოფიურ პრობლემას: რა დამოკიდებულებაშია ადამიანი საგნისადმი მის შეცნობამდე და შეცნობის შემდეგ. ბავშვის უმანყო სულისთვის მიუწვდომელია ამქვეყნიური ცხოვრების სიაყვარგე. იგი დედის აღერისს გარდა, „არას გრძნობს“, არ განიცდის „საწუთროს ვნებას“. ბავშვის ამ „უდარდელობაში“ იხატება მისი სულიერი სილამაზე. მაგრამ ამას აქვს გარკვეული საზღვარი, რომლის იქით იგი კარგავს ნებიერობის თავისუფლებას, შეიცნობს სოფლის სიაყეს, ჩაიძირება მის მორევეში; ამიტომ პოეტი რიტორიკული აღმაფრენით მიმართავს ჩვილს:

იტყტიკე ვნათა უსუსურის,
იტყტიკე, ვიდრე ეამი დავხარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმანო, თავისუფალი,
არ გიცენია სოფელ მომღერალი.

ი. ჭავჭავაძემ 1859 წელს დაწერილ ლექსში „ნანა“, ძირითადად, ამავე აზრს ავითარებს და ამდიდრებს მას პატრიოტული გრძნობებით. მიმართავს რა შიშით შემკრთალ ბავშვს. პოეტი ამშვიდებს:

ნანა, შვილო, ნანინა.
ნეტავ რამ შეგაშინა.
ჭერეთ ხომ შენი ბედი
გრძნობა, წინამორბედი
არ უნახავს მაგ შენს თვალს...

მანამ ყმაწვილი ხარ:

ისწრაფე განსვენება.
მკლავი გაგიმაგრდება,
შეილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ შეგეცვლება.

ამაში არის რაღაც სევდისმომგვრელი, თანაც სასუფიერო.

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ი. ჭავჭავაძეზე ისეთივე გავლენა იქონია, როგორც ზღვის წყალმა, რომელიც წყურვილს კი არ ჰკლავს, უფრო აცხოველებს.

ნ. ბარათაშვილის ლექსი „ბულბული ვარდზედ“ საქართველოს გაცრუებულ იმედებს დასტრიალებს თავს, თავისუფლების იმ დაუთმობელ იდეას. რომლის დასაცავადაც ჩვენს ქვეყანას არავითარი განსაცდელის წინაშე უკან არ დაუხევია:

ბულბული ვარდზედ მჭდარი, ეტყოდა მას მსტიკინავი:
ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავ.
მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი,
მწუხრს აქეთ აქ ვზივარ, ფურცლებზედა მკონავი.
მაგრამ მგოსანსა თურმე მოერიგა გლახ რული.
აღმობრწყინდა მთიებიც და ფრთოსანთ მხიარული:
გალობა ჰყვეს ჰაერში, განაღვიძეს ბულბული, —
ნახა ვარდი ფურცენილი და მყის მოუკვდა გული.

ილიას ოცნებაც ხომ ქართველების თავისუფლება იყო, თითოეული ინდივიდის შინაგან დამოუკიდებლობაზე დაფუძნებული თავისუფლება.

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყნავ,
ლამაზად შორთული და მოკაზმული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.
გიშურ და ვიშურ, კვლავ სწყურთან თვალს,
გისმენ და სმენით ყური ვერ ჰძლება.
მაგრამ, რამდენად საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება... („კითხვა-პასუხი“)

ორივე ლექსის იდეა უნდა ვეძებოთ როგორც საერთო ხასიათში. ასევე დასკვნით სტრიქონებში: ბარათაშვილთან — „მოუკვდა გული“, ილიასთან — „მიკვდება გული“, — სადაც ენერგიულადაა გამოხატული დედააზრი.

როგორც ნ. ბარათაშვილის, ისე, — რაც ნაკლებმოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, — ი. ჭავჭავაძის პოეზიაშიც, დიდი ადგილი უკავია „Vanitas“-ის მოტივს — ამა სოფლიურის ამოებხსა და წარმავალობის მოტივს. ლიტერატურული სტილის მონაცვლეობის შესაბამისად ქართულ მწერლობაში, კერძოდ რომანტიკოსებთან, ეს მოტივი მჭიდროდ უკავშირდება სასულიერო ლიტერატურის ტრადიციებს. როგორც ჟან ბელოატოცკა წერს: «„Vanitas“-ის მოტივის სათავე ეკლესიასტამდე აღწევს და ცნობილია ადრეული ქრისტიანობის ხანიდან. მასთან დაკავშირებული „სიკვდილის როკვანი“ სოციალურ სატირას გამოხატავდა. „Vanitas“ არც რენესანსს დაეწინააღმდეგებია და მის ემბლემატიკაშიც შევიდა. ბაროკოში, ამ თემის რელიგიურ, დიდაქტიკურ დამუშავებასთან ერთად, მან ახალი გამოხატულება პოვა პოეზიასა და დრამაში, რომან-

ნიც, პოლანდიურ ნატურმორტში. სიკვდილის შიში ერწყმის ტებობის წყურვილს, მგრძნობელობასა და ჰედონიზმსა².

„Vanitas“-ის მოტივი თან გასდევს მთელ ქართულ პოეზიას და სხვადასხვა ეპოქაში ახლებური ძიებისა და გააზრების საგანი ხდება. ნ. ბარათაშვილთან მისი არსებობა საესეებით ბუნებრივია. უფრო მოულოდნელია, რომ ახალგაზრდა ილიას შემოქმედებაში ეს მოტივი მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ერთ-ერთ ძირეულ ფილოსოფიურ პრობლემად წარმოგვიდგება.

ნ. ბარათაშვილის „ფიქრი მტკერის პირას“ მთლიანად „Vanitas“-ის პრობლემას ეხება. მასში უკიდურესადაა გამახვილებული წუთისოფლის ამოვების გრძნობა:

წარვედ წყალს პირს სედიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად,
აქ, ლბილს მდღელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არეშარე იყო მოწყენით.

ი. ჰავეკვაძის „მტკერის პირას“ არა მარტო სათაურით, განცდების გზიარების ფორმითაც ემსგავსება ნ. ბარათაშვილის ლექსს. ძირითადი მოტივი აქაც უთუოდ არას „Vanitas“. მტკერის პირას განმარტოებული ჰაბუჯი პოეტი წუთისოფლის ამოვებაზე ფიქრს შეუპყრია. ამოვების ეს მტანჯველი განცდა ნ. ბარათაშვილთან ფილოსოფიური კომპრომისის გზითაა დაძლეული, ზოლო ი. ჰავეკვაძესთან აქტიური პატრიოტული გრძნობა სძლევეს მას.

ილიამ ხალხის ფსიქოლოგიის საიდუმლოება გამოიცნო და სინამდვილის ერთგული დარჩა; გამოხატა თანამედროვე საზოგადოების განწყობილება, სადაც ცხოვრების პროზა ღრმად შეიჭრა ცხოვრების პოეზიაში.

კვლავ ჩემ წინ მტკეარი შირბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვცნობ მშობლიურს გრგვიწას,
კვლავ ჩემი გული იმავე წუხილით
შეჰკენესს მღვრიე ზვირთთ მღვრითა დენას.

მსგავსება არ მდგომარეობს პოეტურ ღირსებაში. ნ. ბარათაშვილის მსგავსი ფორმა ილიამაც შექმნა. ყოველ შემთხვევაში, თხრობის მანერა, პროზაიზმები, არეალიდან გადახვევანი, პოეტის შეკითხვები საკუთარი თავისადმი — ყველაფერი თითქმის ბარათაშვილისეულია.

რომანტიკოსი პოეტის „ჩემი ლოცვა“ ილიას შემოქმედებაში რამდენიმე განმტოებით პოულობს გამოაზნოს. ნ. ბარათაშვილის ვედრება ღმრთისადმი მესამე სტროფში:

არა დაჰქროლო ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა, არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა.

ილიას „სიმღერაში“ მდინარისადმი ვედრების სახეს იღებს:

ორსა, ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირე ნავსა,
პოი, გვედრებ, მდინარეე,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრეე.

ნ. ბარათაშვილთან ბრძოლაში დაქანცული პოეტის მყუდროებისკენ ლტოლვაა გამოხატული, ილიასთან — ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ მოუშა-

² I an B i a l o s t o c k i, Kunst und Venitas (Stil und ikonographie), Dresden, 1966, გვ. 187—230.

დებელი ჰაბუკის სულიერი განცდა და შიში. მიუხედავად ამისა, ძნელი შესან-
ჩნევი არაა, რა ახლოსაა ერთმანეთთან შემოქმედთა სულიერი განწყობი-
ლება.

ნ. ბარათაშვილი ლექსს ამთავრებს ადამიანის აუკსარებლური განცდის გა-
მოხატვით:

და ჩემთა ბავთ რათა დაუშთ შენდა სათქმელად.
მაშა, ღუმლიც მიმითვალ შენდამი ლოცვად.

უთუოდ იგრძნობა „აჩრდილის“ მეხუთე თავის შეხშიანება ამ სტრიქო-
ნებთან:

სულ ტყუილია, რასაც ახლა გრძნობ...
ქვეყნის დრტივინგაა დაუძინარი, —
ღრმად ჩააკვირდი მის ღუმელს და სცნობ, —
თვით მაგ ღუმელში რა წყველაც არი...

ღუმელი აქაც ადამიანის ტანჯვის, მწუხარების, მისწრაფების გამოხატვის
საშუალებად გვესახება.

ნ. ბარათაშვილის შემდეგ ი. ჭავჭავაძის გამოჩენა გასაგებია (და ეთანხმე-
ბა საზოგადოების განვითარების კანონებს. ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავა-
ძის მომხიბლავი სულიერი სამყაროდან აღმოცენდება ყველა მისწრაფება უკე-
თესისა და ამბულბულისაკენ. მისწრაფება, რომელიც ცდილობს, კმაყო-
ფილება პოვოს იდეალებში.

ნ. ბარათაშვილის „ჩანგურში“ ყველაფრის საძირკველია უბრალო, სწო-
რი შეხედულება სინამდვილეზე და არა ლამაზი ფრაზა. პოეტი, რომელიც
მზადაა, გამოვიდეს ცხოვრების დიდ გზაზე, ოცნებობს: „ჰოი, ჩონგურო, ნე-
ტავი ოდეს, ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს“.

ი. ჭავჭავაძე ერს მოეგვინა ცხოვრების განახლების მაუწყებლად. მისმა
გამოჩენამ ეპოქა შექმნა ქართველი ხალხის ცხოვრებაში:

აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა,
და აღმინთებს იმედს გულში,
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტყბილო,
გამაგონე ჩემს მამულში. („შესმის, შესმის“)

ი. ჭავჭავაძე მომავლისათვის იღვწოდა. გრძნობა და ფანტაზია აძლევდა
მას პასუხს ყველა კითხვაზე. ოცნება მისი ბედნიერების სამყარო იყო ისევე.
როგორც მოქმედება და მოღვაწეობა:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში.
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვმსახუროთ.
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში,
ბოროტა საკლავად, მათ სულთ ხლომის სეირს ვუყუროთ. („ჩემო კალამო“)

მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილის ათვისება მოუხ-
და მხატვრული ძიების პერიოდში, ის მაინც ინარჩუნებს პოეტურ ინდივი-
დუალობას, ორიგინალობას. ეს არის პოეზიაში ტრადიციულისა და ნოვატო-
რულის, მიმართების საუკეთესო მაგალითი.

თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ი. ჭავჭავაძე, ასე ვთქვათ, ე ხ მ ა-
უ რ ე ბ ა ნ. ბარათაშვილს. მისი პოეტური მომწიფება ნ. ბარათაშვილის ღრმა-
ფილოსოფიური შინაარსის პოეზიის გაგებისა და დაძლევის საფუძველზე მიმ-

დინარობს. ამ დროს ილიასთვის უფრო საინტერესოდ მოჩანს ნ. ბარათაშვილის სევდა-მწუხარების გამომხატველი ლექსები, შემდეგ შთაგონების წყარო ხდება ის ლექსები, რომლებშიც პოეტის მეზობელი სული და უკეთესი მომავლის ძიებაა ჩაქსოვილი.

მსგავსად ნ. ბარათაშვილისა, ი. ჭავჭავაძე „Vanitas“-ის ციკლის ლექსებში უჩივის არა მარტო ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობას, არამედ იმ ხვედრსაც, რომელიც ადამიანის ხანმოკლე ცხოვრებასაც მიძიმეს ხდის. ამ მხრივ მას ყველაზე მეტად აწინებს სულიერი ობლობა. ეს ამ შემთხვევაშიც ტანჯვის გმინვაა, მაგრამ გმინვა, რომელიც ტანჯვას ამსუბუქებს. როგორც იღუპა, ასევე შეგრძნების ერთიანობა, აკავშირებს ამ ორ პოეტს. ნ. ბარათაშვილის სევდის დანიშნულება იყო საზოგადოების გამოცოცხლება და მისი მომზადება გულითა და გრძნობით ცხოვრებისათვის. ამიტომ ნ. ბარათაშვილის შემდეგ ი. ჭავჭავაძის გამოჩენა გასაგებია და ეთანხმება საზოგადოების განვითარების კანონებს. მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისების პროცესში გადამწყვეტია ი. ჭავჭავაძის სულიერ ძალთა დამოუკიდებელი მოქმედება. ნ. ბარათაშვილის აზრი ი. ჭავჭავაძემ შეითვისა, განავითარა და მისგან ახალი დასკვნები გამოიყვანა. ის იწყებს ცხოვრებაზე დაკვირვებას, მაგრამ უკმაყოფილოს სურს არა მისი გადატანა პოეზიაში. არამედ ცდილობს პოეზია გადაიტანოს ცხოვრებაში.

ყველაფერი ახლდება, ხელახლა იღვიძებს და ცოცხლდება, მაგრამ ადამიანის „ერთხელ მოკლულ გულს“ ვერაფერი ანუგეშებს და ახარებს. ესაა ტრაგედია, ტრაგედია მაღალი და კეთილშობილი, რომელიც თავისებური გააზრებით გადმოსცეს ნ. ბარათაშვილმა „სული ობოლსა“ და „სუმბულსა და მწირში“, ხოლო ი. ჭავჭავაძემ „გაზაფხულში“.

ლექსში „ჩიტი“, რომელიც ალეგორიული შინაარსისაა, ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამს თავისუფლების დაკარგვის სიმძიმეს, აღრმავებს და ავითარებს ნ. ბარათაშვილის აფორისტული გამოთქმის აზრს: „რა ხელ-პყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“ („ბედი ქართლისა“).

ნ. ბარათაშვილისაგან შეითვისა ი. ჭავჭავაძემ გულის ამართოვლებელი და სულის აღზფრთოვანებელი გრძნეული, წინასწარმეტყველური სიტყვა. დაკვირვებული და ყოვლისმხედველი თვალი.

ადამიანს აქვს უსასრულობის გრძნობა, სულის საფუძველი. მისწრაფება სულიერი მოღვაწეობის მამოძრავებელი ზამზარაა. მისწრაფების გარეშე არ არის სიცოცხლე, არ არის განვითარება, არ არის პროგრესი. მისწრაფება არის ადამიანის ძალა და ამიტომ არსებობს მიზანი. ი. ჭავჭავაძეს უნდა ეს მიზანი „ურგები არ იყოს“. მას სულიერი ნათესაობა აკავშირებს არა ნ. ბარათაშვილთან — „სული ობოლის“ ავტორთან, არამედ ბარათაშვილთან — „მერანისა“ და „ფიჭი მტკვრის პირას“ შემოქმედთან.

ი. ჭავჭავაძის ზრუნვის საგანი იგივეა, რაც ნ. ბარათაშვილისა იყო. იგივე ჩანსალი განწყობილება იგრძნობა ილიას უსათაურო ლექსში:

დაე, თუნდ მოკვდე, არ მეშინიან.
მაგრამ, კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ელან.
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.

ნ. ბარათაშვილის ლექსები ი. ჭავჭავაძისთვის პრაქტიკული, ზნეობრივი იდეების წყარო იყო.

ნ. ბარათაშვილი თავისი დროის სრულყოფილი გამოხატულება იყო. ყველა შესაძლებელი შეგრძნებისა და ასახვის უნარით დაჯილდოებულმა საუკუნის ყველა ტონი, ყველა ჰანგი, ყველა აკორდი მოსინჯა. ი. ჭავჭავაძე იყო მესიტყვე და მოჭირნახულე თანამედროვეობის მოვლენების, აზრებისა და ამბების, — ყველაფრის, რაც კი მაშინ ესაჭიროებოდა საქართველოს. ქართველი საზოგადოება მისი მეშვეობით ეზიარა ახალ აზრებს, კონცეფციებსა და იდეალებს.

თითქმის ყველაფერი, რაც ნ. ბარათაშვილის პოეზიაში არსებითი და ცხოველმყოფელი იყო, შეერწყა ი. ჭავჭავაძის პოეზიას, გაღრმავდა მისი ახალი იდეების ნიადაგზე. ი. ჭავჭავაძე იყო ნ. ბარათაშვილის პოეტური სიმდიდრის პირდაპირი მემკვიდრე, — მემკვიდრე, რომელმაც საკუთარი მოღვაწეობით შეავსო და გაამრავალფეროვნა მისგან მიღებული სულიერი განძი.

ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს ი. ჭავჭავაძისთვის ნ. ბარათაშვილის პოეზია 1860 წლამდე უცნობი იყო. ამის მიზეზია კ. აბხაზის მოგონების არასწორი გაგება: „ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც. მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ღოღამე. შახსოვს ერთხელ... ქ. დადიანისამ გამოგვიტანა და მოგვცა წასაქითხადად ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“². სინამდვილეში, ჯერ კიდევ „ცისკრის“ 1852 წლის № 4 დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის ლექსები: „ბუღბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „რად ჰყვედრი კაცსა“, და „სული ბორბოტო“. 1858 წ. ი. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა „შვივრობ ცრემლსა“, „ჩჩვილი“, „ბედი ქართლისა“, „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“, შემდეგ „მერანი“ და სხვა ნაწარმოებები. რა თქმა უნდა, ილია გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე გაეცნობოდა ნ. ბარათაშვილის დაბეჭდილ ლექსებს.

პოეტების მომდევნო თაობას ნ. ბარათაშვილისაგან გადმოეცა პარმონიული და მქდერი ლექსი, ნაწილობრივ ის პოეტური სიმშვენიერეც, რაც ი. ჭავჭავაძის 1860 წლამდე დაწერილი ქმნილებების როგორც გარეგანი, ისე შინაგანი თვისებაა. მათ შორის ეპოქობით არა მარტო აზრობრივ-სახეობრივ მსგავსებასა და გამოძახილს, არამედ ზოგჯერ, მთელი სტრიქონი, ჩანაფიქრი და სათაურიც კი პირდაპირ ემთხვევა ერთმანეთს. ასეთია, მაგალითად: ნ. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ და ილიას ლექსი „ლოცვა“; ნ. ბარათაშვილის „მიყვარს თვალები“ და ილიას „მეც შავ თვალებს“; ნ. ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირას“ და ილიას „მტკვრის პირას“.

ყოველივე ახლის წყაროა ძველი. ყოველ შემთხვევაში, ახალს ძველი ამზადებს. ი. ჭავჭავაძე ზრუნავდა არა იმისათვის, რომ ნ. ბარათაშვილს დამსგავსებოდა, არამედ იმისათვის, რომ ყოფილიყო ის, რაც თვითონ იყო, — ყოფილიყო ერთგული მისდროინდელი, ჯერ კიდევ ხელუხლებელი სინამდვილისა.

² კობტა აფხაზის მოგონებანი ი. ჭავჭავაძის შესახებ. იხ. ვ. ლეონიძე, მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბილისი, 1940, გვ. 564.

პოლიტიკური ვენებებითა და სიმახვილთ, მოწინავე იდეოლოგიით. თემატიკური მრავალფეროვნებითა და სიახლით ილიამ გააფართოვა. გააღრმავა ნ. ბარათაშვილის აზრების რეალი. ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების განუთარებებს მისცა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება. აყვანა ის ახალ, პრინციპულ სიმაღლეზე.

აღაშინანის მდიდარი და წარმტაცი შინაგანი ცხოვრებაც კი ნ. ბარათაშვილისათვის სრული არ არის. თუ თავის შინაარსში არ შეითვისებს მის გარეთ მყოფი ქვეყნის, საზოგადოების. კაცობრიობის ინტერესებს, თუ ღრმად არა აქვს შეგნებული სისხლწორეული ნათესაობა და კავშირი სამშობლოსთან.

ილიაც თავის სულში, თავის სისხლში ატარებს საზოგადოების სიცოცხლეს, ავადაა მისი ტკივილებით. ხარობს მისი ბედნიერებით. მისი სიყვარული მამულისადმი მოდის კაცობრიობისადმი სიყვარულიდან, როგორც კერძო — საერთოსაგან. ილიასთვისაც სამშობლოს სიყვარული ნიშნავს — გასურდეს იხილო მასში კაცობრიობის იდეალის განხორციელება და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდეს მას.

ბარათაშვილისა — „ამ დროს აღმოხდა ბადრი მთოვარე და სიამიჯა მოჰფინა არე“ — და ილიას „აჩრდილის“ — „აღმობრწყინდა მზე ღიდებულადა და გაანათლა ქვეყანა ბნელი“, — თავდაპირველი, თანაბარი ტონი საგრძნობელს ხდის ამ პოემის ძირითად აზრს.

ნ. ბარათაშვილი აფორისტული მანერით ეუმშავს და ამკვრივებს სათქმელს:

ვასწი, გაფრინდა, ჩუო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ გზონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

იგრძნობა ეპოქის, ერის წყურვილი შინაარსიანი, შემოქმედებითი, ახალი ცხოვრების გზის გამონახვისა.

ნ. ბარათაშვილის „მერანსა“ და ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედას“ შორის ცოცხალი, ისტორიული კავშირია. ილიასთანაც ახალი გამოდის ძველიდან, მომდევნო აიხსნება წინამორბედით და არაფერი გვევლინება შემთხვევით:

მას ნულარ ვსტარიოთ, რაც დაქარგულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა.
მოეკლათ წარსულ დროებზე დარდი
ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი,
ჩვენ უნდა მივეთ მომავალი ხალხს.

ილიას სულიერი მღელვარების, პოეტური აღმაფრენის, იდეური მომწიფების ძაფები ღრმადაა ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკაში ჩაქსოვილი.

ის დროული სივრცე. რომელიც ამორებდა ილიას ნ. ბარათაშვილისაგან, ხელს არ უშლდა მას, ჩასწვდომოდა პოეტის სულის ხეულებს. განეცადა „სულით ობლობის“ ის მწარე ხედრი, რაც ისტორიული განვითარების კანონზომიერებამ არგუნა ნ. ბარათაშვილს. ბარათაშვილის გულდაწყვეტილ სიტყვებს — „ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას. ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას, საბრალთა, მხოლოდ სულით ობოლი, ძნელდა კპოვოს, რა

დაქარგოს მან ტოლი“ — თითქოს თანამოზიარესავით ეხმიანება ილიას ღრმა აზრებით გამსჭვალული სტრიქონები:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ საეღალაო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქროვანდო, გრძნობა ჩემი გაუზუარო.

ლექსის „ფიქრი მტკერის პირას“ პირველ ნაწილს წუთისოფლის უკიდურესად სექტატიურ გაგებაზე მივყავართ, რათა შემდეგ მეტი სიძლიერით გვაგრძნობინოს ოპტიმისტური აპოთეოზი:

მაგრამ, რადგანაც კაცი გვეჩიან-შვილი სოფლისა,
უნდა კიდეთა მიუღიოთ მას, გვესმას შობდისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალ მკედარსა ემსავისოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

ი. ჭავჭავაძისთვისაც სიცოცხლის არსი მდგომარეობს მოიზარებაში, წინსვლაში, განვითარებაში:

ოყავ მშვიდობით შენს მუცდრო ძილში
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა,
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში
ამოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

ლექსში „როდემდის“ ილია ძველს უარყოფს, ანგრევს სასურველი ახლის შენებისათვის:

როდემდის უნდა ჩვენ არ ეცნობდეთ სიცოცხლის ფასსა,
როდემდის არ ესცემთ ოფიურსა ნიქსა ღირსსა თავვანსა.
მას ყოველ წუთსა სოფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ,
და მის აქ ყოფნას ამაოებად რისთვისა ესახავთ.

„ისტორიულმა მდგომარეობამ ისე დასცა საქართველო და მოსდრიკა წელში... რომ იმან მხოლოდ აწმყოს მოავლო ხელი და დრო აღარ ჰქონდა, რომ მომავალზე ეფიქრა... ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი ხალხი დიდხანს, სცხოვრობდა მხოლოდ თავისთვის, ჰფიქრობდა მხოლოდ თავის აწმყოზედ“...⁴

ი. ჭავჭავაძე იმითაა ძლიერი, რომ თანამედროვეებს ეჭვი აღუძრა იმის მიმართ, რასაც ისინი გაურკვეველობისა თუ არცოდნის გამო ჰეშმარიტებად თვლიდნენ და დაუსახა ახალი ჰეშმარიტების, სიკეთის, სილამაზის იდეალი. ვიდრე ეს ახალი იდეალი ხალხისათვის მხოლოდ მოჩვენება, ოცნება, ვარაუდი, გამოცანა, წინათგრძნობა იყო, ვიდრე ხალხი შეიცნობდა და დაეუფლებოდა მას, პოეტმა გადმოგვიშალა ეჭვით გამოწვეული მთელი წამება. უსიხარულო არსებობის მთელი სიმწარე, რომელსაც განიცდიდა მოძრაობის, მარადიული განახლების, მარადიული აღორძინების მოსურნე მოუსვენარი სული.

„მერანის“ რაინდული შეშართება მთლად როდი წარხოცავს სევდას, მხოლოდ რაღაც განსაკუთრებულ, გამაცოცხლებელ და სულის გამამაგრებელ ნა-სიათს აძლევს მას:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის,
ეს განწირულის სულისკვეთება,
და გზა უვეალი, შენგან თლილი,
მერანო ჩემო მაინც დარჩება.

⁴ ა. - წ ე რ ე თ ე ლ ი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, ტ. II, 1960, გვ. 25.

აზრი, რომ ნ. ბარათაშვილი უცხო მოვლენაა ქართულ პოეზიაში. ვერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩამოყალიბდა. 1881 წელს „ივერია“ წერდა: „ჩვენსა ლიტერატურაში ბევრს ნ. ბარათაშვილი მარტოდ მარტო ჰგონია. ბევრს ჰგონია, რომ ეს პოეტი რაღაც უცნაური მოვლენაა და რაც იმის ლექსებში გრძნობა და აზრია გამოთქმული, საქართველოს ნიადაგზედ არ არის აღმოცენებული“⁵. სინამდვილეში, ნ. ბარათაშვილი კანონზომიერი მოვლენაა ეროვნული კულტურის ისტორიაში და მთელი მასი შემოქმედება ქართული მწერლობის „ნიადაგზედ არის აღმოცენებული“⁶.

ვახტანგ ორბელიანი აღნიშნავდა. ნ. ბარათაშვილის პატრიოტიზმის სათავე ს. დოდაშვილის მოღვაწეობაში უნდა ვეძებოთ. „ნ. ბარათაშვილი გამოიწვრთნა ს. დოდაშვილისაგან... თუ ს. დოდაშვილი არ ყოფილიყო, მაშინ შეიძლება არც ნ. ბარათაშვილი ყოფილიყო. ნ. ბარათაშვილი იყო წმინდა სანთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ქართველი ერის წინაშე იწოდა“⁷.

ნ. ბარათაშვილმა გამოხატა არა კერძო და შემთხვევითი, არამედ საერთო და აუცილებელი, რომელიც სახეს აძლევდა მთელ მის ეპოქას. მან ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა და მისწრაფებათა ქაოსში განკურნა. რომელი მათგანი გამოხატავდა მისი ეპოქის სულისკვეთებას.

ი. ჯავახიძის ლირიკაში შეერთდა ქართული პოეზიის მაცოცხლებელი ნაკადები, რომლებიც მანამდე ცალ-ცალკე მიედინებოდნენ. ქართველს მის რთულ აკორდში წმინდა ქართული ბგერები ესმოდა. მიუხედავად ი. ჯავახიძის პირველი ლექსების ლირიკული ხასიათისა, მათში შევიდა ცხოვრების ეპიკური ელემენტები: „ვიღე ქმარტოკა და მთების ჩრდილი კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება“... შემდეგში ფანტაზიამ კიდევ უფრო მეტად დაუთმო ადგილი სინამდვილეს. „ნატურალობა“ გამოვიდა სინამდვილის სწორი ასახვით, მთელი მისი ყოველდღიური ჭირ-ვარამით:

სიმატლის ხმა ქვეყანა ჰქუხს,
დასათრგუნელად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმინთებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში. („შესმის, შესმის“)

ნ. ბარათაშვილიც და ილიაც იდეალის ერთგულნი იყვნენ, — იდეალისა, რომელიც სულ უფრო უახლოვდებოდა სინამდვილეს, ყოველ შემთხვევაში, ისინი ამ დაახლოებისაკენ მიისწრაფოდნენ.

ი. ჯავახიძის პოეზია შეგნებული აზრის ნაყოფი იყო. მიმბაძველობით დაიწყო, მაგრამ მულამ მიისწრაფოდა თვითმყოფობისაკენ. სწორედ ეს მიისწრაფება შეადგენს მისი პოეზიის აზრსა და სულს.

ილიამ „ნატურიდან“ გადმოიღო ცხოვრება, სინამდვილის მოვლენები საკუთარ ფანტაზიაში გაატარა, შთაბერა მათ ახალი სიცოცხლე. პოეტური გუნებით ჩასწვდა საქმის შინაგან არსს, გამოიცილა საზოგადოების მდგომარეობის

⁵ ურნალი „ივერია“, 1881, № 7.

⁶ გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, თბილისი, 1969, გვ. 13.

⁷ ვ. ლ. ვ ბ ა ნ ო ი ძ ე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან, „მნათობი“, 1959, № 12.

ფარული სულიერი მიზნები, ხელი ჩასჭიდა მოვლენათა წრის ცენტრს და მათ ერთიანის, სრულის, მთლიანის აზრი მისცა:

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
შთაავნებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
რომ სიკეთისთვის გული უაზროდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოლეს. ..
მენდე, მოიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.

ქაბუკობის შთაბეჭდილებანი უძლეველია და ბარათაშვილმაც ის მიიღო ქვეშარიტებად, რამაც ყველაზე ადრე იმოქმედა მის გრძნობაზე, წარმოსახვა-სა და გონებაზე. ნ. ბარათაშვილში უმაღლესმა ადამიანურმა მისწრაფებებმა ადრე გაიღვეს ფესვი და, ბუნებრივია, რომ ამ სიმაღლეებიდან სჯიდა იგი ადამიანთა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ღირსება-მანკიერებას. პასუხისმგებლობის გრძნობა და სულიერი სიმტკიცე სარწმუნოებრივი შეუვალობით მოსავედა ამ მისწრაფებებს. მაღალადამიანური ღირებულებების მიმართ ერთგულება იმთავითვე იწვევდა პიროვნული თუ საზოგადოებრივი ტკივილებისადმი ინტენსიურ რეაქციას.

ნ. ბარათაშვილს შეეძლო თავის თავზეც ეთქვა ის სიტყვები, რომელიც ნაპოლეონს წარმოათქმევინა: „მაგრამ მე ვეაშში სული ველარ მომთავსებია“. ეს სტრიქონები თავისი განწყობილებით ავტობიოგრაფიულია. 1843 წელს ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს სწერს: „...მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხედრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო. ნუ გძინავსო“⁸.

ნ. ბარათაშვილმა ახალი ეროვნული მოძრაობის მიზნად გამოაცხადა გადაერჩინა ის, რისი გადარჩენაც რეალურად შეიძლებოდა და რასაც საფრთხე მოელოდა: დედაენა, ლიტერატურა, ისტორია, ეროვნული შეგნება, და რაც მომავლის, ახალი სინამდვილის შენებ-ს საფუძველი უნდა გამხდარიყო. ცარიზმი არ უზრუნველყოფდა ეროვნულ თვითმყოფობას და ამ გაგებით ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას. პოეტის აზრით, თვითონ ქართველებს უნდა ეზრუნათ ყოველივე ამისათვის. ესარგებლნათ მონატრებული მშვიდობითა და შოემყოთ „ერთი ათასად“;

და მუნთ ჰზიდვენ თესლათ ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცას ქვეშ მომავალთა ერთი ათასად.

ი. ქაუქავაძეც მაყურებელივით კი არ უტკებოდა ხმაურიანი ცხოვრების ოკეანეს და მასში მარტო ხომალდებ-ს ნაძსხვრევეებს, აზვირთებულ ტალღებსა და ბნელ ლამეს კი არ ზედავდა. მხოლოდ სასოწარკვეთილების გოდება და დაღუპვის კვილი კი არ ესმოდა. არამედ ამასთან იგი ქვერტდა და თვალს არ აშორებდა გზის მანათობელ ვარსკვლავს. რომელიც უჩვენებდა ბრძოლისა და მისწრაფების მიზანს, ყურად იღებდა ზეკარდმო ხმას:

ჩემო კარგო ქვეყანა,
რაზედ მოგოწყენა,
აწყო თუ არა ეწყალობს.

⁸ ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, წერტილი გრ. ორბელიანს, თბილისი, 1968, 23.

მომავალი ჩვენია.
 თუმცა ძველი დაგმორდნენ,
 ახალი ხომ შენია...
 მათ ახალთ აღვიდგინონ
 შენ დიდების ღღენია.

ილია აწმყოს სინამდვილით არ კმაყოფილდებოდა და თავის სულში ატარებდა უკეთესი არსებობის იდეალს. სიცოცხლე მისთვის შემოქმედება იყო. და ყველაფერი ამობრავდა, ყველაფერმა ბრუნვა დაიწყო. საქართველოს სურდა მისგან მიეღო ის, რაც წლების მანძილზე უძრაობის ვაჟი დაკარგა.

„ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“, — წერდა ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს. ამ სიტყვებით შეიძლება დაეახასიათოთ მისი დამოკიდებულება „ბედთან“, — პირად, სამშობლოსა თუ საკაცობრიო „ბედთან“ ჭიდილი. ეს შეადგენს მისი პოეზიის სასიცოცხლო ნერვს. პოეტი ხშირად მიუთითებს „ბედის ვარსკვლავზე“, „შავ ბედზე“, „ბედის ბრუნვაზე“, „ბედის სამძვარზე“, ანდა მის სანაცვლოდ ასახელებს „იღუმალ ხმას“, „ეტლს“, „სასტიკ ქარს“, „ბოროტ სულს“, „ხვედრს“... სიტყვაში „ბედი“ ხშირად მომავალს გულისხმობს.

ნ. ბარათაშვილის გული მუდამ ფეთქავს ადამიანისა და კაცობრიობისადმი თავდადების კეთილშობილური სისხლით:

ეძიე, ყრბო, შენ ხვედრი შენი,
 ვინძლო იპოე შენი სამუენი. („ხმა იღუმალი“)

იცვლებოდნენ პიროვნებანი, საქმეთა მსვლელობა, დედაარსი კი ძირითადად იგივე რჩებოდა. ვინ უწყის. რით გათავდებოდა საქართველოსათვის ეს შინაომი, სამოღვაწეო ასპარეზს ი. ჭავჭავაძე რომ არ მოვლენოდა, მისი ნებისყოფა, მისი ხასიათის ძალა:

მას ღედის ძუძუ ტკბილი
 შხამადაც შერგებოა,
 მამულისთვის სიკედილი,
 ვისაც დაზარებოა...

ზოგადკაცობრიული იდეა, როცა ხორციელდება, გარკვეულ ხასიათს. გარკვეულ იერს იღებს. ნ. ბარათაშვილივით ი. ჭავჭავაძემაც თავის ლექსებში ზოგადკაცობრიული სულისკვეთებანი გამოხატა, მაგრამ თითოეული მათგანის ქმნილება მაინც საკუთარი ხასიათით გამოირჩევა.

ი. ჭავჭავაძე მემკვიდრეობას არც ანგრევს, არც იმეორებს, არამედ გადაამუშავებს და ახალი მხატვრული ასპექტით წარმოგვიდგენს.

ეროვნული საფრთხის გრძნობამ ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის მსოფლგანცდა ერთმანეთს დაუნათესავეა.

ნ. ბარათაშვილის მემკვიდრეობის ჭანსაღმა, უკვდავმა სულსკვეთებამ ი. ჭავჭავაძის პოეზიაში ახალი ძღვევაჟიოსილება პოვა.

Л. В. БОЧКОВА

ТВОРЧЕСКИЕ ТРАДИЦИИ Н. БАРАТАШВИЛИ И ПОЭЗИЯ И. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

Поэзия Н. Бараташвили, проникнутая идеями национального освобождения, политического вольнодумства, стремлением к торжеству разума и образования, отражала недовольство широких общественных кругов грузинского народа.

Опираясь на традиции многовековой грузинской поэзии, Н. Бараташвили обогатил ее достижениями мировой художественной культуры. Преодолея политический романтизм, он положил прочную основу реализму в развитии общественной мысли и литературы и стал вдохновителем мощного общественно-литературного движения XIX века.

«Мерани» — поэтический гимн свободному человеку, его жизнеутверждающей деятельности, символ неукротимого стремления вперед, выражение непреклонной воли народа к национальному и социальному освобождению.

На анализе конкретно-исторического материала Н. Бараташвили в поэме «Судьба Грузии» дал пронзительное понимание происходящего и вдохнул в нее освободительный дух, обогатив новыми темами и мотивами. Идеино-художественное содержание творчества Н. Бараташвили вдохновляло последующие поколения писателей во главе с крупнейшими представителями грузинской революционно-демократической литературы — И. Чавчавадзе и А. Церетели.

И. Чавчавадзе заимствовал у своего великого предшественника все наиболее близкое, гармонизировавшее с его внутренним миром, оставаясь в то же время глубоко самобытным художником. И. Чавчавадзе творчески переосмыслил достижения Н. Бараташвили и пошел дальше своим путем.

У Н. Бараташвили И. Чавчавадзе перенимал гармоничный, звучный стих, а частично и поэтическую красоту выражений, характерную для его сочинений, написанных до 1860 г.

В произведениях этого времени И. Чавчавадзе не только отсылается на образы и мысли Н. Бараташвили, но нередко заимствует замыслы стихотворения и даже почти полностью повторяет само заглавие.

Политическая пронзительность и острота И. Чавчавадзе, его идейная убежденность, новаторство и многообразие тематики позволили ему расширить и углубить мир мыслей Н. Бараташвили. Идеи национально-освободительного движения получают в творчестве И. Чавчавадзе революционно-демократическое направление, возводятся на принципиально новую высоту.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ქართული ეურნალისტიკის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

А. М. БЕЛЕНИЦКИЙ

О ДВУХ ОБРАЗНЫХ ВЫРАЖЕНИЯХ В ПОЭМЕ
ШОТА РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»¹

В общепризнанном весьма точном переводе поэмы Шота Руставели, выполненном П. Петренко при постоянном участии и под редакцией эпитока оригинала К. Чичинадзе, имеется такая строчка: «Там росла для нас незримо эта роза из стекла»². Эта строчка вложена в уста Таризла, рассказывающего о юной царевне Нестан-Дареджан для которой ее отцом был построен роскошный дом. Сравнение прекрасной царевны с «розою из стекла» показалось мне несколько неожиданным. Средневековые авторы, писавшие о стекле, хвалят его главным образом за прозрачность. По словам одного из них «от сосудов, изготовленных из него (стекла) требуется полная прозрачность, дабы снаружи можно было видеть то, что находится внутри их»³. Автор этих слов — знаменитый ученый Хорезма Бируни, писавший в первой половине XI в., приводит по этому поводу нижеследующие любопытные стихи поэтов:

«Сказал Букайр аш-Шахи:

Чистое золото скрывает наш изпиток, в котором пороки;
Поэтому стекло лучше его.

И сказал ас-Сари:

Он скорее разоблачит доверенное ему, чем стекло,
Через которое ты видишь вещь снаружи,

Когда она находится внутри него.

И сказал он также:

Рассказать тебе свою тайну — то же, что
передать секрет стеклу,

Не скрывает оно от смотрящего чистоту и муть»⁴.

Именно эту особенность — прозрачность — подчеркивает в своем переводе стиха другой переводчик поэмы Ш. Нвцубидзе, не упомяная при этом, однако, собственно «стекла». В его передаче часть этого стиха звучит: «девы лик прозрачно рлян»⁵. Но что хотел сказать сам поэт? Имел ли он в виду вызвать в воображении читателя или слушателя образ «стеклянной розы» или же ему хотелось намекнуть на «прозрачность»? Отметим, что по археологическим данным поделки в виде цветов из стекла в XII в. как будто не известны. Обращаясь к оригиналу поэмы, мы убеждаемся, что Ш. Руставели в приведенных переводчиками эпитетах не повинен.

В оригинале поэмы речь идет о «розе из мины» или, вернее, о «мине цвета розы»⁶. А «мина» в словоупотреблении средневековой литературы имеет значение не стекла, а эмали.

В минералогическом сочинении упомянутого выше Бируни «мине», наряду со стеклом, посвящен особый очерк, в котором подробно описывается рецептура приготовления эмали и тех красящих веществ, которые придают ей различную окраску. При этом особо подчеркивается, что только некоторые краски оставляют эмалевую массу прозрачной. По его словам «прозрачностью обладают (только) желтая и зеленая краски, в красной же, белой и черной прозрачность отсутствует». Таким образом, сравнение поэтом лица красавицы Нестан-Дареджан с «эмалью цвета розы» вполне в духе поэтики того времени и материально оправдано. Несколько сложнее обстоит дело с другим стихом в поэме, который при чтении перевода П. Петренко особенно привлек мое внимание.

Имеется в виду строка в пятой строфе «вступления»: «Раздробит и камень твердый наковальня из свинца». Этот же стих передан у Нупубидзе следующими словами: «твердый камень раздробляет и свинцовый мягкий млат»⁷.

Любопытно, что во французском переводе С. Цуладзе фигурирует еще один предмет, а именно «мягкие тиски из свинца»⁸. Дословный перевод оригинала звучит так: «Разобьет даже камень твердый наковальня из мягкого свинца».

Таким образом, перевод П. Петренко является наиболее близким к оригиналу. В составленных, очевидно, редактором перевода примечаниях, к слову «наковальня» (прим. 4) дается следующее пояснение: «Наковальня — буквальный перевод грузинского слова «грдемли». В комментариях к поэме, составленных царем Вахтангом, этот стих объясняется в том смысле, что свинцом гранят драгоценные камни⁹. Необходимо отметить, что комментатор в данном случае не точен. Дело не в огранке твердых драгоценных камней свинцом, а в другом.

Прежде всего следует отметить, что Ш. Руставели, говоря о «камне твердом», имел в виду, очевидно, алмаз. Именно в этом смысле понимал эти слова большой знаток и ценитель поэмы И. А. Орбели, который приводит их в качестве метафоры в отношении Н. Я. Марра. По его словам, Марр «ювелирной по тонкости работой на «наковальне из мягкого свинца» освободил от наростов алмаз текста поэмы Руставели¹⁰. Таким образом, И. А. Орбели считал, что речь идет об алмазе, который обрабатывали на свинцовой наковальне. Вместе с тем, с точки зрения материальной, «наковальня из свинца» — предмет не совсем понятный. Археология едва ли знает такую наковальню, на которой дробили бы твердые камни. Что же реально кроется за этими словами? Насколько мне известно, наиболее полное разъяснение этой неожиданной встречи самого твердого материала — алмаза с самым мягким и податливым металлом при обработке первого дал уже дважды упомянутый выше Бируни. В цитированном его сочинении по этому поводу приводится пространный пассаж, который я позволю себе привести в сокращенном виде:

«С целью удивить, — пишет Бируни, — Абу Зейд ал-Арджани сообщает об алмазе, что будучи самым твердым из камней и самым победоносным среди них, он разбивается самым мягким из металлов и самым слабым, а именно свинцом, больше всего похожим на воск. И это, как говорят, особое свойство свинца, такое же, как и способность его своим запахом крошить золото...»

Но дело здесь в другом: алмаз наносит раны и молоту и наковальне, если его будут раздроблять с их помощью, и тем портит поверхность их обонх... Поэтому его (алмаз) обертывают в кусок свинца и легонько бьют по нему, пока сила ударов не одолжит его и тогда он не в состоянии причинять вред ни молоту, ни наковальне...».

Приводя это наблюдение, связанное с дроблением алмаза, которое он, несомненно, знал из практики современных ему ювелиров, Бируни делает и общий вывод: «Если между твердым телом, на которое воздействует другой предмет, и между ними будет лежать нечто более мягкое, то сила воздействия увеличивается. Разве ты не видел, как стрелки, которые желают пробить железную пластину, кладут на нее плоский кусок мяса. Стрела не отскакивает от нее из-за того, что там находится мясо, которое стрела прежде всего поражает, а потом действие ее постепенно распространяется на доску. Точно так же, если лед обернуть тонкой хлебной лепешкой, его можно раз-

резать пожом, как морковь или редьку. Вероятно и свинец, в который заворачивают алмаз, имеет то же значение»¹¹.

По поводу этого места в сочинении Бируни минералог, профессор Г. Г. Леммлейн пишет: «Такая механическая обработка твердых камней — шлифовка, полировка и сверление требует употребления соответствующих по твердости материалов... получивших название абразивных... Открытие необычайно высоких абразивных свойств алмаза произвело форменный переворот в технике одной из самых трудоемких операций обработки камня — сверления». Это открытие, как полагают Г. Г. Леммлейн, было сделано в Индии еще на рубеже II и I тысячелетий до н. э. Оно известно Плинию; а в эпоху Бируни, т. е. в X—XI вв., алмазная крошка употреблялась повсеместно.

Интерес представляет приводимое Г. Г. Леммлейном следующее место из армянского минералогического сочинения XVI в.: «После описания дробления алмаза в свинце армянский автор добавляет: «В случае недостатка в свинце алмаз кладется в воск и обертывается бумагой в 12 слоев, после чего ударами молотка раздробляют его».

«... (затем) всю массу бросают в горячую воду: воск тает, бумага всплывает на поверхность воды, а раздробленный алмаз садится на дно сосуда. Достав его оттуда, толкут в стальной алмазной (?) ступке, и уже после этого употребляют в дело»¹².

Таким образом, если сам по себе образ «наковальня из свинца» не указывает на реально существовавший предмет, то о применении свинца при дроблении твердых камней и, прежде всего, алмаза поэт, несомненно, был осведомлен. Нет нужды подчеркивать, что в целом строчка «раздробит и камень твердый наковальня из свинца» сохраняет свою поэтическую многозначность.

1. При написании этой заметки автору оказала большую помощь Р. Р. Орбели, давшая точный перевод приводимых из поэмы стихов, а также и ряд библиографических указаний.

2. Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре (перевод с грузинского Пантелеймона Петренко, при участии и под редакцией Константина Чичинадзе), М., 1939, строфа 361.

3. Абу-р-Райхан Мухаммед ибн Ахмед ал-Бируни, Собрание сведений для познания драгоценностей (Минералогия), М., 1963 (в дальнейшем ал-Бируни), стр. 208.

4. Там же.

5. Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре (перевод с грузинского Шалва Нуцубидзе), Тб., 1966, строфа 324.

6. Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре (подстрочный перевод с грузинского С. Иорданшвили), Тб., 1966, строфа 326: «Хрустально-рубиновый лик».

7. Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре (перевод Ш. Нуцубидзе), 1966, строфа 5.

8. Chota Roustaveli, Le Chevalier a la Peau de Tigre, traduit du Georgien..

9. Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре (под ред. и с комментариями Вахтаंगा VI, воспроизведено с первого издания 1712 г. А. Шапидзе), 1937, стр. 290.

10. И. А. Орбели, Введение к сб. «Памятники эпохи Руставели», Л., 1938, стр. 11.

11. Ал-Бируни, Указ. соч., стр. 85.

12. Г. Г. Леммлейн, Минералогические сведения, сообщаемые в трактате Бируни; ал-Бируни, указ. соч., стр. 360—361.

ზურაბ თანდილაძე

ლეგენდა სოფელ ვერნეზში

სემო აჭარაში, განსაკუთრებით სხალთის ხეობაში (ხულოს რაიონი), გაცილებულია ლეგენდა, დაკავშირებული ამავე ხეობის სოფელ ვერნეზთან. ეს ლეგენდა ზოგჯერ თქმულების ან გადმოცემის სახით გვხვდება და სოფლის წარსულიდან ერთ კონკრეტულ აშკარად მოგვითხრობს. ამ თქმულება-გადმოცემის მიხედვით, სოფელ ვერნეზს ადრე „ტბიყელი“ („ტბის ყელი“) ერქვა. სოფლის ზემოთ, მთაზე, ყოფილა მოზრდილი ტბა, რომელიც „გამსყდარა“, მთაც „მოხეთქილა“ და სოფელი „ტბიყელი“ წაუღეკავს. ამის შემდეგ იქაურობას „ვერნეზი“ (ე. ი. გავერანებული) დაარქმევია და ადრინდელი სახელწოდება „ტბიყელი“ მივიწყებულა. დიდი ხნის შემდეგ „ვერნეზის“ ტერიტორიაზე ხალხი ისევ დასახლებულა.

სოფელ ვერნეზისა და მისი შემოგარენის რელიეფი, შუა სოფელში მიწაში ჩაფლული სამლოცველოს ნაშთები გვაფიქრებინებენ, რომ წარსულში ამ სოფელს მართლაც განუცდია სტიქიური უბედურება. სოფლის ზემოთ ტბის არსებობაც თითქოს ეჭვს არ იწვევს.

ვერნეზის მკვიდრნი იმასაც მოგვითხრობენ, რომ მათი წინაპრები ამ ტბას სარწყავად იყენებდნენ. სოფლის განაპირას ამჟამად არსებობს პატარა, დანშორალი ხევი, რომელსაც „ციველეს“ უწოდებენ. ადრე, თურმე, ამ ხევი ტბიდან გამომდინარე წყალი მოედინებოდა. მთის მოსკდომისა და ტბის დატლის შემდეგ დამშრალ ხევის სახელწოდება „ციველე“ დღემდე შერჩენია.

საკუთრივ ლეგენდა, მისი ყველაზე ვრცელი ვარიანტი, ასეთია: ვერნეზის („ტბიყელის“) ერთ მკვიდრს ჰყავდა ხარი („ბულა“), რომელსაც საბალახოდ სოფლის ზემოთ, ტბის მიდამოებში უშვებდნენ. ხარი ერთხელ დაკაწრულ-დასისხლიანებული და მშვიერი დაბრუნდა. ახე განმეორდა რამდენიმეჯერ. დაინტერესებული პატრონი გაჰყვა ხარს და შორიდან დახედა. ხარი მიუახლოვდა ტბას და „დაიკვიანა“. პასუხად ტბის სიღრმედანაც მოისმა „დაიკვიანების“ ხმა. მალე ტბიდან გამოვიდა „წყლის ხარი“ („წყლის ბულა“), ხარები ერთმანეთს შეეკრდნენ. „წყლის ხარმა“ რამდენამე კრილობა მიაყენა „სოფლის ხარს“ და ეს უკანასკნელი ისევ დამარცხებული დაბრუნდა სოფელში.

ხარის პატრონმა იმავე დღეს მუქედელს გამოაქვდინა რკინის რქები (ზოგი ვარიანტით, ხარის პატრონი თვითონ იყო მუქედელი), წამოაცვა თავის ხარს რქებზე და მეორე დღეს ისევ საბალახოდ გაუშვა. ტბასთან იგივე სურათი განმეორდა, მაგრამ ამჟამად „სოფლის ხარმა“ დაამარცხა „წყლის ხარი“, გამოფატრა იგი. „წყლის ხარმა“ სასწრაფოდ ტბას მიაშურა და ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა. ტბა სისხლისფრად შეიღება, გაწითლდა. ამ დროს ტბიდან გამოვიდა ვეღვეშაპი, სოფლისაკენ გამოეჭანა და შექმნა ხრამი, საიდანაც მდინარე „სხალთიდელში“ ჩავიდა.

ზრამი, რომელიც თქმულება-გადმოცემებში „ციველელ“ იწოდება, ლეგენდის მიხედვით „გველვეშაპის ზრამია“. ლეგენდის ზოგიერთ ვარიანტში ისიც არის ნათქვამი, რომ სოფლისაქენ გამოქანებული გველვეშაპი ვილაც მოხუცმა ნახა და სოფელს აუწყა, გააფრთხილა: ტბიდან გველვეშაპი გარბოდა, ტბა გასკდება. სოფელი დავცალოთ.

შემდეგ ლეგენდა გადმოგვეცემს სოფლის თავზე დატრიალებულ ტრაგედიას¹.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი ლეგენდა არ არის ორიგინალური. მსგავსი ლეგენდები საქართველოს სხვა კუთხეებშიც ცნობილია.

საგულისხმოა, რომ ეწრო, ლოკალური მასშტაბის წარღვნასთან დაკავშირებული ლეგენდები არ არის მხოლოდ ქართული ფოლკლორის კუთვნილება, მას პარალელები მოეპოვება სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაშიც. ქართულ ფოლკლორისტიკასა და ეთნოგრაფიაში არაერთი ნაშრომი მოიპოვება, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ამაგვარ ლეგენდათა მოტივებისა და პერსონაჟების მთელ რიგ პრობლემურ საკითხებზე, ნაჩვენებია, რომ ამ სახის ლეგენდა-თქმულებები წარმართობის ხანაში იღებენ სათავეს².

ნ. შამანაძე თავის მონოგრაფიაში „ქართული ხალხური ლეგენდები“ სპეციალურ ყურადღებას უთმობს წარღვნის ლეგენდებს, მათ შორის „მცირე წარღვნის“ ლეგენდებს და მეტად მნიშვნელოვან დასკვნას იძლევა³.

ჩვენ აქ მიზნად არ ვისახავთ წარღვნის ლეგენდების მთელ ციკლზე მსჯელობას. გვინდა მხოლოდ ცალკე გამოვყოთ ლეგენდები, რომლებიც წყლის ბინადარ ბოროტ ძალებთან ხარის ბრძოლის მოტივს შეიცავენ, და ხაზი გავუსვათ ზოგიერთ საკითხს.

ვერნების ლეგენდა ძლიერ ახლოს დგას ერწო-თიანეთის შესახებ ცნობილ ლეგენდასთან⁴, ასევე, ამავე ლეგენდის შილდურ და დღემთში ჩაწერილ ე-

¹ ამ რიგის ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტი ჩვენებრთ 1972 წელს ხალხის ხეობაში ფოლკლორულ-შემკრებლობით საქსპედიციო ნეშობის დროს. ლეგენდის ვარიანტები ჩაიწერეს ექსპედიციის სხვა წევრებმაც. იხილეთ: ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდი 1 (ქვემოთ ყველან: ბსკი), 1972 წლის ჩანაწერები. არსებობს ამ ლეგენდის ადრინდელი ჩანაწერიც: ვ. შ ა მ ა ნ ა ძ ე, შესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში (აჭარა), თბ., 1964, გვ. 133.

² იხ.: მ. ჩ ი ქ თ ვ ა ნ ი, ევშათმებრძოლ გმირი და წმინდა მხედარი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სხელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1949; მ ი ს ი ე, ქართული ეპოსი, I, თბ., 1959; მ ი ს ი ე, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971; ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964; ა. ლ. დ. ო ნ ტ ი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1963; თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები (ზარი), ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969; ა. ც ა ნ ა ვ ა, ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები, თბ., 1970; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960; ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველ მთელთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941; თ. ო ჩ ი ა თ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954; მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წყლის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, თბ., 1972.

³ ნ. შ ა მ ა ნ ა ძ ე, ქართული ხალხური ლეგენდები, თბ., 1973, გვ. 95—109.

⁴ ხალხური სიბრძნე, III, თბ., 1964, გვ. 246; Грузинские народные предания и легенды, составленные, переведены, предисловие и примечания Е. Б. Вирсаладзе, М., 1973, გვ. 135—136.

⁵ ა. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, გადმოცემა „ზოგის მინდიზე“ და პოემა „გველის მკამელი“, თბ., 1959, გვ. 38.

⁶ ნ. შ ა მ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

რიანტებთან. სანამ მათზე შეეჩერდებოდეთ, მოვიტანთ აჭარაში ჩაწერილ კიდევ რამდენიმე ვარიანტს. ერთი მათგანი უკავშირდება მდინარე ჭოროხის სათავისაკენ არსიანის მთებთან არსებულ ტბას, ე. წ. „ბულა-გოლს“ („ბულას ტბა“). ეს ვარიანტი ვერნების ლეგენდისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მასში შავშეთელი გლეხის ხარისაგან დამარცხებული „წყლის ხარი“ („წყლის ბულა“) ისევ ცოცხალია, ტბაშია და არასდროს გამოდის ხმელეთზე. მისი სისხლით შეღებილი ტბა აჰყამადაც წითელია⁷. ამ ვარიანტში წყლის სტიქიით გამოწვეულ თუ მოსალოდნელ უბედურებაზე არაფერია ნათქვამი.

• მეორე ვარიანტი ჩაწერილია ქობულეთის რაიონის მაღალმთიან სოფელში — ხინოში. მასში ხინოელი გლეხის ხარი რქებზე მიმაჯრებელი ხანჯლებით ებრძვის გველეშაპს. დამარცხებული გველეშაპი წყევლის ხანჯლის პატრონს. ლეგენდა მოხდელი, გველეშაპის წყევლის შედეგად ხარის პატრონის მთელი გვარი გადაშენდა ხინოში. მათ ნამოსახლარზე დღემდე არაინ დასახლებულა და არც დასახლებამ⁸.

ლეგენდის მესამე ვარიანტი შუაზევის რაიონის ჭვანის ხეობის ზემოთ, გომის მთის საზაფხულო საძოვრებს მიდამოებში მდებარე ჭინჭაოს ტბას უკავშირდება. მისი შედარებით სრული ვარიანტი, რომელიც 1973 წელს სოფელ ნაღვარეუში ჩაწერეთ, ასეთია: „სოფელ ხაბელაშვილების რაფზე, გომის მთასთან ახლოს, ტყის ველის შუა ადგილზე, არის ჭინჭაოს ტბა. პატარა ტბაა ეს, მარა ღმიაა. ერთ თერეფიდან (მხრიდან—ზ. თ.) კილდეა. ჰაეხაიდან კილდეა, იქ შავია. ეანიერელი არიფ ბერიძეს კურო (ხარი) ყოლია. ჭინჭაოს ტბის ახლოს აგილები რომ გაჩინდა, არიფ ბერიძესაც თავისი კურო იქ უყვანია. ერთ საღამოს ეს კურო დაჭრილი მოსულა. ქალმა უთხრა თავის ქმარს:

— ჩვენ კუროს ვინცხაი კურო დაჭედებიაო და დუჭრაო.

— მე რა ექნა მერეო, საქონელი საქონელ დაჭედებიაო! — უთხრა ქმარმა.

მეორე დღეს, რომ გათენებულა, კუროს ღურღული (ხმაღრობა) დუწყია. ამ ღურღულით კურომ პატრონი შეითხოვა. მიედა პატრონმა და გუშვა. კურომ სხვა საქონელ გამოეყო და წინ წევდა, სხვა თერეფით წევდა. წევდა, მიედა ჭინჭაოს ტბასთან, მიაკიენა სამხელ.

ვინცხა ჭვანელი კაცი შეხდენია ამ კუროს და დუნახავს, რომ მიაკიენა და, წყლის კურომ რომ გამოვდა, მინდორზე დეეჭედენ ერთმანებ. სამ დღეს ასე ეჭედებოდენ და ვერ ერეოდენ ერთმანებ. ყუელ საღამოზე კურო დალაღული და დაჭრილი მედლოდა სახში.

ქალმა კიდო უთხრა ქმარს: წაე, კაცო, ნახე ერთი, რომელი მეგრელის კუროს ეჭედება და ასე აშაუებს ჩვენ კუროსო!

მეხუთე დღეს პატრონმა წაყვა თავის ხარს. ხარმა მიედა ჭინჭაოს ტბასთან, სამხელ დეიკიენა. ნახა კაცმა, რომ ტბა გიექანა კილდიძირში. ტბიდან გამოვდა ცისფერმა წყლის ბულამ. ეს ბერი კაცი, კუროს პატრონი, დგას და

7 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 212; ბსკი, ფონდი 1. 1972. ზ. თანდილაძე ჩანაწერი, გვ. 81.

8 ბსკი ფონდი 1, საქმე 63, გვ. 59. ჩაწერის (ა. ახელდანი) ცნობით. მოქმედი ოსმან ალის ძე ცივაძე ხინოში საცხოვრებლად გადასულა შუაზევის რაიონის სოფ. ჭვანთან. ეს ცნობა ძველიკებინებს, რომ მოქმელმა ლეგენდაც ამ მხრიდან მოიტანა, თუმცა ლეგენდის ეს ვარიანტი უშუალოდ ხინოსთან არის დაკავშირებული. მაგრამ ისიცაა აინტერესო, რომ გველეშაპი, რომელსაც ხინოელი გლეხის ხარი ებრძვის, „ტბიველიდან“ გამოდის.

უყურებს. შეხთენ ამ ხარებმა და დიეკიდენ ერთმანებ. შეწინდა ამ კაცმა, ეს რა ვნახეთ. ვერ მიერიენ ვერცერთმა. საღამომდე ექედენ. ზოლოს ამ კაცმა დიე-
ყვირა ისე, რომ ქვეყანა შეძრა. ამ დროს დატრიალდა (შებრუნდა. — ზ. თ.)
წყლის ხარი და კილა წყალში შევდა. ამ კაცმაც თავის კურო წამეიყვანა და
წამოვდა სახში, ხალხს უთხრა ეს ამბავი.

მიერ დღეს ეს კაცი ამხანაგების ერთად წვედენ თოფით ჰინჯაოს ტბაზე
წყლის ხარის მოსაკლელათ. წეიყვანეს ხარიც (სოფლის ხარი). ამ კაცის ხარმა
რომ დეიციენა, წყლის ბუღამ (კურომ) ნაპირზე გამოვდა. ამათ თოფი ესრო-
ლეს, მარა კუროს არ მოხთა, წყლის ხარმა (კურომ) წყალში შეასწრა და ვერ
მოკლეს. ამათ დაბრუნდენ სახში.

ვინცამ რომ თოფი ესროლა წყლის ხარს, ის კაცი ერთ თვეს ავით იყო
და ლოგინში იწეა. ეს იმიტომ, რომ ის წყლის კურო პატრონიანიო, ამბობენ.
ასე იტყოდენ, მას პატრონი ყავსო. ეს პატრონი უჩინარია, მას კაცი ვერ დი-
ნახავს.

კურო რომ ტბაში შევდა, ის ცოცხალია, შეიძლება ახლაც იყოს. იმ ჰინჯაოს
ტბაში იმ ხარის შეტი სხვა ცოცხალი აწერი არალი, თევზიც არალი. წყლას
ხარი ყველა წყალში არი, მარა ყველა არ არი პატრონიანი⁹.

აქ მოყვანილი თუ მითითებული ლეგენდების ურთიერთშედარება, მათი
მსგავსება-განსხვავების თვალსაზრისით, შემდეგ სურათს იძლევა:

1. ტბის გამგებელ და წარღვნას მომასწავებელ არსებად მეტწილად გველ-
ვეშაბი გვევლინება. აქარულ ვარიანტებში მას ხშირად „წყლის ხარი“ ენა-
ცვლება.

2. ტბის გამგებელ გველვეშაბს (ან „წყლის ხარს“) ებრძვის რეალური
ხარი ანუ „სოფლის ხარი“. ერწოს ლეგენდაში ხატის კურატი მოქმედებს, ხო-
ლო დუშეთის ვარიანტში, მისნის რჩევით, ნიკორაა გამოყვანილი.

3. ერწო-თიანეთის, დუშეთისა და შილდური ვარიანტების მიხედვით, ხა-
რის მიერ გველვეშაბის დამარცხება ხალხს ათავისუფლებს მოსალოდნელი
წარღვნისაგან. აქარულ ვარიანტებში პირიქით — ან სრულებით არაფერია
ნათქვამი წარღვნა-უბედურებაზე, ანდა სოფლის ტრაგედია თუ გვარის გადა-
შენება სწორედ ტბის პატრონის ხელყოფას მოსდევს.

4. ყველა ვარიანტი ადგილობრივ გარემო-პირობებთან შეფარდებით არის
გადამუშავებულ-გააზრებული. ერწო-თიანეთის ერთი ვარიანტის („საყდრიო-
ნის ეკლესია“) მიხედვით, მდ. იორი ვეშაბის კუდს წარმოადგენს. მეორე ვარი-
ანტით კი („ლეგენდა ერწოს შესახებ“) მდ. აქები გველვეშაბმა შექმნა. აქედან
გველვეშაბი ჭერ იორში ჩავიდა, ხოლო შემდეგ კასპიის ზღვაში. აქარულ ვა-
რიანტში კი ნათქვამია, რომ ტბიდან გაქცეულმა გველვეშაბმა შექმნა ხრამი.
გაჰყვა მას და მდინარე „სხალთილეში“ ჩავიდა.

5. ტბა, რომელსაც გველვეშაბი ან „წყლის ხარი“ პატრონობს, ყველა
ვარიანტის მიხედვით, მაღალ მთაზე, მთიან მხარეშია.

შინაარსის მიხედვით ეს ლეგენდები ძლიერ ემსგავსება წყლის დაგუბების
შედგადლ მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილების შესახებ ქართლურ
და სვანურ ლეგენდებს, იმ განსხვავებით, რომ ქართლურ ვარიანტში წარღვ-
ნის საშიშროებას არ იწვევს გველვეშაბი, არამედ იგი ბუნებრივად იქმნება.

⁹ ბკი ფონდი 1, 1973, ზ. თანლილავს ჩაწერილი, გვ. 154—158. მოქმელი ემინახმედ
ლაუთის ძე ხილაძე, 72 წლის, შუახევის რაიონი, სოფ. ნაღვარევი.

ხოლო ხალხს მოსალოდნელი უბედურებისაგან დორი იხსნის¹⁰. სევანურ ვარიანტში კი წარღვნის საშიშროებას ქმნის ლამაზიასაგან უკმაყოფილო დევი, რომელსაც ლამაზიას ვერძი ამარცხებს¹¹.

ეს როგორც აღვნიშნეთ, ლეგენდის აპარულ ვარიანტებში ან სრულებით არაფერია ნათქვამი წარღვნის თავიდან აცილების ცდაზე, ანდა გველვეშაპს თუ „წყლის ხარის“ დამარცხებას იგი მოკყვება კიდევ. ამ შემთხვევაში, უეკველია, საქმე გვაქვს იმ უძველეს რწმენასთან, როცა ღვთაება-გამგებლის ხელყოფა, მისი პატივ-დიდების შელახვა არა მარტო დიდ ცოდვად ითვლებოდა. არამედ იკრძალებოდა კიდევ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხინოში ჩაწერილი ვარიანტი. მასში ნათქვამია: როცა ხალხმა გაიგო, ხინოელი გლეხის ხარმა გველვეშაპი დაამარცხაო, გადაწყვიტა გაეთხარა ტბის ნაპირი, ტბა დაეწურა და ენახა, რა იყო ტბის ძირში. ჩანს, ხალხს ამასთანავე ეშინოდა. „კარჩხალზე დაუდა ათი კაცი თოფებით, დანარჩენებმა დეიწყო თხრა, მოვდა ასეთი ავღარი, რომ ხალხი დეიხოცა. იგი ნათხარი ახლაც არის. ღმერთიდან ემრია (ბრძანებაა. — ზ. თ.) და არ შეიძლება მისი გათხრა“¹².

ცოდვის ჩადენით, ტაბუს დარღვევით გამოწვეულ მცირე, ლოკალურ წარღვნასთან დაკავშირებული მაგიური რწმენა სხვა ლეგენდებშიც გვხვდება. ეს მოტივი უდევს საფუძვლად ლეგენდას პალიასტომის ტბის შესახებ¹³. ანალოგიურია ლეგენდები რიწის ტბის¹⁴, ნატყევარას¹⁵ და სხვა ტბათა შესახებ, რომლებსაც არაერთი პარალელი ეძებნება სხვა ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაში, მაგრამ ცხადია, რომ არც დიდი წარღვნის და არც პალიასტომის ტბის ტიპის „მცირე წარღვნის“ ლეგენდებში არსად გვხვდება კეთილი და ბოროტი ძალები ხარისა და გველვეშაპის სახით.

ტბის გამგებელ ბოროტ ფანტასტიკურ არსებებთან ხარის ბრძოლის მოტივზე შეთხზული ლეგენდები „მცირე წარღვნის“ სხვა ლეგენდებისაგან განცალკევებით დგანან და, როგორც ჩანს, მათი გენეზისიც თავისებურია.

გველვეშაპი ლეგენდა-თქმულებებისა და ჯადოსნური ზღაპრების ერთერთ ტრადიციული პერსონაჟთაგანია. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ იგი თავდაპირველად ბოროტების განსახიერება არ ყოფილა. ამ პერსონაჟის წარმომავლობა, პირველ ყოვლისა, თევზის კულტთან, თევზს მიმართ ტოტემისტურ შეხედულებებთან არის დაკავშირებული. ადრეულ პერიოდში თევზი-ვეშაპი მთელ რიგ ხალხებსა და, მათ შორის, ქართველ ტომებშიც წყლის გამგებელ ღვთაებად იყო მიჩნეული. მისი ძირითადი ფუნქცია წყლის სიუხვისა და ირიგაციის დაცვა-ორგანიზება იყო და მას წარმართობის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში. ამასთან ერთად, თევზღვთაებას ნაყოფიერების ფუნქციაც ეკისრებოდა. ყოველივე ეს კარგად აისახა როგორც ეთნოგრაფიულ ყოფაში თევზის კულტთან

10 ნ. შ ა მ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

11 ძველი საქართველო, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, 11, გვ. 35.

12 ბსკი ფონდი 1, საქმე 63, გვ. 59, 1972.

13 Грузинские народные предания и легенды, сост., перев., предисл. и примечания Е. Ы. Вирсаладзе, М., 1973, გვ. 276.

14 აფხაზური ზღაპრები, თბ., 1969, გვ. 155—158, კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მიხ. ჩიქოვანმა.

15 ნ. შ ა მ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—97.

დაკავშირებულ მთელ რიგ მაგიურ ჩვეულებებში, ისე ფოლკლორულ შემოქმედებაში¹⁶.

თევზის კულტისა და თევზღვთაების საკითხებზე დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა არსებობს. ჩვენ აქ მხოლოდ მიუთითებთ, რომ ღვთაება ვეშაპთან დაკავშირებული წარმართულ-მითოლოგიური რწმენისა და თვით ამ ღვთაების ყველაზე ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს მეგალითური კულტურის ძეგლები, რომლებიც „ვეშაპებისა“ და „ვეშაპიღვების“ სახელწოდებით არის ცნობილი. ნ. მარის, ი. სმირნოვის¹⁷, ი. მემჰანინოვის¹⁸, ბ. პიოტროვის¹⁹, ლ. მელიქსეთ-ბეგისა²⁰ და სხვა მკვლევართა ნაშრომები გვარწმუნებენ, რომ ვეშაპღვთაებათა მონოლითებს, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ასუსული წლების წინათ არის შექმნილი, ძირითადად სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა და მჭიდროდ უკავშირდება ლაზარობის მაგიურ ჩვეულებებს.

✓ მ. ჩიქოვანის აზრით, დროთა განმავლობაში, ირყევა რა ღვთაება ვეშაპის ავტორიტეტი, მას ახალი ღვთაება ცვლია, ვეშაპი თანდათან ბოროტ ძალად იქცევა²¹. სწორედ ამ პერიოდში იწყება თევზღვთაების წინააღმდეგ ბრძოლა²².

ე. ვირსალაძე ვეშაპების შესახებ ქართულ ლეგენდა-თქმულებებს ორ ჯგუფად ყოფს: პირველ ჯგუფს ქმნიან ლეგენდები და თქმულებები, რომლებშიც კეთილი ვეშაპები ფიგურირებენ, ხოლო მეორე ჯგუფში შეტანილია ლეგენდები, რომელთა მთავარ პერსონაჟებს ბოროტი ვეშაპები ანუ გველეშაპები წარმოადგენენ²³. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ვეშაპის დაკავშირება გველთან და აქედან სახელწოდება „გველეშაპი“ სავაობდ გვიანდელი მოვლენაა²⁴.

რაც შეეხება ხარის კულტს, მას ქართველ ტომთა ყოფაში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. როგორც თ. ოქროშიძე წერს, „ძველ საქართველოში არსებობდა ხარის ძლიერი კულტი, რამაც თავი იჩინა არა მარტო წეს-ჩვეულებებსა და რწმენაში, არამედ ზეპირსიტყვიერებაშიც. ამ უკანასკნელში დაცულია ხალხის უძველესი წარმოდგენები ხარზე, როგორც სავალტო ცხოველზე და ადამიანის რეალურ თანაშემწეზე სამეურნეო საქმიანობაში“²⁵. გველეშაპი ხაზს უსვამს, რომ „ქართულ ფანტასტიკურ ზღაპრებში ხარები, როგორც მღშა საქონელი, იშვიათად სცილდებიან პატრონის კერს, მაგრამ ზოგჯერ სხვა

16 მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, თბ., 1959, გვ. 142—148; А. Рибакидзе, К вопросу о некоторых пережитках культа рыбы, «Советская этнография», № 3, М., 1948; ზ. თანდილაძე, ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი, 1972, გვ. 55—57.

17 Н. Марр, Я. Смирнов, Визапы, М., 1931.

18 И. Мелетинцов, Каменные статуи рыб-визапы на Кавказе и в Северной Монголии, ЗКВ, I, Л., 1925.

19 В. Пиотровский, Визапы, Каменные статуи в горах Арчхана, Л., 1939.

20 Л. Меликсет-Бек, Визапы и Визаповы Грузии. Книга о каменном, ИИМК, М.—Л., 1947; მისივე, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1936.

21 მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, გვ. 147.

22 იქვე.

23 Грузинские народные предания и легенды, сост., перев., предисловие и примечания Е. Б. Вирсаладзе, М., 1973, გვ. 17.

24 იქვე, გვ. 16—17; მ. ჩიქოვანი, „ვეფხისტყაოსნის“ მითოლოგია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 11, გვ. 82.

25 თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები (ხარი), ქართული ფოლკლორი, III, 1969, გვ. 157.

მითიურ ნიშნებთან ერთად მათ თავისებური ბინაც გააჩნიათ. ხარები... თქმულების მიხედვით, ხშირად ცხოვრობენ წყალში²⁶.

ხარს, ისე როგორც ვეშაპს, წარმართობის პერიოდში წყლის სიუხვის დაცვა-მფარველობისა და ნაყოფიერების ფუნქციაც ენიჭებოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც „ვეშაპად“ წოდებული ქვის სვეტები, რომლებზედაც უმეტეს შემთხვევაში ხარის თავია გამოსახული. ხარის ნაყოფიერების ფუნქცია კარგად არის ნაჩვენები ჭინჭაოს ტბის ლეგენდის იმ ვარიანტში, რომელიც ვ. შამილაძეს ჩაუწერია. ამ ლეგენდის მიხედვით, ჭინჭაოს ტბიდან ამოსული ხარი იქვე ახლოს, საძოვარზე მიუდამ ერთსა და იმავე ადგილზე წვება. ამ ხარის დანაწოლზე დაწოლილ საქონელს სიჯანსაღე ემატება. სამკურნალო თვისებებს მიაწერს ხალხი ჭინჭაოს ტბის წყალსაც. ჭევანის ხეობის მოსახლეობა, განსაკუთრებით უშვილონი, ამ ტბაზე სპეციალურად ბანაობდა²⁷. აქედან გამოდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ გველეშაპისა და ხარის ბრძოლის მოტივის შემცველი ლეგენდა-თქმულებების აქარულ ვარიანტებში გველეშაპის გვერდით ტბის ბინადარი-გამგებელი „წყლის ხარი“ (ანუ „წყლის ბუღაც“) გვხვდება.

წყლის გამგებელი ვეშაპი და „წყლის ხარი“ თავდაპირველად ყველა ლეგენდაში კეთილ ღვთაებებად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და ამ ლეგენდების სიუჟეტურ ქარგასაც მარტივი სახე უნდა ჰქონოდა. ეჭვს არ იწვევს, რომ წარდენის მოტივი ამ ლეგენდების თავდაპირველი შემადგენელი ელემენტი და, მით უმეტეს, ამ ლეგენდების წარმოშობის საფუძველი არ უნდა ყოფილიყო. საზოგადოებრივი განვითარებისა და ახალი რელიგიური შეხედულებების შესაბამისად ადრინდელ ღვთაებათა საფუძვლის შერყევამ ლეგენდა-თქმულებებსა და ზღაპრებშიც თანდათან ახალი ელემენტები და მოტივები შეიტანა. გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადეს როგორც პერსონაჟებმა, ისე მთელმა სიუჟეტმაც. წყლის გამგებელ ღვთაებათა ბოროტ ძალად ქცევისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში ლეგენდებში ადგილი დაიკავეს მეზობლმა პერსონაჟებმა ცხოველების სახით, რომლებიც ადამიანთა დამხმარე, კეთილ ძლებად იყვნენ მიჩნეული. ამ გარემოებამ ლეგენდებში წინა პლანზე დააყენა დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლა და შესაბამისად განვითარდა ბრძოლის მოტივიც.

აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ წარმართობის ადრინდელ პერიოდში, როცა ვეშაპი და „წყლის ხარი“ ჯერ კიდევ კეთილ ღვთაებებად რჩებოდნენ, არსებობდა მათ მიმართ ტაბუც. იმ დროს ადამიანს უთუოდ სწამდა, რომ ტაბუს დარღვევა, ცოდვის ჩადენა ღვთაება-მფარველთა რისხვას გამოიწვევდა და იგი უბედურების მომასწავებელი იქნებოდა. აქედან გამოდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვეშაპისა და ხარის ბრძოლის მოტივის შემცველ ლეგენდებში სწორედ ასეთი მაგიური რწმენის საფუძველზე განვითარდა ლოკალური მნიშვნელობის მქონე ტრაგიკული მოტივიც. მაგრამ ცოდვის შედეგად მოსალოდნელი უბედურების მოტივში წარდგნა არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთადერთ ელემენტად. მოსალოდნელი უბედურებისადმი ადრინდელი შეხედულება თავდაპირველად უფრო ზოგადი უნდა ყოფილიყო. დამადასტურებლად შეიძლება ისევ ხინოში ჩაწერილი ვარიანტი მოვიშველიოთ, რომლის ნიხედვითაც გველეშაპის მოკვლა, მისი ხელოფა გვარის გადაშენებას იწვევს.

²⁶ იქვე, გვ. 150.

²⁷ ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

ანალოგიურია ეთნოგრაფ ვ. ბარდაველიძის მიერ მოყვანილი სენატრი თქმულება. მასში ნათქვამია, რომ ტურანშერების გვირგვინი ერთმა წარმომადგენელმა მოინდომა საკულტო თხის „გაბუ“-ს მოკლა. ამის გამო ტურანშერების მთელი გვირგვინი ამოწყვეტილია²⁸. თ. ოქროშიძის მტკიცებით, თხა „გაბუ“ იგივეა, რაც ხარი „გაბუ“, რომელსაც ზღაპრულ ეპოსში დიდი ადგილი უჭირავს²⁹. ხარის მიმართ უპატიო მოპყრობის შედეგად გამოწვეულ უბედურებაზე მიუახიბებს თქმულება, რომლის მიხედვით, ილირის წმინდა გიორგის ხარის ავად მომხსენებელი მონაზონი ქვად იქცა. იგი დაწყევლა წმინდა გიორგიმ: „შენი მოგვარე ამ დაბაში არც მოშენდეს და არც გადაშენდესო“³⁰. ანალოგიურია ლეგენდა, რომელიც მთიანი ჩეჩნეთის სოფელ გალანჯოვის ტბას უკავშირდება. ლეგენდის მიხედვით, ეს ტბა უწინ აულ იალხაროსთან მდებარეობდა. თურმე, ამ ტბაში ერთმა წალიშვილმა დედასთან ერთად კუჭყიანი სარტყლი გატყესა. განრისხებულმა ტბის სულმა ქალები გააქვავა, ხოლო ტბა მამინვე ხარად ვადაიქცა. ვადაიარა კლდოვანი ქედი და დაბლა დაეშვა, სადაც ამჟამად ტბა მდებარეობს. აქ იყო სოფლის სახნავ-სათესი. აქაურმა მცხოვრებლებმა ხარი დაიჭირეს, გუთანში შეაბეს და ხენა დაიწყეს. ამ დროს მიწიდან ამოხეთქა წყალმა, მინდორი წყლით დაიფარა და ხალხიც დაიღუპა, ხოლო ხარი ტბის წყალში გაუჩინარდა³¹.

წყლის ხარის ხელყოფით გამოწვეული უბედურება ჩანს კინჭაოს ტბის ლეგენდაშიც: „ეინცხამ რომ თოფი ესროლა წყლის ხარს, ის კაცი ერთ თვეს ავად იყო და ლოგინში იწვიაო“³². შემდგომმა კვლევა-ძიებამ, ახალმა მასალებმა შეაძლებელია ამ მხრივ მეტი მრავალფეროვნება გვიჩვენოს.

ჩვენი საკვლევი ლეგენდის აპარულ ვარიანტებში წყლის გამგებლის ხელყოფა-შელახვით გამოწვეული რისხვა რეალური ხდება: მას მოსდევს სტიქიური უბედურება ან გვირგვინის გადაშენება. მაგრამ აპარული ვარიანტებისათვის სრულიად უცხოა მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილებლათვის ბრძოლა. საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილ ვარიანტებში კი მოსალოდნელი წარღვნის აცილება ლეგენდის დედააზრია. როგორც ჩანს, აპარული ვარიანტები შედარებით უფრო ძველი დეტალებით და ნიუანსებით არის მოღწეული. წარღვნის თავიდან აცილება-სათვის ბრძოლა და მიზნის მიღწევა გვიანდელი გააზრება უნდა იყოს. ერწო-თიანეთის, შილდისა და დუშეთის ვარიანტებში ამკარად შეიმჩნევა სიუჟეტის გადაამუშავება ახალი რელიგიური რწმენის საფუძველზე: აქ გველვეშაის წინააღმდეგ ხატის კურატი, მისნის რჩევით შერჩეული ნიკორა და ადამიანის ქომავი სხვა ცხოველები მოქმედებენ.

²⁸ ვ. ბარდაველიძე, სენატრ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1, ახალწლის ციკლი, თბ., 1939, გვ. 68—69.

²⁹ თ. ოქროშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

³⁰ „აიკის კრებული“. 1898, VII, III, გვ. 43. ციტირებულია: თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები (ხარი). ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 135.

³¹ Б. Далгат. Первобытная религия чеченцев. Терский сборник, вып. 3, кн. 2. Владикавказ, 1897, гв. 114—115. ლეგენდა მოგვყავს ეთნოგრაფ მ. ძაკალათას დასახელებული ნაშრომის მიხედვით: იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, თბ., 1972, გვ. 301.

³² ბესი ფონდი 1, 1973, ზ. თანდლავას ჩაწერილი, გვ. 158.



დაბოლოს, ინტერესს ქმნის ის ფაქტი, რომ ტბა, რომელშიც ბინადრობს გველეშაპი ან „წყლის ხარი“, ყველა ვარიანტის მიხედვით, მაღალ მთაზე, მთიან მხარეშია. ამ ტბებთან დაკავშირებული ლეგენდა-თქმულებები და შესაბამისი მავიურის რწმენაც ძირითადად ამავე მხარეებშია გავრცელებული. მაღალმთიან მხარეებში ასეთი ლეგენდების არსებობა უშუალო კავშირში უნდა იყოს სამეურნეო ყოფასთან.

ხემო აჭარის ბუნებრივ-კლიმატური პირობები — მთაგორიანი რელიეფი, სამეურნეო დანიშნულებისათვის საჭირო ბუნებრივი წყლებისა და ნალექების უქმარობა — უთუოდ მეტყველებენ, რომ წყლის სიუხვეზე ოცნება და სათანადო ზრუნვა უძველესი დროიდანვე თან სდევდა ამ კუთხის მკვიდრს — მიწათმოქმედს, მესაქონლეს, მწყემსს. ამიტომია, რომ სასურველი ამინდის გამოწვევებისათვის მაგური მოქმედების („ლაზარობა“) ინსტენირება და შესაბამისი ლექს-საგალობლები, ტაროსის ღვთაებისადმი მსხვერპლის შეწირვა და სხვა მსგავსი მაგური ჩვეულებები აჭარაში ყველაზე უკეთ სწორედ მთის მხარის მკვიდრთა მესხიერებას დაუცავს. სრულიად რეალური ჩანს, და ამას პირველ ყოვლისა აქ მოყვანილი ლეგენდები ადასტურებენ, რომ ამ მხარის მაღალ მთებზე არსებულ ტბებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის, გარკვეული რწმენის საფუძველზე შექმნილი ღვთაება-დამცველი ჰყავდა თევზ-ვეშაპის სახით. ეს ის ვეშაპია, რომელიც საერთოდ წყლის გამგებელ-მფარველად ითვლებოდა და, როგორც მითოლოგიურ პერსონაჟს, უკვე ბოროტ არსებად ქცეულს, დიდი ადგილი უჭირავს ნათელ ზღაპრულ ეპოსში.

მეგალითური კულტურის მკვლევრები დიდ ყურადღებას უთმობენ „ვეშაპებისა“ და „ვეშაპიოდების“ კავშირს ზღაპრული ეპოსის ვეშაპ-გველეშაპებთან: მიუთითებენ, რომ „ვეშაპები“ და „ვეშაპიოდები“ სხვა არაფერია. თუ არა ფოლკლორული შემოქმედების ვეშაპ-პერსონაჟთა მატერიალური გამოსახულება. თევზ-ვეშაპთა ქვის სტატუები სწორედ იქ არის აღმართული, სადაც ბუნებრივ წყლებს დიდი საირიგაციო მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ: 1. ლეგენდებს სოფელ ვერნებსა და ვრწო-თიანეთზე, ასევე დუშეთის, ღინოს, შილდის, კინჭაოსა და სხვა ვარიანტებს ერთი საერთო წარმოშობა აქვთ. მათი გენეზისი დაკავშირებულია წყლის ღვთაების შესახებ წარმართულ რწმენასთან. 2. ლეგენდაში წყლის გამგებელი თავდაპირველად კეთილ ღვთაებად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. განვითარების შემდგომ პერიოდებში, რელიგიურ-იდეოლოგიური ცვლილებების შესაბამისად, ლეგენდას მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განუცდია. წყლის გამგებელი ღვთაების მიმართ რწმენის შერყევამ ლეგენდაში საფუძველი ჩაუყარა ამ ღვთაების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივს; კეთილმა ღვთაებამ თანდათან დაკარგა ადრინდელი ავტორიტეტი და ბოროტ ძალად იქცა. 3. ბრძოლის მოტივის განვითარებასთან ერთად ლეგენდაში თავი უნდა ეჩინა წარღვნისა და სხვა მსგავს უბედურებათა მოტივს. ასეთი მოტივები იმ რწმენის გამოძახილი ჩანს, რომლის მიხედვითაც ღვთაების მიმართ არსებული ტაბუს დარღვევას არასახარბიელო შედეგი მოჰყვებოდა. 4. შინაარსის მიხედვით, შედარებით ძველი ჩანს ლეგენდის აჭარული ვარიანტები, რომლებშიც წყლის გამგებლის წინააღმდეგ ბრძოლა არ ითვალისწინებს წარღვნა-უბედურებათა თავიდან აცილებას. ერწო-თიანეთურ, შილდურ და დუშეთის ვარიანტებში წარღვნისაგან სოფ-

ლის გადარჩენისათვის ბრძოლა შედარებით გვიანდელ ვაჭრებად უნდა მივიჩნიოთ. 5. თუ სოფელ „ტბიყელის“ ანუ ვერნების ტრაგედიაზე არსებულ თქმულება-გადმოცემები ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება. ბუნებრივად, ლეგენდაში წარღვნის მოტივი შემდგომი მოვლენაა. მაგრამ ეს არ გამოირჩევა წყლის ბინადარი ფანტასტიკური ბოროტი ძალების - ეშაპის, გველეშაპის, წყლის ხარის — წინააღმდეგ ბრძოლის მოტივის შემცველი ლეგენდის აღრევე არსებობას ამ კუთხეში. სავარაუდოა, რომ ასეთი ლეგენდა წარღვნის მოტივის გარეშე (ისე როგორც ლეგენდა „ბულა-გოლზე“, კინჭაოს ტბაზე და ხნოს ვარიანტი) იყო და უკავშირდებოდა სოფელ „ტბიყელის“ ზემოთ, მთაზე აღრე არსებულ ტბას.

3. О. ТАНДИЛАВА

ЛЕГЕНДА О СЕЛЕНИИ ВЕРНЕБИ

Резюме

В Верхней Аджарии распространена легенда, построенная на мотиве борьбы «сельского быка» с «водяным быком» (წყლის ხარი) или с драконом (გველეშაპი). Эта легенда содержит также мотив потопа и тесно связана с легендами и преданиями о прошлом селения Вернеби в Схалтском ущелье. И там, и здесь проводится мысль, что нарушение табу по отношению к «водяному быку» и к дракону, властвовавшему над озером, которое существовало ранее на горе возле селения, повлекло за собой потоп, смывший деревню.

Легенда о селении Вернеби очень близка к легендам об Эрпо. Но наряду с совпадением здесь отмечается и различие.

Эти две легенды, а также их варианты относительно Душети, Хипо, Шилды и др., имеют один и тот же источник и сходное происхождение. Их возникновение связано с языческими верованиями о водяном божестве.

Мотив потопа в этих легендах представляется относительно поздним явлением.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბალეზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

წარმომადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

გიორგი შეთიაშვილი

ეპითეტი ხალხური პოეზიის ნიმუშების მიხედვით

ეპითეტო ტროპული მეტყველების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. იგი ისევე ძველია, როგორც ხალხის მსახურების მხატვრული აზროვნება, რომლის სათავეები საუკუნეთა სიღრმეებში იყარება. საინტერესოა აღნიშნოს, რომ ეპითეტი როგორც სტილისტიკური კატეგორია შორეულ წარსულშივე იქცევა ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა ყურადღებას. მაგალითად, ანისტოტელე თავის „რიტორიკაში“ იდეალური სტილის აუცილებელ პირობად ეპითეტების ზომიერ გამოყენებას აღიარებს. „ეპითეტები და მეტაფორები; — მიუთითებს იგი ამ ტრაქტატში, — უნდა იყოს შესატყვისი. ხოლო ეს კი პროპორციის შემწეობით მიიღწევა“¹. აქვე „რიტორიკის“ ავტორს მიუძღავრად არის უარყოფილი ეპითეტების უადგილო ან ჰარბი ხმარება, რაც, მისი აზრით, სტილის უხამსობას, ღვარჭნილობას იწვევს². ამასთან ერთად იგი კონკრეტული მასალის საფუძველზე აწარმოებს მაქებარი და მანაგებელი ეპითეტების დახასიათებას და განასხეავენს პოეტურ და პროზაულ ტექსტებში ამ მხატვრული ხერხის გამოყენების ფაქტებს³.

ეპითეტის ესთეტიკურ-ლიტერატურულ პრობლემებთან მთელი რიგი თეორიული ხასიათის საკითხებია დაკავშირებული. ერთ-ერთ ასეთ საკითხს, უეპველად, ამ მხატვრული აქსესუარის შინაარსისა და მისი ევოლუციის ფორმების ისტორიული ასპექტით განხილვა წარმოადგენს. ასეთი ორიენტაციის განხილვის ცდებს შეიცავს კერძოდ აკად. ა. ვესელოვსკის შრომა „ეპითეტის ისტორიიდან“⁴. ამ ავტორი საზოგადოდ პოეტური სტილის ჩამოყალიბებაში ეპითეტის თვალსაჩინო როლს ხაზგასმით აღნიშნავს: „თუ მე ვიტყვი, — აცხადებს იგი, — რომ ეპითეტის ისტორია არის პოეტური სტილის ისტორია შემოკლებული სახით, ეს არ იქნება გაზვიადებული“⁵. და შემდეგ: „ამა თუ იმ ეპითეტის მიღწა, რომელსაც ჩვენ განურჩევლად ვეკიდებით, რადგანაც ჩვენ მას შევეჩვიეთ. შენიშნება შორეული ისტორიულ-ფსიქოლოგიური პერსპექტივა. მეტაფორათა, შედარებათა და განყენებათა დაგროვება, გემოვნებისა და სტილის ისტორია მის განვითარებაში, სასარგებლოსა და სასურველის იდეებიდან მშეენიერის ცნების გამოყოფამდე“⁶.

ა. ვესელოვსკი აანალიზებს ეპითეტის განვითარების რთულ ფსიქოლოგიურ პროცესებს და შენიშნავს მათ მიერ ემოციური ელემენტის თანდათანობით დაკარგვას. იგი ასკვნის: „ეპითეტები ციფდებიან, როგორც დიდი ხანია გაცოცხლენს პიპერბოლები“⁶. ამ მომენტის თავიდან აცილების ერთ-ერთ

¹ Античные теории языка и стиля. М.—Л., 1936. стр. 172.

² იქვე, გვ. 174.

³ იქვე, გვ. 214.

⁴ А. Н. Веселовский и др. Историческая поэтика. Л., 1940. стр. 73.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 92.

ფაქტორად მას პოეტების მიერ ახალი ეპოეტებებს მიუბა, ამ სფეროში ახალი საღებავებისა და ტონების მომარჯვება მიიხნა⁷.

ა. ვესელოვსკი იმოწმებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ხალხურ პოეზიაში ეპოეტების გამოყენების შემთხვევებს და გამოყოფს ეპოეტთა ცალკეულ ჯგუფებს.

ვ. სიღელნიკოვი თავისი წიგნის «Поэтика русской народной лирики» მესამე თავში «მხატვრული გამომსახელობის საშუალებები» («Средства художественного изображения») ცალკე პარაგრაფის სახით საკმაოდ ვრცელად ეხება რუსულ ხალხურ სიმღერებში ეპოეტის სმარების ინტენსივობას⁸.

ქართულ ფოლკლორისტულ ლიტერატურაში ხალხური პოეტური ეპოეტების მხატვრული ენის თავისებურებებთან მიმართებით ეპოეტს სხვადასხვა კუთხით განიხილავენ ვ. კოტეტიშვილი⁹, მ. ჩიქოვანი¹⁰, ქს. სიხარულიძე¹¹, ელ. ვირსალაძე¹², გ. კალანდაძე¹³ და სხვ.

ეპოეტების კლასიფიკაციის საკითხისათვის. ეპოეტების კლასიფიკაციის საკითხი ლიტერატურათმცოდნეობის შრომებში სათანადოდ არ არის დამუშავებული. საქმე ის არის, რომ რომელიმე გარკვეული საერთო ნიშნის პრინციპით ეპოეტების კლასიფიკაცია არ ხერხდება. ეპოეტების კლასიფიკაციის პირველი მარტივი ცდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოცემული აქვს არისტოტელეს თავის „რიტორიკაში“. აქ იგი ასახელებს მაქებარ და მძაგებელ ეპოეტებს. ა. ვესელოვსკი განასხვავებს ეპოეტების ორ ძირითად ჯგუფს: 1. ტავტოლოგიურ (მუდმივ) ეპოეტებს და 2. განმარტებობის ეპოეტებს. მეორე ტიპის ეპოეტებს იგი თავის მხრივ ყოფს სინკრეტულ და მეტაფორულ ეპოეტებად.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია ეპოეტთა სხვადასხვა სახე: ლირიკული, ჰიპერბოლური, სატირული, ფსიქოლოგიური, პენაბეურია... ეპოეტებს უფრო აგრეთვე გრძნობათა ორგანოებზე ზემოქმედების მიხედვით (მაგ.: ღერის, სმენის, გემოს და სხვა გარეგანი და შინაგანი შეგრძნებებს გამომხატველი ეპოეტები), ასასახავი ობიექტისა თუ მოვლენისადმი ავტორის სუბიექტური დამოკიდებულების მიხედვით (დადებითი და უარყოფითი ან მამკებარი და მამაგებელი ეპოეტები), ფსიქოლოგიური განცდების მიხედვით (სიხარულის, მწუხარების და სხვა ემოციების გამომხატველი ეპოეტები). გრამატიკული თვალსაზრისით (მარტივი და რთული ეპოეტი, გათიშული, ხარისხის აღმნიშვნელი ეპოეტი, ეპოეტი პრეპოზიციური ან პოსტპოზიციური წყობის მსაზღვრელ-საზღვრულთან, ეპოეტი მიმართვის ფორმით: ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი, ზმნიზედა, მიმღობა ეპოეტის ფუნქციით). ცნობილია ე. წ. ტრადიციული და ორიგინალური (მოულოდნელი) ეპოეტები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ვ. სიღელნიკოვს ხალხურ სიმღერებში რელიზებელი

⁷ იქვე.

⁸ В. М. Сидельников. Поэтика русской народной лирики, М., 1959, гл. 84—

92.

⁹ ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 320—321; 336—337.

¹⁰ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი 11, თბ., 1965, გვ. 55.

¹¹ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საემოციო-სასტიკო სიტყვერები, თბ., 1949, გვ. 264—265.

¹² ელ. ვირსალაძე, ქართული სამონღოლო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 140—141.

¹³ გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, თბ., 1967, გვ. 142—143.

ეპითეტების ჭკუფში შემოაქვს ტერიტორიული ანუ დიალექტური ეპითეტი¹⁴. ამით იგი ხაზს უსვამს ხალხური პოეტრიკის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს, ამავე დროს ანგარიშს უწევს ფოლკლორულ ტექსტთა გეოგრაფიული გავრცელების ფაქტორს, როგორც საერთოდ ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა თავისებურების მკაფიო გამოხატულებას.

ეპითეტების ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია არ არის უნაკლო და სრულყოფილი. იგი უფრო პირობითია, რადგანაც ერთი პრინციპით დალაგებულ ეპითეტში შეიძლება სხვა ნიშნებიც იყოს მოცემული. მაგალითად, ფერის აღმნიშვნელ ეპითეტს შეიძლება ფსიქოლოგიური, მეტაფორული ეპითეტის ნიშნებიც გააჩნდეს და ა. შ.

ეპითეტის ფუნქციისათვის. ეპითეტი ენის ლექსიკონი ფონდის ორგანულ ნაწილს შეადგენს. ოღონდ თუ მას აქ გრამატიკულად ლოგიკური ამოცანა ეკისრება, სამაგიეროდ კაზმულსიტყვიერ ნაწარმოებში იგი მხატვრულ-ემოციურ ფუნქციას ასრულებს. ეპითეტს როგორც გამოსახვის სტილისტურ ხერხს ფართო გამოყენება აქვს საკუთრივ ხალხურ პოეტურ ნიმუშებში. «ეპითეტები ყოველთვის ცოცხალ სასიმღერო მეტყველებაში წარმოიშობოდნენ და არსებობდნენ»¹⁵. — მიუთითებს ა. ვესელოვსკი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა თემატიკის ხალხური პოეზიის ნაწარმოებებში სხვადასხვა კატეგორიის ეპითეტები დომინანტობენ. ასე, მაგალითად, საგმირო პოეზიაში მეტწილად ჰიპერბოლური ეპითეტები გვხვდება, სატრფიალო და საქორწილო პოეზიაში თითქმის მთლიანად ნაქებარია. დადებითი ეპითეტები დასტურდება, სატირული პოეზიის ნიმუშებში კი უმთავრესად უარყოფითი, მძაგებელი ეპითეტებია გავრცელებული.

დადებითი და უარყოფითი ეპითეტები. ეპითეტს მხატვრულ-ემოციური უფუნქციის მრავალფეროვნება ახასიათებს. მისი ეს მრავალფეროვნება ასახავს ობიექტთა თვისებების მრავალფეროვნებით არის შეპირობებული. ეპითეტში საერთოდ გარემომცველი სამყაროს საგნებსა და მოვლენებზე, ადამიანურ თვისებებზე და სხვ. ხალხის მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებანი კომპაქტურად, ლაკონურად არის განზოგადებული. აქ თავს იჩენს კონკრეტიზაციისა და აბსტრაქციის, ანალოგიისა და კონტრასტის ცალკეული მომენტებია, რაც ცხადად ნიანიშნებს იმაზე, რომ საანალიზო მხატვრულ ხერხში კოლორიტულადაა მოცემული ამა თუ იმ სახის შემეცნებითი ელემენტები.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ ეპითეტი ასახავს ობიექტის ინდივიდუალურიზაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. ხალხური მთქმელი ეპითეტის შეშეუობით არა მარტო გამოყოფს ასახავს ობიექტის საინტერესო ნიშანდობლივ თვისებას, არამედ ხშირად ამ თვისების გარკვეულ სუბიექტურ შეფასებასაც იძლევა.

ეს სუბიექტური შეფასება ასახავს ობიექტისადმი ავტორის დამოკიდებულების ხასიათითაა მოტივირებულ და იგი შესაბამისად არის დადებითი ან უარყოფითი. ამის მიხედვით ჩვენც გვაქვს ერთი მხრივ დადებითი (მაქება-რი), ხოლო მეორე მხრივ უარყოფითი (მძაგებელი) ეპითეტები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ეპითეტის ამ სახეობათა ზედწოდებებს უფრო შეფარდებითი გაგება მოეპოვებათ, რადგანაც თავისთავად ეპითეტი არც დადებითი შეიძლება იყოს და არც უარყოფითი, — მასში მხოლოდ

¹⁴ В. Сидельников, Поэтика русской народной лирики, гл. 8.

¹⁵ А. Н. Веселовский, Историческая поэтика, гл. 65.

ადამიანის (ან სხვა ცოცხალი არსების, საგნის ან მოვლენის) დადებითი ან უარყოფითი თვისებები გამოიხატება. შეიძლება ეპითეტი ამ დროს ობიექტის რომელიმე თვისების ცალმხრივ განსაზღვრებად გვევლინებოდეს ანდა მის თვისებას ზოგადი ასპექტით ასახავდეს.

დასახელებული ტიპის ეპითეტები პოეტური ფოლკლორის ძეგლებში აქტიურად გამოიყენება და მათ სათანადო გამომსახველობით-ექსპრესიული როლი აქვთ მინიჭებული.

დადებითი ეპითეტით არის დახასიათებული საკმარის თემატიკის ერთ-ერთ ფოლკლორულ პოეტურ ნიმუშში ბერი მინდიას უშიშარი, შეუპოვარი თვისება. ეს თვისება სავაჟაკო კოდექსის ძირითად პრინციპს წარმოაუგენს და აგი გარკვეულწილად საქართველოს სისხლიანი ისტორიული წარსულის სპეციფიკით არის ნაკარნახევი. კერძოდ, ქართველ ხალხს გამუდმებით უხლებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მრავალი ჭურის დაპყრობლებთან და მტრებთან შეუდრეკელი მამულიშვილი კი ხალხურ ლექსებში ხოტბის საჯანს შეადგენდა.

აი, ის სალექსო ფრაგმენტიც, სადაც მინდიას მიმართ დადებითი სავაჟაკო ეპითეტია მომარჯვებული:

ნუ ეხუმრებით მინდიას,
მთების არწივის შვილსაო,
კაცია — გულად მამაციო.
ქეასაც კი ხელთ სთლისაო¹⁶.

აქ მსაზღვრელისა და საზღვრულის ინვერსიული (პოსტპოზიციური) წყობაა პოეტური. ჯერ საზღვრულია („კაცია“), შემდეგ მსაზღვრელი („მამაცი“). რომელსაც სემანტიკური გაძლიერების მიზნით წინ სიტყვა „გულად“ უსწვრება. ასეთი რიგის სინტაქსური წყობა ძირითადად ძველი ქართულსათვის იყო ნიშანდობლივი, თუმცა იგი ახალი პერიოდის ქართული ხალხური პოეზიის ტექსტებშიც ძალზე ხშირად იხმარება. არქაული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება ლექსს ერთგვარ კოლორიტულ იერს ანიჭებს. საერთოდ ამ თვალსაზრისით ე. წ. პოეტური ლიცენცია ფოლკლორულ წყობილისტიკურ ძეგლებში ფართო გაქანებას პოულობს.

დადებითი ეპითეტებით არის შემკობილი გვიანდელი ხანის ხალხური პოეზიის ნიმუშში ჭანსალი ადამიანური თვისებები. ავტორი ლექსის ლირიკული გმირის მიმართ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. აქ სინონიმურა შინაარსის ორი ეპითეტი არის მოხმობილი, რაც მათს დანიშნულებას კიდევ უფრო ამძაფრებს:

შე მამუა ჰაჰაჰაჰე, ჰკეიანო ღაგონიერო¹⁷.

აქაც მსაზღვრელისა და საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა დასტურდება.

ლექსში „ღვინო კი მათრობელი სჯობ“ ამა თუ იმ სიტუაციის მიხედვით ვაჟკაცისათვის აუცილებელი დადებითი თვისებები ჭეროვანი ასპექტებით არის გაცხადებული:

ღვინო კი მათრობელი სჯობ,
ძალი თოხზე მყეფარი,

¹⁶ ხალხური სობრძნე, IV, ქს. სიხარულიძის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 108

¹⁷ „აკაკის კრებული“, 1898, № 8, განყ. II, გვ. 11.

ეჟაკო წყნარი სჯობია,
რო გაჰირდება—მკეხარი¹⁸.

ილუსტრირებულ სალექსო სტრიქონებში მხატვრული პარალელიზმის ხერხია მოშველიებული, რაც სტრიქონთა პოლიფონიურობასა და ემოციურობას ამკვეთრებს და აქ გამოთქმულ აზრსაც მეტ სინათლეს ჰმატებს.

სათანადო ციკლის საგმირო ლექსებში ერთ-ერთი დადებითი ეპითეტი საზღვრულს ისე შეეზარდა, რომ ბევრგან იგი მასთან ერთად მთლიან ფორმამა შეკუმშული. მხედველობაში გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული „კაი ყმა“. მართალია, აქ „კაი“ როგორც ეპითეტი ყმას განსაზღვრავს, მაგრამ თვით ეს ეპითეტი ამ შემთხვევაში ზოგად ხასიათს ატარებს და მასში დადებით ადამიანურ თვისებათა მთელი კომპლექსი იგულისხმება. ეს დადებითი თვისებები ამ შემთხვევაში თავისი თემის ერთგული და მტრებთან უშიშარი ეჟაკოსათვის („ყმისათვის“) არის მისადაგებული. მაშასადამე, ყმასთან ნახშირი ეპითეტი „კაი“ ფართო გაგებისაა და თავის მხრივ შეიცავს ეპითეტებს: მამაცი, კეთილშობილი, სულგრძელი, სიმართლისმოყვარე და სხვ.

აი ზოგიერთი ნიმუში საგმირო ლექსების რკალიდან, სადაც „კაი ყმა“ აზრის სახელდებული:

მაშინ კარგია კაი ყმა,
რა დილა-ბინდი ღებოდეს,
იყვამდეს გრილსა რკინასა,
ომს ექვამ, ეზზადებოდეს¹⁹.

ან კიდევ:

კა ყმა, მგელი არწივი —
არც ერთ არ გაიწურთნება,
მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა²⁰.

ზოგჯერ კაი ყმა ცუდთან არის შეპირისპირებული:

კაი ყმა მაშინ გატყდების, რა ღვანო დაწვირდებისა,
ცუდი ყმა მაშინ გატყდების, რა ომი დაწვირდებისა²¹.

იშვიათად კაი ყმის ნაცვლად მოცემულია კარგი ყმა:

კარგია ყმა მაშინ კარგია, ხმალი რომ შეიქმს ელვასა,
მოციქულობდეს ისარი, შუბი აგდებდეს ენასა²².

ერთ-ერთ ლექსში ქალის ნათელი ადამიანური ღირსებები რომანტიკული ელფერის ეპითეტით არის შეფასებული. ეს ეპითეტი არის „ძვირფასი“, რომელიც აქ ზოგადი შინაარსით არის წარმოდგენილი:

დამ, ყველაზე ძვირფასო,
არაზე დაძვასდებია,
რომენ ძმასა ჰყავს შენფერი
რაც ქვეყანაზე დებია²³.

¹⁸ ხალხური სობრანე. IV. გვ. 95.

¹⁹ ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია. გვ. 87.

²⁰ იქვე.

²¹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული. ტფ., 1931, გვ. 124.

²² ვ. უშიაკიშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, მ. ჩიქოვანის რედაქციით. თბ., 1964, გვ. 176.

²³ ფშავესურული პოეზია, შედგენილი ივ. ხორნათლის მიერ, თბ., 1949, გვ. 233.

დადებითს საწინააღმდეგოდ უარყოფით ეპითეტს სატირული ფუნქცია აქვს განკუთვნილი და ადამიანთა მანკიერ თვისებებს ამოთრახებს. ამრიგად, მასში მკვეთრად არის შეჭრილი კრიტიკული ელემენტი.

შაირის ტიპის ლექსში გაიკვხვლია ინდივიდი, რომელიც ამბიციის სენით არის შეპყრობილი და ვიწრო ეგოიზმის ტყვეობაში იმყოფება. ეს ლექსი საზნეობო — დიდაქტიკურ ჩანაფიქრს შეიცავს. ამ მიზნით აქ ეპითეტი „ამპარტავანი“ სათანადო კუთხით არის მომარჯვებული:

პოიდან ღრუბელი დაეშო,
ოვე-თავექე დაეკილება,
ვეჯეკი ამპარტავანი
სილაღეს მოეკილება²⁴.

საოჯახო პოეზიის ერთ-ერთ ნიმუშში პატარძლის უღირს ხასიათს ეპითეტი აქი საკმაოდ მკაცრად განაქიქებს. აქაც საყურადღებოა ეპითეტის როგორც დახასიათების ეფექტური ხერხის იმანენტური ბუნება. ერთი ზედსართაული სიტყვის შეწუებით მოკლედ, მრავლისმეტყველურადაა მონიშნული უხსიკე პატარძლის ფსიქოლოგიური სამყარო:

აქი პატარძლის ყოლასა
სახადი სჯობს სახლშიათს.

დიდი სამამულო ომის ამსახველ ლექსში უარყოფითი ეპითეტები მომხდურ მტრის მზაკვრულ ბუნებას გამოხატავენ:

კავკასიონის კარიბჭე
ვერ დადმოლახა მტერმაო,
მტერს ავაზაკს და მუხანათს
სძლია ქართველმა ერმაო²⁵.

ზოგჯერ დადებითი და უარყოფითი ეპითეტები ერთსა და იმავე ტექსტში კონტრასტული პოზიციებიდან აჩვენებენ პერსონაჟთა დახასიათებას. ისინი ახლავან ურთიერთსაწინააღმდეგო, პოლარულ სიბრტყეებზე განლაგებულ ობიექტებს, რომელთა თვისებების აკვარგინანობაზეც ლექსში არის საუბარი. აქ ადგილი აქვს დადებით და უარყოფით ადამიანურ თვისებათა შედარება-შეპირისპირებას, მათ შორის არსებულ განსხვავებათა დადგენას. ასეთი შეპირისპირების ერთი ანალოგიური მაგალითი ზემოთ კაი ყმის ციკლის ლექსებში იყო გაანალიზებული.

ქვემოთ დამოწმებულ მინიატურულ ლექსში დაპირისპირების საფუძველს სიკეთე და ბოროტება წარმოადგენს. საკუთრივ ასეთ ანტითეზაზე არის აგებული ჭკვიანი და რეგვენი ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი;

ღეინომ თქვა ჭკვიანურმა
უცეცხლოდ ამოვღეღები,
ჭკვიანთან ბრძენთა ბრძენი ვარ,
რეგვენთა ნ-წამოვჩხუბლები²⁷.

²⁴ ხალხური სიტყვიერების მასალები. I, შეკრებილი ჯ. სონღულაშვილის მიერ, ე. ვირსალაძის რედაქციით. თბ. 1955, გვ. 222.

²⁵ აკვისი კრებული, 1898. № 5. გვ. 11.

²⁶ საკუთარი მასალებიდან. ავტორ-მთქმელი რ. ხარაზიშვილი, სიღნაღის რაიონი, დაბა წნორი, 1962 წ.

²⁷ ხალხური სიტყვიერების მასალები, I, გვ. 223.

ამ ნიმუშში გვაქვს ე. წ. განმარტობული ეპითეტები, რომელთაც საზღვრული სიტყვა არ ახლავს, მაგრამ იგი პოეტური კონტექსტის მიხედვით იგულისხმება (აქ ასეთი საზღვრული სიტყვაა „კაცი“, რომელიც ორივე ანტონიმურ ეპითეტთან არის ნავარაუდევია).

დადებითი და უარყოფითი ეპითეტები ზემოთ მოხმობილ ნიმუშებში უმუალოდ ადამიანთა შესაბამის თვისებებთან მისადაგებით არის მიმოხილული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვაქვს შემთხვევები, როდესაც ეს ეპითეტები სხვა ცოცხალი არსებისა თუ უსულო საგნის ჭეროვანი დახასიათებისათვისაა რეალიზებული. მაგალითად, აბსტრაქტული მოვლენის — ამინდის რავეკრობას გაღმოსცემენ საპირისპირო შინაარსის ეპითეტები — ავი და კარგი:

ავსა დარსა წვიმიანსა
კარგი დარი გვიჩვენება²⁸.

ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით ხალხური პოეზიის ბევრ ნაწარმოებში, სადაც დადებითი ან უარყოფითი ეპითეტი ცხოველებთან, ფრინველებთან თუ უსულო საგნებთან იხმარება და იგი აქ გარკვეულ მხატვრულ-შემეცნებითს ამოცანას ასრულებს.

ლირიკული და იდეალიზებული ეპითეტები. ეპითეტის განსხვავებულ ჯგუფს ლირიკული ეპითეტები ქმნიან. ამ ტიპის ეპითეტების უმრავლესობა დადებით შინაარსს შეიცავს და მათ ჩვეულებრივ ხოტბით-ექსპრესიული დანიშნულება აქვთ მინიჭებული. მართალია, ყოველ ეპითეტს დაკისრებული აქვს როგორც გამომსახველობითი, ისე ემოციური ფუნქცია, მაგრამ ლირიკულ ეპითეტებში წინა პლანზე ემოციური მომენტი არის წამოწეული. ლირიკული ეპითეტები ადამიანთა მძაფრ ფსიქოლოგიურ განცდებს გამოხატავენ, ასახაზავი მოვლენისადმი მთქმელის სუბიექტურ-ემოციურ დამოკიდებულებას ამყარებენ. არცთუ იშვიათად ლირიკულ ეპითეტს წინ უძღვის კითხვითი ნაწილაკი—რა. ეს საეპითეტო სტრიქონის საერთო ინტონაციურ შემართებასა და ექსპრესიულ დაძაბულობას აძლიერებს:

რა მშვენიერი რამა ხარ
დილაო, ჩენი მხრისაო²⁹.

აქ ეპითეტი „მშვენიერი“ ე. წ. გათიშული მსაზღვრელის სახით არის მოცემული. იგი საზღვრულისაგან („დილაო“) სხვა სიტყვებით („რამა ხარ“) არის გამოყოფილი. საზღვრული „დილაო“ მიმართვის ფორმით იხმარება, რაც მის ეფონიურ ელერადობას ხაზგასმით ამკვეთრებს.

სხვა ნიმუშში კი საზღვრულიცა და ლირიკული ეპითეტიც — ორივე მიმართვის ფორმითაა გამოხატული. კერძოდ, აქ გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობა:

ეპა, განთიად აღსდგები,
ცისკარო ნარგიზ ნარეეო³⁰.

აქაც მიმართვის ფორმა კიდევ უფრო ამაღლებს აღნიშნული ეპითეტის შინაგან ემოციურობას. ამ მომენტს ააქტიურებს ისიც, რომ საანალიზო ლი-

²⁸ ქართული ხალხური სიტყვიერება, კრესტომათია, შედგენილი ქს. სიხარულიძის მიერ, თბ., 1970, გვ. 43.

²⁹ საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, III, თბ., 1936, გვ. 134.

³⁰ ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 35.

რიკული ეპითეტი „ნარგიზნარეკო“ ლექსის ერთ-ერთ სარიტმო ცალს წარმოადგენს. ხოლო, როგორც ცნობილია, რითმაში სიტყვის სემასიოლოგიური და ექსპრესიული ფუნქცია იზრდება და ეს კი თავის მხრივ ლექსის პლასტიკურობასა და ღინამიკურობაზე შესაბამის ინტენსიურ ზემოქმედებას ახდენს.

ციტირებული სტრიქონები სატრფიალო პოეზიის ნიმუშიდან არის დამოწმებული, უნდა ითქვას, რომ ლირიკული ეპითეტი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სატრფიალო ლექსებში გამოიყენება. იგი ხშირად შეყვარებული ავტორ-მთქმელის სულიერ ექსტაზს განასახიერებს, სამიჯნურო ობიექტისადმი მის თაყვანისცემასა და აღტაცებას გადმოსცემს. ვიმეორებთ ამ კატეგორიის ეპითეტებში მეტწილად მიმართვის ფორმა არის რეალიზებული.

ქვემოთ მოყვანილ სატრფიალო პოეზიის ნიმუშში ლირიკული ეპითეტი „ლამაზო“ აგრეთვე მიმართვის ფორმას შეიცავს და სინარჩარით, გრაციოზულობით, ექსტაზით ხასიათდება:

ავაჰ, შენ, ქალო ლამაზო,
შუჭი გაქვს ნათელ მზისაჲში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნიმუშის შორისდებული „ავაჰ“, ისევე, როგორც წინა მაგალითის შორისდებული „ეჰა“, სალექსო ტაქტთა პოეტური ტემპერამენტის გამძაფრებას ითვალისწინებს.

საინტერესოა, რომ ლირიკულ ეპითეტ „ლამაზთან“ ხმარებული საზღვრული ობიექტების რიცხვი უაღრესად მდიდარია და მრავალფეროვანი. ისინი წარმოადგენენ როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებს, აგრეთვე განყენებულ ცნებებს. რა თქმა უნდა, ესა თუ ის ეპითეტი სულ სხვადასხვა საზღვრულთან არის გამოყენებული, მაგრამ ლირიკულ ეპითეტ „ლამაზს“ მასთან ხმარებულ საზღვრულთა რაოდენობის მიხედვით ქართულ ხალხურ ლექსებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

ამ ზოგადი დასკვნის საილუსტრაციოდ ჩვენ არასრული ნუსხით მოვიყვანთ შესაბამის ნიმუშებს, სადაც ლირიკული ეპითეტი „ლამაზი“ სხვადასხვა ხასიათის საზღვრულთან არის მისადაგებული. განსაკუთრებით დიდი სიჭარბით ეს ეპითეტი ქალთან არის გამოყენებული.

მამასადაჲვე, ლირიკულ ეპითეტთან „ლამაზი“ საზღვრულად გვხვდება:

ქალი

ვისია მწუანე კარავი,
კარებში არ ერეოდა?
ვისია ქალი ლამაზი,
ქალებში არ ერეოდა?³²

ვაჟი

სამგორისა ნიწორზედა
თეთრი ცხინი მოგოგავდა,
ზედ ბუკი იდა ლამაზი,
შეაარღენს თუ ქორსა ჰგავდაჲ.

ცხვარი

ცხვარო მაჲინ ხარ ლამაზი,
როცა რომ იწულებოდეჲ.

³¹ იქვე, გვ. 27.

³² ხალხური სტყვეობების მასალები, I, შეკრებილი ჯ. სონღუ ლამელიის მიერ, ელ. ვირსალის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 215.

³³ ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 56.

³⁴ თუმეტი პოეზია, შედგენილი ე. კოტეტიშვილის მიერ, თბ., 1950, გვ. 65.

მთა (აქ აღნიშნული ეპითეტი მრავლობით რიცხვშია)

მთებო, რა ლამაზები ხართ,
აყრილნი ლერწამ ტანითა!³⁵

დილა

გათუნდა დილა ლამაზი,
კეკელის თვალებს ჰგვანობდა³⁶.

კვირა

შენი კირივე ნინია,
შენი ლამაზი ჰქვისა³⁷. და ა. შ.

ზემოთ ნიყვანილი მაგალითები, რომლებთანაც ლირიკულ ეპითეტად ლამაზია რეალიზებული, თვით ამ მხატვრული კომპონენტის იმანენტუარი რაობის შესახებ მრავალ საგულისხმო ნიუანსს შეიცავს. ა. ვესელოვსკის ტერმინი რომ ეიხმარება, აქ თავს იჩენს ეპითეტის ე. წ. სუბესტიტური ბუნება, ანუ ეპითეტი იწვევს მთელ რიგ წარმოდგენებს. რომლებიც შინაგან გონებრივ წვდომასთან, შთავონებასთან არის დაკავშირებული.

კონკრეტულად საანალიზო ნიმუშებში სხვადასხვა საზღვრულთან ერთი და იმავე ლირიკულ ეპითეტ „ლამაზის“ მოხმობა განსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს შორის გარკვეული ნიშნის საფუძველზე ანალოგიურ-ასოციაციური კავშირების დამყარებით არის შეპირობებული. თუმცა საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე ყოველივე ეს წინასწარგამიზნულ ხასიათს არ ატარებდა. საკუთრივ ზემოაღნიშნულ ნაშრომში ა. ვესელოვსკი ანალიზებს რუსულ ხალხურ პოეზიაში გავრცელებულ ორ ანალოგიურ ფაქტს ЯСЕН СО-КОЛ-სა და ЯСЕН МЕСЯЦ-ს და მიუთითებს, რომ ამ ეპითეტების იგივეობრიობა (тождество) „გამომდინარეობდა არა გრძობითი შთაბეჭდილებებიდან, ადამიანსა და ბუნებას შორის შესაბამისობათა შეგნებულ ძიებრიდან. არამედ ჩვენი, კერძოდ პირველყოფილი ფსიქიკის, ფიზიოლოგიური განურჩევლობიდან“³⁸. ეპითეტის შეგნებული შინაარსობრივ-დიფერენცირებული აღქმა უფრო გვიანდელი ხანის მოვლენას წარმოადგენს.

როგორც უკვე შევნიშნეთ, ლირიკული ეპითეტი უსულო საგნებთან, განყენებულ ცნებებთანაც იხმარება. ასე, მაგალითად, ლირიკული ეპითეტი „წკრილა“ ერთ-ერთი სამწყემსო ლექსის მხატვრულ-ემოციურ ქსოვილს ამშვენებდა. აქ ის საზღვრულ ხმის თანმხლებლად გვევლინება. მას ტაეპებში შეაქვს რომანტიკული ილუმალებით აღსავსე ამალღებული ემოციურობა:

მწყემსმა ყინულის ქარაფზე
ხმა გავიგონე წკრიალა³⁹.

ხშირად ლირიკულ ეპითეტად მომარჩევებულია ზედსართავი „ტიალი“. იგი უფრო ფილოსოფიურ ლექსებშია რეალიზებული და წუთისოფელს მსაზღვრელად ერთვის. აქ ის მიწიერი ცხოვრების წარმავლობით გამოწვეულ სევდა-მწუხარებას ასახავს:

³⁵ იქვე, გვ. 67.

³⁶ ე. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია, გვ. 30.

³⁷ ქართულ მთელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვირსალაძის რედ. ქ. თბ., 1958, გვ. 240.

³⁸ А. Н. Веселовский. Историческая поэтика, гл. 88—89.

³⁹ გვ. „კომუნისტ“, 1962, № 16.

ტიალი წუთისოფელი
ხილვას არ გეაღის მზისასა⁴⁰.

ზოგიერთ ლექსში გვხვდება „ტიალის“ სინონიმური ლირიკული ეპითეტი „ოხერი“. ისიც ადამიანის შინაგანი ფსიქიკური განცდების ღრმა ემოციურ-გამომსახველობითი ძალით არის აღჭურვილი:

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორი იქნება ვეღებოღე⁴¹.

ლირიკული ეპითეტები საქმოდ უხვად მოიძებნება საგმირო, სატრფიალო, საყოფაცხოვრებო და სხვა თემატიკის პოეტურ-ფოლკლორულ ტექსტებში. აქ იგი ჭეროვანი პათოსით, ფაქიზ ხატოვანი მოზაიკით გამოირჩევა.

თავისი ესთეტიკური შინაარსით ლირიკულ ეპითეტებს უახლოვდება ე. წ. იდეალიზებული ეპითეტები. ამ ეპითეტებს ზოგიერთი მკვლევარი განაძლიერებელი ეპითეტების კატეგორიას აკუთვნებს⁴². მათში მკაფიოდაა განსწილი ავტორ-მთქმელთა აღტკინებული ფანტაზია, ცალკეული სიტყვის მაგიფრი ელვარება, ადამიანთა ეგზოტიკური სურვილები და მისწრაფებანი.

იდეალიზებული ეპითეტის სახით ქართულ ხალხურ ლექსებში უპირატესად „ოქრო“ არის რეალიზებული. უფრო ნაკლებად აქ ვხვდებით აგრეთვე—ვერცხლს, აღმასს, მარგალიტს და სხვ., რომლებიც აგრეთვე იდეალიზებულ ეპითეტებად არის წარმოდგენილი.

ქს. სიხარულიძე ნაშრომში „ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხები“ მნათობებთან დაკავშირებით ეხება ოქროს, ვერცხლის, ბროლის, ზტომუხტისა და სხვა ძვირფასი ქვების სიმბოლიკას და ასეუწის. რომ მათი სათავე უძველეს წარსულშია საძიებელი⁴³. „მითოლოგიური ტრადიციით ოქრო და სხვა ძვირფასი ქვები მზის ატრიბუტებია. ქალებს, რომლებიც მზეს ასახიერებენ, ოქროს თმები აქვთ. ბერძნული ჰელიოსი (მზე) ოქროს თმიანია. ოქროს მთესავი ქალიშვილი მზის სიმბოლოა“⁴⁴.

ოქრო როგორც მსაზღვრელი ფრიად პოპულარულია სააქენო-საძეო, საწესო ლექს-სიმღერებში, სატრფიალო პოეზიის ნიმუშებში. კერძოდ, ამ იშვიათ ლითონთან უძველესი ხალხური რწმენება დაკავშირებული, როდესაც ვიმეორებთ, პირველყოფილ ადამიანს ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები და სხვა ფერადი იშვიათი ქვები ციურ მნათობებად ჰქონდათ წარმოსახული⁴⁵.

ასტრალურ სხეულებთან ოქროს გატოლების მრავალმხრივ საგულისხმო ფაქტს ადვილი აქვს საკუთრივ „იავ ნანაში“, სადაც „ოქროს აქვანი“ და „ოქროს ქორი“ მხატვრული გარდასახვით ციურ მნათობებთან არის გაიგივებული⁴⁶. ზოგიერთ სხვა სააკუნო ლექს-სიმღერებშიც ოქრო ამავე მნიშვნელობით ფიგურირებს (მაგალითად, მეტაფორულ გამოთქმებში „ოქროს შანდალო“, „ოქროს გუთანო“⁴⁷ და სხვ., რომელთა აღრესატად აქენის ჩვილი გვევლინება).

⁴⁰ ხალხური სიმღერე. IV. გვ. 467.

⁴¹ ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. გვ. 21.

⁴² Б. М. Томашевский. Стихотворение и стихосложение. Л., 1959. გვ. 203.

⁴³ ქს. სიხარულიძე. ნარკვევები, I. თბ., 1958. გვ. 230—291.

⁴⁴ იქვე. აგრეთვე: А. Н. Афанасьев. Поэтическое воззрение славян на природу. I. М., 1865. გვ. 601—603.

⁴⁵ ქს. სიხარულიძე. ნარკვევები, I. გვ. 291.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ ვ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვერება, II, გვ. 207.

აზროვნების განვითარების შემდგომ საფეხურზე ხალხურ ლექსებში ოქრომ ამავე ასპექტით მხატვრული დანიშნულება შეიძინა და იგი იდეალიზებული ეპითეტის როლში გამოვიდა.

იდეალიზებულ ეპითეტს წარმოადგენს „ოქროსთმინანი“, რომელიც ულამაზესი ქალის კუთვნილებაა:

მოგვეყვის კობტა ქალი,
პირთერ, ოქროს თმინანი⁴⁸.

ოქროსთმინანი ქალი ქართული ხალხური ზღაპრების ტიპური პერსონაჟია. ვაჟეაყის მიმართ ნახმარია ოქროს უღვაში:

სახსოვად დანჩა თვალ-წარბი,
ოქროს უღვაში შენია⁴⁹.

სხვადასხვა თემატიკის ფოლკლორულ-პოეტურ ძეგლებში მსაზღვრელ-საზღვრულის სახით გვხვდებოდა: ოქროს გვირგვინი, ოქროს ქსოვილი, ოქროს ლოგინი, ოქროს საყურეები, სვეტი ოქროსი და სხვ. ყველა მათგანში ოქრო იდეალიზებული ეპითეტის როლს ასრულებს.

ასეთსავე მხატვრულ-ემოციურ ამოცანას ემსახურება ხალხურ ლექსებში საზღვრულად ხმაკრებული ვერცხლი. იგი ერთ-ერთ საქორწილო სიმღერაში დედოფლის მობრძანებით გამოწვეულ საზეიმო ვითარებას გვიჩვენებს:

სახლი დავდი ვერხვისაო,
საძირკველი ვერცხლისაო,
ქ დედოფალი მობრძანდა
ბედნიერი შეხისაო⁵⁰.

ზოგჯერ ოქრო და ვერცხლი იდეალიზებულ ეპითეტებად ერთად არის გამოყენებული:

ნეტავი რადმე მაქცია,
ბულბულად გადამაქცია,
ბულბულის ენა მასწავლა,
ბალებში შემომაჩვია,
დავეყონო ოქროს კონები,
დაფერო ვერცხლის წყალშია⁵¹.

ანალოგიურ შემთხვევას აღვილი აქვს ლექსში „ნატვრა“⁵² და სხვ. იდეალიზებულ ეპითეტად იშვიათად გვხვდება ალმასიც:

ალმასის ფანჯარაშია
ქალ დავინახე პირი მე⁵³.

ლექს-სადღეგრძელოში ალმასი, ვერცხლი და ოქრო ერთად ქმნიან მთქმელის ფანტაზიით აშენებული სანუკვარი სასახლის ცალკეულ ნაწილებს. ტექსტში აღსანიშნავია იდეალიზებულ ეპითეტთა თვალისმომჭრელი ნათება. აქ

⁴⁸ საკუთარი მასალებიდან. მოქმელი ნ. ბაიდაური. თიანეთის რაიონი. ს. ვეფხტი

⁴⁹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 219.

⁵⁰ ხალხური სიმბრძნე, IV, გვ. 290.

⁵¹ იქვე, გვ. 332.

⁵² იქვე, გვ. 359.

⁵³ იქვე.

ხალხური ავტორის ფერწერული ხატვის ხელოვნება საუცხოო მხატვრულ-ესთეტიკურ ეფექტს აღწევს:

მაღალმა ღმერთმა შენ მოკვცს
 ალმასის დერფანები,
 ვერცხლის ღებამოძი ევგას,
 ზედ ოქროს ვასაყარებინა⁵⁴

ზოგჯერ ავტორ-მთქმელი ქალის სილამაზის დახატვის მიზნით იდეალიზებულ ეპოპეტებს ბროლსა და მარგალიტს მიმართავს:

ღაწერა ბროლის თითსა,
 მარგალიტის ბაგე-კბილსა⁵⁵.

აქა-იქ მარგალიტი ცრემლს განსაზღვრავს:

ხარმა შესტირა გამჩენსა
 მარგალიტისა ცრემლითა⁵⁶.

მარგალიტის ცრემლები საერთაშორისო ფოლკლორული გავრცელებისაა. ა. ნ. აფანასიევის ცნობებით მარგალიტის ცრემლები კერძოდ რუსულ, ლიტვურ და ფინურ გადმოცემებში სხვადასხვა ვარიაციით დასტურდება⁵⁷.

იდეალიზებულ ეპითეტებად გვხვდება აგრეთვე — იაგუნდი, აბრეშუმი და სხვ.

იდეალიზებულ ეპითეტებად გამოყენებული იშვიათი ლითონები თუ ძვირფასი ფერადი ქვები როგორც წარმოშობით არსებითი სახელები საზღვარულთან ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვაშია ჩაყენებული. აქ ისინი არა რეალისტური, არამედ ფანტასტიკური იერით არიან აღჭურვილნი და ეს კი მათს შინაარსობრივ თავისებურებაზე მიანიშნებს.

ფსიქოლოგიური და განყენებული ეპითეტებით. ფსიქოლოგიური ეპითეტებო ადამიანის ე. წ. „საგნობრივი გრძნობების“ ანუ ემოციების მრავალფეროვან გამოვლინებებს ასახავენ. საერთოდ ემოცია როგორც ფსიქიკური პროცესი სუბიექტის შინაგან სულიერ მდგომარეობას გამოხატავს.

როგორც ცნობილია, ემოციებს განეკუთვნება: სიხარული, სიძულვილი, შიში, რისხვა და სხვა მსგავსი განცდები. დასახელებული გრძნობები, როგორც აღვნიშნეთ, სუბიექტურია და სიღრმისა და ინტენსიუობის სხვადასხვა ხარისხით განსხვავდება. ამასთან ერთად, „გრძნობათა სპეციფიკურ თვისებას მათი პოლარული ხასიათი შეადგენს. გრძნობებს ერთიმეორის საწინააღმდეგო პოლარული მიმართულება ახასიათებს. ყოველი გრძნობა ან დადებითია ან უარყოფითი. ან სიამოვნების ან უსიამოვნების ელფერს ატარებს: სიხარული-მწუხარება. სიყვარული-სიძულვილი, მხიარულება-მოწყენილობა და ა. შ.“⁵⁸, — წერს რ. ნათაძე.

საქორწილო სიმღერაში გამოყენებული ეპითეტები დადებით ემოციას — სიხარულს გადმოგვცემენ:

ზე ვარ მახართბელი,
 სახლის გამხარებელი⁵⁹.

⁵⁴ იქვე, გვ. 273 — 274.

⁵⁵ იქვე, გვ. 362.

⁵⁶ ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 151.

⁵⁷ А. Н. Афанасьев, Дакия, Мәскәү, გვ. 603.

⁵⁸ რ. ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1969, გვ. 256.

⁵⁹ ხალხური სიბრძნე, IV, გვ. 290.

სიხარულის პოლარულ გრძობას — მწუხარებას გვამცნობს სხვა ფსიქოლოგიური ეპითეტი:

უშუა ჩემი ძმობილი, მეწინავე ზაუ (ქანა-
ამბობენ მწუხიარესა ნაჭრეებისგან კრელიან⁶⁰.

ფილოსოფიურ ლექსში სიყვარული როგორც დადებითი ემოცია განზოგადებულ ხასიათს ღებულობს და იგი სათანადო ეპითეტოთა აღნიშნული:

ნეტავი შამატყობინა
ნამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარული ცოლ-ქმარი
უღროოდ რისთვის გაყრილან⁶¹.

სიყვარულის საპირისპირო გრძობა-სიძულვილი სატრდიალო ლექსში „წიგნი არ მიმიწერია“ ასევე შესაბამისი ეპითეტოთა ფორმულირებული:

შაკითხვა არ შემითელია
პირმთვარე ღამაზისთვისა,
მოძულეებულსა ამბობენ
ნეტა ვიცოდე რისთვისა⁶².

ასევე ქართულ ხალხურ ლექსებში ჯეროვანი ეპითეტებით ვაღმოცქეულია სხვა ფსიქიკური განცდებიც — აღტაცება, სევდა, გაჯავრება და ა. შ.

ეროვნული პოეტური ფოლკლორის ძეგლებში შედარებით იშვიათად შეინიშნება განყენებული ეპითეტი. იგი თავისებურ რთულ აბსტრაქციულ შინაარსს შეიცავს. ამრიგად, სხვა ეპითეტთა უმრავლესობისაგან განსხვავებით იგი საგანთა ნიშნებისა და თვისებების კონკრეტულ-რეალისტურ აღქმას არ ემყარება. აღნიშნული ტიპის ეპითეტი უფრო ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშებისათვის არის ნიშანდობლივი, მაგალითად:

ბინდის ფერია სოფელი
უფრო და უფრო ბინდებ⁶³.

ვ. კოტეტიშვილი ამ ეპითეტს ანიმისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე შექმნილ მხატვრულ სახედ მიიჩნევს⁶⁴.

მუდმივი და დიალექტური ეპითეტები. მუდმივი ეპითეტი პოეტური ფოლკლორის ტექსტებში ტიპიურ ხასიათს ღებულობს. მისი ჩამოყალიბება ძირითადად კონკრეტული შინაარსის დაკარგვით არის პირობადებული. ამ მომენტზე საფუძვლიან მოსაზრებას გამოთქვამს ლ. ტიმოფევი. რომელიც საილუსტრაციო მასალად ხალხურ ლექს-სიმღერებს იშველიებს. იგი წერს: „ჩვენ შეიძლება შევხედეთ ეპითეტს მიერ კონკრეტული შინაარსის დაკარგვას. ეს შეინიშნება ეგრეთ წოდებული მუდმივი ეპითეტების მაგალითზე ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში, სადაც ეპითეტი იმდენად მკიდროდ შეეზარდა მის მიერ განსაზღვრულ სიტყვას, რომ ამ სიტყვისაგან განუყოფელი ხდება“⁶⁵.

როდესაც ეპითეტის შინაარსის ევოლუციას აანალიზებთ. ა. ვესელოვსკი ამ ევოლუციის ერთ-ერთ გამოვლინებაზე — მუდმივ ეპითეტზეც ჩერდება.

⁶⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული. ტკ., 1931, გვ. 142.

⁶¹ ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. გვ. 145.

⁶² ხალხური სიბრძნე, IV, გვ. 362.

⁶³ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია. გვ. 25.

⁶⁴ იქვე, გვ. 321.

⁶⁵ Л. И. Тимофеев, Основы теории литературы. М., 1963, гв. 207.

იგი მიუთითებს, რომ ეპითეტის ფუნქცია — საგნის დამახასიათებელი ნიშნის ფიქსირება ზოგჯერ თვით ეპითეტის მუდმივობაში გადაიზრდებოდა. მუდმივი ეპითეტების უხვ ნიმუშებს ბერძნული, სლავური და შუა საუკუნეების ევროპული ეპოსი შეიცავს⁶⁶. „ჰომეროსთან ზღვა ბნელია ან ნაცრისფერი, თოვლი ცივია... ცა ვარსკვლავიანი, მთვარიანი... რუსულში: поле чистое, ветры суйные, пески силучие, леса дремучие, саля острая... сизый сред, ясный сокол, ретиво сердце... ჩრდილოეთის ეპოსში: ბნელი ტყე, ცივი ტალღები, ლურჯი ზღვა“...⁶⁷

ქართული ხალხური პოეტური ტექსტების მიხედვით მუდმივი ეპითეტის ნიმუშები გვხვდება, მაგალითად, ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მსაზღვრელ-საზღვრულის გაქვავებულ ფორმულებში: „ქალი ლამაზი“ და „კაი ყმა“. აქ ასეთი ტიპის ეპითეტებია „ლამაზი“ და „კაი“, რომლებიც თავ-თავის საზღვრულთან მუდმივადაა შეზრდილი.

მუდმივ ეპითეტს წარმოადგენს „მოვის“, რომელიც ხალხურ ლექსებში ჩვეულებრივ პერანგთან იხმარება:

წყალსა დახრხო კაბუცი,
ჰორხზე ვეღო, ჭანობდა,
წითელი მოვის პერანგი
ზევიდან დაფარფარობდა⁶⁸.

ან კიდევ:

იპისი მოვის პერანგი
პერალ მოედო ზღვასაო⁶⁹.

ერემლი ცხარეა:

გატარა ცხარის ერემლითა
წღვისთენიან შამარეინა⁷⁰.

სხვა მაგალითი:

ვინა ჰყავს ყურის მგდებელი,
ვინ დააფრქვევს ცხარე ერემლსა⁷¹.

ტექსტურებში ჩაწერილ ლექსებში ფარის მუდმივი ეპითეტია „ქუჩუმიანი“:

ბერამაე ტყეში ჩაილა ქუჩუმიანი ფარო⁷².

ან კიდევ:

ელია-წმინდას დაქუნდა ქუჩუმიანი ფარო⁷³ და ა. შ.

საერთოდ ქართულ ხალხურ ლექსებში მუდმივი ეპითეტები გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულებში: გიშრის თმა, ბროლის თითები, გორდა ხმალი. თეთრი ქორბაი ხარი და სხვ.

რა თქმა უნდა, ჩამოთვლილ საზღვრულებთან სხვა ეპითეტებიც არის გა-

⁶⁶ А. И. Веселовский. Историческая поэтика. გვ. 78.

⁶⁷ იქვე, გვ. 79.

⁶⁸ ი. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. გვ. 32.

⁶⁹ იქვე, გვ. 78.

⁷⁰ ხალხური სიტყუერება. I. 1918, გვ. 133.

⁷¹ ს. უშიკაშვილი, ხალხურ სიტყუერება, II. გვ. 161.

⁷² ა. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია, გვ. 2.

⁷³ იქვე, გვ. 5.

მოყენებული, მაგრამ მათთან მაინც უმთავრესად ე. წ. მუღმივი ეპითეტები იხმარება.

დიალექტური ეპითეტებია ხალხური პოეტიკის სპეციფიკური მოვლენას წარმოადგენს. ეს სპეციფიკური მოვლენა კი აიხსნება იმით, რომ ფოლკლორული ნაწარმოები, როგორც წესი, საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივი დიალექტების საფუძველზე იქმნებოდა და ამდენად ამ ნაწარმოებში ადგილობრივი შინაარსის სიტყვებსა და გამოთქმებს, მათ შორის ადგილობრივი მნიშვნელობის ეპითეტებს, სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი. „ზოგჯერ სიმღერაში ხვდებოდა ადგილობრივი ეპითეტები, ე. ი. რომელთა მნიშვნელობა ტერიტორიულად იყო შემოსაზღვრული. მოცემული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ფარგლებს იქით ისინი გაუგებარი იყო. საჭირო ხდებოდა მათი სპეციალური ახსნა-განმარტება“⁷⁴, — წერს ამასთან დაკავშირებით ვ. სიდელნიკოვი.

ქართულ ტრადიციულ ხალხურ ლექსებში დიალექტური ეპითეტების მრავალფეროვნება ადგილობრივ კილოკავზე მოლაპარაკე კუთხეთა მრავალფეროვნებით არის შეპირობებული. ამიტომაცაა, რომ ფშავში ჩაწერილ ხალხურ ლექსებში ფშავური წარმოშობის ეპითეტები გვხვდება, გურიაში ჩაწერილ ტექსტებში — გურული წარმოშობისა და ა. შ.

მაგალითად, ფშავში ფიქსირებულ ლექსში გვხვდება დიალექტური ეპითეტი „ლიტა“:

ფოთოლათ მერცხალი ვარ ურძნის ჯიხვით ლიტათ⁷⁵.

„ლიტა“ ფშავურ ლექსიკაში განეკუთვნება და ტიტველს ნიშნავს. ხევსურეთში ჩაწერილ ლექსში:

კვირავს გათენებადა
რა მონა დაღვა ღარია⁷⁶.

დიალექტური ეპითეტი „მონა“ ნიშნავს ცუდს. კახეთში მოპოვებულ პოეტურ ნიმუშში:

ორღობე ამოვიარე
ჩემის ყომრალის ჯიხითა⁷⁷.

ადგილობრივი ეპითეტი „ყომრალი“ რუხის ფერის მნიშვნელობით არის ნახმარი.

იმერეთში ფიქსირებული ლექსის სტრიქონები:

შენი რძალი მე მინახავს
ლაშაი და კვიციანათ⁷⁸.

შეიცავს ეპითეტს „კვიწინა“, რაც კეკელუს, კოპწიას აღნიშნავს.

ასევე დიალექტურ ეპითეტებად გვევლინება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადასტურებული ზედსართავები, რომლებიც ხალხურ პოეტურ ნიმუშებშია გამოყენებული: ლაქარდიანი, ოჩობედა, სისვი, საღარი, ჩიკოტელა და სხვ.

⁷⁴ В. М. Сидел ьников, Поэтика русской народной лирики, გვ. 87.

⁷⁵ ხალხური სიტყვიერება, III, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, მ. ჩიქოვანიის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 194.

⁷⁶ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 280.

⁷⁷ ხალხური სიტყვიერება, I, 1918, გვ. 119.

⁷⁸ იქვე, გვ. 18.

ტრადიციულთან შედარებით თანამედროვე ფოლკლორულ წყობილსიტყვიერ ტექსტებში დიალექტური ეპითეტები ნაკლებად არის წარმოდგენილი.

ქართული ხალხური პოეზიის რეპერტუარში ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე — ჰიპერბოლური, მეტაფორული, მეტონიმიური, პეიზაჟური და სხვ. ტიპის ეპითეტები, რომლებსაც ასევე გამომსახველობითი და ექსპრესიული ფუნქცია აქვთ დაკისრებული. მათშიც მკაფიოდაა შეჭრილი შემეცნების ელემენტები და ზემოთ განხილული ეპითეტების მსგავსად ისინიც აღამიანთა ინტელექტუალური განვითარების სათანადო დონეზე მიუთითებენ.

აქვე ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ ეპითეტი ქართულ ხალხურ ლექსებში საკმაოდ ხშირ გამოყენებას პოულობს. სხვადასხვა ასპექტის მიხედვით ეპითეტების შესაბამისმა გაანალიზებამ ცხადი გაზადა ის მხატვრულ-ემოციური ნაირგვარობა, რაც გამოსახვის ამ სტილისტიკურ ხერხს ახასიათებს. ამასთან ეპითეტი პოეტური არსენალის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს და ამა თუ იმ თემატიკისა თუ ეპოქის წყობილსიტყვიერ ტექსტებში ჰარბ ტრადიციულობას ამჟღავნებს. ეს მომენტი კი თავის მხრივ ადასტურებს იმას, რომ ე. წ. მხატვრულ სახეთა ფოლკლორულ-მემკვიდრეობითი ფაქტორი ეპითეტების მიმართ გარკვეული კოლორიტულობით არის წარმოჩენილი. ტრადიციული ეპითეტების გვერდით აქა-იქ გვხვდება შედარებით ორიგინალური ეპითეტების შემთხვევებიც, რაც განსაკუთრებით თანამედროვე ქართულ ხალხურ ლექსებში შეინიშნება. ეს ყოველივე კი საერთოდ მხატვრული სახის, როგორც ესთეტიკური ფენომენის. ევოლუციურ ხასიათზე მიანიშნებს, რაც აქ კონკრეტულად ეპითეტის მიხედვითაც სათანადო კანონზომიერებით ვლინდება.

Г. Е. ШТЕКАУРИ

ЭПИТЕТ В ОБРАЗЦАХ НАРОДНОЙ ПОЭЗИИ

Резюме

Эпитет часто используется в народно-поэтических текстах, где он несет должную фигурально-эмоциональную нагрузку. Этот стилистический прием характеризуется разнообразием своей имманентной функции — здесь подразумеваются такие конкретные виды его выявления, как хвалебные, отрицательные, лирические и др. эпитеты. К их числу относятся и так называемые территориальные эпитеты.

В исследовании на материале грузинской народной поэзии обобщены и проанализированы отдельные факты использования эпитетов в фольклорно-поэтических текстах и сделаны соответствующие выводы, вытекающие в таких случаях из сущности этого средства художественного изображения.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ნოზომიან ჯიჟაარიანი

ხაყანის წერილები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის

1. ხაყანი შარვანელის (1120—1199 წწ.) პოეტური მემკვიდრეობა ქართულ (ქრისტიანულ) სამყაროსთან მიმართებაში საკმაოდ დამუშავებულია და შესწავლილი (იხ. ი. მარის¹, კ. ჩაიკინის², კ. კეკელიძის³, ალ. ბარამიძის⁴, დ. კობიძის⁵, ა. ბოლდირევის⁶, ა. გვახარია⁷, ჯ. სტეფანაძის⁸, დ. ალიევას⁹, ზ. ბუნიატოვის¹⁰ და სხვათა გამოკვლევები). რაც შეეხება ხაყანის ეპისტოლურ მემკვიდრეობას, იგი ჯერ კიდევ უცნობია ქართველი საზოგადოებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს პროფ. მ. თოდუას მიერ თარგმნილი და სათანადო კომენტარებით აღჭურვილი ხაყანის ორი წერილი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „საუნჯეში“¹¹. ხაყანის და საერთოდ მე-12 საუკუნის ე. წ. შარვანის ლიტერატურული სკოლის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა კი ფრიად საჭირო და საშური საქმეა.

ცნობილი ფაქტია, ხაყანის მკვიდრო და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა მიწ. თანადროულ საქართველოსთან, რომელსაც ის „აფხაზეთად“ მოიხსენიებს, მაგრამ მისთვის და იმ ეპოქის სპარსულენოვანი სამყაროსათვის „აფხაზეთი“ ყოველთვის „საქართველოს“ ტოლფარდი სიტყვაა¹². ეს რომ ასეა, აქვს მისი პოეტური შემოქმედება ამტკიცებს. ერთ-ერთ ცნობილ რობაიში ხაყანი წერს:

„ქრისტიანობიანი (თმადწული) ბერძნული სახის მქონე (ლამაზი) სატრფოს ეშხით აფხაზეთში დაესახლდები და ქართულად ავლაპარაკდები“¹³.

იგი მთელ თავის პოეტურ შემოქმედებაში იჩენს არაჩვეულებრივ სიათბოს და კრძალვას, სიყვარულსა და პატივისცემას საქართველოსა და მისი სამეფო კარისადმი, მაგ.:

„აფხაზეთი მალრიბის საზღუართანაა და მეფის სასახლე ზღვია“¹⁴
 „ხაყანი და ხაყანა (შარვანშაჰი). მტყერის ნაპარა და თბალისი.
 „ჯიქუნელ იქცა მტყეარი და თბალისი სამარყანდალ“¹⁵.

„როდესაც შაჰი (შარვანშაჰი) დაბრუნდა ღღესასწაულიდან აფხაზეთით, გეიბრძანა შეუდღეს გავევლო ეკლესიაში“¹⁶.

„აფხაზეთი“ ავონდებოდა პოეტს უღიდესი შეჭირვების ქაშა:

„საით გავიქცე — ერაყის თუ არანის მხარეს,
 საით წავიდე — აფხაზეთს თუ დარუბანდს“¹⁷.

ხაყანი შარვანშაჰ ალსართანისადმი. მიძღვნილ ყარადაში უწოდებს მას აფხაზეთისა და რუმის დამპყრობს: ...*اچاخ بدست آوری و روم گشای*...

„აფხაზეთი ხელთ იგდე და რუმი დაიპყარო...“¹⁸

ეს, ალბათ, წარმოადგენდა უმაღლეს ქებას და ანალოგია გვაქვს ნიზამისთან — „ნიზამი თავისი პოემის „საიდუმლოებათა საგანძურის“ წინასიტყვაობაში აღიღებს ბაპრამ-შაჰს, რისთვისაც მას მიაწერს არჩადენილ გმირობებს

და უწოდებს „რუმისა და აფხაზეთის დამპყრობს“. ეს, როგორც ჩანს, უმაღლეს ქებას წარმოადგენდა¹⁹.

ასევე შარვანშაჰ აღსართანისადმი მიძღვნილ ყასიდაში ამგვარად აქებს მას: «شاه بقرایان مظفر از اوست» (ბაგრატიონთა მეფე) — «მეფე ბაგრატიონი მისით არის გამარჯვებული»²⁰. ეს ნაწილობრივ ქართველი მეფის ქებაცაა: საქართველოს მეფე (ბაგრატიონი), რომელსაც ჰყავს შენსავით ძლიერი ქვეშევრდომი, ამიტომაც არის გამარჯვებული, ძლევა მოსილი.

ცნობილია ხაყანის ყასიდა „ქება კეისრისა, რომელ არს ვანი სარწმუნოებისა, ძალა სახელმწიფოსი, დიდი მესია რუმისა, თქმული პატიმრობისა და ტყვეობის ვაებისაგან თავის დაცვისა, დახსნისა და დახმარების იმედით²¹, რომელიც თარგმნა ი. მარამა რუსულად და სათანადო კომენტარები დაურთო²².

ეს ცნობილი ყასიდა საინტერესოა იმით, რომ შაბარანის ციხეში გამოკეტილი პოეტი მოიხსენიებს საქართველოს ისტორიულ ადგილებს (აფხაზეთს, მუხრანის ტაძარს, ნაჭარმაგვეს) და, როგორც ი. მარი ფიქრობს, ამით სურს ანდრონიკ კომნენის მეშვეობით თავი შეავადროს გიორგი მესამეს. უფრო მოსალოდნელი იყო, რომ მას გიორგი მეფის შესახებ დაეწერა ქება (ყასიდა), რადგანაც შარვანშაჰი გიორგი მეფის ყმადნაფიცი იყო და მას უფრო მეტი დახმარება შეეძლო გაეწია ხაყანისათვის. მით უმეტეს, რომ ჩვენ ვიცით, ხაყანის აქვს ოდა დემეტრე I შესახებ. შესაძლოა ოდესმე აღმოჩნდეს ხაყანის ოდა გიორგი მეფისადმი. საინტერესოა, რომ ხაყანის ღივანში აღმოჩნდა ანდრონიკ კომნენისადმი მიძღვნილი მეორე ოდა (ყასიდა): «თავის ტყვეობის პერიოდში ამბობს თახალოსს (ყაიიდის გარდამავალ „ნასიბსა“ და „რადას“ შორის ნაწილს, ნაწყვეტს), ქებით რუმის დიდებას, მესიის ვანს, სახელმწიფოს დიდებას უწოდებს და გათავისუფლებას ითხოვს მისგან»²⁴.

ყასიდა იწყება ამგვარად:

„ჩემი დღეები ჩაიძირა მწუხარებისაგან, გამზიარებელი არავინა მყავს, საიდუმლო ამოვიდა გულიდან, გულწარმტაი (ვისაც შეიძლება გავენლო) არა მყავს...“

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ამ ყასიდის ერთი ადგილი (პოეტი მიმართავს რუმის კეისარს — ანდრონიკ კომნენს):

„ეი, შენი ქვეყნის ფალავანო, დავითიანების გვარისა, თუშუა მდაბიო ეარ, მაგრამ ცული გვარი არა მაქვს...“²⁵

ეს სტრიქონები ამტკიცებენ ი. მარის ვარაუდს, რომ ხაყანის სურდა კომნენის მეშვეობით მოეხდინა ზეგავლენა გიორგი მეფეზე.

იასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ხაყანის სიმპათიებს საქართველოს მიმართ ზეგარდასტავს რამესთან ერთად განაპირობებდა, ალბათ, ისიც, რომ მას მფარველობას უწევდა დაკით აღმაშენებლის ასული თამარ, რომელიც შარვანშაჰს მანუჩქორის მეუღლე იყო. ხაყანის აქვს მისადმი მიძღვნილი ლექსები, სადაც მას „ხათუნე ალემს“ — სამყაროს, ქვეყნიერების ხათუნს უწოდებს²⁶. მანუჩქორის გარდაცვალების შემდგომ, როდესაც ხაყანი დევნას განიცდის, მისი ერთადერთი ნუგეში და მფარველი თამარ შარვანის დედოფალია.

6. დაბოლოს არის 'მემთხვევები, როდესაც თარგმანის დამოკიდებულება სათარგმნ ენაზე ვლინდება მთარგმნელის შეცდომების გზით, როდესაც ხან და ხან ორიგინალის ესა თუ ის სიტყვა თუ ნაწილაკი უთარგმნელად გადმოდის თარგმანში, ან წარმოდგენილია მისი არასწორი თარგმანი. მაგალითად:

- a. SB რომელმან პოვა იამინი უღაბნოსა.
- რომელმან პოვა იამენი უღაბნოსა.
- მრ ხეჩო ფაყჩირნ ქონაყოითქ;
- მზ ეჟიოუ აზხუ აჟმეუ ზე აჟ ზეჟმა. ღბდ. 36₂.

ებრაული *ჰაიმინ* (-იმ მრავლობითობის სუფიქსით) ნიშნავს „წყაროს“ „თბილ წყლებს“, ბერძნულში იგი უთარგმნელად არის გადასული ამდენად იგი აქ ებრაინზს ან სირიზს წარმოადგენს, ხოლო ქართულში — ბერძნოზმს.

- b. S რათა მოეგებოდის მას კათერონ ქალაქად ქუეყანასაა რამესასა.
- რათა მოეგებოდის მას კათერონ ქალაქსა, ქუეყანასა რამესასსა.
- B ...მიგებბად მისსა, ირონს თანა ქალაქსა ქუეყანასა რამესასასა.
- ჴაჟ მნაჟ რიჟ ათაჟ ვრჟაჟ რაჟიროსნ ქსჩქირნ მრამსაჟ.
- ...ստսսւհիւսაი უնჟჳ ԿԻՄ՝ ԿԻՐԻՄ ԵՆ ԴԻ ԲԱՄԱՀԻ. ღბდ. 46₂₂.
- S და აღვიდა შემთხვევად იაკობისა, მამისა თვისისა, კათერონ ქალაქად.
- და აღვიდა შემთხვევად იაკობისა, მამისა თვისისა, კათერონ ქალაქსა.
- B და განვიდა მიგებბად ისრაჴლისა მამისა თვისისა, ირონს თანა ქალაქსა.
- სა სჟ რიჟ ათაჟ სარაქიქი ჩორ ქორიჟ ვრჟაჟ რაჟიროსნ.
- ...ստსჳիւսაი ԵՆ ԴԻ ԲԱՄԱՀԻ ԿԻՐԻՄ ԵՆ ԴԻ ԲԱՄԱՀԻ. ღბდ. 46₂₃.

მცხეთური და ოშკური ბიბლიების კათერონი საპირისპიროდ ბაქარიკეული ირონისა შეიცავს, როგორც ეს აღნიშნული აქვს ოშკურის მიმართ აკად. აკ. შანიძეს ბერძნულ *κατα* წინდებულსაც, რომელიც მთარგმნელს ქალაქის სახელთან შერწყმული გადმოუტანია ქართულში, ე. ი. ბერძნულ წინდებულს უთარგმნელად შეუღწევია ქართულ ტექსტში. სომხურ ბიბლიაში კი შებრუნებულ მოვლენას აქვს ადგილი: ნათარგმნია ქალაქის სახელიც და შესაბამის ადგილას ვკითხულობთ *ვრჟაჟ რაჟიროსნ* „გმირთა ქალაქთან“.

- a. S და უმოქცეულნი მოვიდეს ქუეყანად კერისისა ესე არს კადე.
- და მოიქცეს და მოვიდეს წყაროსა მას საშქელისასა, ესე იგი არს კადე.
- B და უმოქცეულნი მოვიდეს წყაროსა სასქელისასა. ესე არს კადე.
- სა იარჳანს სქისნ ქაგჩქირნ იათათათანსი თქნ სქნს ჳჳ Կაგჳ.
- Και ἀνατρεψαντες ἡ.θ.ι.σ.α.ν. ἐπὶ τοῦ περὶ τοῦ τῆς κρισεως, (ამთე ეპეის აზმეჟ). ღბდ. 14₁.

ოშკის ბიბლიაში წარმოდგენილი ტექსტი შინაარსობრივად სწორ მიზართებაშია სომხურ-ბერძნულ შესაბამის ადგილთან, მცხეთურ ბიბლიაში კი აშკარად ტექსტის მცდარ გაგებასთან გვაქვს საქმე. მცხეთური მცდარი წაკითხვის წყაროს, ვფიქრობთ, ბერძნული ტექსტი წარმოადგენს. *ἐπὶ τοῦ περὶ*

1 აკ. შანიძე, წიგნი ძველისა აღთქმისანი, ტ. I, ნაკვეთი 1, თბილისი, 947, გვ. X111.

რე; ჰრ:ძეაჲ ადგილის თარგმნისას მთარგმნელი, როგორც ჩანს, რჳს პიყჳს „წყაროს“ სიტყვის პირველ მარცვალს სტოვეებს და კითხულობს რჳს ჳჳს-ს „ქუეყანას, მიწას“. ეს იწვევს მომდევნო სიტყვის გადააზრებას გეოგრაფიულ სახელად და ნაცვლად „წყაროსა საშუელისასა“ ვიღებთ „ქუეყანად კერძისას“.

დ. S განვიღა რუბენ დღეთა ზა ფ ხ უ ლ ი ს ა ს ა ც ხ ე ლ ს ა და პოვა ვაშლი მანდრაგორა. O განვიღა რუბენ დღეთა მკისა იფქლისათა და პოენა მან მანდრაგურნი.

B ხოლო წარვიღა რუბენ დღესა ზაფხულსა მკისასა და პოვა ვაშლი მანდრაგორისა.

ზნაჲ მიოქსი კაიოკა ჩნბიჲ ვირხნიჲ ს სქიო ჯნბიჲ მანგერაფიჲს.

Ⲡⲉⲓⲣⲟⲥⲁⲛⲉⲓⲛⲉ ⲙⲉⲣⲟⲩⲙⲉⲛ ⲉⲛ Ქⲓⲙⲉⲣⲓⲥ; ⲙⲉⲣⲟⲩⲙⲉⲛ ⲡⲁⲣⲁⲛ ⲛⲁⲓ ⲛⲁⲛⲉ ⲙⲉⲣⲓⲥ ⲙⲁⲛⲛⲉⲣⲁⲥⲣⲉⲛⲁ.

დბდ. 30₁₄.

აქაც, მსგავსად ზემოთ განხილული შემთხვევისა, მცხეთურ ბიბლიაში ბერძნული ტექსტის მცდარ გაგებასთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაშიც ბერძნული ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა წარმოშობილიყო ამ ადგილის მცდარი გაგება. ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: *ἐν ἡμέραις ἡμεραιῶν παρθῶν* ეს ნიშნავს: „დღეთა მკისა იფქლისათა“, როგორც სწორად თარგმნის ოშკური ტექსტი. ἡ ἡμεραιῶν ნიშნავს მკას. ბერძნულში არსებობს ბგერობრივად ამ სიტყვასთან ახლოს მდგომი სიტყვა *ἡμεριῶν*, „ზაფხულისა“. როგორც ჩანს, მცხეთური ხელნაწერის მთარგმნელმა ეს მეორე სიტყვა ამოიკითხა მცდარად. ერთი სიტყვის მცდარმა წაკითხვამ კი მეორე სიტყვას მცდარი გაგება გამოიწვია: *παρθῶν* მიიჩნია ἄθ *παρ* „ცეცხლის“ ნათესაობით ბრუნვად.

Е. И. ДОЧАНАШВИЛИ

ГРЕЦИЗМЫ КНИГИ БЫТИЯ «МЦХЕТСКОЙ БИБЛИИ»

Резюме

В статье исследуется вопрос об оригиналах, с которых был переведен грузинский текст т. II «Мцхетской библии», которая, по мнению исследователей, содержит древнейшие варианты грузинской библии. Анализ Книги Бытия выявляет зависимость текста «Мцхетской библии» от греческого оригинала. Об этом свидетельствуют факты стилистического, синтаксического, морфологического и семантического порядка: в «Мцхетской библии», в отличие от Ошкского текста и подобно греческому оригиналу, часты случаи употребления причастных и инфинитивных конструкций, встречаются слова и выражения, неприличные для древнегрузинского языка, являющиеся кальками греческих слов и оборотов, встречаются греческие слова, по недосмотру переводчика оставшиеся без перевода, некоторые слова носят греческую форму и, наконец, влияние греческого текста проявляется в ошибках переводчика, которые можно объяснить лишь как результат неверного толкования греческого текста.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შერვა-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა

ზ ლ უ ა ნ ა ფ შ ბ ა რ ა მ ი

ზ მ ნ უ რ ფ შ მ ე თ ა წ ა რ მ ი მ ბ ი ს ზ ო ბ ი თ ა მ ი ს ი მ ბ უ რ ი მ ა ზ ა ლ ვ ა
დ ა დ ი ა ნ ის თ ხ ზ უ ლ ე ბ ა მ ზ ი

ერთ-ერთი საინტერესო უბანი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შ. დადიანის ენის შესწავლისას, ზმნური ფუძეების წარმოებაა. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ნიუანსი მწერლის თხზულებათა ენაში უმეტესად შეაქვს კილოებიდან მომდინარე ფორმებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან „ყოველ სალიტერატურო ენაში ნიადაგ მოყოლანეს ცოცხალი დიალექტის მოვლენები, ლექსიკურიცა და მორფოლოგიურ-სინტაქსურიც, სემასიოლოგიურ-სტილისტიკურიც. სალიტერატურო ენა ამით საზრდოობს, სალიტერატურო ენა ამის გარეშე ვერ განვითარდება — ეს პროცესი, მასა-სადავზე, ნორმალურია“¹. შეინიშნება არქაიზმების გამოყენებაც. დიალექტური და არქაული ფორმები სტილური ფუნქციითაა ნაზმარი და უმთავრესად ასასიათებს პერსონაჟთა მეტყველებას, თუმცა ზოგჯერ ავტორის რეზერვებშიც გვხვდება.

1. თემის ნიშნები. ფუძის წარმოების ერთ-ერთი თავისებურება მქლავნდება თემის ნიშანთა მონაცვლეობაში. ჩვეულებრივ მონაცვლეობენ: ავ—ამ; ამ—ავ; ებ—ობ; ობ—ებ; ავ—ებ; ებ—ევ. სპეციალურ ლიტერატურაში ეს მონაცვლეობა ახსნალია თემის ნიშანთა გაერთიანების ტენდენციით². ამგვარი შემთხვევები დადასტურებულია როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში³.

ზმნიწინთა მონაცვლეობით უმეტესად ხასიათდება პერსონაჟთა მეტყველება:

ავ—ამ: აღარაფისა ზოგამენ. IV, 251; თავს შეევაკლანდი. IV, 274; იშვითათ „ამ“ თემის ნიშანს ენაცვლება „ავ“. მაგ., სილას გაარტყავს. I, 139.

ებ—ობ: ოთქო აზროვნობდა. II, 88; ვინმე ქადაგობს. IV, 156.

გვხვდება პირიქითაც, „ობ“ თემის ნიშანი შეცვლილია „ებ“-ით: ნუ მანდებ. IV, 319; რალაც რახუნებს. II, 154.

„ავ“ თემის ნიშნის მაგივრად ზოგჯერ წარმოდგენილია „ებ“: ჰაერს ჩავისუნთქებ. I, 238.

„ებ“ შეცვლილია „ევ“ თემატური სუფიქსით: მზე მთებს ჯილათ დაეღმევა. I, 291.

სალიტერატურო ენაში თემის ნიშანი საზოგადოდ მკვიდრია, მაგრამ ზოგჯერ მერყეობა შეინიშნება⁴. ეს მერყეობა უმთავრესად ცოცხალი კილოების გავლენით არის გამოწვეული. მსგავსი ვითარებაა შ. დადიანის თხზულებათა ენაშიც.

ფუძედრეკადი ზმნები რომ სუფიქსებს შეიცავს, თანამედროვე ქართულში ეს მკვეთრად არ ჩანს. ამის გამო ხშირად ასეთი ზმნები თემის ნიშ-

ნებს დაირთავს. ხმოვანმონაცვლე ზმნებზე თემის ნიშნის დართვას ხსნიან ანალოგიით. მიზეზი კი ამგვარი ანალოგიისა არის სურვილი, მკვეთრად დაუპირისპირდეს აწმყოს თემატური ფუძე ნამყო ძირითადის ათემატურ ფუძეს⁷. ფუძედრეკად ზმნებთან გამოყენებულია თემის ნიშანი: მსურველებს კრედავს. IV, 132; სამსონი ლომსა ხლეჩავს. I, 499.

პერსონაჟთა მეტყველებაში ზოგჯერ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი ერთთემიანი ზმნებიც: ომს ასტეხავს. II, 261; ახლა სწერამენ. „ბარათ“, 88. მართლფუძიანი ზმნებთან თემის ნიშნის ხმარება ცნობილია დიალექტებიდან⁸.

„ეე“ სუფიქსიანი ფუძედრეკადი ზმნები წყვეტილის მრ. რიცხვის მესამე პირში წარმოდგენილია ვინის გარეშე (სუფიქსისეულ „ე“ ხმოვანს ენაცვლება „ი“): ვერ მომერიენ. IV, 230; შემოვვესიენ კახაეზო, IV, 183. („ენ“ სუფიქსის ნაცვლად გამოყენებულია „ენ“).

„აღწევს“ ზმნის II თურმეობითის მხ. რიცხვის III პირის ფორმაში კი დაცულია სუფიქსისეული „ვინი“. მაგ., დამარხულებისთვის შალე მიეღწევნა. II, 239.

2. პირის ნიშნები. რიცხვის გამოხატვა. შ. დადიანი პირის ნიშნების ხმარებისას ძირითადად იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს, თუმცა ზოგჯერ შეინიშნება თავისებურება, რაც გამოწვეულია დიალექტიზმებისა და არქაიზმების გამოყენებით.

სუბიექტური პირველი პირის ნიშანი „უ“ და „ვ“ ბგერების წინ არ გვექონდა ჩვეულებრივ არც ძველ ქართულში და არც კილოეში გვაქვს. ამ ბგერების წინ ხშირ შემთხვევაში არც შ. დადიანის ენაში გვხვდება იგი. ზოგჯერ დაკარგულია მესამე პირის ნიშანიც — „ს“. ამ ნიშნებს უმეტესად არც ავტორი ხმარობს, არც პერსონაჟის მეტყველებაშია გამოყენებული: გულს რა უყო. II, 104; მე და ჩემმა დამ ანატომიას გული ვერ დაუდევი. V, 105; ოთხივენი გადავარდებით. IV, 151; სული მიღვა. III, 315; მოსარიდალი რალა მაქ. IV, 397.

შ. დადიანის ნაწერებში ხშირად სუბიექტური III პირის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება „ენ“ სუფიქსით იქ, სადაც თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა იყენებს „ნენ“ ბოლოსართს. ეს დამახასიათებელია პერსონაჟთა მეტყველებისათვის.

უწყვეტელი: თოკებზე დახტოდენ. I, 370; ჩვენ გვაყვედრიდენ. V, 339.

წყვეტილი: თავადნი დაესწრენ. II, 71; მთლად გაითქვიფენ. III, 35.

II კავშირებითი: ეშინიათ, რომ დასტკბენ ამ ცხოვრებით. IV, 14; მაღაროები... უნდა გახდენ. IV, 395.

იშვიათად პერსონაჟთა მეტყველებაში გარდამავალი ზმნის წყვეტილის მრავლობითი რიცხვის III პირის გამოსახატავად „ეს“ სუფიქსის ნაცვლად წარმოდგენილია „ენ“. მაგ., დაიწყენ ქვის ზიდვა. I, 226.

მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსების — „პ“, „ს“-ს გამოყენება შ. დადიანის ენაში მტკიცე გრამატიკულ წესებს არ ემორჩილება. ცნობილია, რომ „თანამედროვე ცოცხალი კილოები... ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩვენი პრეფიქსების ხმარების საკითხში. და,

რა თქმა უნდა, ეს განსხვავება სალიტერატურო ენაშიც პოეებს თავის გამოხატულებას. ამიტომ პაესა და ხანს ისეთ უადგილო ფორმებში შეხვდებით, სადაც მოსალოდნელი არ არის, ანდა პირიქით, ხანდახან იქ ვერ იპოვით, სადაც მართლა საჭიროა და აუცილებელი⁹.

მწერალი „პ“ და „ს“ პრეფიქსებს ზოგჯერ ხმარობს ისეთ ზმნებთან, სადაც არ უნდა იყოს:

„ს“ ზედმეტია ერთპირიან ზმნებში: ავტორის მეტყველება: შესდგა ფიქრი. II, 62; ვაჟნი სდუმდნენ. II, 54. პერსონაჟთა მეტყველება: ქალაქი სცხოვრობდა. I, 223; ზეიმები შესწყდა. II, 148. I

„პ“ ზედმეტია ერთპირიან ზმნებში: ავტორის მეტყველება: ღიმილი დაჰქრის. II, 227; გაჰქანდა შინაოთახებისაკენ. II, 93. პერსონაჟთა მეტყველება: გაჰქრა უმაღვე. II, 223; მისი გონება სხვაგან ჰქროდა. II, 150.

ირიბდამატებიანი ზმნების ანალოგიით მწერალი „პ“ და „ს“ პრეფიქსებს იყენებს პირდაპირი ობიექტის მესამე პირის აღსანიშნავად. მსგავსი ვითარება ბევრ ქართულ დიალექტში¹⁰.

„ს“ პრეფიქსი პირდაპირი ობიექტის აღსანიშნავად: ავტორის მეტყველება: წერილი დასწერა, ჩასდო კონვერტში. I; 125; სთარგმნა არაბულიდან. II, 75. პერსონაჟთა მეტყველება: შეუღლსა სთესავდა. IV, 215; დასთმოს ველი. II, 276.

„პ“ პრეფიქსი პირდაპირი ობიექტის აღსანიშნავად:

ავტორის მეტყველება: თავი დაჰხარა. II, 256; მაყურებელნი გაჰფანტა. II, 183. პერსონაჟთა მეტყველება: მუხნათობით მოჰკლეს. II, 17; ყვავილებს ჰკრეფს. IV, 146.

„აქვს“ და „ყავს“ ზმნები ზოგჯერ წარმოდგენილია „პ“ პრეფიქსის გარეშე: ავტორის მეტყველება: ყავდა თავჯანსმეცემელი. V, 156; მამაჩემს ქონდა მამული. V, 155. პერსონაჟთა მეტყველება: ომი ქონდათ. II, 131; სოფელი შეკრებულნი ყავს. IV, 10.

სუბიექტს მეორე პირის აღსანიშნავად „პ“ და „ს“ პრეფიქსები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ იხმარება¹¹. შ. დადიანის თხზულებებში ცხვდებით ამ პრეფიქსების გამოყენების შემთხვევებს. მაგ., გაღმაც გაჰხედე. II, 217; რომ დასცურდე? IV, 117.

იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ფორმაში ირიბ ობიექტურ პირთან ერთად სუბიექტის პირველი პირია წარმოდგენილი, I სუბ. პირის ნიშნის, „ვ“ პრეფიქსის შემდეგ „პ“ და „ს“ პრეფიქსები შეიძლება არ იხმარებოდეს. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში „პ“ და „ს“ პრეფიქსიანი (ე. ი. ორ პრეფიქსიანი) ფორმებს პარალელურად იხმარება უპრეფიქსო (ოღენ „ვ“ პრეფიქსიანი) ფორმებიც¹². შ. დადიანი ამჯობინებს ორპრეფიქსიან ფორმებს. მაგ., წარვსდგომოდი ბიზანტიის კეისარს. II, 77; საკითხებს ვსჭრი. II, 59.

სუბიექტის III პირის „ს“ სუფიქსიან ზმნას, როცა ობიექტის მრავლობითობის აღნიშნული „თ“ დაერთვის, ვიღებთ „სთ“ კომპლექსს. თანამედროვე სალიტერატურო ქართულს ახასიათებს მიდრეკილება ამ კომპლექსის გამარტივებისა „ს“ ამოღებით; გვხვდება, ერთი მხრით: აქვსთ, ჰყავსთ... და,

მეორე მხრით: აქვთ, ჰყავთ... ფორმები. ერთიკა და მეორეც გამოყენებულია XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსების თხზულებებში. ანალოგიური ვითარებაა შ. დადიანის ენაშიც. დავასახელებთ „სთ“ კომპლექსიან ფორმებს: პერსონაჟთა მეტყველება: გესმისთ? I, 101; შეუძლიან მოგხიბლოსთ. I, 70.

ამრიგად, წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს, რომ სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების გამოყენებისას მწერალი არ იცავს ერთიან წესს.

3. **წმნური ნაკვთების წარმოება.** აქ თავისებურებანი განპირობებულია ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმებისა და არქაიზმების გამოყენებით.

I სერიაში იხმარება „ვდგევარ“, „მყევხარ“ და სხვა მსგავსი ფორმები. პერსონაჟთა მეტყველება: საღ მივეყვართ. IV, 112; რას უდგევხარ. IV, 135. ასეთი წარმოება ფართოდ გავრცელებულია ქართულრსა და კახურში. ამ ტიპის მაგალითებში ფუძისეული „ე“ გაჩენილია „წევს“ ზმნის I და II პირის აწმყოს ფორმათა (გწევარ, სწევხარ) ანალოგიით¹³. არსებობს განსხვავებული შეხედულებაც, რომლის მიხედვით „ე“ ფუძისეულია¹⁴.

იშვიათად საშუალი გვარის ზმნებს აწმყოს III პირში „ს“ სუფიქსის ნაცვლად მოუდის „ა“. მაგ., წელის ტკივილებს უჩივია. „ბარათ“, 46. მსგავსი ფორმები ცნობილია დიალექტებიდან¹⁵.

ზოგჯერ მედიოპასიური ზმნები ნაწარმოებია სტატიკურის მსგავსად, რაც მიგვანიშნებს ენის მიღრეკილებაზე, მედიოპასივი გაათანაბროს სტატიკურ ენებითთან. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „საზოგადოდ უახლეს ქართულს აქვს ერთგვარი ტენდენცია სტატიკურთა ფარგლებში მოაქციოს ისეთი ზმნები, რომლებიც ტიპობრივად მედიოპასივია“¹⁶. მაგალითები ტექსტიდან: სული უდგია. IV, 121; სახლი მიდგია. III, 194; ადგია სინათლე, II, 48; ფეხი უდგია მწერლობაშიც. V, 120.

ინვერსიულ ზმნებში დაცულია „ნ“ სუფიქსი ისევე, როგორც ქართულ და კახურ დიალექტებში¹⁷. არსციალიან. IV, 236; უშენობა არ შემიძლიან. II, 19; ესე სჯობიან. IV, 151; თქვენ ხილვას ლამიან. I, 85. ამ რიგის ზმნები წარმოშობით სამპირიანია. დაკარგული აქვთ სუბიექტი, ის პირი, რომელიც „ან“ სუფიქსს აჩენდა ბოლოში, ზმნები იქცა ობიექტური წყობისად¹⁸. თანამედროვე სალიტერატურო ენაში იკარგება „ან“ სუფიქსისეული „ნ“, რადგან ზმნამ დაკარგა სუბიექტის III პირის მრავლობითობის გაგება. „ნ“-ს დაკარგვის ტენდენცია ამ ზმნებში სალიტერატურო ქართულში XIX საუკუნეში იჩენს თავს, XX საუკუნეში კი სალიტერატურო ენაში მთლიანად უნარო ფორმები გაბატონდა¹⁹. საანალიზო მასალაში ნარიანი ფორმები გამოყენებულია სტილური ფუნქციით პერსონაჟთა მეტყველებაში.

სტატიკურებშია მოქცეული „პქვია“, რომელიც მიღებულია აქტიური ფორმისაგან: „პრქვან“. ეს ფორმა წარმოშობით ხოლმეობითია. ზმნამ ეხლანდელის გაგება მიიღო და აწმყოში გაღმოვიდა. ამით სტატიკურებს მიეკედლა საესეებით²⁰. შ. დადიანი „ნ“ სუფიქსით ხმარობს მას. მაგ., რა გქვიან? II, 121.

თუ რომელიმე პირი მრავლობით რიცხვშია, სიმრავლის აღსანიშნავად ამ ზმნებს დართვის „თ“ სუფიქსი. მაგ., რისი გრცხვენიანთ? I, 131; შეგიძლიანთ. I, 70; არა სცაღლიანთ. II, 168.

მწერალი I სერიის ნაკვთთა წარმოებისას სტალური ფუნქციით ზოგჯერ იყენებს არქაიზმებს. კერძოდ, საშუალი გვარის ზმნების აწმყოს III პირში დატულია არქაული წარმოების „ს“ სუფიქსი. მაგ., მიხარის შენი ნახვა. II, 74; არა მრცხვენი, I, 32.

არქაულად ნაწარმოებია ვნებითი გვარის ზმნათა აწმყო: ესე არ იქნების. I, 71; არ ითქმის. II, 81; სული ეხუთვის. I, 66; სხვაგვარ ესახვის. II, 218; გაუმარჯვდების. II, 299; არა ეგების. II, 66. ასეთი ფორმები უმეტესად გვხვდება ისტორიულ ნაწარმოებებში („გიორგი რუსი“, „აღლესა ერთსა“, „ბარათაშვილი“ და სხვა). ეს უმთავრესად დამახასიათებელია პერსონაჟთა მეტყველებისათვის, თუმცა იშვიათად შეინიშნება ავტორის მეტყველებაშიც: წარმოიშვის სხვადასხვა ხასიათი ტიპებისა. V, 281; შედეგი არ მიეცემის საკეთილო. I, 270.

ზოგჯერ ზმნები მარტივი ფუძით არის გამოყენებული დრო-კილოთა I სერიის ფორმებში, ე. ი. ძველი ქართულის მსგავსად, არ იჩენენ თემის ნიშნებს.

აწმყოში: ნალსა სქედს. II, 222; ფეთქს აზრი. II, 317; ჰქეცენ შირმას. IV, 113; ფიცარს აქედს. IV, 203.

უწყვეტელში: ფეთქდა სხელი. II, 159; სიმინჯს თესდა. V, 207; პატრონი რეცხდა. I, 295.

მყოფადში: ეშმაქს შეეებში. IV, 151; მწუხრს ჩამორეკენ. II, 190; კალთას დაგვაბერტყს. I, 58.

მყოფადის ხოლმეობითში: ნათესს წაღეკდა. V, 68; თამბაქოს დათესდა. III, 235.

„ვალ“ ფუძის ზმნის მყოფადის ფორმაში თავისებურია მრავლობითი რიცხვის III პირი: არ მოვლიან. III, 424.

„გშია“ ზმნა II პირის ფორმით პერსონაჟის მეტყველებაში იხმარება „გშივა“ სახით: გშივა პური? V, 36. ასეთი წარმოება ცნობილია იმერულში, რაჭულში, ძველ ქართულში (გშივის). სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „გშივა“ ფორმაში წარმოდგენილია არქაული თემატური სუფიქსი „ეე“ პერმანსივის საწარმოებელი „ი“-ს გავლენით „იე“-ა. ქეუელი²¹.

ზმნა „ჰყავს“ I სერიის ფორმებში წარმოდგენილია „ყვან“ ფუძით: ქალი ყვანდა. „ბარათ.“ 116; მოსაუბრეებად კი წყაროები მყვანან. III, 13.

ზმნა „ჰგავს“ უწყვეტელში წარმოდგენილია „გვან“ ფუძით: იგი გვანდა ქალ-ღმერთს. II, 111.

თანამედროვე ქართულში „ჰყვანან“ და „ჰგვანან“ ფორმები იშვიათად გვხვდება. გზა გაიკაფა „ჰყავდა“, „ჰგავდა“ ფორმებმა²².

დასახელებულ ზმნებში (აგრეთვე „ჩანს“ და „აქვს“ ზმნებში) თემის ნიშანი „ან“ ნაშთის სახით არის შემონახული. „ან“ სუფიქსი მათ უმეტესად სავრცობიან ფორმებში გამოჩნდებათ. ამ სუფიქსის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება²³. ვარაუდობენ, რომ „ან“ საშუალი გვარის ზმნათა

გარკვეული ჭკუფის I სერიის ფუძის საწარმოებელია ისევე, როგორც „ავ“, „ამ“, „ებ“ სუფიქსები სხვა ზმნებში²⁴.

„იქმს“ ზმნის აწმყო-მყოფადის მესამე პირის ფორმა მრ. რიცხვში „იქ-მონენ“ იშვიათად იხმარება პერსონაჟის მეტყველებაში. მაგ., რას იქმო-ნენ ოესთ თავადნი? II, 82. „იქმონენ-ს“ ენაცვლება „იზამენ“. „იქ-მონენ“ ფორმა ამჟამად ჩვეულებრივია ქართულში და ძველადაც გვხვდებო-და. მაგ., „რუსულანიაში“: უცოდნელობით იქმონენო²⁵.

უწყვეტელისა და აწმყო კავშირებითი III პირში იშვიათად „ავ“ თე-მისნიშნის ზმნები ნაწარმოებია ძველი ქართულის მსგავსად. მაგ., „სხვა-გვარ ზრახვიდნენ. IV, 50; უნდა წარმართვიდეს ქვეყანას. II, 85; მართვიდეს ლაშქრის წესრიგსა, II, 88.

მრავალგზისობის გამოსახატავად ძველ ქართულში საგანგებო ნაკვთები იყო, რომლებიც დღევანდელ მთის კილოებსა და ქიზიყშია დაცული და აქე-დან ლიტერატურაშიც არის შემოტანილი²⁶. შ. დადიანის თხზულებათა მიხედ-ვით მრავალგზისობის გამოხატვა განსაკუთრებულ თავისებურებაზე არ მიგვა-ნიშნებს. მწერალი იშვიათად იყენებს უწყვეტელის ხოლმეობითის ფორმას; მეგვიპტელნი იკვეხდიან. I, 282.

II სერიის ნაკვთების წარმოება. წყვეტილში ფუძეკუმშვადი ზმნები ხშირად წარმოდგენილია ნართაული „ი“-ს გარეშე: მომამაჰყარ ყური. IV, 145; გავეცან აქაურობას. III, 35; დაიპყარ შთაგონება. I, 102.

ნართაული „ი“ დღეს აუცილებელია მრავლობითში²⁷. შ. დადიანი მრ. რიცხვის ფორმებს იშვიათად ხმარობს „ი“-ს გარეშე: მომამაჰყართ ყურ-ნი. I, 257.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საანალიზო მასალაში „ველ“ ზმნის მონა-ცვლელ ნამყო წყვეტილში „ველ“ ფუძის გარდა „ველ“ ფუძეც გვხვდება. ეს ფაქტი დასტურდება ძველ ქართულში და ახალი ქართულის დიალექტებ-ში²⁸; სხვა დროს მიივალ. I, 89; თვით მე წაველ. II, 13.

მოქმედებითი გვარის ზმნები წყვეტილის I და II პირში ზოგჯერ დაირ-თავენ „ევ“ დაბოლოებას, ნაცვლად „ენ“ სუფიქსისა. მაგ., ტყულა გევი-კრიბევით? IV, 19. „ევ“ დაბოლოება დამახასიათებელია ქართული დიალექტებისათვის. ამ სუფიქსის წარმოშობის შესახებ სპეციალურ ლიტერა-ტურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთი შეხედულებით, „ევ“ აორი-სტის არაქალი სუფიქსისა, ხოლო „ე“ მისგან მომდინარე²⁹. „ი“ კი ანალოგიი-თაა გაჩენილი³⁰. მეორე მოსაზრებით „ევ“. მიღებულია „დავეწვი, გავეწვი, დავეყვი“... და მათი ზმნების ანალოგიით³¹. ვ. თოფურიას აზრით, „ე“ არ მომდინარეობს „ევ“-ი სუფიქსისაგან³². „ე“ საერთოა უწყვეტელის, წყვე-ტელის, თურმეობითი I-ისა და თურმეობითი II-ისათვის³³.

ინიანი და ენიანი ვნებითის მრ. რიცხვის ფორმები II სერიის ნაკვეთებში ენ (-ნ) სუფიქსით არის ნაწარმოები. ეს წესი ძველ ქართულში მოქმედებ-და და ამჟამადაც დაცულია აღმოსავლურ კილოებში³⁴. სპეციალურ ლიტე-რატურაში მისი ფუნქციის შესახებ სხვადასხვაგვარი მოსაზრებაა გამოტყუ-ლი: 1. ვნებითში ამ სუფიქსს მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმებიდან გა-

მოსულად თელიან, სადაც ის ნარიანი ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს⁵⁵.

„ენ“ წარმოშობით სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი უნდა იყოს⁵⁶. შესაბამისი მაგალითები შ. დადიანის ნაწარმოებებში უხვადაა როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟის მეტყველებაში.

ავტორის მეტყველება: ეზოში გავიშალენით. I, 133; რევოლუციამდე გავიფანტენით. V, 55.

პერსონაჟთა მეტყველება: გავიყარენით. I, 508; დაიღუპენით. IV, 162.

II კავშირებითში ასეთ მაგალითებში „ნ“ სუფიქსის შემდეგ თავს იჩენს ძველი ქართულის მოვლენა — II კავშირებითის ნიშნად „ო“-ს მაგიერად წარმოდგენილია „ე“³⁷. მაგავს მოვლენას ადგილი აქვს ქართულსა და კახურში. როგორც მიუთითებენ. სალიტერატურო ენაში ეს უფრო ცოცხალი მეტყველების გავლენის შედეგი უნდა იყოს, ვიდრე ძველი ქართულისა. ასევე შეიძლება ითქვას შ. დადიანის ენის შესახებაც. მაგალითები ტექსტიდან: დროა გავიყარნეთ. III, 249; უნდა დაიწინდნენ. II, 225.

მწერალი II კავშირებითის ნიშნად „ო“-ს მაგიერად „ე“-ს ხმარობს ზოგჯერ უნარო ფორმებშიც. მაგ., გნებავთ, თამარს ეკახლეთ. II, 207.

„უბნობს“ ზმნის II კავშირებითის ფორმას ავტორი შემდეგნაირად აწარმოებს: პოდა, მოვიუბნოთ. III, 289. „უბნობს“ ძველ ქართულში იშვიათად იხმარებოდა. ისიც მხოლოდ I სერიის ფორმით³⁸. ამჟამად გვხვდება ზოგ კილოში. კერძოდ იმერულში³⁹.

სპორადულად პერსონაჟთა მეტყველებაში იხმარება მეორე ბრძანებითის ფორმები: განვედ ჩემგან!. II, 256; წარვედ, შოთავ! I, 513.

III სერიის ნაკვთების წარმოება. თავისებურებანი მესამე სერიის წარმოებაშიც შეინიშნება. „ავ“-იანი და „ებ“-იანი ზმნები I თურმეობითს ხშირად აწარმოებენ თემის ნიშნის გარეშე. გვაქვს „ია“ სუფიქსიანი ფორმები.

„ავ“-იანი ზმნები: ავდარს წაულეკია. I, 82; მტერი გადაუტრეკია. I, 419.

„ებ“-იანი ზმნები: არ დაუყოვნია. II, 318; გამოგვიგონია ბევრი. IV, 137.

ასეთი წარმოება ცნობილია ქართული დიალექტებიდან, თავს იჩენს თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც. სპეციალურ ლიტერატურაში ეს მოვლენა ასწილია ტენდენციით — მოხდეს I თურმეობითის „ია“ სუფიქსით წარმოების უნიფიკაცია⁴⁰. შ. დადიანი აღნიშნულ ფორმებს იყენებს პერსონაჟთა მეტყველებაში სტილიზაციის მიზნით.

„ა“-თი ნაწარმოები I თურმეობითის ფორმები ხშირად ჩაირთავენ ნარს: ვერ შემიხედნია. II, 254; ბარტყები დაუჩეკნიათ. I, 66.

თავისებურება ელინდება I თურმეობითში მეშველზმნიანი ფორმების გამოყენებისას. როგორც ცნობილია, „ავ“ და „ავ“ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების I და II სუბიექტური პირის თურმეობითი I-ის ფორმები „ვარ“, „ხარ“ (მრავლობითში — ვართ, ხართ) მეშველი ზმნის დართვით იწარმოება⁴¹. საანალიზო მასალაში „მინახავს“ ზმნის პირველი სუბიექტური პირის I თურმეობითის ფორმა, როცა ობიექტად მეორე პირია, უმართებულოდაა ნაწარმოები: შემდეგ არ მინახვიხარ, III, 137. „მინახვიხარ“ ნარევი

ფორმა⁴². იგი მომდინარეობს თურმეობითი პირველის არასწორი ფორმისაგან „მინახა“. მიღებულია „მინახახარ“ (არასწორი წარმოება) და „მინახახარ“ (სწორი წარმოება) ფორმების შერევა.

„დგას“ მედიოპასიური ზმნის I თურმეობითის მეშველზმნიანი ფორმა ასეა წარმოდგენილი: „დადგომილვარ“. მაგ., ერთ გზასა დავდგომილვარ. II, 67. ამ შემთხვევაში ნაკეთის წარმოება ემყარება „ნამყოს ვნებითური შინაარსის (სასუბიექტო) მიმღეობის „ილ“ სუფიქსიან დიალექტურ ვარიანტს, რომელიც შედარებით ნაკლებად არის ამჟამად გავრცელებული: „დადგომილი“⁴³.

ნარჩართული ფორმები II თურმეობითშიც უხვად გვხვდება: მინდოდა მელოცნა. IV, 145; უნდა ეწირნა. III, 197.

თურმეობითში „ნ“ სუფიქსი ქართლ-კახური წარმოშობისა ჩანს, ისტორიული საბუთების ენის შესწავლა ადასტურებს, რომ ნ (-ენ) სუფიქსი ამ კლოებში მოქმედებს XV საუკუნიდან⁴⁴. აქედან უნდა გავრცელებულიყო ის სალიტერატურო ქართულ ენაში⁴⁵.

„ნ“ სუფიქსის წარმოშობის შესახებ, როგორც ცნობილია, სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული: 1. იგი გაჩენილია მოქმედებითი გვარის ზმნათა II თურმეობითის ფორმების განსასხვავებლად პრეფიქსიანი ვნებითის ორპირიან ზმნათა წყვეტილისაგან. „ნ“ პირველად უნდა გაჩენილიყო II თურმეობითში, შემდეგ გადასულა იგი I თურმეობითში, თურმეობითში ნარის ხმარებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ ინიან ზმნებს, რომელთაც „ნ“ აწმყოშიც აქვთ⁴⁶. 2. ნ (-ენ) ზმნური ფუძის ისეთივე საწარმოებელი სუფიქსია, როგორც ან, ონ, ევ და სხვები, გამოყენებული სხვადასხვა სეროს ფორმებში⁴⁷.

„ნ“ სუფიქსი I თურმეობითში ზოგჯერ ენაცვლება „ებ“ სუფიქსის კახურ კილოში⁴⁸. შ. დადიანის თხზულებებში მსგავსი მაგალითები იშვიათად გვხვდება: არ იცოდა, რა მოეფიქრნა. III, 397; არ დაეშურნათ. II, 235.

II თურმეობითში სპორადულად იხმარება ზმნები „ინ“ სუფიქსისეული ნარის გარეშე: მამასახლისად და გვეყენებია. IV, 7; უნდა მიეთხოვებია. IV, 11.

იშვიათად პერსონაჟთა მეტყველებაში მოსალოდნელ წყვეტილის ფორმებს ენაცვლება I თურმეობითის ფორმები: კაცი მომიყვანია... ჩემი ფული რად უნდა დაიწოს? II, 236; ფული შემომოიტანია, დამოწმება მინდა. IV, 86.

გარდაუვალი ზმნები II თურმეობითს ზოგჯერ აწარმოებენ „ოდ“ სუფიქსის ნაცვლად „იყო“ მეშველი ზმნით: თავისიანებს გაჰყოლიყო. II, 217; გინდოდა გხსომებოდა. V, 343; ნება მქონიყო. V, 303; მსგავსი ფორმები ნიშანდობლივია აღმოსავლური კილოებისათვის⁴⁹.

მაგალითების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნაკვთთა წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებანი უმთავრესად პერსონაჟთა მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი და სტილური ფუნქციით გამოიყენება.

4. **ზმნისწინი.** მწერალი ზმნისწინებს, ისე როგორც ყველა გრამატიკულ მოვლენას, გარკვეული სტილური მიზნით იყენებს. როცა დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელს ალაპარაკებს, დასავლური დიალექტებისათვის და-

მახასიათებელ ზმნისწინთა სახეებს იყენებს, ხოლო როცა პერსონაჟთა გა-
ლერეაში გამოჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი. მაშინ მის მეტყვე-
ლებაში „ნა“, „შე“ და სხვა ზმნისწინები, აღმოსავლური დიალექტების
მსგავსად, „მა“, „შა“... სახით წარმოგვიდგება. მაგ., დარია მ ა ა რ ბ ე ნ ი ა ნ ე.
„ბარათ“. 33; არ შ ა მ ო ხ ვ ი დ ე. III, 164; იქ გა მ ა მ ყ ე. IV, 269;
შენ წ ა რ მ ა ი დ გ ი ნ ე. IV, 250; ჩ ა მ ა ი რ ი გ ე თ ო თ ა ხ ე ბ ი ტ. IV. 91;
მატარებლიდან გა დ მ ა მ ი ყ ვ ა ნ ე ს. IV, 250.

ზმნისწინისეული ხმოვნების ასეთი ცვა ზოგჯერ ყოველგვარი ასიმილა-
ციის გარეშე დგას⁵⁰. ჩანს მიდრეკილება პრევერბების ხმოვნითი ელემენტე-
ბის გაერთფეროვნებისაკენ⁵¹.

საანალიზო მასალაში გვხვდება ზმნისწინთა მონაცვლეობის შემთხვევები:
მაგ., შე ი ო ც ა ჩ ე ლ ა მ. III, 116; ც ო ტ ა წ ა ი ა რ ე ს. III, 55; ა გ ე რ
შ ე ს ა ლ ა მ ო ვ დ ა. I, 522; წ ა ე ყ ა რ ა ნ ა ც ნ ო ბ მ წ ე რ ა ლ ს. I. 364.
ზმნისწინთა შენაცვლება დადასტურებულია ქართულ დიალექტებში⁵².

ზმნისწინთა შენაცვლება სხვა შემთხვევაშიც ხდება. კერძოდ, როცა ობი-
ექტი მხ. რიცხვშია, მაშინ გარკვეული ზმნისწინია ნახმარი, მაგრამ, როცა
ობიექტი მრავლობითში გადადგება, შეიძლება ნებისმიერი ზმნისწინი „და“-
თი შეიცვალოს. ეს დაკავშირებულია „და“ ზმნისწინის განსაკუთრებულ
ფუნქციასთან, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია სახელ-
წოდებით „თითობის და“⁵³. ზმნისწინი „და“ ამ შემთხვევაში გამოხატავს
მოქმედების ინტენსივობას, მოქმედების მიყოლებით ჩადენას, მოქმედების
მრავლობითობას, „და“ ზმნისწინი ამ ფუნქციით ითვალისწინებს სათითაოდ
შესრულებულ მოქმედებას. ასეთი მოქმედება ობიექტის სიმრავლეს გულის-
ხმობს: და გ ზ ა ე ნ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ნ ი. II, 285; მსახურნი და ა ლ ვ ი ძ ე ბ ი -
ნ ა. II, 257.

აღნიშნული საფუძველი „და“ ზმნისწინის შენაცვლებისა საზოგადოდ
უკვე შერყეულია. შედარებით მკვიდრია აღმოსავლურ კილოებში⁵⁴.

მწერალი არაიშვიათად იყენებს ზმნათა უპრევერბო ფორმებს, რომლე-
ბიც თავიანთი სტილისტიკური ფუნქციით უმეტესად მრავალგზისობის შინა-
არსს გადმოსცემენ. მაგ., ე უ წ ყ ე თ საუბარი მნათობებს. II, 138; მ დ ი -
ნ ა რ ე ბ დ ა ზვირთები. I, 9. ზოგჯერ ასეთ ფორმებს არ ახლავს მრავალ-
გზისობის შინაარსი: ყველას უ ს წ ო რ ო უ ქ ა რ მო ე ლ მა. I, 527; ფ ლ ა ვ ა მ
უ ხ ბ რ ხ ა. V, 328.

მწერალი გამარტივებული ზმნისწინების პარალელურად ფართოდ იყე-
ნებს შესაბამის არქაულ ფორმებს: ა ლ ა ყ ვ ა ე ბ ე ნ ი ს ი ნ ი. I, 268;
ტ ა ხ ტ ს ა გა ნ ა შ ვ ე ნ ე ბ ს. I, 277; ყ ო ვ ე ლ ი ვ ე გა რ დ ა ვ ა. IV, 232;
თ ა ე შ ი შ თ ა ი ს ა ხ ა. I, 389; ც რ ე მ ლ ი წ ა რ ს ტ ა ც ა. III, 53. ასეთი
წარმოება უმთავრესად დამახასიათებელია ისტორიული ნაწარმოებების პერ-
სონაჟთა მეტყველებისათვის. თუმცა იშვიათად წარმოდგენილია ავტორი-
სეულ რემარკებშიც: გა ნ ი თ ქ ვ ა სახელი. IV, 286; თ ე ა ტ რ ი შ თ ა ი ს ა -
ხ ა. V, 247; ს ა ს ც ე ნ ო მ შ ე ვ ნ ი ე რ ბ ა მ დ ე ა ლ ი ყ ვ ა ნ ა. V, 301.

პრევერბთა ძველი სახეობები ახალ ქართულ სალიტერატურო ენაშიც
გვხვდება. ამასთანავე, გვაქვს შემთხვევები, როცა პრევერბის ძველსახეო-
ბიანი ფორმები ერთადერთია⁵⁵. შ. ღაღიანის თხზულებებში ასეთი ზმნის-
წინები ზოგჯერ გამოყენებულია გამარტივებული სახით, რაც სალიტერატუ-

რო ენის ნორმებისაგან გადახვევაა. მაგ., ნაპირზე ამოჩნდება. II, 259; ოცნება გახორციელდა. III, 418; უნდოდა წამდგარიყო. III, 422.

საანალოზო მასალაში არაიშვიათად დასტურდება პრევერბისეული თანხმოვნების (რ, ნ) ზმნის ფუძესთან შეხორცების მაგალითები. როგორც ცნობილია XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული. პრევერბისეული (ნ, რ) თანხმოვნების ფუძესთან შეხორცების მაგალითები მრავლდება⁵⁶. შ. დადიანის ენაში ამ ფაქტის არსებობა წიგნური ტრადიციის ინერციით უნდა იყოს გამოწვეული. ფუძესთან შეზრდის მეტ უნარს „გან“ პრევერბისეული „ნ“ თანხმოვანი იჩენს. ასეთი მაგალითები დამახასიათებელია როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟის მეტყველებისათვის.

ავტორის მეტყველება: თავი გაინთავისუფლა. II, 268; ტუსალები გაინთავისუფლებინათ. II, 165.

პერსონაჟთა მეტყველება: გამანთავისუფლეთ! IV, 201; არღენ ბრავდას? IV, 361.

მსგავსი ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX—XX საუკუნის მწერალთა ენაშიც. პრევერბისეული თანხმოვნის ფუძესთან შეზრდის შემთხვევები ნიშანდობლივია დასავლური დიალექტებისათვის. ქარბად გვხვდება გურულსა და იმერულში⁵⁷.

გარკვეულ შემთხვევაში ზმნისწინმა შეიძლება მთელი ზმნის ფორმის მაგივრობა გასწიოს⁵⁸. ამგვარი მაგალითები უხვად მოიპოვება ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში (დამახასიათებელი იყო ჩახრუხაძის, შავთელის, შოთა რუსთაველის პოეზიისათვის). საკმაოდ ცნობილი ფაქტია ის ქართულ დიალექტებშიც. კერძოდ, მოხეტრში⁵⁹. ფრაზაში ზმნის განმეორება პრევერბის სახით შეგვხვდა ტრაგედიაში „თეთნულდი“. მაგ., გა! განმშორდი, ციქვილდე! IV, 12. ამ შემთხვევაში დასახელებული ფორმა უფრო არქაიზმია, ვიდრე დიალექტიზმი. ახასიათებს ძველი თაობის წარმომადგენლის, არგოზის, მეტყველებას.

5. ენებითის წარმოება: შ. დადიანის თხზულებებში ზოგჯერ სუფიქსური წარმოება ახასიათებს იმ ენებ-თებს. რომლებიც უმეტესად ქართულში პრეფიქსებით იწარმოება. მაგ., წერტლო შეკუმშდა. I, 339. უნიშნო ენებითი გვარის ზმნა „თვრება“ წარმოდგენილია „ი“ პრეფიქსით: ძალზე დაითვრენ. IV, 103. თონაც ითვრება. I, 284.

მოსალოდნელი ინიანი ენებითის ფორმები გვხვდება უნიშნოდ. მაგ., თანდათან შემოკრბენ. III, 342; უკვე კრბებოან. I, 288.

მწერალი დინამიკური ენებითის ყველა სახეს ჰმარობს. მაგრამ განსაკუთრებით მოკარბებულად იყენებს ენიანი ენებითის ფორმებს. მიჩნევის ენებითის შინაარსი აქვს შემდეგ ნასახელო ზმნებს: მამაჩევი ესახელებოდათ. V, 56; ნეცკი მეინტერესება. I, 127. ამ ზმნების ანალოგიითაა ნაწარმოები „ზოგავს“ ზმნის ფორმები: დროც ეზოგება. „ნაპერ.“ 37; არაფერი არ ეზოგებოდა. III, 111.

ზოგიერთი შესაძლებლობის ენებითი საშუალო გვარის ზმნათა ფუძეებისაგან არის ნაწარმოები: აღარ ედგომებოდა. I, 394; დარბაზში აღარ მეჭდომებოდა. I, 10. „ტრფიალ“ და „საყველურ“ ფუძეებისაგან მწერალი აწარმოებს „ე“ პრეფიქსიანი ენებითის ფორმებს: არჩევანიც

ეტრფიალები. I, 227; ესაყვედურებო და დაუდევრობას. V, 324. „ესაყვედურება“ და „ესაყვედურობს“ ფორმა ფუნქციურად თანატოლია⁶⁰.

„სჯობნის“ ზმნისაგანაა ნაწარმოებო მიჩნევის ვნებითის „ემჯობინება“ ფორმის II თურმობითი: დაემჯობინონ რუსის უფლისწულსა. II, 113. თავისებურება შეინიშნება სხვა ენიანი ვნებითების წარმოებაშიც: თავს ზომ ვერ ეტყუებო? II, 57; მაშინაც მეცრუებო დით. I, 134; ვერ ეცრუებო. I, 129.

„აპირებს“ ზმნის შავიერად ზმირად გამოიყენება „ეპირება“: მუშაობას ეპირებია. II, 240; დანარჩენსაც აქ ეეპირებო. II, 234.

„მრცხვნია“ საშუალი გვარის ზმნას ზოგჯერ ენაცვლება ენიანი ვნებითის ფორმა „მერცხვინება“: არაეისი მერცხვინება. I, 89.

6. ქცევის ფორმები. საარვისო ქცევის გამოშხატველი ზმნებო წარმოდგენილია სასხვისო ქცევის ფორმით. სასხვისო ქცევაში გადაყვანილ ფორმას ემატება კუთვნილების გაგება⁶¹. მაგ., განუგრძობდა კიბერი. II, 230; რას გამოიჩუმიდო? I, 230.

ავტორი ზოგჯერ იყენებს სასხვისო ქცევის ისეთ ფორმებს, რომლებიც, თუმცა ბუნებრივია, მაგრამ იშვიათად იხმარება თანამედროვე ქართულში. მაგ., უჭობთ. I, 106; არ გაუშარჯვა. II, 65; ვერ მოუხერხდა. III, 101.

მოსალოდნელი საარვისო ქცევის ფორმები იხმარება სათავისოს გაგებით: პროზად დამიუშავებდა. II, 193; ეს დაიდასტურა. II, 329. ენიანი ვნებითისაგან „ეუფლება“ ნაწარმოებია სათავისო ქცევის ფორმა „დაიუფლა“: მზემ დაიუფლა კედელი. I, 30.

„დაძახება“, ხმობის მნიშვნელობით. სასხვისო ფორმით იხმარება, მაგრამ ქცევის გაგება არა აქვს, რადგან საპირისპირო ფორმები აკლია⁶². მაგ., ექიმსაც დამიძახა ბებერმა. I, 182.

7. კონტაქტის წარმოება. კონტაქტის გამოშხატველი ფორმების გამოყენების დროს მწერალი უმთავრესად იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს. აქა-იქ მაინც შეინიშნება დიალექტური ფორმები როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟის მეტყველებაში.

შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი „ინ“ სუფიქსი გამარტივებულია თანხმოვანი ელემენტის ჩამოცილებით. მაგ., სადილს გაგამართვიებ. IV, 23; უსამართლობას ჩავადენიებ. „ბარათ.“ 30; მომაწევიე. III, 229.

„ვეინ“ მაწარმოებელი შეიძლება შეარცვალოს „ინ“ სუფიქსის გამარტივებული სახით (ინ→ი). მაგ., ფეხს არ მოგანაცვლიებ. „ბარათ.“ 19. შუალობითი კონტაქტის ფორმები იშვიათად ნაწარმოებია უსუფიქსოდ: წამაკითხეს მოხსენება. 135; კრებულს აკითხებდა. II, 246.

„ავ“ თემისნიშნაანი ზმნები შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოებისას „ინ“ სუფიქსის დართვასთან ერთად კარგავენ ფუძისეულ „ე“-ს: სისხლი ვაყლაპინე. IV, 239. დაპირებამ გაგვაბედინა. V, 207; ცხენს შეევაკაზმინებ. I, 125.

შეგვხვდა შუალობითი კონტაქტის თავისებური ფორმა, რომელიც ინიანი ვნებითისაგან ნაწარმოები ჩანს: იმას ითვლევინებოდნენ. II, 309.

როგორც ცნობილია. ებიანი ზმნების უმეტესობის შუალობითი კონტაქტის ფორმებს II თურმეობითში თავისებური წარმოება ახასიათებს, თავს იყრის ორი „ეზინ“ (მაგ., გამეკეთებინებინა) შ. დადანი იშვიათად მიმართავს მოკლე ფორმების ხმარებას. მაგ., გოგოებს... პირი და ე ბ ა ნ ე ბ ი ნ ა თ ყველა უფროსისათვის. III, 160. შუალობითი კონტაქტის ზმნებში მოკლე ფორმების ხმარება დამახასიათებელია ალ. ყაზბეგის ენისთვისაც⁶⁴.

8. ზმნის ფუძის წარმოების თავისებურებანი. შ. დადანი ხშირად მიმართავს სახელთაგან ზმნების წარმოებას, სახელებისა და სახელზმნების გამოყენებით ქმნის ახალ ზმნებს. ორიგინალური ნასახელარი ზმნები ლაკონურობასა და სიახლეს ჰმატებს ნაწარმოებთა ენას, ემოციურობას ანიჭებს თხრობას. მარტივი, რთული და წარმოქმნილი ფუძეების მომარჯვებით ნაწარმოებია როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნები. განვიხილავთ მწერლის ენისათვის დამახასიათებელ წარმონაქმნებს.

წარმოქმნა მარტივი ფუძის არსებითი სახელებისაგან. ნაწარმოებია როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნები: ძალიან მიუყვავილები ხართ. IV, 175; ყველაფერი ჩამიკეცქა. IV, 254; მკერდი აბგერებდა. I, 42; ვინ მიიქვავა. III, 192; კიდევ მიაჯოჯოხეთა. III, 19; ნიკი მარგალიტობს. V, 301. შევედმერთე. I, 88; აღარ წმინდანობს. IV, 169; თვითონაც წაიცრემლა. I, 402.

წარმოქმნა რთული ფუძეებისაგან: სანდრო და ანაღველძმარა. I, 130; ბეგამ შეგახელფეხა. III, 54; ბავშვს ეტკბილხმოვანებოდა. I, 31; ფილტვები უბოხისხმავებდა. I, 42; ყურმა უქარიკაცა. I, 315.

მწერალი ზმნებს, გარდა არსებითი სახელებისა, აწარმოებს ზედსართავებისა და მიმლეობებისაგან. იშვიათად რიცხვითი სახელებისაგან.

ნასახელარი ზმნების ფუძეში მოცემულია როგორც ვითარებითი, ასევე მიმართებითი ზედსართავი სახელები: მისთვის დინჯობდა. I, 209; გაულმობიერდა. III, 18.

ნასახელარი ზმნების წარმოება მიმლეობისაგან შედარებით იშვიათად ხდება. უმეტესად გამოყენებულია ვნებითი და საშუალო გვარის მიმლეობები: პირიშე მღვიძარებდა. I, 250; მზე ჩაწვერებულა. II, 269.

ნასახელარი ზმნების დიდი უმეტესობა სასიცოცხლო ძალის მქონეა, კარგად ეხამება გადმოსაცემ შინაარსს და ემსახურება ჩვენი ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას.

საანალიზო მასალაში ვხვდებით მიმლეობის ფუძიან ზმნებს⁶⁴. მათი გაჩენა სკლერატურო ენაში ისტორიულად ასპექტის წარმოების ახალი სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდება⁶⁵. მიმლეობითი ზმნების აწმყოს გადმოსაცემად იხმარება ნამყოს ვნებითი გვარის ულლილ სუფიქსიანი მიმლეობა, რომელსაც ხშირად „ობ“ თემატური ნიშანი ერთვის⁶⁶. მაგალითები ტექსტიდან: ნექტარინა ხმობილობდა. III, 122; ამბავს ტყობილობდა. I, 120; ნატრულობენ ბატონობას. II, 323.

მიმლეობითი ზმნების ერთი ჭკუფი თავისი წარმოშობითა და ფუძეთა წარმოებით ახალია. ეს ფორმები უმეტესად დიალექტებიდან შემონატანადაა

მიჩნეული. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: ტყუილა კ ე ე ხ ლ ო ბ ს. I. 463; მახეილი მ ი მ ა ე ლ ო ბ ს. V, 323; აქ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ს. II, 323.

იშვიათად ამ რიგის ზმნები ძველი წარმოებით გვხვდება. მაგ., ი კ ი თ ხ ა ე დ ა საკითხავს. II, 30; ი კ ი თ ხ ე ბ ი ა ნ ფერიები. I, 334. მიმლეობითი ზმნები ფართოდ გავრცელდა დიალექტებში, რასაც ხელი შეუწყო ანალოგიამ და უნიფორმაციამ. მაგრამ ეს ფორმები სალიტერატურო ენაში ვერ დამკვიდრდა. იშვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს „ცნობილობს“, „ნატრულობს“ ფორმები, ისიც უპირატესად სასაუბრო ან მხატვრული ლიტერატურის ენაში. უპირატესობა ენიჭება ცნობს, ნატრობს, იგებს, იტყობს ფორმებს, როგორც წარმოების თვალსაზრისით მართებულსა და სალიტერატურო ენის განვითარების მთელს მანძილზე გაბატონებულს⁶⁷.

ამრიგად, ზმნური ფორმების ანალოზი ცხადყოფს, თუ როგორი სიზუსტით ფლობდა შ. დალიანი მშობლიურ ენას. მწერალი გატაცებით ეძებდა ენის რთულ ლაბირინთებში არჩაულ თუ დიალექტურ ფორმებს და მოხდენილად იყენებდა მათ ნაწარმოებთა მხატვრულ-ესთეტიკური სრულყოფის, სახეთა შექმნის, გარემომცველი სინამდვილის ჩვენების, გმირის განწყობილებისა და განცდების გადმოცემის მიზნით.)

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

- ¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, დიალექტოზმების საკითხასათვის „ვეფხისტყაოსანში“. ენიშის მოამბე, ტ. III, თბილისი, 1938, გვ. 209.
- ² ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური „არილი“, ტფილისი, 1925, გვ. 141.
- ³ ე. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 142; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მთიულურის თავისებურებანი, ენიშის მოამბე, ტ. II, თბილისი, 1937; ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიშრული კილოკავი, თბილისი, 1973, გვ. 26, 60; პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, ტ. VIII, თბილისი, 1956, გვ. 138.
- ⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 408.
- ⁵ ე. თ ო ფ უ რ ი ა, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუშ, III, 1936, გვ. 230—232.
- ⁶ ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური „არილი“, ტფილისი, 1925; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, ტფილისი, 1925.
- ⁷ ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975, გვ. 119.
- ⁸ ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.
- ⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, იხ.. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 224.
- ¹⁰ არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 106; ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ქვემოიშრულის უხუთური მეტყველება, ქუთაისის პედიანტ. შრ., ტ. VIII, 1948, გვ. 54; გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართლური დიალექტი, თბილისი, 1974, გვ. 219.
- ¹¹ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1971, გვ. 193.
- ¹² ი ქ ე ე, გვ. 201.
- ¹³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 524.
- ¹⁴ არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.
- ¹⁵ ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიშრული კილოკავი, თბილისი, 1973, გვ. 299.
- ¹⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

- ¹⁷ ვ. თოფურია, ქართული „არილი“, ტფილისი, 1925, გვ. 143; არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.
- ¹⁸ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948, გვ. 70.
- ¹⁹ მ. შინაიშვილი, ეშინიან თუ ეშინიან? ურჩევნიან თუ ურჩევნიან? ჰქვიან თუ ჰქვიან? იხ. კრებული, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბილისი, 1972, გვ. 182.
- ²⁰ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.
- ²¹ ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 75.
- ²² ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 416.
- ²³ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის ქართულ ზმნებში, იხ. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957, გვ. 172; მისივე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 524, 578; ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, სნამ, ტ. III, № 4, თბილისი, 1942, გვ. 490. არნ. ჩიქობავა, „აქუს“ ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ძველ ქართულში, თსუშ, XXX (Ib, 1947, გვ. 389).
- ²⁴ ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, თსუშ, XXVIII, 1946, გვ. 166.
- ²⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 545.
- ²⁶ იქვე, გვ. 210.
- ²⁷ იქვე, გვ. 428.
- ²⁸ ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 173—174.
- ²⁹ გ. როგავა, აორისტისა და მეორე კავშირებითის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის „ევ“ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, ტ. VI, № 8, 1945, გვ. 47—55.
- ³⁰ არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტებითურთ, ტფილისი, 1936, გვ. 137.
- ³¹ ვ. თოფურია, ქართული „არილი“, ტფილისი, 1925, გვ. 143.
- ³² ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკე, VII, თბილისი, 1955, გვ. 459.
- ³³ ვ. თოფურია, მწკრივის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში, თსუ სამეც. სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავადმი, თეზისები, თბილისი, 1954, გვ. 125—126.
- ³⁴ არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი თბილისი, 1956, გვ. 95; ალ. ჭიჭარაძე, ხევსურელის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 118.
- ³⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 355.
- ³⁶ ვ. თოფურია, ენის ვანეთარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იკე, V, თბილისი, 1953, გვ. 524.
- ³⁷ არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახეობითი დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში, ტფშ, II, 1929, გვ. 116.
- ³⁸ ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.
- ³⁹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 509.
- ⁴⁰ არნ. ჩიქობავა, თურქობოთი პირველს წარმოების ერთი თავისებურება უღლების სისტემის ისტორიისთან დაკავშირებით ქართულში, ლიტ. ძიებანი, ტ. II, თბილისი, 1944, გვ. 129, 144; ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკე, VII, თბილისი, 1955, გვ. 458.
- ⁴¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 336; ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განეთარება ქართულში, ძველ ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბილისი, 1964, 97; ბ. ჭობრენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975, გვ. 193.
- ⁴² ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 336.
- ⁴³ ივ. ქავთარაძე, სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფის მყოფადისათვის, იხ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, I, თბილისი, 1972, გვ. 101.

⁴¹ ივ. ქავეთარაძე, XII—XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1949, გვ. 89.

⁴² არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 100.

⁴³ ა. შანიძე, გვ. 442.

⁴⁴ ივ. ქავეთარაძე, დრო-კილოთა მესამე სტრიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, იყე, VII, თბილისი, 1955, გვ. 74.

⁴⁵ არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

⁴⁶ არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ ენიშის მოაზრება, ტ. III, თბილისი, 1938, გვ. 209; არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99; ალ. ჭინჭარაული, ხევსურული თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 243; თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1960, გვ. 55.

⁴⁷ ე. თოფურია, ქართლური, „არლი“, ტფილისი, 1925, გვ. 131.

⁴⁸ არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

⁴⁹ იქვე, გვ. 90; პ. ჯაჭანიძე, გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები, ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., XV, 1956, გვ. 202; პ. გაჩეჩილაძე, რეურული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იყე, ტ. VIII, თბილისი, 1956, გვ. 41; ალ. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

⁵⁰ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

⁵¹ არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90; ალ. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

⁵² თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 169.

⁵³ იქვე, გვ. 170.

⁵⁴ იქვე, გვ. 172.

⁵⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 500.

⁵⁶ შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბილისი, 1974, გვ. 50.

⁵⁷ ბ. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

⁵⁸ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 337.

⁵⁹ იქვე, გვ. 338.

⁶⁰ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 441—442.

⁶¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 498.

⁶² იქვე, გვ. 270; ივ. ქავეთარაძე, ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელზმნის წარმოების თავისებურება ქართულში, „მაცნე“, 1960, № 3, გვ. 189—194; ზ. კუშმურაძე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, ორიონი, თბილისი, 1967, გვ. 336—356.

⁶³ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 498; ივ. ქავეთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

⁶⁴ ე. კალანდაძე, „გებულობს“, „ღებულობს“ ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, იხ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, I, თბ., 1972, გვ. 174—177.

Ш. Х. ПУТКАРАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ОБРАЗОВАНИЯ ГЛАГОЛЬНЫХ ОСНОВ В ПРОИЗВЕДЕНИЯХ ШАЛВЫ ДАДИАНИ

Резюме

Язык произведений Шалвы Дадиани очень богат. Наиболее интересной областью, которая привлекает особое внимание при изучении языка писателя, является образование глагольных основ. Ш. Дадиани вносит в язык героев своих произведений диалектные формы и архаизмы, имеющие своеобразные нюансы и выполняющие стилистические функции.

« Среди глагольных диалектизмов можно отметить: взаимозамену тематических аффиксов, употребление субъективных и объективных показателей лица, сохранение суффикса «н» в ряде форм инверсивных глаголов первой серии, образование при помощи суффикса «ен» (→ «н») мн. ч. второй серии страдательного залога с формами на «н» и «е», употребление в первом условном ряду форм с суффиксом «иа», включение в условные ряды форм на «н», взаимозамену гласных в глагольных предлогах, своеобразное образование страдательного залога, форм версий и контакта.

Диалектные глагольные формы главным образом встречаются в языке персонажей и употребляются как определенный художественно-стилистический прием индивидуализации и типизации действующих лиц. В авторской речи диалектизмы замечаются редко.

Шалва Даднани большой мастер слова. В его сочинениях часто встречаются новые языковые формы. Писателю удается образование отыменных глаголов. В этих случаях он опирается на богатые внутренние возможности грузинского глагола. Отыменные глаголы придают языку сочинений лаконичность и новизну, делают повествование более эмоциональным. Большинство глагольных неологизмов жизнеспособны, соответствуют содержанию и служат обогащению лексического фонда языка.

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტი

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ცირა ბოზორიშვილი

ზმნის გრამატიკულ ფორმათათვის „მირიანში“

პირი და ზმნისწინა

პირის ნიშნები „მირიანში“. ჩვენი ტექსტი საყურადღებო მასალას იძლევა პირის ნიშანთა მორფოფონემიკური ცვლილების თვალსაზრისითაც. ქვემოთ განვიხილავთ პირის ნიშანთა დისტრიბუციასა და ფონეტიკურ ცვლილებებს მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებში ძველ და ახალ ქართულთან მიმართებით.

სუბიექტური პირველი პირის (S₁) მორფემა [ვ-] „მირიანში“ წარმოდგენილია ო რ ი ალომორფით /ვ~0/. ნულოვანი ალომორფი გვხვდება სამ პოზიციებში: 1) ფუძისეული უ-ს წინ (ჩვეულებრივ ეს არის სასხვისო ქცევის ნიშანი), 2) ზმნისწინისეული ო-სა და ფუძისეულ ხმოვანს შორის, 3) ძირეული ვ თანხმოვნის წინ. სხვა შემთხვევაში ყველგან [ვ] ალომორფია წარმოდგენილი. ვნახოთ მაგალითები:

/0/:

1) მეჯლისა უ ყ უ რ ე ბ და მირის ნახვითაც გაეჩხარებ (8, 4). ვაი თუ მატყუებდეს და მართლა არ უ ყ ვ არ დე -მეთქი (9, 23). ახლა ესე ამბავი და უ ტ ტ ე ო თ და მცირე რამე... ვთქვათ (19, 37). ჩემს ღდას აგრე არ გა უ ზ დ ი ე ვ ა რ (28, 11) და სხვ.

/0/:

2) ახლა ეს ანბავი დაუტეთო და მცირე რამ მირის ანბავი მ ო ი ქ ს ე ნ ო თ (20, 34)

/0/:

3) წუხელის მ ო ვ ე ლ ი (8, 9). იმ სახლის კართან რომ მივედით (5, 25). მღარიბი დამ მოეკალ (4, 6) და სხვ. ეთქვი, თუ მოეკლა (7, 37). იქვე წავეიქვეც (7, 38). მე მართო ვი ე ლ ი ო (8, 6). შენს ნახვას ვ ე ლ ი რ ს ე ო (8, 27). ვ კ ე ნ ე ს ი (14, 9) და სხვ.

[ვ-]-ს ალომორფთა განაწილების ზემოთ წარმოდგენილი წესის მეორე შემთხვევა (2) იშვიათია, როგორც საილუსტრაციო მაგალითების რაოდენობის მიხედვითაც ჩანს. აქ შესაძლოა /3/ ალომორფიც, მაგალითად:

სიკვდილისგან მ ო ე ვ ა რ ი ნ ე (5, 41). შენა თუეს მხუჟან, თუ არ წაუკითხავ, თავს მ ო ვ ი კ ლ ა ე ო (28, 7). ახლა ანბავი ესე დაუტეთო და სხვა ანბავი მ ო ვ ე ლ ო თ (23, 7). არ იქნა, ერთ რ ა მ მ ო ვ ი გ ო ნ ო (1, 46). გამოუყვანო (2, 8) და სხვ.

შეიძლება დავასკვნათ, მო-ზმნისწინის მომდევნოდ და ფუძისეული ხმოვნის წინ (მო — V) „მირიანში“ თავისუფლად მონაცვლეობენ /ვ/ და /0/ ალომორფები.

ახლა ვნახოთ, რა მიმართება აქვს „მირიანს“ სუბიექტური პირველი პირის გამოხატვის თვალსაზრისით ძველ და ახალ ქართულთან, საშუალო ქართულის წინა პერიოდის ტექსტებთან თუ ოფიციალურ გრამატიკულ ნორმებთან.

ფუძისეული უ-სა და ვ-ს წინ S₁-ის /ვ/-ს დაეკარგვა ჩვეულებრივია ძველსა და საშუალო ქართულში¹. ამ მხრივ ჩვენი ძველი აგრძელებს საშუალო

¹ ი. მ. მაგალითად, ივ. ი მ ნ ა ი მ ე ლ ი, სინური მრავალთავი, თბ., 1975, გვ. 40; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, საერო მწერლობის ძეგლებს ფონეტიკურა თემატურებანი, ივ. ტ. VI, 1954.

ენის ტრადიციას. მაგრამ ო — V პოზიციამი [ვ]-ს /0/ ალომორფი ძეკლსა და საშუალო ქართულში არ ჩანს. მაშასადამე, ეს ჩაითვლება ჩვენი ძეკლის სპეციფიკად. ასეთი ფორმები გავრცელებულია ქართული ენის დიალექტებში და არც ლიტერატურული მეტყველებისთვის ჩანს უცხო. მაგალითად, არ. მარტიროსოვისა და გრ. იმნაიშვილის „შენიშნით“, „ოვი კომპლექსში პირველი პირის ნიშნისა და ფუძისეული ვ-ს დაკარგვა მოდებულია მთელ კახურში“². გრ. იმნაიშვილი ინგილოურსა და არავის ხეობის ქართულში ადასტურებს ზნანათა ფორმებს, რომლებშიც მო- ზნისწინის მომდევნოდ და ფუძისეული ხმოვნის წინ S₁-ის /ვ/ ჩავარდნილია: მომთხოვო (<ნოთხოვო<მოვი-თხოვო), მოალოჲ... მე მას არ მუეშევი, შამუერტყენით³.

უდავოა, რომ მუეშევით ფორმის ამოსავალია მოვეშევით: მოვეშევით>მოვეშევით>მუეშევით, ე. ი. ვ-ს დაკარგვის შემდეგ განხორციელებულია ხმოვნათა დისიმილაცია: ღიაობის მიხედვით (ოე>უე).

საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა ქართულ დიალექტში (აღმოსავლური და დასავლური) დაკარგულია ვედ/ვიდ ძირისეული ვ მო-ზნისწინის მომდევნოდ: მოვედა>მოელი, მოვალ>მოალ>მუალ⁴. მაშასადამე, ო-V პოზიციამი მოსალოდნელი იყო პირის ნიშნის /ვ-/ პრეფიქსის დაკარგვაც. „მირიანში“ ამ დიალექტური ფორმის დადასტურება საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ პერიოდში გაბატონებული გრამატიკის სახელმძღვანელოების მიხედვით S₁-ის (ვ-) პრეფიქსი იხმარება უ- პრეფიქსთან სახსვისო ქცევის ფორმებშიც კი⁵. ეს იმას ნიშნავს, რომ სამწერლო ენის დემოკრატიზაცია დამყარებული არის დიალექტურ ფორმებზე და ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს მე-18 საუკუნის 70-იან—80-იან წლებში. ეს განსაკუთრებით შესაძლებელი იყო „მირიანის“ ენის ნაწარმოებში.

S₂ ფრიად საყურადღებო ვითარება არის „მირიანში“ სუბიექტური მეორე პირის გამოხატვის მიხედვით. S₂ ამ ძეგლში წარმოდგენილია სამი ალომორფით, კერძოდ (ხ-), (ს-) და (0) ალომორფებით.

(ხ-) გვაქვს ცნობილ ორ ზნაში, რომლებიც ხანმეტობიდან დღემდე ინარჩუნებენ ამ პრეფიქსს, ესენია ხარ და ხვალ, მაგალითად:

მშენიერო, ეინა ხარ ან ეისი გვარისაო (8,17). თუ ზღვით წახვალ... (4,32); თუ ხმელით წახვალ... (4,33) და სხვ.

ძეკლის ერთ-ერთ არსებით ნიშნად უნდა მივიჩნიოთ (ს-) პრეფიქსის ძალზე იშვიათი ხმარება S₂-ის ნიშნად და (ჰ)-ს გამოუყენებლობა ამავე ფუნქციით. „მირიანში“ S₂-ის ნიშნად (ს-) იხმარება სულ რამდენიმე ფორმაში. აი ისინიც:

გვ. 123; მ. ძ. ო. შ. ვ. ი. ლ., ფონეტიკური პროცესები ძეკლ ქართულში, თბ., 1960, გვ. 99 და სხვ.

¹ არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 55.

² გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966, გვ. 56.

³ გრ. იმნაიშვილი, არავის ხეობის ქართული, იყე, IV, 1953, გვ. 316.

⁴ იხ., მაგალითად, შ. ძ. ო. შ. ვ. ი. ლ., დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1954, გვ. 137; ალ. კ. ი. ნ. ა. ლ. ხეხურელის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 97 და სხვ.

⁵ იხ., მაგალითად, გაიოზ რექტორი, ქართული ლამაზობა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნაოლაიშვილმა, თბ., 1970, გვ. 71 და გვ. 87.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: სუბიექტური მეორე პირი, „მირიან-ში“ წარმოდგენილია /ხ~ს~ო/ ალომორფებით.

(ხ-)სა და (ს-)ს შორის არის მორფოლოგიურად შეპირობებული დანატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება, ხოლო /ს-/სა და /ო/-ს შორის--- ფონოლოგიურად შეპირობებული დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება, თუმცა ისინი შეიძლება თავისუფლადაც მონაცელებდნენ.

/ვ-/ ალომორფი ჩაითვლება /ხ-/ს მონაცვლედ მხოლოდ გრაფიკულ დონეზე. ე. ი. რეალურად ამ მონაცვლეობას, ჩვენს აზრით, ადგილი არ ჰქონია ქართული ენის განვითარების არც ერთ ეტაპზე.

სა. სუბიექტური მესამე პირის ხ~ა~ო ალომორფები ჩვენს ძეგლში გვხვდება იმავე დისტრიბუციით, რაც თანამედროვე ქართულს ახასიათებს.

გამონაკლისად ამ მხრივ შეიძლება ჩაითვალოს 1) ი ც ნ ა, ც ნ ა ფორმები, რომელთაც, შესავსად ძველი ქართულისა, სა-ის ნიშნად მოუღდის -ა და არა -ო, როგორც ახალ ქართულში გვაქვს. მაგალითები „მირიანიდან“:

მირმაჲ ც ნ ა (10.11): ~ ც ნ ა და ~ ნ შ ნ ა (29,41); თითქმის ადამიანად ვერ ი ც ნ ა (10,27) და სხვ. (შდრ. ივ. ქართული ც ა ა იესუ... შრ. 5, 306 და არა უნდა, რამათჲა ი ც ნ ა ვინ. შრ. 9,30 და სხვ.)⁸

რაც შეეხება უ ს წ რ ა ფორმას (სიღამემ უ ს წ რ ა 30,14). იგი მ ი (ვ) უ ს წ რ ა რ, მ ი უ ს წ რ ა ფორმათა პარადიგმაში ზის და ამდენად გამართლებული ჩანს.

2. ჩვენს ძეგლში ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე სა-ის /-ა/-ს ადგალზე გვხვდება /-ო/, რაც შედეგია /-ა/-ს შერწყმისა ფუძისეულ ფ-სთან. ენახოთ მაგალითები:

საწერი კალამი მ ი ა რ თ ო (28,6). არ მ ო მ ე შ ო (33,39). მირის ხელები თვალზედ მოისო (34,21). ფეშქაში მ ი ა რ თ ო (19,32). ფეშქაშაჲ მ ი ა რ თ ო (6,6). თავში ჭილა ვ რ კ ო (21,33). რაცა მჭონდა, წ ა მ ა რ თ ო (2,3). ბექელი ნეკზედ შ ე ა ც ო (14,18). მირის... მ ი ე რ თ ო წიგნი (23.31). ... ჩემი ქალი იმერტომ და ი წ ო (9,46). ფერჯის კოქი ამოართო... (17,40). რომ დანახა, თ ქ ო (2,22). ძალის ტყავის ნიფხავი ე ც ო (6,19).

ერთ შემთხვევაში კავშირებითის -ა ფუძისეულ ფ-სთან შერწყმით იძლევა ო-ს;

შენი თავის მზემა, ეს სკამი თავის დაფენილობით რომ კეისარს მ ი ე ა რ თ ო, თქვენი სახელიც არის (7,20).

ასეთი ვითარება ზჩვეულოდ არ არის: ვა>ო ცვლილება მთელს საშუალო ქართულს გასდევს. საერო მწერლობის ძეგლთა ფონეტიკური თავისებურებების განხილვისას არ. მარტიროსოვი წერს: „განსაკუთრებით ხშირია ვა კომპლექსის გადასვლა ო-ში. ამას ვხვდებით ნაწყო სრულის III პირსა და კავშირებით მეორეში ისეთ ზნებთან, რომელთაც ძველ ქართულში ფუძის ბოლოს უმარცვლო უ მოეპოვებოდათ“. დებულება ილუსტრირებულია სათანადო მაგალითებით XI—XVIII საუკუნის ძეგლებიდან⁹.

სპორადულად გვხვდება ისეთი ფორმებიც, სადაც შერწყმა არ მომხდარა, მაგალითად:

⁸ შდრ. სამ. ქართული: „წიგნი და კლე რიდისა ი ც ნ ა და გაცაშლა მან...“ (ვეფხისტყაოსანი, 1340, 1).

⁹ არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, ივე, ტ. VI, 1954; გვ. 102. იხ. კლდე ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ქ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს. I, 1964, გვ. 303.

ჩემი შეილი ადამის ტონის საბაზით დაიწვა (9,45).

ყურადღებებს იპყრობს მრავლობითი რიცხვის ფორმები. აქ ხშირად ძველი და ახალი ფორმები ერთიმეორის გვერდით გვხვდება. პრეფიქსიან ენებრთებში სუბიექტი ზოგჯერ, ძველი ქართულის მსგავსად, ენ (~ნ) სუფიქსითაა არის წარმოდგენილი, მაგალითად:

თქვეს, დაღ და ვიღაღ ენით (11,14). ისრე ვეცადნეთ ჩვენს რგებასაო (21,4). შირიღა მისნიკცხები იმასკარგა შეეკცნეს (6,40). შღრ. ახალი ფორმები: შზას იყავით (23,35). ტირილოთ გაიყარნენ (11,12). დაღაფები გამოვიდნენ და მოეპარნენ (11,20).

ძველში ერთიმეორეს გვერდით გვხვდება ერთი და იმავე ზმნის ძველი და ახალი ფორმები, მაგალითად:

მერმე მოეხეიენეს ერთმანერთსა (11,5) და ერთმანერთს მოეხეიენენ (11,12) და სხვ.

არსებითად ჩვენი ძველი ახალი ქართულის გზარებას გვიჩვენებს. ეს განსაკუთრებით მესამე პირის ფორმებზე ითქმის: უწყვეტლისა და წყვეტლის მრ. რიცხვის მესამე პირის ფორმებში სუბიექტი წარმოდგენილია -ნენ ან -ენ სუფიქსით. ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ, მათი განსხვავების რაიმე წესი არ შეიმჩნევა. მათთან შედარებით უმნიშვნელოა -ეს სუფიქსის ხმარების შემთხვევები.

მაგალითები: -ენ და -ნენ სუფიქსათების მესამე პირში.

-ენ: იმ წყალთან დასხდენ (2,25). დათამამდენ შირის ქარი (22,34). ... ევზირები ახლდენ და სარღები (2,33). ...თავეთი შინაყმითა სვემდენ (33,45). ...იციოდენ და მქიარულობდენ (7,2). რომსკემდენ, ის დაფიიყო და ქოს-ნალარა (6,45) და სხვა მრავალი.

-ნენ: ნახა, სამნიე წრიღამ გამოვიდნენ (2,14). ახლა ნახეს, რომ მალა იყენენ (2,22). იმკოშთან შეიყარნენ (6,12). ვინცი იწვენენ და ეინათ, შამოხლტნენ (9,3). რუს რომ მოახლოვდობდენ, გაქრებოდნენ (1,41). იმ მთაზე ტირილოთ იარებოდნენ (2,23). როცა შეწუხდებოდნენ, გავიღოდნენ (11,45-46) და სხვ.

ცალკე გამოყოფთ მედიოპასივითა და სტატიკურ ზმნათა ფორმებს, რომელთაც აქვთ მრავლობითის -ან სუფიქსი, ოღონდ სუბიექტური მესამე პირი ამ ფორმებში შინაარსობრივად არ გაიზრება. ენახოთ ეს ფორმები წინადადებაში:

ნომიათაბ ქეიან (4,16).

ცნობილია, რომ ქეიან წარმოშობით არის II ხოლმეობითის ფორმა¹⁰ (პ-რ ქუთი-ან, ძველი ორთოგრაფიით პრქვან). ჩვენს ძველში, გარდა იმისა, რომ ირიბი ობიექტის ნიშანი აღარ ჩანს (იხ. ქვემოთ), ამავე დროს -ან სუფიქსის დაკარგული აქვს გრამატიკული ფუნქცია და, ვფიქრობთ, აწმყოს ფორმა რეალურად მხოლოდ ირიბ ობიექტს ეარაუღობს, ე. ი. ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც მრცხენიან, მეშინიან... ფორმებში:

მტერს მტრისაგან როგორ არ ეშინიან (23,21). მეშინიან (29,3). როგორ მშადიან (29,23). მიჯარიან¹¹, ეს ისევე შერჩა (4,21). მეშინიან, ძალიანიკაცია (29,30). ქეეენისაგან მრცხენიან (29,29).

მრცხენიან, მეშინიან, ეშინიან ფორმებს მხოლოდ ერთი პირის გაგება

¹⁰ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 331.

¹¹ მიჯარიან არის არასწორი ორთოგრაფიით წარმოდგენილი მიხარიან (შღრ. ძვ. ქართულის მიხარის, გიხარის და სხვ.)

აქვს. -ან სუფიქსი ამ ფორმებში გრამატიკულ მნიშვნელობას აღარ ატარებს და, უნდა ვიყარაუდოთ, ფუძის ნაწილად არის ქცეული.

ასეთივე ვითარება უნდა გვექონდეს მიხარიან, მწადიან, შემიძლიან ფორმებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ იგუებენ სახელობითში დასმულ ნაცვალსახელს (მიხარიან მე ის, შემიძლიან მე ის). ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა კახურში დადსტურებული -თ სუფიქსიანი ფორმები ამ ზნეებისა. შეუძლიანთ, უხარიანთ¹². რადგან დიალექტებში არა გვაქვს ემალებიანთ, უთბებიანთ, უშავდებიანთ ტიპის ფორმები, სადაც ერთდროულად გამოხატული იქნება როგორც S₃-ის, ისე O₃-ის¹³ მრავლობითობა, შეუძლიანთ, უხარიანთ ფორმებშიც -ან საერთოდ უფუნქციოდ უნდა მივიჩნიოთ. ასეთი ფორმა ჩვენს ძეგლში გვხვდება:

... ნუ გეშინიანთო. ესეც თქვენი სახლა (3,20).

გვხვდება თანამედროვე ნორმებით სწორად მიჩნეული ფორმებიც ზემოთ აღნიშნულთა პარალელურად, მაგალითად:

წართმევა აღარ შემიძლია (19,27). ამის მეტი აღარ შემიძლია (4,44).

ობიექტი III პირში. ირიბი ობიექტის (O^ბ) და პირდაპირი ობიექტის (O^პ) I და II პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმები ენის განვითარების გრძელ მანძილზე არ შეცვლილა და ჩვენს ძეგლშიც ყველაფერი ნორმის მიხედვით არის წარმოდგენილი. ინტერესს იწვევს III პირის ფორმები, რომლებიც ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. „მირიანში“ როგორც O₃, ისე O₃ მესამე პირში წარმოდგენილია ს- პრეფიქსით ან ნულოვანი მორფემით: ჰ-ს ამ პირთა ნიშნადაც ვერ ვხვდებით, როგორც S₃-ის ნიშნად. შიშინა აფრიკატების წინ ხ- ასიმილაციით იძლევა შ-ს. ირიბი და პირდაპირი ობიექტის III პირის ფორმები განვიხილოთ ცალცალკე.

O₃. ზემოთ თქმულის მიხედვით O₃ „მირიანში“ წარმოდგენილია /ს ~ შ ~ O/ ალმორფებით. /ს-/ გვხვდება დ, თ, ტ, ძ, ც, წ თანხმოვნებით დაწყებული ფუძეების წინ ჯ, ჩ, ჰ-ს წინ კი გვაქვს /შ-/, სხვა შემთხვევებში არის /O-/. მაშასადამე, /O-/ მოიცავს ჰ-ს პოზიციასაც, ვნახოთ მაგალითები:

/ს-/: ცეცხლი გამოსდიოდათ (1,40). მირიმ ნიშნებით პური სთხოვა (12,8). მოყრობის წიგნი მისწერა (17,13). ღმის ღმა შესწირა (27,42). თავისი ქალი მისცა (3,26). ...საქრავან გული ასე მოსტაცა (8,2). ქამანდი შესტყორცა (20,5). მხიარულად შემოსტინა (22,10) და სხვ.

/შ-/: მოშქრა ფერვის კოჭი (17,40). ხელმწიფემ თავის უწვილობა შეშჩიელა (1,16). ზღვის მფრინველები... სოლომონ ბრძენს შეშჩიელებდენ (5,34).

/O/: ქალს თავისი ანბავი კითხა (3,4). მუღამ ნომრ აეთაბის ანბავს კითხედა (4,37). ჯოჯოხეთილამ გამოსულს გვანდა (8,14). ნომი აეთაბ მოგონებოდა (14,14). გვრტი ყაფაზით ტუსალთ ყვანდა (2,34). მირიმ მშვილდ-ისარს რომ წელი მიყო (10,15). გულს შემოყროდა (14,15). იმათაც დაჭირება ქონდათ (3,9). შეატყო, რალაც დამართებია (4,41). ქალმან შედიცა (9,19).

ნულოვანი ალმორფი გვაქვს ხმოვნებისა და სონორების წინაც:

...რაც იცოდნენ, ისიც დაეიწყებოდათ მირის საკვირველებით (2,27). არავინ აჩვენოთ (4,1). იმ ყმაწვილმან მოაჯსენა (4,6). იმთ გამოუღგა (4,3) და სხვ.

¹² არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი. ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 129.

¹³ იმ ნიშნავს მიცემით (dativus) ბრუნვაში დასმულ ობიექტს (აქ უღრის ირიბ ობიექტს).

/ს-/ გვხვდება პირდაპირი ობიექტის ნიშნადაც, რამდენიმე მაგალითი:

გასტყორცა (12,41), ასწივა (25,29), სკამდა (4,40), სთბდა (21,37), განესწმინდე (29,21), ამოესწყვიტე (27,20), სტანჭედენ (11,23), დასწერა და დაბეჭდა (21,23) და სხვ.

პირდაპირი ობიექტის სიმრავლე ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია -ნ (<ენ) სუფიქსით:

სიძე და ქალი ზედ დასხნა (3,32).

საერთოდ კი ამ მხრივ უკვე ახალი ქართულის ნორმაა გაბატონებული, მაგალითად:

თუ ის სამნი კაცნი ჩავეგდე (3,10) და სხვ.

ირიბი ობიექტის სიმრავლე მესამე პირში წარმოდგენილია -თ სუფიქსით, როგორც ნ-ის -ა სუფიქსის, ისე -ს სუფიქსის მომდევნოდ, მაგალითად:

მოუვიდათ (2,16), გამოელეძათ (11,21), ნუ დაგაკლდებათ (19,30), უხაროდათ (29,17), შეუთადათ (31,21) და სხვ.

აქვსთ (3,11), უყვარსთ (6,6), აჩვენებსთ (4,18) შემოეყარისთ (29,16) და სხვ.

ძველში დადასტურდა ერთი შემთხვევა, როცა თურმეობით მეორეში გრამატიკული ობიექტი წარმოდგენილია თქვენი ნაცვალსახელით და, ძველი ქართულის მსგავსად, მისი სიმრავლე ზმნაში გამოხატული არ არის:

თქვენ რომ კაცი გამოგეგზავნა (2,11). შღრ. ჭაფა გინახავს (27,7), გაქვსთ (21,26). თქვენ გაწყვიტისთ რამე (6,4) და სხვ.

ჩვენი ძველის მიხედვით ზემოთ წარმოდგენილ ვითარებას თუ განვიხილავთ ძველ და ახალ ქართულთან მიმართებით, უნდა დავასკვნათ, რომ „მირიანი“ არსებობდა ახალი ქართულით თარგმნილი ძველია:

1. ძველი და ახალი ქართული პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოხატვით პრინციპულად განსხვავდება გრამატიკული ფორმებით:

ძველი ქართული

ახალი ქართული

დავმალენ	} იგანი
და(ჰ)მალენ	
დამალენ-ა	
დაგვმალენ (შენ ჩუენ)	
დაგმალენ (მე თქუენ)	
დაგმალენ-ა (მან თქუენ)	

დავმალე
დამალე
დამალა
დაგვმალე
დაგმალეთ
დაგმალათ

„მირიანი“, ერთი გამონაკლისის გარდა (იხ. ზემოთ), მხოლოდ ახალი ქართულის ფორმებს გვიჩვენებს:

ვინ ხარ ანუ აქ ვინ მოგიყვანათო, (5,27), შღრ. ივ. ქართ. მოგიყვანანა, დეენი ამოესწყვიტე (27,20). შღრ. ძე. ქართ. მოეწყვლენ და სხვ.

მაშასადამე, აღარ იხმარება ენ-ნ და ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად წარმოდგენილია -თ.

2. ახალი ქართულის ვითარებაა მიეცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის სიმრავლის გამოხატვის ღროსაც. ზემოთ მაგალითები საკმაოდ მოვიყვანეთ და ერთი გამონაკლისი აქაც აღმოგვაჩნდა (იხ. გვ. 18—თქვენ გამოგეგზავნა).

3. ასევე ახალი ვითარება გვიჩვენა „მირიანმა“ ნ-ის -ენ/-ნენ სუფიქსებით გამოხატვით უწყვეტლისა და წყვეტილის მესამე პირში. მაშასადამე, „მირიანის“ ენას „სამუშაო“ იმდენად მიუღდება, რამდენადაც მასში თითო-ორ-

ლა ფორმა ძველი ნორმით წარმოდგენილი, რასაც ადგილი აღარ აქვს თანამედროვე ქართულში.

ბოლოს, პირთან დაკავშირებით შეეხებით ერთ სინტაქსურ ფორმას, რომელიც, ჩვენი აზრით, საყურადღებოა მთარგმნელის ენობრივი ვინაობისათვის. დაწვრილებით ამის შესახებ ნარკვევის ბოლოს ვიმსჯელებთ ყველა მონაცემის მიხედვით, ახლა კი მივუთითებთ ე. წ. მფლობელ ირიბ ობიექტთან ფორმაზე ჩვენს ტექსტში:

ქაღოს ჩენი ჩანი ზორა ეცეს, არ განაწიროთმევე. ჩენს თავს ახლავ მოკვდავი (23,15).

გამამირთმევე ფორმაში შინაარსობრივად ორი ირიბია წარმოდგენილი, გრამატიკულ პირად ერთი ითვლება მხოლოდ, ასეთი ფორმების განხილვისას ა. შანიძე წერს: „მფლობელი ირიბის ხმარების არე საკმაოდ ვრცელია განსაკუთრებით აღმოსავლურ კილოებში...“¹⁴.

ზმნისწინი. „მირიანში“ ყურადღებას იქცევს ზოგი ზმნისწინის ხმარება. ეკრძოდ: მა-, გარდა-, და-.

მა-. „მირიანში“ გვხვდება სააქეთო ორიენტაციის გამოწმადტველი [მო-] ზმნისწინის როგორც /მო-/ ვარიანტი, ისე /მა-/. მათი ხმარების სიხშირე ტექსტში ძალიან განსხვავებულია. გვაქვს შეფარდება 10:1 მო-ს სასარგებლოდ.

არსებითად [მო-] ზმნისწინის ორ ვარიანტს შორის გვაქვს დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულება: /მა-/ გვხვდება მხოლოდ ობიექტური I პირის (როგორც პირდაპირის, ისე ირიბის) მპარეფიქსის წინ. სხვა შემთხვევებში კი, გარდა ერთისა, რომელიც ასიმილაციის გზით არის მიღებული (მა-ახსენა<მოახსენა), ყველგან /მო-/ გვაქვს, მაშასადამე, /მა-/ ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფია /მო-/ ზმნისწინისა. ადგილი აქვს დისიმილაციას ლაბიალობის ნიშნის მიხედვით¹⁵. მაგალითები:

ქალი გამამგვარე (23,29). მამგვარეთ (22,13). პასუხი აწევ გამართვიო (27,41). მამერთმიენა (28,15). დასტური მამეო (9,41). მამცეჟ ქალს, ხომ მამეც... (29,23). იხ. კიდევ 9,2; 18,1, კუპში არ მამდის (26,28), ვერ მამკვლენ (15,9). მამიკლაო (20,29)... შე ვერაინ მამკლავს (25,10), მირის ქარი მამდგომია (23,18). გამამგზავნა (21,46; 15,21, 22,2). მამისკით სამნი კაენ (39,13), მამისხი (3,16). ქალის ავამტყოფობა შემამჩივლაო (8,41) შენთან მამყევანდა (20,24), მამიბარეზიაო (31,19). ონ მამყელა (33,6), პასუხი მამიტანეო (20,41), მამინდებო (17,41) თან წამამიღვეით (20,36). მეც მალისთვის გამამიშვეს (3,9).

„მირიანში“ ამავე პოზიციაში დასტურდება /მო-/ ზმნისწინიც, რაც მთარგმნელის სამეტყველო ენაზე სამწერლობო ენის გავლენად უნდა ჩაითვალოს. ასეთი 15 შემთხვევაა დადასტურეთ, ე. ი. ამ პოზიციაში /მა-/ -ს ხმარების შემთხვევებზე 50%-ით ნაკლები. რაც იმაზე მიგვიჩივებს, რომ ავტორის სამეტყველო ენაში, მის ჩვევაში გაბატონებული ყოფილა მა- აღნიშნულ პოზიციაში. მაგალითები:

ის ქალი გამომგვარეთო (23,22). მომგვარეთო (16,9). არ მომეშო (33,39), ვინც თან მომყენენ (5,46), ფეშაჟს მომიტანდა (5,42). მომიტანო (23,5), ეს სურათი მე მომეციო (4,31). მომეც (14,26). იმის სახე შემომიკვეთა (4,20). ზღვამან აქ გამომავდო (4,10). ტახტიდან არ ჩამომავდის (29,31). აქ მო-

¹⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 344.

¹⁵ ელ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, აღ. შულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., XIX, 1959, გვ. 261; თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 19 და შემდეგ.

მიყვანა (5,44). მომიპარა (32,5), ვერ მომარჩებინ (21,44), ეს რა დოღლი მომიბრუნდა (8,28), ძლივს მომასურეღის (8,19).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მო-/მა- მონაცვლეობას ადგილი არა აქვს ფუძისეული მ-ს წინ:

კომალი მომართეს (5,14), გამოჩენის გულისათვის მომატებით მიმწაზე დაშმა (7,25).

რაც შეეხება ასიმილაციით მიღებულ /მა-/ ზმნისწინს (იხ. ზემოთ) იგი მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება: სამძიმარი მაახსენა (10,3), სხვა შემთხვევებში კი ეს ფორმა მხოლოდ /მო-/ ზმნისწინით არის წარმოდგენილი:

ხოსროშაჲ მადლი მოახსენა (3,28). იხ. კიდევ 3,4; 3, 14, 14,31; 14; 32, 29,6 27.1 20,28; 7,45; 3,8.

მო-/მა- მონაცვლეობა ობიექტის აღმნიშვნელი მ- პრეფიქსის წინ უთუოდ დიალექტური გავლენის შედეგია ჩვენს ტექსტში. მსგავსი ვითარებისათვის დავასახელებთ კახურ დიალექტს, სადაც „პირველ ობიექტურ პირთან სისტემატურად მა- (ამა-, გამა-, წამა-, შამა-, ჩამა-...) გვევლინება, ხოლო II ობიექტურ პირთან მო- (ამო-, გამო-, წამო-, ჩამო-...)“¹⁶.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ტექსტში მა-/მო- ვარიანტთა თავისუფალი მონაცვლეობა I პირის მ- პრეფიქსის წინ (მამცა/მომცა) სხვადასხვა სისტემათა (ლიტერატურული ენა და დიალექტი) პარალელურად გამოყენების შედეგია და არა ერთი სისტემის დამახასიათებელი თვისება.

ის ფაქტი, რომ ჩვენ ძეგლში არა გვაქვს /მა-/ -ს ხმარების არც ერთი შემთხვევა სხვა პირებში (მოგცა და არა მაგცა, მოიღო და არა მაიღო) დამატებითი საბუთია ასეთი ვარაუდისათვის.

გარდა- ჩვენი ძეგლის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს გარდა- ზმნისწინის არქაული სახით ხმარება. თანამედროვე გადა- „მირიანში“ არ გვხვდება, მაგალითები:

თავს ძვირფასი ჭავიირი გარდააყარა (27,18).

თავისი გარდასავალი ყველა უამბო (16,17).

თავი გარდაკეთთა (17,39) და სხვ.

ტექსტში გარდა-ს ხმარების სულ 28 შემთხვევა გვაქვს.

და- უურადლებას იქცევს ინტენსიობის და- ზმნისწინი, რომელიც ობიექტის ან სუბიექტის სიმრავლეს გამოხატავს¹⁷, მაგალითად:

ისინი დააღვიძა (10,16); შღრ. გააღვიძა.

იმათაც მშვილდ-ისრები დაიწოდეს (10,16); შღრ.

ამოიწოდეს. დათამამდენ მირის ჭარი (22,34); შღრ. გათამამდა.

ა. შანიძე და- ზმნისწინის ამ ფუნქციის საფუძველზე მსჯელობის შემდეგ წერს, რომ „აღნიშნული საფუძველი და ზმნისწინის შენაცვლებისა საზოგადოდ უკვე შერყეულია; მაგრამ თუ ის კიდევ სადმე ასე თუ ისე მკვიდრია, ისევ და უფრო აღმოსავლურ კილოებში¹⁸. ეს განცხადება უთუოდ საყურადღებოა „მირიანში“ დიალექტურ ფორმათა სადაურობის თვალსაზრისით, რაზეც სპეციალურად შევჩერდებით სხვა ადგილას.

¹⁶ არ. მარტიოსოეი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 89.

¹⁷ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 262.

¹⁸ იქვე.

სხვა ზმნისწინებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მათი ფუნქციისა და ფორმის მხრივ „მირიანი“ ახალ ქართულს მიჰყვება, მაგალითად: გვაქვს მხოლოდ შე- ზმნისწინე (მღრ. დიალექტური შა-); გვაქვს მხოლოდ გა-, წა-, ჩა-... ზმნისწინებში როგორც თანამედროვე ქართულში და ვერ ვხვდებით არ-ქაულ გან-, წარ-, შთა-... ზმნისწინებს.

Ц. БОЧОРИШВИЛИ

ГЛАГОЛ В «МИРИАНИ»

Резюме

В статье рассматриваются глагольные морфемы «Мириани» с точки зрения их морфологических изменений в соотношении с данными древнегрузинского и новогрузинского языков.

Показатели грамматических лиц

1. Показатель I субъектного лица (s_1) — {v-} имеет два алломорфа: [v ~ Ø], Ø встречается: а) перед корневой фонемой [v] (mo-Ø-veli < mo-v-veli «ожидая»); б) перед версионным показателем и (Ø-uqireb < v-uqireb «смотрим»); в) в интервокальной позиции после преверба {mo-} Ø /mo-Ø-iqseniot < mo-v-iqseniot «вспомним»). В других позициях s_1 представлено алломорфом [v-], следовательно, [v-] и [Ø] находятся в отношении фонологически обусловленной дополнительной дистрибуции.

Нулевой алломорф s_1 -ого после преверба {mo-} не свойствен ни древнегрузинскому, ни новогрузинскому литературным языкам, он в «Мириани» является следствием влияния восточных диалектов на литературный язык.

2. Показатель II субъектного лица (s_2) в «Мириани» представлен тремя алломорфами: [x- ~ s- / Ø]. [s-] встречаем редко, только перед переднеязычными смычными согласными, как это было установлено А. Г. Шанидзе для литературного языка.

Примеры из «Мириани»: s-tkva — «сказал», s-tiri — «злачешь», s-cuxdebi — «беспокоишься» и др.

Существенным признаком нашего текста является широкое применение нулевого алломорфа перед переднеязычными смычными в позиции [s-] алломорфа; таким образом, [s-] и [Ø] свободно могут чередоваться в указанной позиции.

В отличие от древнегрузинского и новогрузинского литературных языков, «Мириани» не знает префикса [h-] s_2 -ого перед переднеязычными согласными, на его месте здесь стоит Ø — это тоже следует считать спецификой «Мириани» как литературного памятника.

В позиции [h-] в древнегрузинском и новогрузинском литературных языках, как известно, недопустим алломорф [s₂-] s_2 -ого, следовательно, можно говорить и об отношении дополнительной дистрибуции между [s-] и [Ø] в «Мириани».

[x-] встречаем в формах известных двух глаголов (x-ag — «ты есть» и mo-x-vai — «придешь»).

Отношения дополнительной дистрибуции между [x-] и [s-] ~ [Ø] обусловлены морфологически.

3. Выражение третьего лица (s_3) в основном следует нормам новогрузинского языка. Примечательно систематическое применение формы $i\text{spa}$ «узнал», где (-a) является показателем субъектного третьего лица (ср. с новогрузинской формой $i\text{sp}$ -o «узнал»). Применение древних форм рядом с новыми обычное явление в среднегрузинском литературном языке XII—XVIII вв.

Суффикс третьего субъектного лица, сливаясь с корневой фонемой (v), представлен в виде (o): $miart\text{-}o$ (< $\text{p-}iartv\text{-}a$)—«преподнес», $daic\text{-}o$ (< $\text{daiç\text{-}v\text{-}a}$)—«сгорел», что, по нашему мнению, также является следствием влияния восточных диалектов на литературный язык.

Выражение III субъектного лица во множественном числе в «Мириани» следует нормам новогрузинского языка: на месте древнегрузинского суффикса {-es} представлены {-en} или {-nen}, которые чередуются свободно: $dasxd\text{-}en$ —«сели», $gan\text{-}ovid\text{-}nen$ —«вышли» и т. д.; также допустимы формы $dasxd\text{-}nen$, $gan\text{-}ovid\text{-}en$.

Колебание в выборе суффикса III лица субъекта во множественном числе продолжается в грузинском языке: в современных диалектах они (-en и -nen) чередуются свободно.

4. Показатели третьих лиц косвенного и прямого дополнений. В литературном языке, как известно, показатели косвенного дополнения III лица совпадают с показателями II субъектного лица, а прямое дополнение в III лице представлено нулевой морфемой. В «Мириани», в отличие от литературного языка, в III лице косвенное и прямое дополнения имеют одинаковые показатели, которые совпадают с показателями II субъектного лица, дистрибуция которых была рассмотрена выше.

Выражение третьего лица прямого дополнения показателями соответствующего лица косвенного дополнения является следствием влияния восточных диалектов на литературный язык.

5. Превербы. Рассматриваются превербы ma , $garda$ -, da -. (ma -) является фонологически обусловленным алломорфом $\{mo\}$ —он встречается перед показателем I объектного лица m - (диссимиляция): $ma\text{-}mindeba$ (< mo-m-indeba) «пожелаю», «захочу», $gamartvi$ (< mo-m-artvi) «преподнеси мне», $ma\text{-}set$ (< po-m-set) «дай мне» и другие; $\{mo\} > \{ma\}$ являются в глагольных формах следствием влияния восточных (resp. кахетинского) диалектов на литературный язык.

Применение преверба $garda$ - явный архаизм для «Мириани». Переводчик, видимо, придерживается древнелитературной традиции.

da - может передать множественность субъекта или объекта глагола: $da\text{-}tamanden$ «стали смелее»; $da\text{-}arviza$ «разбудил их». Такую функцию преверб da - имеет в восточных диалектах и по сей день.

Можно заключить: 1) в морфофонетических изменениях глагольных аффиксов «Мириани» в основном следует нормам новогрузинского языка; 2) в «Мириани» в широком масштабе представлены формы народных говоров, что следует считать результатом влияния восточных диалектов на литературный язык; 3) формы древнелитературного грузинского языка следует считать архаизмами для «Мириани». Это литературная позиция переводчика, а не потребность современного языка.

ასრათ ასრათოვი

მასალეგი ინგილოური დიალექტის ლექსიკონისათვის

სალიტერატურო ენაში ინგილოური დიალექტის ლექსიკური ერთეულე-ბის ფიქსირება ძალზე ნაკლებად შეინიშნება, ჩვეულებრივ ქვეყნის რომელი-მე კუთხეს მხატვრულ ლიტერატურაში ამავე კუთხიდან გამოსული მწერალი აქცევს ასახვის ობიექტად. საინგილოს არ მოუცია არც ერთი ასეთი შემოქმე-დი, რომელიც ღირსეულად ასახავდა ამ მხარეს და სხვა საჭირო მასალებთან ერთად, ქართულ ლიტერატურაში გაამზიანებდა ბევრ მეტად საინტერესო ინ-გილოურ დიალექტურ სიტყვა-გამოთქმას. ინგილოური ლექსიკა ქართული სა-ლიტერატურო ენის ზეგავლენის მიღმა დარჩა.

საინგილოს ტერიტორიაზე მრავალი ტომის წარმომადგენელი ცხოვრობდა XVIII—XIX საუკუნეთა მანძილზე და, ბუნებრივია, ეს იწვევდა ამ დიალექ-ტის თავისებურებათა გაძლიერებას და სალიტერატურო ენისაგან მის სულ უფრო და უფრო გამოიყვანას. მაგრამ ეს განშორება ურთიერთგაგებას არასო-დეს არ აძნელებდა. ინგილოური დიალექტის ენობრივი ნორმები ქართველი კაცისათვის მუდამ გასაგები იყო და ახლაც ასეა, თუმცა ეს დიალექტი მეტად მდიდარია თავისებური მოვლენებით.

ინგილოური დიალექტის ლექსიკურ ფონდში ძველი ქართული ენის ლექ-სიკურ ერთეულებს, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თავისი მოცუ-ლობითა და მნიშვნელობით. ინგილოურს ბევრი ძველი სიტყვა შემოუნახავს, არქაული, თავდაპირველი მნიშვნელობით.

ინგილოურ კილოსაც, ისე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შესაბამისი შეხვედრის წერტილები აქვს უცხო ენობრივ გარემოსთან. ზეპირი გზით ინგილოურში შე-მოჭრილი სიტყვები სალიტერატურო ქართულში ნაკლებად შევიდა. ინგილო-ური კილოს შექვარდინება ჭერ დალესტნურ ენასთან, შემდეგ აზერბაიჯანულ ენასთან საუკუნეების მანძილზე მიპლდინარეობდა, რის შედეგად ზოგიერთმა ქართულმა სოფელმა დაივიწყა მშობლიური ენა.

ინგილოური დიალექტის მდიდარი ლექსიკური ფონდის შესწავლას გარ-კვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეც-ნიერების თვალსაზრისითაც.

ჩვენ ამ წერილში გადმოვცემთ ამ სალექსიკონო ერთეულებს, რომლებიც ჩაიწერეთ სოფ. მოსულის მეტყველების მიხედვით.

ა ბ ე დ ი — მეტად მაკარი (მღრ. ლ. კიო.). „გუმიპინდელ დანაკარ პური აბელი გამქარა“.
ა ღ ო ყ ე ბ ა — მეენარს სმაღლეზე სწრაფად ზრდა, ნაყოფის მოუცემლად, (ცდრ. შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ზუბ., ი. ქავთ.). „ქინში აღოყებულა“.
ა ვ ა ნ - ჩ ა ე ა ნ - — ითქმის იმ ადამიანზე, რომელიც წვეულობის ან ქორწინების დროს ყველა-ზე უფრო აქტუარად მოქმედებს (მღრ. ქეგლ.). „ქორწილი ავან-ჩავანი ჰევი იყო“.
ა ი ბ ი — ადამიან-უარყოფითი თვისება, რაიმე ნაკლი, (მღრ. გ. შარაშ., ი. ქავთ.), „პაიფ. აბი იქნოს შენ ბოი-ბუხუნებე პეა საქმე“.
ა კ ა ფ ს ა — ავეკვა ნაწილ-ნაწილ, ასო-ასოდ დაქრასაკლავისა, — აქნა, (მღრ. გ. შარაშ., ი. ქავთ.). „შენ ცლად მჭჭრი ავაფსა“.

- ამართი — სახლ-კარი, განქეულობა (მდრ. დიალექტ. I, 627). „სახ-კარი ინსინბე ამართთა“.
- ამოქაქანება — ითქმის დალილი ადამიანზე (მდრ. ი. ქვიცი.). „ერაგე ომოქაქანებულოყო ფეუზე ზლოვ იდგა“.
- ამოქეჭყა — ცუდად ვარცხა (მდრ. შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.) „ერვა ომოქეჭყა, უგენგრე გაფინა სიმზე“.
- ასტარი — საბნის სარჩული (მდრ. დიალექტ. I, 627). „შენ დანახურ ვერლი ასტარი დაგ-ღეშულა“.
- ატკრეცა — ცხელ თორნეში ჩაყვრისთანავე პურის დაწვა (მდრ. ა. მარტ., გრ. იმნ., ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.). „ცხელ თორნემ პური ატკრეცა იცის“.
- აყლარწული — უშნოდ ტანაყრილა, მაღალა, ტანეჭრალა ადამიანი, (მდრ. შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ., ს. მენთეშ., ქეგლ.). „ფინთა აყლარწულა პივი“.
- აქთონ — იმდენი. „აქთონ ვიკითხე კოდემ თაქში არ შავდა“.
- ახლე — ახლოს. „ქალ ახლე ვაზიზე გაიგია“.
- ბენდი — წისქვილის ან სარწყავი წყლის სათავეში გამართული ქებირა, წყლის გამოსაყოფად მთავარი კალპატადან. ადგილა, რომელიც გამოდგება წყლის არხის გასაყენად (მდრ. შ. ნიქ., ი. მისურ.). „ერამქვორ ბენდი შექკარე, წყალი ვერ ვაპლადრავს“.
- ბიბილა — ყვეიღუნის ზოგადი სახელწოდება (მდრ. ს. მენთეშ.). „თქენ ეზოთი გომოსლაში ბიბილა მოაწყვილა“.
- ბორო — გივი, სუღელი ადამიანი (მდრ. გ. შარაშ., ე. ბერ.). „შენ ცარალ ბორო ხარ“.
- ბორიალი — ხმაშალი ყვირილი. „შენ ბორიალი თხილევქი მოდიოდა“.
- ბოში — მოდუნებულა, სუსტა, მოუვებული (მდრ. ქეგლ., ო. ქაჯ., ს. მენთეშ.). „შენ მანკი-რეე კანთი ბოში იქნა“.
- ბრაცუნი — უშნოდ, უზრად სიარულა (მდრ. გ. შარაშ., ბლაცუნა — შ. ნიქ., ბაღ-ლაცა — ი. მისურ., ს. მენთეშ.), „თქენ ბრაცუნი ვბაქ ჩონსა მოდიოდა“.
- ბრექა — გვიგამა, გვიგამელი სიარულა, ბეგა (მდრ. ს. ქლ., ს. მენთეშ.), „მაგა პენგე ბრექა არ შექმენის“.
- ბუზანი — მუშტა (მდრ. ი. ქავთ., ქეგლ) „ბუზანი დაქრა თაქში“.
- გამარგლა — გათხნა. „შენ გამარგლა არ იცია ბიჭო“.
- გასიციება — ბეჭმოს სათუთად აღზრდა (მდრ. თ. უთერგ.). „გასიციება ყმაწუ ლზეუ კაი არა“.
- გასუსმატება — ძალიან მონდომება რისმე. „გასუსმატება ინარბე დახ ფინ რაიბერი“.
- გატქეცა — გულახვა (მდრ. შ. ჩიქ., ქეგლ.). „გატქეცა ჰაღლა იყონდეს რალა იყო“.
- გაფხრიწა — ხმერთ რისმე გახევა (მდრ. ი. ქავთ., ქეგლ.). „ახალ პურანგო გაფხრიწა, წავ-ლა“.
- გაჩიება — საიდუმლოს გამხელა, „შენ გაჩიება კაი საქმეს არ მოგიტანს“.
- გაჩქრება — გაძებება რისმე. „რაიბე ჩემოდ არ გეჩქრეხა თუთი“.
- გაწიება — მეტად ეახმობა (მდრ. გ. შარაშ.). „თხალა გაწიება ჩექუში ჩანს“.
- გეგა — ხის ქურქულა. რომელიც ტანსამოსს რცხავენ. გეგას ერთმანეთზე დაღებულს ფეტ-კარს უღებენ სკად (მდრ. ა. ყაზ., I; შ. ძიძ., ს. მენთეშ., საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.). „ეხლა გეგა საღარაი“.
- გრილო — ჩრდილი (მდრ. თ. უთერგ.). „გამარგლაში გრალა უნდა, კმაში ზე“.
- დაბაქღანა — დაბალი, ქონდრის კაცი. „მაგ დაბაქღანს შაქხე“.
- დაზრბა — დაბადება. „ზროხა დაზობა ვერ დუნახე ვერ“.
- დამრუშქული — უმბლმეყრელი, გაბრაზებულა (მდრ. ლ. კაიშ.). „რა დამრუშქული ეტა-რება დღეს?“
- დაფარათება — დამშვიდება, მძიმე ტვირთთანაგან თავის დაღწევა. „დაფარათება შენ ჰაღლ საქმე ნე გონია“.
- დაღირსება — ვარჯისა, დაბადება (მდრ. ი. ქვიცი., მ. მესხ.). „რუნ გაწევენეუბ შენ იქ დაღი-რსებას მასწროვა?“
- დაშარტა — მავრად შეყვრა, გამოყვრა (მდრ. ს. მენთეშ., ო. ქაჯ.) „იმათ მოსლინეახ კაცი დაშარტა“.
- დაწყობა — შერიგება: „განაწყობები დაწყობა ჰაღლ საქმე არა“.
- დახანება — საქმის შეყოვნება, შენელება (მდრ. ლ. კაიშ.). „საქმა დახანება მე არ მიყვარს“.
- დახრა — შეინდას ან კაცის ბღერტა. „შუნდა დაყეფუნგან ალატო დახრა კაია“.

- დ ე ლ ა მ ა — საყველღ შვედლებული რბე (შდრ. ს. მენთემ., დიალექტ. I, 636). „დელამა ეერ არ ქნილა სა მიძი?“.
- დი ი ლ ი შ ი — ნაქერი, დადილიმება, ნაქერ-ნაქერ დაქრა ზომიერ და ბრტყელ-ბრტყელ ნაწილე-ბად (შდრ. ი. მისურ.) „სხლი დილიმი არ მამცა მამილამ“.
- დი ნ დ გ ე ლ ი — ფიჭა, ფეტურისაგან გაკეთებული ცვილის უკრელები თაფლის დასაგროვებ-ლად და კვერცხების დასადებად (შდრ. ლ. კაიშ., ი. ქეშიკ., ქეგლ.). „დინდგელი არ მაქო“.
- დ რ ე ე ა — უხერიოდ კიმეა (შდრ. ს. მენთემ.). „მაგა რაა დღელცა უნდა, ქელი არ აქო თავზე“.
- ზ ი ნ დ ა ლ ი — მველღის გრდემლი სპილენძისეულობის გამოსაყვარად (შდრ. ვ. ბერ. ზ ი ნ დ ა ნ ი). „ზინდალი და ჩაქერი წყალში გადმეიარდა, მოხილო რაზიათ ამილო თუ ჩემთავი ვინდა?“
- თ ა ვ თ ხ ე — დიდი ტაბიცი, ურმის თავშია ჩაყრილი ერთმანეთზე გადებული ხელნემის თავების შესაკრავად და ურმისთავის უღლის დასაქერად (შდრ. ს. მენთემ., ქეგლ. — თ ა ვ ხ ე). „ურში თავთზე მაქერელა შეედა ტყეში“.
- თ ა ლ ა მ ი — ხაჩალით ან ფეწლით ერთ ჭერზე ასალები დატყეპნილი თივა ან ჭეჭვი (შდრ. ს. მენთემ.). „ორმოც თალამ ბრული თელევე ურემზე“.
- თ ე თ რ ი — ფული. „ეს ტიალ თეთრი აღრა დამჩა ვიბეში“.
- თ ო ხ მ ა ხ ი — ხის ჩაქერი (შდრ. ვ. შატბერ.). „მამამ ვერ დიდ თოხმახი გამიქითა“.
- თ უ ნ გ ი — სპილენძის წყლის კურქელი „თუნგი გარეჯით შინ შამილი“.
- თ ხ ლ ა — არა ხმარად, „სიმიინდი დათესაში თხა დათესე კაისა?“
- ი ლ ხ ი — შერეული პირუტყვის, ცხენის ჯოგი (შდრ. ი. მისურ., შ. ნიკ., ლ. კაიშ. — ა ლ ხ ი). „მინდრით ილხი გომოლა“.
- ი მ გ ფ რ გ ლ ი ვ — ირგვლივ. „იმგ(ფ)რგლივ მიწა შომოყყარა ზეს“.
- კ ა ვ ი — სახურავის ლატანი, კოჭების ლარტყა, რაზედაც ჩალა, კრამიტი და მისთ. იხურება (შდრ. ს. მენთემ., ს. ელ.). „კავი მიილა?“
- კ ა ი ს თ ა ნ ა — კარგდერი, კარგისნარი, კარგი. „კაისთანა მამალი დამიქლა მულმა“.
- კ ა ტ ა რ ი — 1. ხელსახოცი ან ცხვირსახოცი, 2. კაცასიური ფიჭვი (შდრ. ქეგლ., ა. მაყ., ა. ლლ). „ევიბით კატარი ამილა ოფლი მააწმენდა“.
- კ ა ტ უ ნ ა — მოუხვენარი ავი ადამიანი (შდრ. ა. მარტ., გრ., იმნ.). „კატუნა სოფლი ავან-ჩავან-ნია“.
- კ ა პ რ ა შ ი — ნარგოზისფერი (მ. ჭან.), ყვითელ-მოწითალო (საბა), ლაღშითელი ფერი (ა. კინ-პარ.). „როგო დაეწყო წინდა კაპრაში ფერი ბაწარი არ მაქო“.
- კ ე დ ი — ძაფი. „საკერებელ დაკერებულა შეეკელი მიდნა, არ გაქუა?“.
- კ ი კ ო — ტყინა, დედოფალა (შდრ. ს. ელ.). „კიკო მიყიდა მამამ ბაწით“.
- კ ი ნ კ ი ლ ო — თხილის ბუჩქის ყვავილი. „წელს შენ თხილეც კაა კინკილო აქო“.
- კ ი რ კ ი ლ ი — მწერია ერთგვარი, რომელიც ტყავს უჩინდება (შდრ. ა. კინპარ.). „კირკილი გაპ-ჩლომია მწწმარი ტყავ“.
- კ უ ბ ა ჩ ა — კედლესუნი, ძვალი, სადაც მილები მთავრდება (შდრ. ს. მენთემ. კ უ ჯ უ ნ ა ქ ი). „უთხარე, დედამ თქო კუბაჩაა, ჯორცი ავიწონოსო“.
- კ უ დ უ რ ა — უქედო. „კედურა ფერი დიანხია ატმინდრორონი“.
- კ უ ნ ტ ა — კეტი, თორნეში წემთხვეეთ ჩავარდნილი და ნაღვერდალზე გამომცხვარი პური. „კუნ-ტა ზაღლიბეა შეიანხე“.
- კ უ ქ უ ლ ა** — წელის საზიდი გურქელი. „კუქულა გაყენა წყაროზე“.
- კ უ ჰ კ უ — გუგული (შდრ. ი. მისურ.). „მუადლიბეა კუქუე ყურის! (შდრ. რუსული Кукушка).
- ლ ა ყ ი ნ ტ ა რ ა — უსაქმუროდ მოხეტიალე. „ლაყინტარა დანატარევი ისინა მე რაშმინდა“.
- ლ ე ზ გ ი — დაღესტნელი ლეკი (შდრ. შ. ნიკ.). „ლეზგი მოუდა თქენსა ყონლა“ (რუსული უნ-და იუოს — Лезгика).
- მ ა ზ ა — სულელი ადამიანი (შდრ. საბა, დ. ჩუბ., ს. მენთემ., ი. ქეშიკ., ქეგლ.) „შენ ცარიალ მაზა ხარ“. შდრ. ქართლ. მ ა ზ ა ლ ო.
- მ ა ლ ა რ ა — კოჭზე დახვეული ძაფი (შდრ. დიალექტ., I, 648, 654, პ. ჭაჭან.) „ნემსი და მალარა მამიტანელა“.
- მ ა ლ მ უ ნ ი — უნწო, გონჯი, (შდრ. ს. მენთემ. მ ა ლ მ უ რ ი). „შენ ზალი მემგონია დიახ მალმუნია არა?“
- მ ა ქ ი — ლამაზად ერთად აწყობილი შეშა (შდრ. ო. ქაქ., ა. მაყ., დიალექტ., I, 562). „ქერ შარშაპინდელ მაქი არ დოვზრავ“. გურულში ს ა ყ ა დ ე ლ ი.

მაეაგანი — მეტყვეის იარაღი; ტყავის მოსაქნელი რკინა (შდრ. ს. მენთემ., თ. უთურგ., საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.). „მეაგანი მაილი ტყავიბეა“.

მოკიღება — დაწყება. „ერთა მოკიღება ეაფა არი, თურემ მემრე ჰაღწლია“.

მურაკი — კვირინჩხი, ტყის ხეხილია ერთგვარი (შდრ. კირკონი, ს. მენთემ.). „გზაში შამხტო მურაკი ზირი“.

ნაღობი — ღობილი, დადმოკდებული (შდრ. ი. ქემეკ., ლ. კაიშ.). „შენ ნაღობი, შარს ვათხოვდა“.

ნაკენჭალი — მარცვალგაცილი სიმინდის ტართ. „ნაკენჭალი ჩაყარე ცეცხლში“.

ნაცარტუტა — ცხელ წყალში ჩაყრილი ნაცარი. „ნაცარტუტა წყალი ტანსმუსიბეა მანდა“

ნაცარჭათამა — ერთგვარი მხალია (შდრ. ი. ქავთ., ქეგლ.) „ნაცარჭათამა დაკრიფა უენ დილაგით“.

ნაწეკი — დამტკრეული ბრინჯი. „ნაწეკი აღარ მაქო გამითადა“.

პაშტა — საქმთო, ცოტაზე მეტი (შდრ. დიალექტ., I, 379, 654, ი. მისურ., ქეგლ.) „პაშტა მან-ზილი ვაივარეს, შინ ყურდღელი შახტო“.

პატამორჩა — კინალამ. „პატამორჩა არ წვეველ ქარი ბაზარში“.

პიწა — ცოტა, პაწაწა „პიწა ქონი მამცე პურზე წაასმელა“. გურიაში — პაწა.

სალტე — სამაჭური. „ჩემ სალტე მამპარა გუშინ მულმა“.

ქუქურდი — გოგირდი. „თხილი ვააწითებლა, ქუქურდი მინდა“.

ღანზილი — ღანძილი, მცენარეა. „ღანსტნელმა ღანზილი მამიტანა“.

ღაქო — აპკრილი რისი ხაქო (შდრ. ს. მენთემ., ქეგლ. ხაქო). „მეზბელი მანატან ღაქო მე არ მინდა“.

ღერობა — სიმღერა. „ჩონ ეხლა ღერობა აღარ ვიციოთ“.

ღრტკეც — ღვეღვეცი, მცენარეა. „ღრტკეცი კალთა დამწინა“.

ყაეარი — ღერწამი. „ყაეარი მილი, ჩაფარი დაწნელა“.

ყიტორა — საგზაფხულო მცენარეა ერთგვარი (შდრ. ა. მარტ., გრ. იმნ., ა. მაყ., ქეგლ.). „თხილებქე ყიტორა იმოსულა“.

ყინშიპი — სახელურის თირი. „ყინშიპში მოჰყეჩა სხალს შტო“.

ყოყო — მალა-მალაი და ყელყელა კაცი (შდრ. ი. მისურ.) „ცხენზე ერ ყოყო კაცი იღლა“.

ყუყური — კუთხე, ყური, „ქვი ყუყური გამაგვიანა“

შიპრობა — ცეცხა (შდრ. ძვ. ქ. შუშპარი) „შენ თუ შიპრობა არ იცი, ქორწილში რა გაქო?“

ჩარა — საშუალება, გამოსავალი გზა (შდრ. ს. მენთემ.). „მე სხო ჩარა აღარ მქონდა“.

ცეციან — დაბნეული. „რა ცეციან, ცეციან ეტარები ეზომი“.

ჭკალი — ბრწყალი. „ღებუას წკალი არ მივცია ეერ“.

წუმპალ — წვეთი. „წუმპალ მოხტომითავ გადაეხორწე“.

ხრალ — თუთის ხის რტო. „ეზოთიი ხრალ მააქრელა, არ ვაგიმოვ“.

ქემქთონ — მაგდენი. „ქემქთონ თეთრს რანდა უყოს?“

ჭიფი — შულო (შდრ. ს. მენთემ.). „მეგა კიი ჭიფი წარე დოეკერია“.

ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვები ნასესხებია, მაგრამ ისინი რამდენადმე ინგილოურის გრამატიკულ ყალიბში არიან მოქცეული და ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ მათი აქ წარმოდგენა.

აკლანზა — დამკლავება. „ცხორი გავტელა სარუჩკა აიკლანზა“.

აკჩხებს — აქებს. „შენ ბიქს დიას აკჩხებს ხალო“.

ალა — სარეველა ბალახის ზოგადი სახელწოდება. „თქენ დანაფეს სიმინდში ალა იმოსულა“.

ალატი — წვრილი, სწორი და გრძელი ქოხი. „ალატი აიღი მწნდი დაასრელა“.

აიმაზე — იმითმ, იმისთვის. „შენ აიმაზე არ გომოჩლია ქორწილში“.

აყარი — სხენი. „შენ მეზბელ აყარი ვაქედულ თხილი აქო“.

ამარკლა — უხეიროდ ჯდობა ან წოლა. „თუ წზბი დაწვე, თურემ ამაკლა რა არი?“

ბალღუნი — ბალღანა. „ბალღუნი შაპყრია ჰინდავარს“.

ბალღუნიბალი — ბლის ერთგვარი ჭიმი. „ბალღუნიჭუა ბალი რომ მიიწევა, უგვემამინ მასურლივარ თქენსა“.

ბანგურა — ბანჯგულან ცხოველზე ითქმის. „შენთუნ ორ ვამ მოქეონდი კანკალა ლობეიდი გოდმოსლამი, ბანგურა ზალმა წამართო“.

- ბაღურა — შემოდგომის ატმის წიში. „ბაღურა ატამი ტბილია“.
- ბენდამ — არავინ. „ჩონ ნათქომა ბენდამ არ უნდა გაიგოს“.
- ბითოე — მთლიანი. „ბითოე პური წაილა ზროხანში“.
- ბიეი — ეშმაკი, მატყუარა, ითქმას ნაბუშეგარზეც. „პეგი ერაგე ბიეი არა დროზე შააცნოს“.
- ბორაკო — მიწის ბელტი, გორახი. „თქენ მანაჯანში ბორტო დაფხენელია“.
- ბოშაყი — ერთ ხელში დასაქერი კონა, თავთავი. „ზეა ომოსლანეახ ხეთ ბოშაყი გაეპითე“.
- ბრულეი — ეკლის დაბურული ბუჩქი. „ბრულა მელი ღობეზე დაყარელა“.
- ბუთქი — ჩენჩინი თხილი. „ბუთქი ავლო თუ მარცოლი“.
- ბურეულა — კენწულა. „ერ ბურეულა ბალი მამიყერელა“.
- გამათება — გაევირება. „მაგი ადათია გამათება“.
- გამგა — სალაებო, დასაქლოში ადგილი. „საღობზე ღობი ზირითი გიმგა მამორე გაიგია!“
- გაფი — საუბარი. „მაგი გაფი არ გემელევა“.
- გულბა — ტერეველა, ფიგი. „გულბა ნაქნარ პური არ აილა“.
- გუქი — ძალა, ღონე. „შენ მაგი გუქი საღლა გაქო“.
- ღაგლეულეი — დახეული, დაფლეთილი. „ღაგლეულა შენ წინდა“.
- ღაფორება — დაობება. „თქენ, პური დაფორება ნუ გაყუაროთ“.
- ღაყუელნა — გადახევენა. „თავე შქლა დანახითაე დაყუელნა“.
- ღენგარი — ეკლნარში ამოსული სარეველა მყენარეთა ზოგადა სახელწოდება. „ღენგარი გაქმენდამი ათ თუმანი მათხოვა“.
- ღილიგი — მიწის ნაყეითი, სადაც მოქცავთ მწვანელი და სხვა მისთანანი „ღილიგი მაქნელა მაქო“.
- ღუღი — ხის ქვაბის სარქველი. „ღუღი მოქვადე წონი ქობს“.
- ღუნქი — ექნძი, მორი. „ნახშირიბეა ღუნქი ჩაეგლი“.
- ერამქორო — მოცულობითი დიდი. „ერამქორო ადგილი მამკა გაათოყნელა, თოღ ვერ მოესტენ“.
- ერამუქი — უშობელი კამეჩი. „ერამუქ ტალა მე რამ მინდამ“.
- ერეა — მხოლოდ, მარტო. „ერეა შენ მოი, გაიგია ბიოქო?“
- ეაიშუანი — ერთგვარი ყურთასმენის წამლები ყვირილ-წივილი. „ეაიშუანი ჩონგეგარდუ სახკარში“.
- ზაქყა — ითქმის დიდ მოცულობის ადამიანზე, ცხოველზე, ფრინველზე. „ერ ზაქყა მამალი ღამილო თქენსა მოსლამში“.
- ზინზილა — დიდი მოცულობის წვეულება, ქორწილა და სხვა მისთანანი. „ჩონ ხეშარი ჰამეშა ზინზილარი“.
- ზრიგი — ცოცხალი, სწრაფი ადამიანი. „თუ ხარ, ზრინგი უნდა იქნო“.
- თერსი — მოუსუნარი. „ღიახ ფინ თერს ინსანი შამბტო“.
- თიანი — სპილენძის დიდი მოცულობის ქურქელი. „შენ მანაცემ თიანი უენ არ მივძარება“.
- თუშანი — ქალის ქვედა კაბა. „ქუქუყანი თუშანი გარეცხა“.
- თულე — ლელა, ჭაობის მცენარეა ერთგვარი. „თულით სახ, გწოთ, ცოცხით ეზოს“.
- კაღი — კაფე, კაუჭი, „მტოს კაღო ჩოეგლი უგენგრე ნუ დააქანეც“.
- კარბირი — სახლის წინა ეზო. „შენ ზალმა ერეა კარბირი მოგავა“.
- კაწი — ღობეზე სახელდახელოდ გაეკუთებულა გადსასვლელი გზა. „ბაღში შასულელ კაწი უქნაყე“.
- კანკალა — სახელდახელოდ დაწუნელი არგამძლე ღობე. „კანკალა ღობე გაქვივა მებზებელმა“.
- კაპრეტელი — მალაზია. „კაპრეტელში კარაქი იყიდება“.
- კოლა — მაგერ, ნაცულა, „შენ კოლა ქორწილში მე წავალ, შენ ნადიში წაა“.
- კორთე — თარი, ჯამ-ქურქლისათვის, „უწინდელი კორთე საღლა არი“.
- კური-კური — კვიცის დაძახება. „უკან დანარჩომ კქს კური-კურით ვეზახით“.
- კურტი — კრუხი. „ათ ქათამი მაქო, აქითი ხეთი კურტი დამიყდენია“.
- ლაღლე — ბავშვთა საძილე. „ლაღლე გააქითე ყმაწილიბეა“.
- ლაღლედი — ანაბერითხელი საუბარი. „ღიახ ნუ გიყუარს ლაღლედი“.
- ლაღლი — მალა და წვრილად აყრილი რტო. „ვამლი ზედა ლაღლი არ მოჰქრო“.
- ლემბა — გაუფალი ბარდნარი. „თქენ დილაგი ლემბა ქნელა“.
- ლინგი — კეტი. „თხილ ლინგით ბეგავთ“.
- ლოღათი — ლაპარაკი, კილო, საუბარი. „შენ ლოღათი მე არ მამწონს“.

- მ ა ნ ა კ ი რ ე ე — თოკით, თასმით, წნელით და მისთ. ერთიმეორეზე დამაგრება, დაკეპირება, შეერთება. „შენ მანაკირეე კანფი ჳევით გოდოსლითაე ეეშო“.
- მ ა ხ ა რ ა — ერთგვარი რძინი კერძია. „მახარა გავითებაში დამხანათ თქენსა ყონალა“.
- მ ა ხ მ უ რ ი — ხავერდი. „უწინ მახმური პეტოს ცვილოვლით ზლიმეა“.
- მ ე ნ ა — ვატებილი თიხის ჳურქლის ნაწილი. „მენა ზადლიმეა დოვლა“.
- მ ო ს ა რ კ ლ ე ბ ა — ჳურქლის პირქვე დამხობა. „ქობი მოსარქლება არ დავმირწყდეს წმინ ქობზე“.
- მ უ კ ე ნ ი — ლატანი, ჩალის დასამაგრებელი სახლას სახურაზე. „მუკენი არ მაქო უგეიმაზე ეერ დავხურე ჩალა“.
- ნ ა ბ ა თ ი — რიგი, წერი. „ზროზი ნაბათი რახან გოქო?“
- ნ ა გ ა ხ ტ ა ნ — უეცრად, უცებ. „ნაგახტან ესროენა ტურას თოფი“.
- ნ ე რ გ ა — მწკრივი, რიგი, კვალი. „ხახინეა ეერგა ვამიქით“.
- ქ ი ნ ე რ ი — წაქვი. „ეჩინერი მალი ბულაე დამბელა“.
- ქ ი უ ნ ა ყ — დანაყილი შეინდი ან ტყემალი მარილით. „ეიყენა გოქითება ჩონ ზაალს“.
- ქ უ ა ნ ი — ახალგაზრდა კაცი ან ქალი. „ეერ-უუანი დახარელა“.
- ქ უ ნ ტ ა — სურდო. სიცივე ქნაში ეწნტა შაყყრა. (შდრ. ევინტი II ქლვინტი — ქველა).
- ქ უ ე უ ქ ი — პატარა ყვავილიანი კიტრი. „ქერ ეუუუქი ეხა გომოყყრა შენ კიტს“.
- რ ი ზ ლ ი — სარჩო, საბადებელი. „რიზლი დეგენატროს“.
- ს ა ზ ე ზ ი — ეახის ტყავისაგან გაეუთებული ქეაბების სახეხი ნაქერი. „ქობი ვახეხლა საზუზი მაილი“.
- ს ა ი ქ ი — თითქმის, კინალამ. „საიქი არ წამსტო“.
- ს ე მ ა — სულელი. „პეგი სემა არი, მაგა ნუ უეერეე“.
- ს ა ჳ ყ ზ ი — კევი. „კაცი ჳერ საყიზ დალქეაესა“.
- ტ ა ნ კ ე ტ ი — პატარა მოცულობის კალთა. „ბიზი მანაცემ ტანკეტი მამპარეს“.
- ტ ა ტ ი კ ე ლ ა — ბაშის ფეხის ასადგმელი მოწყობილობა. „კაცი, ტატყელა გოქითო რა იქ-ნება“.
- ტ ო მ ა ყ ი — კეტი, კომბალი, ჩომბახი. „ტომაყ-დაქრა თეში“.
- ტ ლ ა ნ ყ — თხელი წვენი „შენ განქითეე წმნებ-პამეშა ტლანყ წყალა“.
- უ რ ლ ი — ავადმყოფის ტუჩებზე გამოწყარა. „ერაგე ნაჩალი უჩულეზი გომოყყრა“.
- უ ნ დ უ ნ ი ა — საიჭო. „სრუნი უნდუნიაში წასულიყარი“.
- ფ ა ლ ი — საბუღარი კვერცხი. „ფალი ლე ამილი სახუდრით ქათამი გაწყყრომა“.
- ქ ა ლ ი შ ი — ერთგვარი მცენარეა. „თქენ სიმინდში ქალში ომოსულა“.
- ქ ე ქ ე რ ი — თავზე შენახული თმა „შაჳე მაგა ქექერი შოენახე თეზე“.
- ქ ი თ ი ლ ა — ფურტლის წერილი ტოტები. „ზროხა ქითილას ჳეამს“.
- ქ ო მ ბ ა — ცხელ ნაცარში გამომცხვარი ჳური. „ქომბა ექამე“.
- ქ ო ფ უ ქ ი — ქაფი, პერი, „ქოფუქი ქნაში გობს მოვადე“.
- ღ ა რ ლ ა ტ ი — დიდი მოცულობის ჳურქტანა. „თქენ სახლი ბარუებით ლარღატები ჩანს“.
- ყ ა ს ტ ი ბ ე ე — განგებ, განზრახ. „ყასტიბეა რ მოვლა გუშინ“.
- შ ა ლ ა — ერთი წამოყდება შემა. „შენ ერ დღე ერ შალა შიშა გეყოფა“.
- შ ე ე ი — სახამაროს მიწაზე გართხმული ლერო: „გათოყნაში შევი არ შაჳრო“.
- ჩ ა ლ ლ — ეელი „დედიდამ ჩალღუ მაილა გამაჳქებლა“.
- ჩ ა ნ დ ა — ხელეული. „ერაგე ვავერიან ზამთარი საქანა, რომ ეს ჩანგა ბალახ ვერ საჳონეხარ“.
- ჩ ა თ ა რ ი — ყავრის ლასტი. „ჩონ ყავრით ჩაფარს ეაქითებთ, ზედ შუწნდს, ქრეუალს ეაჳმობთ“.
- ჩ ა ლ ა რ ლ ა ნ ა — ხეზე გაეუთებული ჩახარლა; ლარღანა. „ჩალარღანა ჩოვგლაყე თქენ თხი-ლეში“.
- ჩ ე ქ ე — წონა. „შენ სიმინდ კი ჩექე ექნება“.
- ჩ უ რ ჩ ა — ქლაყის ვიშია. „თქენსა ჩურჩა ქ...ლ მოყეეკი მასულიყარ“.
- ც რ ი ხ ი — ელაში. „ერ ცრიხი შამბტო გზაში მოსლაში“.
- ქ უ რ მ ა ქ ე ზ — წერილი ხილული. „ქურმაჳხ რაიმე შენ არ მაილი“.
- ხ ა ჩ ა კ ა ლ ი — გრელი, სწორითობიანი ორთათი. „ბალახი დაბრუნებლა ხაჩაკალი გაქონა?“.
- ჭ ი ნ ც ე ა — მჭიდროდ ქდომა. „ჭინცეა ზოგ უყყარს“.
- ჭ ე ნ გ ა — ცხენოსნისი მყარი. „პენგა წაელა“.
- ჭ ე რ ა ბ. — ნეტე. ნუთუ, მართლა, „პერაბ წაელა ჩონსა“?

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

- ბერ. ვ., იმერ.-რპ. — ბერიძე ვ., სტყვის კონა იმერულ დარკულ თქმაო, სპ., 1912.
- დიადე ქტ., I, აპარ., იმერ., კახ., ლეჩხ. მესხ., შოხ., ქართ., ფერეიდნ., ქავახ. — გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიდიქტოლოგია, I, თბ., 1961.
- კაიშ. ლ., მთიულ. — კაიშაური ლ., მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
- კირიო ნი., ქართ. — კირიო ნი., სალექსიკონო მასალა, „ეველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, II, გაცხ. V, თბ., 1923.
- მაისურ. ი., მესხ.-ქავახ. — მაისურაძე ი., მესხური ლექსიკა, სკანდილტო დისერტაცია, 1948.
- მარტ. ა., იმნ. გრ., კახ. — მარტიოსოვი ა., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კასური დიდიქტო, თბ., 1955.
- მაჭავარ. გ., კახ. — მაჭავარიანი გ., მასალები პურეულის ლექსიკისათვის შიგნი კახეთში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, თბ., 1950.
- მაყ. ა., — მაყაშვილი ა., ზოტან-ფური ლექსიკონი, თბ., 1961.
- მეგრ. ი., აპარ., მეგრელიძე ი., მოკლ. (აჭარული) ლექსიკონი, წიგნი: ქ. ნოდარი დელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, სათაბო, 1971.
- მელიქ. ს. ქავახ. — მელიქიძე ს., ქავხურის დარგობრივი ლექსიკა, სკანდილტო დისერტაცია, 1974.
- მენთეშ. ს., ქიზიყ. — მენთეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
- მესხ. მ., ქართლ. — მესხიშვილი მ., მასალები ქართული დიდიქტორი ლექსიკონისათვის, იყვ, XVII, თბ., 1970.
- ნიქ. შ., ზ. აპარ. — ნიქარაძე შ., ქართული ენის ზემოაპარული დიდიქტო, ბათუმი, 1961.
- საბა — ორბელიანი ს. ს., ქართული ლექსიკონი, რ. ერისთავის რედაქტორობით, თბ., 1884.
- ქლ. ს., გურ. — ქლენტი ს., გურული კილო, თბ., 1936.
- უთურგ. თ., თუშ. — უთურგაიძე თ., თუშური კილო, თბ., 1960.
- ქავთ. ი., იმერ., — ქავთარაძე ი., მასალები იმერული ლექსიკონ-სტავს, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, III, თბ., 1963.
- ქაჭ. ო., შოხ. — ქაჭიაია ო., მასალები შოხური კილოს ლექსიკონისათვის, სამხრეთ-ოსეთის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, ცხინვალი, 1967.
- ქეშიკ. ი., ფშ. — ქეშიკაშვილი ივ., თ. რაზიკაშვილისა და ბაჩასა. მზულუბათა ლექსიკა, თბ., 1969.
- ლ. ალ., I, გურ. — ლლონტი ალ., გურული ფოლკლორი, I, თბ., 1931.
- შარაშ. გ., გურ. — შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, თბ., 1938.
- შატბერი. გ., ქართლ. — შატბერაშვილი გ., წამნიკი, თბ., 1964.
- ჩუბ. დ. — ჩუბინაშვილი დ., საუჩუქ ქართული ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპ., 1887.
- ჩუბ. ნ., — ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლივით, თბ., 1961.
- ჩიქ. მ., ლეჩხ. — ჩიქოვანი მიხ., ლეჩხუმური ლექსიკონი, ა. ს. ჭუმკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამსწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, 1941.
- ყაზბ. ა., — შ. ძიძი., შოხ., ძიძიგური შ., ა. ყაზბეგის ლექსიკონი, წიგნი: ა. ყაზბეგის თხზულებანი, ტტ. I—IV, თბ., 1948—1950.
- ძიძი. შ., კეცხ. ნ., ხუბ. პ., ქართლ. — ძიძიგური შ., კეცხოველი ნ., ხუბუტია პ., ქართული ლექსიკონი, ხელნაწერი.
- კინჭარ. ალ., ხევსურ., — კინჭარაული ალ., ხევსურულს თავისებურებანი, თბ., 1960.
- ხუბ. პ., თუშ. — ხუბუტია პ., თუშური კილო, ლექსიკა, თბ., 1969.
- ჭაჭ. ი., იმერ. — ჭაჭანიძე პ., მასალები იმერული კილოს ლექსიკონისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1950—1951.

მ ა ლ შ რ ი ა ნ გ ა ბ ა ზ ვ ი ლ ი

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ის წ ე რ - კ ო რ ე ს ო ნ დ ე ნ ტ ი

მ ა რ თ ი ს ბ რ ი ქ ო ნ ი ა ლ მ ო ს ა ვ ლ შ რ ი კ უ ლ ტ უ რ ის ი ს ტ ო რ ი ი ლ ა ნ

აღრეფეოდალურ ხანაში (VI—X სს.) და განვითარებული ფეოდალიზმის პირველ საუკუნეებში (X—XIII სს.) კულტურული განვითარების თვალსაზრისით აღმოსავლეთი გაცილებით წინ იდგა, ვიდრე დასავლეთი.

აღმოსავლეთის ცივილიზაციასთან მრავალმხრივ იყო დაკავშირებული საქართველო. საქართველოში ფართო გამოძახილს პოულობდა აღმოსავლური კულტურის მიღწევები. ეს უწინარეს ყოვლისა ვლინდებოდა აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკაში. ძველქართულ ლიტერატურულ და სამეცნიერო ძეგლებში დამოწმებულია მრავალი აღმოსავლური წარმოშობის ტერმინი. მათი დიდი უმრავლესობა ორგანულად უკავშირდება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (ლიტერატურული, მათემატიკურ-ასტრონომიული და სამედიცინო ტერმინოლოგია, ეკონომიურ ურთიერთობათა ამსახველი ტერმინები და სხვ.). ერთი ასეთი ტერმინთაგანია აგრეთვე ფართოდ გავრცელებული სიტყვა „გუნდი“.

„გუნდი“ (და მისი ევროპული ნაირსახეობა) ჩვენ გვხვდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კულტურულ სამყაროში.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ აღმოსავლური ტერმინოლოგია ჩვენში ვრცელდებოდა აღმოსავლეთის სახელმწიფოების ექსპანსიონისტური პოლიტიკის შედეგად, მაგრამ საქართველო (და მისი მეზობელი იმერ- და ამიერ-კავკასიის ქვეყნები) მხოლოდ თავს არ იცავდა აზიის დიდი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებების აგრესიისაგან, მხოლოდ ომებით არ აღინიშნებოდა აღმოსავლეთთან მისი ურთიერთობა. არსებობდა საკმაოდ ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდებიც, კეთილმეზობლური ურთიერთდამოკიდებულება, კულტურულ ურთიერთობათა ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა და გაზიარება. სწორედ ამდროინდელი მონაპოვარია კულტურულ და ეკონომიურ ურთიერთობასთან დაკავშირებული ლექსიკა.

აღმოსავლეთის ეკონომიური და კულტურული აღმავლობა VI—XII საუკუნეებში გზას უხსნიდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის გავრცელებას როგორც საკუთრივ აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებში. საკმარისია დავასახელოთ, მაგალითად, ალგებრა, ქიმია, ალგორითმი, ზენიტი, ალკოპოლა და მრავალი სხვ.

ასეთ ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობათა ნაყოფი ჩანს სიტყვა „გუნდი“-ც, რომელიც (სხვადასხვა ფონეტაჟური ცვლილებებით) დამოწმებულია მრავალ აღმოსავლურ და დასავლურ ენაში.

ქართველ მეკლევარებს „გუნდი“ შესწავლილი აქვთ ლინგვისტიკურ-ისტორიული თვალსაზრისით. გათვალისწინებულია ყველა ის აღმოსავლური

ენა, რომლებშიაც „გუნდი“ მტკიცედ ფეხმოდგმულ სიტყვად ითვლება. დასახელებულია სომხური, სირიული და სხვ.¹

ქართველი მეკლერები მიუთითებენ აგრეთვე ამ სიტყვის სემიტურ წარმოშობას (არაბულად „გუნდ“ გამოითქმის როგორც „ჯუნდ“), თუმცა ზოგიერთი მეცნიერის აზრით „გუნდი“ უნდა მივიჩნიოთ ირანული წარმოშობის სიტყვად².

ყოველ შემთხვევაში, უეჭველია ის, რომ „გუნდი“ ჩვენში ვრცელდება ირანული გზით, ირანიდან არის უშუალოდ შემოსული და დამკვიდრებული. ამას მტკიცება არ სჭირდება, რადგან „გუნდი“ ირანულადაა გამჟღავნებული, „ჯუნდი“ კი სემიტურად (შდრ. გურზანი — ჯურზანი, გურგანი — ჯურჯანი და სხვ.).

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ადრინდელ ძეგლებში (შუშანიკის წამება, ევსტატე მცხეთელის ცხოვრება...) „გუნდი“ არ გვხვდება. მოიპოვება ეს სიტყვა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ („და სსუანი ყოველნი სწორად განყვნა სამად გუნდად“, „მოიწია გუნდი წმიდათა მოციქულთაჲ კიდეთგან ქუეყანისათა“). ამიტომ თითქოს უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა ქართულ მწერლობაში IX—X საუკუნეებში მკვიდრდება და შემდეგ ფართოდ ვრცელდება.

„გუნდი“ დამახასიათებელი ჩანს ჯერ კიდევ სასანური პერიოდის სპარსული მწერლობისათვის (III—VI სს.)³. საშუალო სპარსულში „გუნდი“ ნიშნავს ჯარს, ლაშქარს. ამავე სიტყვით აღინიშნებოდა გროვა, ჯგუფი⁴.

ასევე იყო არაბულში (და საზოგადოდ სხვა სემიტურ ენებში). არაბ. „ჯუნდ“ ნიშნავდა ჯარს, ლაშქარს, რაზმს, აგრეთვე ბრბოს, გუნდს, ნაწილს⁵.

„გუნდი“ ქართულ სინამდვილეშიც უპირველეს ყოვლისა ჯარს, ლაშქარს, მხედრობას აღნიშნავდა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დასახელებულია „გუნდი მკედართა“ (გრ. ხანძთ. გვ. მ, 5). საბას განმარტებით „გუნდი“ არის „ჯარი ექუსი ათასი“.

ისევე როგორც საშუალო და ახალ სპარსულში, ქართულშიც „გუნდი“ იხმარებოდა ჯგუფის, ნაწილის მნიშვნელობით. მაგ., „და სსუანი ყოველნი სწორად განყვნა სამად გუნდად“ (გრ. ხანძთ., გვ. ლზ⁴⁴); „და შეერთე მსახურებად მას გუნდსა ანგელოზთასა“ (მამ. სწავლ. 120₁₄); „ივლტინ ყოველივე იგი გუნდი ვარსკულაფთა“ (ს. გაბ., მოც. 91, 22).

„გუნდის“ სხვადასხვა მნიშვნელობა ძველი ქართული ძეგლების მიხედვით განმარტებული აქვს ილია აბულაძეს თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“. მისი განმარტებით „გუნდ“-ი არის: „ერი“, „მმთავრობი“, „მთავარი“, „მწყობრი“, დასი, ბანაკი, კრებულნი⁶.

სიტყვა „გუნდი“ (არაბ. „ჯუნდ“) გავრცელებული იყო არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის ქვეყნებშიც.

აღმოსავლური წარმოშობის ტერმინები დასავლეთ ევროპაში ორი გზით ვრცელდებოდა: ანდალუზიიდან (მუსლიმანური ესპანეთი) და იტალიიდან. მაგრამ მთავარი მაგისტრალი ამ მხრივ მაინც მუსლიმანური ესპანეთი იყო, კორდოვას განთქმული სახალიფო. აქ არსებობდა არაბულ-მუსლიმანური კულტურის დიდი კერები, მაგრამ ამ კულტურის მთავარ და ორიგინალურ ნიმუშს მაინც მუსლიმანური სამყაროს აღმოსავლური ნაწილი ქმნიდა. ბაღდადის სა-

ხალიფოს კულტურისა და ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო მიღწევა და ნიმუში დაუყოვნებლივ პოულობდა გამოძახილს კორდოვას სახალიფოში.

მუსლიმანური ესპანეთის წერილობით ძეგლებში დამოწმებული „ჩუნდ“ მკვლევრებს მიაჩნიათ სირიიდან შემოსულ სიტყვად. სირიაშიც „ჩუნდ“ აღნიშნავდა სამხედრო ძალას, ჯარს, რაზმს („a military force; a legion“)¹. თუმცა, როგორც ყველგან, აქაც მას სულ სხვადასხვა შინაარსობრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

როგორც ჩანს, ანდალუზიიდან ეს სიტყვა გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, აქედან კი აღმოსავლეთ ევროპისაკენ გაიკაფა გზა. „ჩუნდ“-ი დამკვიდრდა ესპანურ, პორტუგალიურ, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებში. დამახასიათებელი გახდა იგი აგრეთვე გერმანული და რუსული ენებისათვის.

ყველაზე უფრო მეტად „ჩუნდ“ მაინც ესპანურისათვის, პორტუგალიურისა და იტალიურისათვის იყო და არის დამახასიათებელი. თუმცა ჩვენს დროში იგი თითქმის უკლებლივ ყველა ევროპული ენის ლექსიკაში ყოვლად ჩვეულებრივ სიტყვად ითვლება.

ესპანური „junta“ (გამოთქმის როგორც „ხუნტა“) იგივეა, რაც რუსული «хунта».

აღნიშნული გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ რუსულში «хунта» უშუალოდ ესპანურიდან არის შემოსული და არა იტალიურიდან, ფრანგულიდან ან ინგლისურიდან.

„ხუნტა“ სრულიად გარკვეული მნიშვნელობით ჩვენს დროში ქართულშიც დამკვიდრდა. მაგრამ ქართული „გუნდი“ და ესპანური „ხუნტა“ ერთი და იმავე წარმოშობისაა, ისტორიულად ერთსა და იმავე კულტურულ სამყაროს უკავშირდება.

„ხუნტა“ ევროპულ ენებში მხოლოდ ოდიოზური მნიშვნელობით არ იხმარება (რეაქციონერ სამხედროთა ზროვა): იგი ნიშნავს, მაგალითად, მუნიციპალურ საბჭოსაც და, საზოგადოდ, ყოველგვარ გაერთიანებას². ფართო მნიშვნელობა აქვს „გუნდ“-ს ქართულშიც (მგალობელთა გუნდი, სპორტული გუნდი...).

აღმოსავლური წარმოშობის „გუნდი“ იმ დროის შენაძენია, როცა კულტურული განვითარების თვალსაზრისით აღმოსავლეთი გაცილებით წინ უსწრებდა დასავლეთს და მისი ყველა თვალსაჩინო მონაპოვარი არა მარტო აღმოსავლეთის ხალხთა კუთვნილებად რჩებოდა, არამედ მთელს მსოფლიოში ვრცელდებოდა და კაცობრიობის ცივილიზაციას ყველგან მყარ საფუძველს უქმნიდა.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

¹ თ ე ო ჩ ხ ე ი ძ ე, არდამირ პაპაქის ძის საქმთა წიგნი, თბილისი, 1976, გვ. 103; მ ზ ი ა ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ე ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966, გვ. 187, 199.

² ლავარდი ამ სიტყვას უკავშირებს ავესტას vaiva-ს — ჯოგი, პიუბშმანი სანსკრიტულ vrida-ს — ჯოგი. H ü b s c h m a n n H. Persische Studien, Strassburg, 1895. სურდელს „ჩუნდი“ მიაჩნია ირანული წარმოშობის სიტყვად: «a kur'anic word of Iranian origin denoting an armed troops. D. S o u r d e l, Djund, EI², გვ. 601.

² მ ზ ი ა ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 187, 199.

⁴ იქვე.

³ „ჯუნდ“ აქ უფრო ხშირად (და სხვადასხვა დროს) სამხედრო ძალას, რაზმს, პირად გვარდიას, სამხედრო კონტინგენტს, ნაწილს აღნიშნავდა, მაგრამ კონტექსტების მიხედვით ძნელდება ყველა მისი ნამდვილი მნიშვნელობის დადგენა.

⁶ „გუნდის“ განმარტებისას ილია აბულაძეს სხვადასხვა დროის ძეგლებიდან გამოკრეფილი აქვს შემდეგი მაგალითები: „იულა წარიყვანა მის თანა გუნდი ერთი“. С. „იულა წარიყვანა ერთი“ DE, 18, „გუნდი მისი მოიწონეს“ O, „მთაერობათა მისთანათა მოიმართეს“ G, მსაქ. 99, 44. „რომელი მოვალს ვითარცა გუნდი ბანაკთა“ O, „მომავალი ვითარცა მწყობრი ბანაკთა“ pb, ჭება 6, 12, „განყო სამასი იგი კაცი სამად გუნდად“ M, „განყენა სამასნი მამაკაცინი სამ მთაერებად“ G, მსაქ. 7, 16. „იყო სპასალარი გუნდსა ზედა ერთსა ბანაკისასა“ გვი, 22. „ივლტინ ყოველიე იგი გუნდი ვარსკულავთა, ს. გაბ. მოციქ. 91, 22. „გამოჩნდეს გუნდნი ანგელოზთანი“, ფლკტ. 159, 3, „განყო ერთი იგი სამად გუნდად“, 1, 1, მფ. 11, 11. „გუნდნი ანგელოზთანი და კრებული ძალთა ზეტათა შინა... თაყუნისტემენ“, მ. სწ. 106, 27. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 103. ჭარაგუმების გახსნა იხ. გვ. 09—020.

⁷ „As a terme used in Syria, and afterwards by the Arabs from Syria in Spain“, Arabic-English Lexicon by Edward William Lane, New-York, 1955, Book I, Part 2, გვ. 469—470.

⁸ იტალიურად «giunta» ნიშნავს მუნიციპალურ საბჭოს, კომისიას, პორტუგალიურად — კრებას, თათბირს, სამხედროთა საბჭოს, ერთულელ ხარს და სხვ. ესპანურში «junta» ფართოდ გავრცელებული ტერმინია და აღნიშნავს სათათბირო სხდომას, საბჭოს (ესპანეთში, სამხრეთ ამერიკაში). სინონიმური მნიშვნელობით იხმარება «junta» და «junio». ამ უკანასკნელი ტერმინით ესპანურენოვან ქვეყნებში აღნიშნავენ პოლიტიკურ ფრაქციას, სამხედრო კავშირს.

V. H. ГАБАШВИЛИ

СТРАНИЧКА ИЗ ИСТОРИИ ВОСТОЧНОЙ КУЛЬТУРЫ

Резюме

В древнегрузинских сочинениях часто встречается слово «гунди». Оно обозначает разные понятия: войско, отряд, часть (от целого), частица, собрание, масса, народ. Некоторые исследователи считают, что «гунди» является словом семитского происхождения, а другие — иранского. Не вызывает сомнения лишь то, что это слово в грузинскую лексику вошло из иранского культурного окружения (в арабском оно произносится как «джунд», а в иранском как «гунд» — ср. Гурзан—Джурзан, Гурган—Джурджан и т. д.). «Джунд» заимствовано и европейскими языками в форме «хунта» (ср. исп. junta, итал. giunta, португ. junta).

Таким образом, как грузинское «гунди», так и европейское «хунта» (с различными смысловыми значениями) связаны с восточным культурным миром, отражают восточное культурное влияние. Как известно, культура Востока X—XIII веков стояла на более высоком уровне, чем культура Запада того же периода.

ბ ა ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ა ნ ა ნ ა შ ი

ე ნ ის ფ ო რ მ ო ბ რ ი ვ ი ლ ა ფ უ ნ ჯ ც ი უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი

1. თანამედროვე ენათმეცნიერებაში უკვე კარგა ხანია დაისვა საკითხი ენობრივი ფორმისა და ენობრივი ფუნქციის ურთიერთმიმართების თაობაზე. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება გამოვლენა იმ კრიტერიუმებისა, რომლებიც შეგვაძლებინებენ ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ანალიზს¹. მართალია, ამის აუცილებლობა აღრევე იყო აღნიშნული, მაგრამ ამ სწორი წინამძღვრის საფუძველზე, როგორც წესი, ორ ერთმანეთის საპირისპირო უკიდურესობამდე მიდიოდა საქმე: ერთ შემთხვევაში ხდებოდა ენობრივი ფუნქციის სრული უგულვებელყოფა, ხოლო მეორე შემთხვევაში ფაქტიურად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ენობრივი ფორმას და კლასიფიკაცია-კვალიფიკაცია ხდებოდა მარტოოდენ ფუნქციის საფუძველზე. მაგრამ ენათმეცნიერებაში შეუძლებელია იმთავითვე დავუშვათ რომელიმე მათგანის პრიმატი. რაც გარდაუვალ ცალმხრივობამდე მიგვიყვანს. ენაში არსებობს როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური კატეგორიები და მოზანაიცი ეგაა: დადგინდეს თითოეული მათგანისათვის კვლევის მართებული პრინციპები და მეთოდები, თითოეული მათგანის სისტემათა და სტრუქტურათა თავისებურებანი. ხოლო შემდგომ მოხდეს მათ ურთიერთმიმართებათა გამოკვლევა, დადგენა იმისა, თუ რა ფორმით გამოიხატება რომელიმე ენობრივი შინაარსი და რაა ამის მიზეზ-საფუძველი. ენაში იმთავითვე არსებული დეტერმინიზმის პრინციპი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თანამიმდევრულად გატარებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს გვაყარადებინებს როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური სტრუქტურის ელემენტებს შორის. ეს კავშირი, ურთიერთგანსაზღვრულობა უცილობელია ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართების დროსაც. ყოველი ზოგადი წესი კონკრეტულში ამ უკანასკნელისათვის ნიშანდობლივი თავისებურებების გათვალისწინებითაა გატარებული და შედეგიც შესაბამისია: ზოგადის თანამიდევნება საერთო ენობრივ სისტემაში აერთიანებს მას, ხოლო კონკრეტული თავისებურების გათვალისწინება საკუთარ იერ-სახეს უნარჩუნებს. ყოველივე ეს პრაქტიკულად ამოუწურავ შესაძლებლობას იძლევა ენის ფუნქციონირებისა და ახალი სტრუქტურებისა თუ სისტემების წარმოსაქმნელად.

2. სისტემად ივარაუდება ურთიერთდეტერმინირებული ელემენტების სრული ერთობლიობა. ყველა შესაძლებელი ურთიერთმიმართების წარმომქმნელი ელემენტების მთლიანობა. ეს გაგება სისტემისა არსებითად ანტიკურ ფილოსოფიაში პოულობს საფუძველს. სადაც პირველად იქნა სამეცნიერო ტერმინოლოგიური სტატუსით აღწერილი სამყაროს შემადგენელი ელემენტების თანამიმდევრული ურთიერთდამოკიდებულება (ყველაზე უფრო რელიე-

¹ ამის თაობაზე ჩვენს სინამდვილეში აღნიშნავდა არნ. ჩიქობავა ნაშრომში: „გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები“, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, 1940, ტ. I.

ფურად ეს წარმოჩინდა დემოკრიტესთან, არისტოტელესთან, სტოიკოსებთან, პითაგორელების კონცეფციაში), თუმცა რელიგიური პოსტულატებით შეფარული მისი სათავე უძველესი აღმოსავლეთის მსოფლმხედველობაში ივარაუდება. სისტემის ფილოსოფიური ასპექტით შეფასებას, მის ღირებულებას სამეცნიერო კვლევისათვის საგანგებოდ შეეხო ი. კანტორ (განსაკუთრებით „წმინდა გონების კრიტიკასა“ და „პროლეგომენებში“). მნიშვნელოვანი ეტაპი ამ თვალსაზრისით დამოწმებულია ე. კონდილიაკის (იხ. მისი: „ტრაქტატი სისტემების შესახებ, სადაც წარმოჩენილია მათი ნაკლიცა და ღირსებაც“, 1749), ფ. შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფიურ კონცეფციებში. მაგრამ ის შეფასება სისტემისა, რომელიც ნაირგვარი მოდიფიკაციებით ამჟამად გაზიარებულია და მოქმედია მეცნიერების სხვადასხვა დარგში. არსებითად ლ. ბერტალანფის კონცეფციაშია თავმოყრილი და ჩამოყალიბებული (იხ. მისი: „ზოგადი სისტემის თეორია“). სწორედ აქ განისაზღვრება სისტემა როგორც ურთიერთდამოკიდებული (ურთიერთზე ზეგავლენის მქონე) ელემენტების კომპლექსი.

თავისთავად ეს განმარტება მოიცავს სისტემის რეალურ არსს, ერთი ნაკლი რომ არა: მეტისმეტად ზოგადია და ის კი, რაც ზოგადი ნეთოდოლოგიის თვალსაზრისით სავსებით მოსახმარია, ფაქტიურად გამოუყენებელი რჩება კვლევის კონკრეტულ ობიექტზე მისი მორგების დროს. ამიტომ ენაში სისტემის განსაზღვრის დროს დადგება საკითხი: რა არის სისტემა, — თვით ენის შინაგანი თვისობა, თუ მარტოოდენ ენის ფორმობრივი და ფუნქციური აღწერისათვის გამოყენებული საშუალება? ე. ი. ალტერნატივა ასეთია: სისტემა ან ენაში რეალურად არსებულ ვითარებას გულისხმობს, ან ენაში არსებული ელემენტების აღწერისათვის გამოყენებული წმინდა ტექნიკური ხერხია. პირველ შემთხვევაში სისტემა ენის კუთვნილებაა, მეორე შემთხვევაში — ენათმეცნიერების (კერძოდ, ფონეტიკის, გრამატიკის, სემასიოლოგიის...) მიერ შემოთავაზებული სამუშაო ცნება-ტერმინია. საკითხის ამგვარად დასმა სავსებით კანონზომიერია, რადგან ენის ზოგიერთი მოვლენის ქვეშაირიტი არსის ამოუხსნელობის გამო, ენათმეცნიერება რიგ შემთხვევაში იძულებულია მიმართოს წმინდა აღწერით ტერმინებს: რაც ჭერჯერობით ნიუწვდომელია ობიექტში, მისი „მოწესრიგება“ ცნებებში ზდება (ბუნებრივია, კონვენციონალიზმის პრინციპის გამოყენებით).

მაგრამ საკმარისია ოდნავი ჩაღრმავება ენობრივ მოვლენებში. რომ მაშინვე აშკარად წარმოჩინდება: ის, რასაც ჩვენ სისტემა ეწოდეთ. საკუთრივ ენის, ენობრივი ელემენტების შინაგანი ბუნებაა. ამ ელემენტების მკაცრად განსაზღვრული ურთიერთმიმართება რეალური ფაქტია და მათი აღწერა ამ შემთხვევაში სწორედ რეალობის წარმოჩენას გულისხმობს და არა რეალურად ამოუხსნელი მოვლენის ცნობიერებაში პირობითად განლაგება-მოწესრიგებას.

3. თუკი ასეა, სისტემა შესაბამისად უნდა განიმარტოს კიდევც. ზემოთქმულის კვალობაზე, ენობრივ სისტემად მიიჩნევა ენობრივ ელემენტთა ისეთი ურთიერთმიმართება, როდესაც მათი (ე. ი. ენობრივი ელემენტების) წარმოქმნა და ფუნქციონირება ენაში ერთმანეთითაა შეპირობებული: სხვაგვარად: როცა ერთი ელემენტი ვარაუდობს მეორის არსებობას და წარმართავს მის

ქმედებას ენაში. ასეთი მიმართება შეიძლება იყოს შექცევადი (საურთიერ-თო) და შეუქცევადი.

4. სისტემები არსებობს ფორმობრივი და ფუნქციური. შესაბამისად, ფორმობრივი სისტემა გულისხმობს ფორმობრივ ელემენტთა ურთიერთმი-მართებას, ფუნქციური კი — სემანტიკური (ფუნქციური) ელემენტებისას. პირველში ფორმობრივი, მეორეში კი სემანტიკური ფეტერმინიზმის პრინცი-პია გატარებული. მათი ურთიერთზემოქმედების ფაქტები საკმაოდ ხშირია, მაგრამ ეს ხელს არ უშლით მათ შეინარჩუნონ დამოუკიდებლობის და აქედ-ნად, თავისთავადობის სტატუსი.

5. მოვიყვანთ ფორმობრივ სისტემათა რამდენიმე ნიმუშს.

ენაში ხშირად იხილება შემთხვევა, როცა ერთნაირი ან მსგავსი გრამატიკუ-ლი თუ ლექსიკური ფუნქციისათვის ორი ან მეტი ფორმა გამოყენებული. მა-გალითად, გვაქვს: მ-გორ-ავ-ი || მო-გორავ-ე, მ-ცურავ-ი || მო-ცურავ-ე, მ-ხტუნ-ავ-ი || მო-ხტუნავ-ე და ა. შ. მაგრამ დამოწმებულია მხოლოდ ცალე-ულები: მო-ბანავ-ე, მო-ბურთავ-ე, მო-ქანავ-ე, მო-კინკლავ-ე და ა. შ. თუ პირველ შემთხვევაში, მიმღობათა განსხვავებული წარმოება რაიმე ფუნქცი-ურ სხვაობას გულისხმობს (და ასეთ სხვაობას ის უფროდ ვულისხმობს). მა-შინ გასარკვევია, რამ შეზღუდა ასეთივე სხვაობის წარმოჩენა მეორე რიგის ფორმებში, რომლებიც ამ ნიშნის გამოკლებით, დანარჩენში არსებითად ჰგვა-ნან პირველი რიგის ფორმებს? საკმარისია გავითვალისწინოთ შესაბამის ზმნურ ფუძეებთან ამ ფორმათა მიმართება, რომ საკითხს ნათელი მოეფინება:

გორ-ავ-ს	—	მ-გორ-ავ-ი	მაგრამ: გორ(ვ)-ობს	—	მო-გორავ-ე
ცურ-ავ-ს	—	მ-ცურავ-ი	„ ცურა(ვ)-ობს	—	მო-ცურავ-ე
—	—	—	ბურთა(ვ)-ობს	—	მო-ბურთავ-ე
—	—	—	ქანა(ვ)-ობს	—	მო-ქანავ-ე

აშკარაა, რომ მიმღობის პარალელური ფორმები შესაბამისი ზმნის პა-რალელურ ფორმებს ვარაუდობს და მიმღობაში მხოლოდ მას შემდეგ შეივ-სება ნაკლული რიგი, როცა შესაბამისი ზმნა ჩამოყალიბდება. თავის მხრივ, ეს შეფარდება ზმნურ ფორმობრივ სისტემაშიც ვლინდება:

გორ-ავ-ს — ა-გორ-ავ-ს და: გორ(ვ)-ობს — ა-გორავ-ე-ს;
მაგრამ: — — ბურთა(ვ)-ობს — ა-ბურთავ-ე-ს

ამ სიტუაციაში ასახსნელი ხდება ა-ქან-ე-ბ-ს, ა-ხტუნ-ე-ბ-ს ფორმებს არსებობა...

ავიღოთ სხვა რიგის მაგალითები:

- ა) უ-წიგნ-ო — უ-წიგნ-ურ-ი; დაპირისპირება ფუნქციურია;
- ბ) უ-ბედ-ო — უ-ბედ-ურ-ი; ფუნქციური სხვაობა მინიმალურია;
- გ) უ-ძალ-ო — უ-ძალ-ურ-ი; ფუნქციური სხვაობა თითქმის არცა გვაქვს.

ამისდა კვალობაზე, ამ პარალელურ ფორმათა არსებობის მიზეზად მართო-ოდენ ფუნქციური სხვაობა ვერ ჩათვლება. არსებითი მიზეზი და შესაძლებ-ლობა ამ პარალელურ ფორმათა არსებობისა არის შესაბამისი ფორმები, ასე-ვე პარალელურად გამოყენებული (მაგრამ უკვე ქონების აღნიშვნის ფუნქ-ციით დატვირთული):

წიგნ-ი-ანი	—	უ-წიგნ-ო,	მაგრამ:	წიგნ-ი-ერი	—	უ-წიგნ-ური
ბედ-ი-ანი	—	უ-ბედ-ო,	„	ბედ-ი-ერი	—	უ-ბედ-ური
ძალ-ი-ანი	—	უ-ძალ-ო	„	ძლი-ერი	—	უ-ძლ-ური

თუკი უწიგნო — უწიგნური ტიპის სისტემა ერთი გარკვეული პრინციპითაა აგებული, ასევე გარკვეული ფორმობრივი პრინციპი უძვეეს საფუძველად წიგნიანი — უწიგნო, წიგნიერი — უწიგნური ტიპის ფორმობრივი სისტემის აგებას; სხვა ფორმობრივი პრინციპი კი ერთ სისტემაში მოაქცევს წიგნიერი — წიგნიანი ტიპის ფორმებს... ასე რომ, ნაირგვარი ფორმობრივი პრინციპის გამოყენება ერთი და იმავე ფორმებისაგან ნაირგვარი ფორმობრივი სისტემების აგების საშუალებას იძლევა. თავისთავად, უკანასკნელი ფორმების შეპირისპირება და მათი ჩამოყალიბება-შედგენილობის ისტორიის გათვალისწინება შესაძლებლობას მოგვცემს დავესვათ საკითხი მათი საყრდენი უძველესი ფუძის შესახებ; შდრ.: წიგნ-ი(ვ)-ან-ი — წიგნ-ი(ვ)-ერ-ი.

საყრდენი ფუძე ჩანს: წიგნ-ივ-, რომელსაც ემატება განსხვავებული ფუნქციის მქონე სუფიქსები:

* წიგნ-ივ + { ან
ერ (+ პრუნეის ნიშანი).

საყრდენი ფუძის საკითხი დანხმის ბედ-ნ-იერ-ი — ბედ-ი-ან-ი ფორმების შეპირისპირების დროსაც, სადაც ბედ-ნ ფუძის გენეზისია გასარკვევი; ბედ-ნ-ი-ერ-ი, კად-ნ-ი-ერ-ი (შდრ.: კად-რ-ებ-ა) ფორმებში წარმოჩენილი -ნ ელემენტი გარკვეულ ფორმებთან ამ ფუძეების კავშირს გვაპარაულებინებს. ეს კი ნიშნავს, რომ ამჯერად ერთ ფორმობრივ სისტემაში გაერთიანებული ფორმები ისტორიულად შესაძლოა სულ სხვა ფორმობრივ სისტემათა კლუზონობას წარმოადგენდნენ, ან ახლაც ვულისხმობენ მათთან კავშირს...

ის, რომ ფორმას შეუძლია მკაცრი კონტროლი გაუწიოს მასზე დაფუძნებულ ფორმობრივ სისტემას, კარგად ჩანს ონომასტიკის დონეზეც:

შინდ-ის-ი — შინდ-ელი || შინდ-ურ-ი

წაც-ის-ი — წაც-ელი || წაც-ურ-ი.

მაგრამ: ხერთვის-ს — ხერთვის-ელი || ხერთვის-ურ-ი;

ეს იმიტომ, რომ -ის ელემენტი შინდისი, წაცვისი, ერთი მხრივ, და ხერთვისი, მეორე მხრივ, ფორმებში ნაირგვარი შედგენილობისა და გენეზისისა და ფორმობრივი სისტემა ამას საკმაოდ დაქიზად გრძნობს.

ბ. მოცემულია ფორმები: ფხეკ-ს — ფხიკ-ა — ფხეკ-ა — ფხაკან-ი — ფხაკუნ-ი — ფხიკინ-ი — ფხუკუნ-ი — ფხიკავ-ს — ფხოკნი-ს — საფხეკ-ი — მ-ფხეკ-ი — მფხეკელ-ი და ა. შ. ამკარაა, რომ ეს ფორმები რაღაც ურთიერთკავშირს ამყარებენ. მეტიც: მათთან ჩანს დაკავშირებული ფხაჭინ-ს — ფხაჭან-ი — ფხოკნი-ს — ფხოტნი-ს ფორმებაც. შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ყველა ამ ფორმათა ურთიერთდამოკიდებულება სისტემის ნიშნულად? არა, არ შეიძლება. არ შეიძლება, რადგან სისტემა ურთიერთდეტერმინირებულ ფორმათა მიმართებაზე აიგება და არა მსგავს ერომათა კონგლომერატზე. სისტემა თვისობრივი მთლიანობაა და არა მსგავს ელემენტთა რაოდენობრივი კავშირი. და, რაც მთავარია, სისტემა ვარაუდობს აგების გარკვეულ პრინციპს. ამისდა კვალობაზე, ზემოთ მოტანილი ფორმები რამდენიმე ნაირგვარ სისტემაში მოექცევიან. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სისტემები სავსებით დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან. მაგრამ სისტემათა ურთიერთდამოკიდებულება სხვაა და თითოეული მათგანის შემადგენელ ელემენტთა ერთ სისტემაში გაერთიანების პრინციპი კიდევ სხვა. ამის მიხედვით ერთ სისტემაში მოექცევა, მაგალითად, ფხეკ-ს — ფხიკ-ა, ან: ფხეკ-ს — ფხაკ-ან-ი,

მაგრამ არაერთარ შემთხვევაში ფხეკ-ს და ფხოკ-ნ-ი-ს, თუმცა გენეტური კავშირი მათ შორის უდავოა.

7. ფუნქციური სისტემები ძირითადად ცნობილია, რადგან კლასიკური გრამატიკა არსებითად ფუნქციური სისტემების პოზიციიდან უღებოდა ენას. ფუნქციური სისტემის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ დინამიკურობა-სტატიკურობის, უკუქცევითობის, გარდაქცევითობისა და სხვა მისთნ. ფუნქციონათა პრინციპზე აგებული სემანტიკური სისტემები. ფუნქციური სისტემები უშუალოდ უკავშირდებიან (მაგრამ არ ემთხვევიან) ლოგიკურ სისტემებს, მათი ენობრივ მნიშვნელობად რეალიზაციას წარმოადგენენ. სწორედ ლოგიკური კატეგორიებისა და ენობრივი მნიშვნელობების გაუმიჯნაობამ გამოიწვია ის, რომ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ლოგიკის პოზიციებიდან განიხილავდნენ ენობრივ ფაქტებს.

8. სისტემის ელემენტები, გარდა ურთიერთდეტერმინირებისა, ხასიათდებიან ურთიერთშემზღუდავი (მარეგლამენტირებელი) ქმედებითაც. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია და მის ამოცნობასა და სწორად გამოყენებაზე ბევრადღა დამოკიდებული აღწერისა და კვლევის ზუსტი პრინციპების გამომუშავება მაგალითისათვის რომ ავიღოთ მიმდებარე მანარმოებლები მ- (მ-გორავი)||მ-ე- (მ-ე-ბრძოლი)|| მ-ა- (მ-ა-შენებელი) — მო- (მო-გორავი), ენახვთ, რომ მათი თავისუფალი ურთიერთჩანაცვლება შეუძლებელია (როგორც იტყვიან, დამატებითი დისტრიბუციის ფაქტთან გვაქვს საქმე), რადგან თითოეული მათგანი შესაბამისი ზმნური ფორმითაა შეპირობებული (გორავს-მგორავი, გორავს-მოგორავი...) და განსხვავებული ქმედების ელემენტებს წარმოადგენენ. ფაქტი თავისთავად აღნიშნული აღრეც იყო, მაგრამ არ მოგვეპოვებოდა მისი მიზეზის ახსნა: ახსნა კი ერთი სისტემის ფორმოზირი ელემენტთა ქმედების ასპარეზის ურთიერთშემზღუდავი უნდა ვეძიოთ. ასევე: ფხიკ- ფუძისეული მორფემა ვერასოდეს დაიკავებს ფხეკ- მორფემის ადგილს და პირიქით, თუკი არ მოხდა სისტემის სრულ შენაცვლება-გადასხვაფერება. ისევე, როგორც მ-, მო-, ასევე: ფხეკ-. ფხიკ- ელემენტების ფორმოზირი ქმედების არე მკაცრად რეგლამენტირებულია, ზღვარდადებულია. რაიმე სახის ცვლილება: შენაცვლება, ქმედების ასპარეზის დაიწროება ან გაფართოება, რაც სისტემაში ახალი ელემენტის გაჩენით ან უკვე არსებულის დაკარგვით შეიძლება იყოს გამოწვეული, მხოლოდ და მხოლოდ სისტემის სხვა ელემენტების უშუალო მონაწილეობით, მათი „სანქციით“ შეიძლება მოხდეს.

9. რაც შეეხება ფუნქციური ელემენტების ამ თვალსაზრისით შეფასებას, ენათმეცნიერებას უკვე მოეპოვება ამისთვის ფ. დე სოსიურის მიერ შემოღებული ცნება ენობრივი ღირებულებისა, რომლის საშუალებითაც ლ. იელმსლევი სიტყვათა მნიშვნელობების სტრუქტურათა დაჯგენასაც ვარაუდობდა (იხ. მისი: „შეიძლება თუ არა ჩათვალოს, რომ სიტყვათა მნიშვნელობები ქმნიან სტრუქტურას?“). ოლონდ ლექსიკური მნიშვნელობით შემოთარგლული მისი საზღვრები უნდა ვაფართოვდეს და ენობრივი ღირებულების პრინციპი გრამატიკულ ფუნქციონაც უნდა გავრცელდეს. ამ მხრივ მოგვეპოვება კიდევ რამდენიმე წარმატებით ჩატარებული ცდა.

10. ზემოთ აღნიშნა. რომ ფხეკ-ს — ფხიკ-ა ერთი სისტემის ელემენტებია, მაგრამ ფხეკ-ს და ფხოკ-ნ-ი-ს კი არა, თუმცა გენეტური კავშირი მათ

შორის უდავო ჩანსო. ეს კი ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე მიგვითითებს, კერძოდ, იმაზე, რომ საჭიროა განირჩეს გენეტიური სისტემა, რომელიც ფორმათა და ფუნქციათა წარმოქმნა-ჩამოყალიბებას ვარაუდობს და რეალურად მოქმედი სისტემა, რომელიც ენაში ამჟამად ფუნქციონირებს (და რომელიც შეიძლება დაემთხვეს და შეიძლება არ დაემთხვეს გენეტიურ სისტემას).

11. რაც შეეხება სტრუქტურას, იგი განისაზღვრება როგორც ნაირგვარი სისტემებიდან გარკვეული პრინციპით ამორჩეული ელემენტების თვისობრივი ერთობლიობა. თუკი „გარკვეული პრინციპით ამორჩევას“ ვუწოდებთ ინტეგრაციას, მაშინ სტრუქტურა შეიძლება განიმარტოს როგორც ნაირგვარ სისტემათა ელემენტების ინტეგრაცია. კონკრეტულ მაგალითზე ზემოთქმული ასე წარმოსახება: რომელიმე ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს ფორმის თითოეული სეგმენტი (ა-, კეთ-, ებ- და ა. შ.) ნაირგვარი სისტემის კუთვნილებაა; ამ თითოეულ სისტემაში ფუნქციონირებს სხვა ელემენტებიც, მაგრამ ზემოხსენებული ფორმისათვის ხდება სწორედ ამ და არა სხვა ელემენტების ამორჩევა და მათი გამოთიანება გარკვეული თანამიმდევრობითა და პრინციპით. შედეგად ვიღებთ განსაზღვრული შენების მქონე სტრუქტურას. ეს ეხება ფორმოზრიც მზარეს, ფორმოზრიც ყალიბს. რაც შეეხება ფუნქციას, თითოეულ ინტეგრირებულ ელემენტს თავისი ფუნქციაც შემოაქვს სტრუქტურაში. მაგრამ სემანტიკური სტრუქტურა არ უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში როგორც სემანტიკური ერთეულების უბრალო ჯამი. მოცემულ მთლიანობაში ისინი ეხამებიან ერთმანეთს და ახალ თვისობრივ (და არა რაოდენობრივ) ერთეულს იძლევიან. მეტიც: მთლიანობას აქვს უნარი სტრუქტურაში შემოიტანოს ისეთი ფუნქციაც, რომელიც კონკრეტულად არც ერთი ინტეგრირებული ელემენტისათვის არ არის ნიშანდობლივი დამოუკიდებლად (ჩვენს შენთხვევაში ასეთია, მაგალითად, დროის, კლოს ფუნქციები).

12. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე ელემენტები ზოგჯერ ნაირგვარ ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან. ხშირად ეს გავლენას ახდენს ფორმოზრივი სტრუქტურის შენებაზე, მაგრამ არც ისე იშვიათად მართოდღენ ფუნქციურ ცვლილებას ვადასტურებთ.

პირველის ნიმუშად გამოდგება ი-გორავ-ებ-ს ფორმა, სადაც დამოწმებულია იგვე -ავ ელემენტი. რაც გორ-ავ-ს ფორმაშია. მაგრამ უკანასკნელისაგან იგი განსხვავდება თავისი ქმედებითაც და სტატუსითაც: თუკი გორ-ავ-ს ფორმაში იგი თემის ნიშნის სტატუსით გვევლინება, ი-გორავ-ებ-ს ფორმაში იგივე ელემენტი ფუძის მაწარმოებელი ფორმანტის როლში გამოდის: იგი ქმნის არა საყრდენ უფას ფორმათა გარკვეული სისტემისათვის, არამედ ახალ ფუძეს, რომლისგანაც საყრდენი თემის წარმოება უკვე სხვა ფორმანტს აქვს დაკისრებული: გორავ-ობ-ს — ი-გორავ-ებ-ს — ი-გორავ-ა, აქ ობ: -ებ: O ასრულებს იმ როლს, რასაც -ავ: -ებ: O ფორმანტები გორ-ავ-ს — ი-გორ-ებ-ს — ი-გორ-ა ფორმებში. ერთი და იმავე შედგენილობის ინვენტარს ნაირგვარი სტატუსი აღმოაჩნდა. განსხვავებული შედგენილობის ინვენტარი ერთი და იმავე სტატუსით მოგვევლინა. გარდა ამისა, ზემოთქმული იმასაც ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე ინვენტარს შესწევს უნარი შედიოდეს ნაირგვარ სტრუქტურაში, ქმნიდეს ნაირგვარ სტრუქტურას. ეს კი მრავალ მნიშვნელოვან საკითხს აღძრავს როგორც ისტორიული, ასევე ენის დღევანდელი მდგომარეობის თვალსაზრისით.

მეორის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ასეთი შეპირისპირება: ცალ-ო-ცლ-ო-ს, ღვარ-ო-ღვრ-ო-ს, ერთი მხრივ, და: ქარ-ო-ქრ-ო-ს, მეორე მხრივ, სადაც, მიუხედავად ფორმოზიერ ერთგვარი შენებისა და მიმართებისა, ფუნქციური სტატუსი საესებით განსხვავებულია: ცლის, ღვრის — დინამიური ზმნების რაგში დგება. ქრის — ყველა ნიშნის მიხედვით (სემანტიკურადაც და უღვლილებითაც) სტატიკური ზმნაა. ამ თვალსაზრისით ლაბილური ფორმებიც მოგვეპოვება: ცრ-ო-ს (ცრის ფქვილს — დინამიური, და: ცრის წვიმა — სტატიკური).

13. ფორმოზიერი და ფუნქციური სისტემები ერთიანდებიან ფორმოზიერი და ფუნქციური კატეგორიებში. უნდა განიშარტოს თითოეული მათგანი.

ქერ თვით კატეგორიის ზოგად განსაზღვრაზე. თითქოს პარადოქსია, მაგრამ დღემდე არ მოგვეპოვება კატეგორიის ზუსტი და კონკრეტული განსაზღვრა. ზოგადი ფილოსოფიური განმარტებით, კატეგორიები ის ძირითადი ცნებებია, რომლებშიც აისახება საგანთა და მოვლენათა უზოგადესი და არსებითი ურთიერთმიმართებანი. ამის კვალობაზე, ფილოსოფიაში გამოყოფენ მატერიის, მოძრაობის, სივრცისა და დროის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის, შინაარსისა და ფორმის, შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიებს; ფორმალურ ლოგიკაში — აზროვნების, მსჯელობის, ცნების, დედუქციის, ინდუქციის კატეგორიებს; ესთეტიკაში — მშვენიერის, ტრაგიკულის, კომიკურის, ამაღლებულის კატეგორიებს; მათემატიკაში — ბინომის, ვექტორის, პიპერბოლის, ლოგარითმის, ტოლობის, განტოლების, ფუნქციის, რიცხვის კატეგორიებს; ენათმეცნიერებაში — ბრუნვის, რიცხვის (სახელისათვის), პირის, დროის, კლოს, გვარის (ზმნისათვის) კატეგორიებს... რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ რამდენიმე კატეგორიაა აღებული თითოეული დარგიდან; მათა დასახელება ნიმუშად გვეპირდებოდა და მას ამომწურავი კლასიფიკაციის პრეტენზია არ აქვს. მაგრამ ამ ორიოდ ნიმუშითაც კარგად ჩანს, რომ არათუ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, არამედ თვით ერთ დარგშიც კი კატეგორიების გამოყოფის ერთგვაროვნობის პრინციპი დაცული არ არის და გამოყოფილ კატეგორიათა უმეტესობის საზღვრებიც ლაბილურია და, ამდენად, ბუნდოვანია.

რა არის მიზეზი ამ ბუნდოვანებისა?

14. უპირველესი და უმთავრესი აქ ის არის, რომ ერთ სიბრტყეზე განიხილება ის, რაც რეალობის და რაც ამ რეალობის გონებაში ასახვის (ცნობიერების) კუთვნილებაა. მაგალითისათვის: მატერია, მოძრაობა — ის კატეგორიებია, რომლებიც რეალობაში თავისთავად არსებობენ და ცნობიერება მათ ფიქსაციას (შეცნობას) ახდენს, მაგრამ ამათ საპირისპიროდ, მათივე გვერდით განხილული აუცილებლობისა და შემთხვევითობის, შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები წმინდა ცნებითი (მხოლოდ ცნობიერებაში არსებული) კატეგორიებია და მათი საშუალებით ფაქტიურად ზდება არა სინამდვილის შეცნობა, არამედ მისი შეფასება. ასევე: სამყაროში (რეალობაში) არ არის მოცემული მშვენიერება, ტრაგიკულობა, ამაღლებულობა თავისთავად, იგი ცნობიერებაში იქმნება და არსებობს მხოლოდ ცნობიერებისათვის; სხვაგვარად: ესაა პაროვნებისმიერი შეფასება მოვლენისა. მაგრამ სავსებით

რეალურია ენაში ბრუნვის კატეგორია და ბრუნვის გრამატიკული კატეგორია ახდენს მის შეცნობას (და არა მარტოოდენ შეფასებას).

15. როგორც ვხედავთ, კატეგორიები მეცნიერების რომელიმე კონკრეტული დარგის ინტერესებით შეპირობებული ზოგადი ცნებების აბსტრაქტიზებას წარმოადგენენ: კატეგორიები აბსტრაქტიზებული ცნებებია. ი. კანტისთვის კატეგორიები წმინდა გონებითი ცნებებია (იხ. მისი: „წმინდა გონების კრიტიკა“), რაც არსებითად ცნებისა და კატეგორიის გაიგივებაა და რაც უკანასკნელს მარტოოდენ ცნობიერების სფეროში აქცევს. არსებითად ცნობიერების პრიმატს წარმოადგენენ ის კატეგორიებიც, რომლებიც ამჟამად ფუნქციონირებენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ჰეგელის განმარტება ჭეჩქერობით ზუსტად ასახავს რეალურ ვითარებას: „კატეგორიები უშუალოდ შეგრძნებებში არ არიან მოცემული... კატეგორიები (როგორც, მაგალითად, ერთიანობა, მიზეზი, მოქმედება და ა. შ.) ეკუთვნიან აზროვნებას, როგორც ასეთს“ (იხ. მისი: „ლოგიკის მეცნიერება“ § 42, დანართი 3); ეს იმიტომ, რომ, მაგალითად, ორ მოვლენას შორის მიზეზობრივი კავშირი კი არ აღიქმება, არამედ გაიზარება („მხოლოდ ჩვენი აზროვნებისთვის არსებობს“ — აღნიშნავდა ჰეგელი). მაგრამ ის, რომ ორ მოვლენას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კი არ აღიქმება, არამედ გაიზარება, სრულებით არ გულისხმობს იმას, რომ ეს კავშირი მარტო აზროვნებისთვის არსებობს და რომ იგი ვერ პოულობს ანალოგიას რეალობაში. რადგან ასეა, სავსებით კანონზომიერია ვეძიოთ რეალობაში ის, რის ასახვასაც (გააზრებასაც) ცნობიერებაში კატეგორია წარმოადგენს.

16. საკმარისია გავითვალისწინოთ კატეგორიების ჩამოყალიბების ისტორია, რომ ამჟამად წარმოჩინდება ერთი უცილობელი ფაქტი: კატეგორია არსებითად აბსტრაქტიზებული პრედიკატია რაიმე მსჯელობისა (მსჯელობის რაობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მეცნიერების მოცემული დარგის ინტერესებითაა შეპირობებული). ზემოთ ითქვა: კატეგორია აბსტრაქტიზებული ცნებააო. ეს ორი განმარტება ერთმანეთს არ გამორიცხავს: ცნებაც არსებითად მსჯელობის შედეგია. უძველესი კატეგორიები ფაქტიურად მსჯელობის პრედიკატის აბსტრაქტიზებას წარმოადგენდნენ, განსაზღვრებითი თვისობა ჰქონდათ და იმიტომ. შემდგომ — ძირითადად მსჯელობის შედეგის აბსტრაქტიზებასთან გვაქვს საქმე. სხვათა შორის, ეს საწყისი თვისობა კატეგორიისათვის ტერმინიდანაც ჩანს: კატეგორია (ძველი ბერძნული: *κατηγορία*) სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა — „ძირითადი და საერთო ნიშან-თვისება“. რაც ფორმალურ ლოგიკაში სწორედ პრედიკატით გადმოიცემა. მეტიც: ეს ფორმა უშუალოდ უკავშირდება *κατηγορία*, *κατηγορία* ფორმებს, რომელთა მნიშვნელობაა — „აზრის განოქმება, დადასტურება, მსჯელობა, პრედიკატი“ (მათი სხვა მნიშვნელობები ამჟერად არ გვინტერესებს). ამ საკითხზე ასე დაწვრილებით ყურადღების გამახვილება იმისათვის დაგვიკირდა, რომ კატეგორიის თავდაპირველი ბუნება-დანიშნულება გვეჩვენებინა. მით უფრო, რომ ეს „პრედიკატულობა“, „ზოგად-განმსაზღვრელობა“ ამჟამად იღანდება კატეგორიების თანამედროვე გაგება-შეფასებაშიც: როგორც აღინიშნა, კატეგორია გაივება როგორც მსჯელობის შედეგი, როგორც ამ შედეგის განზოგადება. მსჯელობა კი ცნობიერების სფეროა და მაშინ, ბუნებრივია, დაის-

ვას კითხვა: რა შეეფარდება მსჯელობის ამ შედეგს რეალობაში, რა არის ის რეალური არსი, რომელსაც ცნობიერება აყალიბებს კატეგორიის სახით?

17. ტრადიციული ნაკლი კატეგორიების კლასიკური თეორიისა, გარდა ზემოაღნიშნული მათი ბუნდოვანებისა, არის ისიც, რომ ისინი ფაქტიურად ახდენენ მუმიფიკირებას იმისას, რაც სინამდვილეში განუწყვეტელი პროცესისა და განვითარების შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. აღწერისა და კვლევის მოხერხებულობისათვის ხდება პროცესიდან ცალკეული ელემენტების ამოგლეჯა და მათი პრეპარირება. ამას კი თან გარდაუვალი ნაკლი ახლავს: ჯერ ერთი, ამ სახით „ამოგლეჯილი“ ფაქტი კარგავს თავისი რეალური თვისობის მომეტებულ ნაწილს (იგი ისეთივე მსგავსებას ამქავენებს რეალურ პირობებში არსებულ თავისივე იერსახესთან, როგორსაც ერთმანეთთან ცოცხალი და სუკვილის შემდგომ მუმიფიკირებული იგივე სხეული: ზედმიწევნით იგივეობას უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ანატომიურად თუ დავადასტურებთ): გარდა ამისა, გაუთვალისწინებელი რჩება მისი არსებობის არსი და მიზეზი. მისი დანიშნულება იმ პროცესში, საიდანაც იგი იქნა ამოღებული. ეს კი ბევრს აკლებს რეალური ვითარების წარმოსახვას. რადგან ყოველი კონკრეტული ობიექტი ან მოვლენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი აუცილებელია ამა თუ იმ პროცესისათვის; როცა ამის საჭიროება აღარ არის, იგი ან იცვლება ახლით, ანდა ამგვარი შეცვლის გარეშე ამოვარდება პროცესიდან, ისე კი, რომ გარკვეულ კვალს უტოოდ დატოვებს.

18. ამდენად, კატეგორია ცნობიერების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ იგი არსებობს არა როგორც წმინდა ცნობიერების ფენომენი, არამედ რეალურად არსებული ვითარების ასახვას წარმოადგენს. ე. ი. კატეგორია არის არა აღწერა-შეფასების საშუალება, არამედ რეალობის ასახვა ცნობიერებაში. იმის გამო, რომ ყოველი ფაქტი რეალურად წარმოდგენილია მუდმივ პროცესში, იგი განხილულ უნდა იქნეს სწორედ ამ პროცესში და არა მისგან განყენებულად. პროცესი უშუალოდ რეალიზდება საგანთა და მოვლენათა (ენაში — ფორმათა და ფუნქციათა) ურთიერთმიმართებებითა და ურთიერთშეპირობებულობით. ეს ურთიერთმიმართებანი, როგორც აღინიშნა, სისტემების სახით არსებობენ. აღინიშნა ისიც, რომ სისტემა ენაში რეალურად მოქმედი რეალური ფაქტია და არა რეალურად ამოუხსნელი მოვლენის ცნებებში პირობითად (კონვენციონალიზმის პრინციპით) „მოწესრიგება“. სისტემებს აგების თავისი პრინციპი აქვს. ეს პრინციპი ედება საფუძვლად სისტემათა დაჯგუფებასა და გადანაწილებას. ამ ერთ-ერთი რომელიმე პრინციპის მიხედვით გაერთიანებული ჯგუფები (ე. ი. სისტემათა ერთი პრინციპის მიხედვით დაჯგუფება) ცნობიერებაში წარმოიდგინება როგორც გარკვეული კატეგორია. მაშასადამე, კატეგორია განიმარტება როგორც სისტემათა აგების პრინციპის ასახვა ცნობიერებაში; უკეთ: სისტემათა შენების საერთო პრინციპის მიხედვით სისტემების დაჯგუფება-გადანაწილების ასახვა ცნობიერებაში. ერთი და იგივე ფორმა ან ფუნქცია ენაში ჩვეულებრივ ნაირგვარ მიმართებებს ამყარებს. ეს ნიშნავს, რომ იგი ნაირგვარ სისტემებში შედის და ამის გამო იგი შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა კატეგორიებში.

19. თუკი ენაში არსებობს ფორმობრივი სისტემები და ფუნქციური სისტემები, თუკი თითოეულ მათგანს მოეპოვება აგების თავისი პრინციპები, თუკი აგების პრინციპი ცნობიერების სისტემაში კატეგორიად იწოდება, მაშინ

ენაში უნდა გამოიყოს ფორმობრივი კატეგორიები და ფუნქციური კატეგორიები. ფორმობრივი კატეგორია ვარაუდობს აგების ერთი პრინციპის მიხედვით გაერთიანებულ ფორმობრივ სისტემებს. შესაბამისად, ფუნქციურ კატეგორიად განიშარტება როგორც ასახვა აგების ერთი პრინციპის მიხედვით გაერთიანებული ფუნქციური სისტემებისა.

20. ფორმობრივ სისტემათა აგების პრინციპების რკვევა არსებითად გულისხმობს იმის დადგენას, თუ რა ურთიერთობანი შეიძლება დაამყარონ ერთმანეთთან ენობრივმა ფორმებმა და ფორმობრივმა ელემენტებმა. ამის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ენობრივ ფორმათა წმინდა ფორმობრივი ურთიერთდამოკიდებულებანი და ისეთი ურთიერთდამოკიდებულებანი, რომლებიც გარკვეულად ენობრივი ფუნქციით არიან შეპირთებულნი. ამ ურთიერთდამოკიდებულებების (პრინციპების) გადატანა ცნობიერების სისტემებში ფორმობრივ კატეგორიად ყალიბდება. ამის გათვალისწინებით, ენაში გამოვყოფთ ფლაგიტაციის, დისპოზიციის, სელექციის, დიზუნქციის, კონუნქციის, კონტრასტის, კოპულაციის ფორმობრივ კატეგორიებს.

21. ფლაგიტაციის ფორმობრივი კატეგორია ვარაუდობს ისეთ ურთიერთიშარტებას, როცა ენობრივი ფორმა (ან ფორმანტი) შეითავსებს მხოლოდ ამ ერთ და არავითარ შემთხვევაში სხვა ფორმას (ან ფორმანტს). ამრიგად, ფლაგიტაცია (ლათინური: flagitatio — დაჟინებითი მოთხოვნა) ერთი ენობრივი ფორმის მიერ მეორე ფორმის დაჟინებითი მოთხოვნაა. მაგალითად, —*ებ* თემის ნიშანი ნაშყო დროის ენებითი გვარის მიმღობათა სუფიქსურ მაწარმოებელთაგან მხოლოდ და მხოლოდ —*ულ* ფორმანტს შეითავსებს (*ა-კეთ-ებ-ს — გა-კეთ-ებ-ულ-ი, ბად-ებ-ს — და-ბად-ებ-ულ-ი...*). იმ შემთხვევაში, როცა —*ებ* ფუძისეულია, ან სხვა რიგის ფორმანტია, მიმღობის ფორმანტიც სხვა იქნება (შდრ.: *ლებ-ავ-ს — შე-ლებ-ილ-ი; კრებ-ს — შე-კრებ-ილ-ი, ზაგრამ: კრებ-ულ-ი*, — ეს ნიშნავს, რომ უკანასკნელი ფორმა მაშინ ჩამოყალიბდა. როცა *კრებ-ს* ფორმაში —*ებ* ჭერ კიდევ თემის ნიშნის სტატუსით გამოდიოდა). ასევე: *ფუძე + თემის ნიშანი* (აწმყოში) ყალიბით აგებულ მოქმედებითი გვარის ფორმათა შესაბამისი ენებითი ყოველთვის პრეფიქსიანი იქნება (*მალ-ავ-ს — ი-მალ-ებ-ა; ბად-ებ-ს — ი-ბად-ებ-ა*) რაიმე გადახვევა ამ პრინციპიდან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თავის დასაბუთებას პოულობს და მაშინ ამ კატეგორიის თვალსაზრისით ფორმათა შესწავლა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოაჩენს: ნათლად დაგვანახებს ყოველგვარ „გამონაკლისს“, რაც თავიდან აგვაცილებს მათ სხვა ფორმებთან გათქვეფას და, ამდენად, რეალური ვითარების ძალაუფებურ მიჩქმალვას. ზემოთ წარმოდგენილი შეწყვილებული ფორმები თავისთავად დამოუკიდებელ სისტემებსაც ქმნიან, ნაგრამ სისტემის აგების პრინციპი (დაჟინებითი მოთხოვნა სწორედ ამ ფორმანტისა თუ ფორმისა) მათ ერთ ფორმობრივ (ფლაგიტაციის) კატეგორიაში აერთიანებს. ეს კატეგორია საკმაოდ ბევრ სისტემას მოუყრის თავს ერთად, რადგან ფლაგიტაციის პრინციპზე საკმაოდ მრავალი სისტემა აიგება ენაში.

22. ფორმობრივია აგრეთვე თანამიმდევრობის, თანაგანლაგების ანუ დისპოზიციის კატეგორია, რომელიც ფორმობრივ ელემენტთა გარკვეული პრინციპით განლაგებას გულისხმობს. დისპოზიცია ნაირგვარი შეიძლება იყოს და შესაბამისად ნაირგვარი იქნება დისპოზიციის სისტემები, მაგრამ პრინციპი

ფორმობრივ ელემენტთა მკაცრი თანამიმდევრობით განლაგებისა ენაში უდავოა და იგი ასევე ბევრი სისტემის გამაერთიანებელი აღმოჩნდება.

23. არის შემთხვევა, როცა ერთ ფორმობრივ სისტემაში ერთი და იმავე ფორმობრივი ელემენტის ორი ან მეტი ნაირსახეობაა მოცემული, ფორმათა ერთი ნაწილისათვის ამ ელემენტის ერთი ვარიანტია ამოსავალი; მეორისათვის — მეორე ვარიანტი და ა. შ. მაგალითად:

ა-ჩენ-ს → ჩენ-ა
 ↘ მ-ჩენ-ი: გამო-სა-ჩენ-ი — მ-ჩენ-ელ-ი...
 გამო-ა-ჩინ-ა → ჩინ-ი
 ↘ მ-ჩინ-არ-ი; სა-ჩინ-არ-ი...

პრინციპი ფუძეთა (ფორმათა) ამგვარი ამორჩევა-გადანაწილებისა შეიძლება იწოდოს ამორჩევის ანუ სელექციის ფორმობრივ კატეგორიად (ტერმინი „სელექცია“ გამოყენებულია თანამედროვე — განსაკუთრებით სტრუქტურალისტურ — ენათმეცნიერებაში. მიუხედავად ზოგი თანხედრისა, ამ შემთხვევაში ამ ტერმინს არსებითად განსხვავებული მნიშვნელობით ვიყენებთ).

24. დამოწმებულია ისეთი შემთხვევები, როცა ფორმობრივ სტრუქტურაში ერთი ელემენტი დაუინებით არ მოითხოვს სწორედ ამ და მხოლოდ და მხოლოდ ამ ელემენტის მონაწილეობას, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ აქ შესაძლებელია ნებისმიერი ფორმობრივი ელემენტის გამოყენება. ასე, მაგალითად, -ავ თემისნიშნიანი ზმნის შესაბამისი ვნებითი გვარის ნამყოფი დროის მიძლეობა შეიძლება -ულ ფორმანტითაც იყოს წარმოდგენილი და ილ- ფორმანტითაც (მალ-ავ-ს — და-მალ-ულ-ო, მაგრამ: კეტ-ავ-ს — და-კეტ-ილ-ი), ისტორიულად ამას თავისი მიზეზი და გამართლება აქვს, ხოლო თანამედროვე ენათმეცნიერებაში აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მოგვეპოვება დიზუნქციის² ფორმობრივი კატეგორია, რაც ნიშნავს: მოცემულ ფორმობრივ ელემენტთან (ფორმასთან) გვაქვს ან ეს, ან ის ფორმობრივი ელემენტი. მაგრამ არავითარ შემთხვევაში სხვა ნებისმიერა. გამორიცხულია აქ ურთიერთშენაცვლებაც.

25. ზოგჯერ შესაძლებელია ველაპარაკოთ კონექციის² ფორმობრივ კატეგორიაზე. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთსა და იმავე ფორმობრივ ელემენტთან (ერთი მნიშვნელობის ფარგლებში) შეიძლება განოყენებულ იქნეს ერთი ელემენტიც და მეორეც. მაგრამ არავითარ შემთხვევაში სხვა რომელიმე. ნებისმიერი. მაგალითად, დილა-ს და დილ-ით თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს, ისევე, როგორც -ებ და -ობ მორფემები კაკან- მორფემასთან (კაკან-ებ-ს კაკან-ობ-ს). ამ ფორმობრივ კატეგორიაში საკმაოდაა შემოქრალი სემანტიკური ასპექტი, რაც წმინდა ფორმობრივი მხარის ერთგვარ ნიველირებას ახდენს.

26. ენაში არის შემთხვევები, როცა ხდება ფორმის გადასხვაფერება (იხე. რომ ზოგჯერ ეს გავლენას ახდენს მნიშვნელობაზე). ეს გადასხვაფერება შეიძლება ფორმობრივ შეპირობებულ იყოს და შეუპირობებელიც; ნიმუ-

² ტერმინი მათემატიკური ლოკალიდანაა აღებული და მნიშვნელობაც არაერთად თანხედება, მაგრამ სხვაობაც არის...

შად ფხეკა და ფხეჭა, ფხოყნის და ფხოჭნის, ძიძგნის და ჭიჭგნის ტიპის მაგალითები გამოგვადგებოდა, ოღონდ ერთი პირობით: ისინი არ განეკუთვნებიან სხვადასხვა დიალექტს, არამედ ერთი დიალექტის, ერთი ენის ფარგლებში მოქმედებენ. ამას შეიძლება ვუწოდოთ დაპირისპირების ფორმობრივი ანუ კონტრასტის კატეგორია. ბალახ-პულახი, კუჭ-მაჭი, წრდის და ღწრდის (მეორეული, ხელოვნური წარმოება) ტიპის მაგალითები სწორედ კონტრასტის პრინციპზეა აგებული (კონტრასტი იგულისხმება ფორმობრივი და სემანტიკური).

27. ამის საპირისპიროდ, უმცროსი — უმფროსი, აღმართი — დაღმართი ტიპის მაგალითები თანაშემწყვილების, თანაშემწყობის ფორმობრივ ანუ კოპულაციის კატეგორიად შეიძლება იწოდოს. კონტრასტისა და კოპულაციის შემთხვევაში საკმაოდ ძლიერაა წარმოიხილი სემანტიკის გამვლენელი ძალა; ამიტომ აქ ძნელია წმინდა ფორმობრივ შეპირობებულობაზე ლაპარაკი. თუმცა წმინდა ფორმობრივი გამოხატულება უთუოდ გვაქვს და ზემოდასახელებულ კატეგორიებში სწორედ ეს მხარე იგულისხმება.

28. ასე წარმოვივლიდგება ძალიან ზოგადად ფორმობრივ კატეგორიები ენაში. როგორც ვხედავთ, აქ არა მხოლოდ სისტემის, არამედ სტრუქტურის აგების პრინციპებოცაა გათვალისწინებული. უფრო კონკრეტული (ჩა, აზდენად, უფრო სიღრმისეული) საკითხები ცალკე რკვევს საგანია. ასევე: ივარაუდება ამ კატეგორიების შევსება და დახვეწა, მათი შინაგან ურთიერთმართებათა ჩამოყალიბებაც სისტემის სახით. აქვე გასათვალისწინებელი გახდება ცალკეული გადახრები სისტემათა აგების საერთო წესიდან, ზოგი ფორმის ლაბილური ან სტაბილური გადასვლა ერთი სისტემიდან მეორეში, საკითხის ისტორიული და თანამედროვე ვითარების ურთიერთმართება, ფორმობრივი კატეგორიების გენეზისური თავისთავადობა ან ფუნქციური კატეგორიებით მათი შეპირობებულობა...

29. როდესაც ფუნქციური კატეგორიებზე ვიწყებთ საუბარს, წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ენაში დამოწმებული ის უცილობელი ფაქტი, რომ ფორმობრივი და ფუნქციური სისტემები ხშირად არ ემთხვევიან ერთმანეთს და შესაბამისად, ფორმობრივი და ფუნქციური კატეგორიების ზედმიწევნითი თანხვედრაც არც ისე ხშირადაა დამოწმებული, თუმცა ამგვარი თანხვედრისაკენ მისწრაფების ტენდენციაც აშკარაა ენაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ენაში არც ისე იშვიათადაა შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ენობრივი ელემენტები ნაირგვარად განაწილდებიან ფორმობრივ და ფუნქციურ სისტემებში. მაგრამ არა მარტო ნაირგვარ განაწილებას ეხება საქმე, მთავარი აქ ისაა, რომ ფორმობრივ და ფუნქციურ სისტემებს ერთი და იგივე ენობრივი ელემენტი ნაირგვარ ურთიერთობაში. ურთიერთმართებაში შეჰყავთ და ნაირგვარ ელემენტებთან ამყარებინებენ მას კავშირს. ე. ი. ფორმობრივი და ფუნქციური სისტემების მიხედვით ერთი და იგივე ელემენტები არა მარტო ნაირგვარად ნაწილდებიან, არამედ ნაირგვარ ურთიერთდამოკიდებულებასაც ამყარებენ. ამდენად, სისტემებს შორის სხვაობა თავს იჩენს არა მხოლოდ განაწილებაში, არამედ შემადგენლობაშიც.

30. ფორმობრივი პრინციპი ხეხ-ხ და ა-ხახუნ-ებ-ხ ფორმებს ერთმანეთს დაუპირისპირებს და სხვადასხვა სისტემაში მოაქცევს მათ (I — ხეხ-ხ — ხეხ-ა — ხახ-უნ-ი... II — ამოსაჯლად იღებს პირველი სისტემის ხახუნ- ფუძეს:

ა-ხახუნ-ებ-ს — გა-ხახუნ-ებ-ა...); მაგრამ ფუნქციური პრინციპი ერთ სისტემაში მოაქცევს, ვთქვათ, ხუნ-ს და ა-ხახუნებ-ს ფორმებს (აქტიურობის ფუნქციის თვალსაზრისით), ან ხუნ-ა და გა-ხახუნებ-ა (ორივეს ერთი — მოქმედების სახელდების — ფუნქცია აქისრია, ორივე მასდარია). ეს ნიშნული სისტემის წევრთა ნაირგვარი გადანაწილებისა.

ფორმობრივ ერთ სისტემაშია გაერთიანებული ა-ვდ-ებ-ს — ვდ-ებ-ა — ჩა-ვდ-ებ-ულ-ი ფორმები, მაგრამ ფუნქციური სისტემა გარდა მათი გადანაწილებისა, დამატებით წევრსაც (შემადგენელ ელემენტს) შემოიტანს და ა-ვდ-ებ-ს — ვარდ-ებ-ა ფორმებს გარკვეული ფუნქციური (აქტიურობა-პასიურობის, გვარის) პრინციპით დაუკავშირებს ერთმანეთს. ეს ის შემთხვევაა, როცა ფორმობრივი და ფუნქციური სისტემები არა მხოლოდ ელემენტთა განაწილებით, არამედ შემადგენლობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ფუნქცია ძალ-ით და ძლ-ივ-ს || ძლ-ივ-ა-ს ფორმებს ერთ სისტემაში გააერთიანებს, მაგრამ ფორმობრივ ისინი აშკარად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც სახელადი და ზმნური ფუძეები და, შესაბამისად, ფორმობრივ სისტემაში ასე 'გადანაწილდებიან: I — ძალა-ძალ-ით — ა-ძალ-ებ-ს — მო-ძალად-ე... II — ს-ძლ-ივ-ს — ა-ძლ-ივ-ს — ძლ-ივ-ს /— ძლ-ი(ვ)-ერი — უ-ძლ-ავ-ს — მ-ძლ-ავ-რ-ი... ამისდა მიხედვით, ძლ-ივ-ს — ნაზმნარი ფორმია, ა-ძალ-ებ-ს — ნასახელარი ზმნა და ა. შ.

31. ბუნებრივია, დაისვას ასეთი კითხვა: შემოთავაზებული პრინციპი მხოლოდ ახლებურად ენის აღწერას ახდენს და არავითარი არსებითი ცვლილება არ შეაქვს მის შეცნობაში, თუ ამ თვალსაზრისითაც რაიმე სიახლის შემოტანაია?

თავისთავად, აღწერის ყოველი ახალი პრინციპი ენის შესწავლა-შეცნობის თვალსაზრისით ყოველთვის სიახლის შემცველია, რადგან ენის აღწერის ყოველი ახალი პრინციპი ენობრივ მოვლენათა განსხვავებული თვალსაზრისით დანახვაა და შეფასებას გულისხმობს იმთავითვე, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში შემოთავაზებულ პრინციპს მეტის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს, რადგან ვარაუდობს ცვლილების შეტანას არა მხოლოდ აღწერის პრინციპში, არამედ აღწერ-ლი მასალის შეფასებაშიც. ასე, მაგალითად, როდესაც ერთმანეთის გველ-თ მოხვდებოდა ძალ-ით — ძლ-ივ-ს, მხრ-ით — მხრ-ივ ტიპის მაგალითები. ფორმობრივი ჯრთიერთმიმართებების, ფორმობრივი სისტემების გაუთვალსწინებლობის გამო, მათი წარმოქმნისა და არსებობის პრინციპი ფაქტურად აღზსნელი რჩებოდა (ან ჩსნიდნენ როგორც სხვადასხვა დიალექტური წრის კუთვნილ ფორმებს, რისი მიზეზიც იმთავითვე უცნობი იყო). აღმოჩნდა კერძო აქ ერთმანეთს უპირისპირდება სახელადი და ზმნური სისტემა, რომ ძალ-ით სახელადი წარმონაქმნია. ძლ-ივ-ს — ზმნური, რომ დაახლოებით თანაბარი ფუნქციისათვის ორი სავსებით განსხვავებული ფორმობრივი სისტემის ელემენტებია გამოყენებული. ფუნქცია რომ სავსებით იდენტური იყოს. ენას მისთვის ორი ფორმა არ დასჭირდებოდა. ივარაუდება, რომ იქ, სადაც ასეთი მდგომარეობა გვექონდა, ერთ-ერთი ფორმა ან დაიკარგა: ან საერთოდ არ წარმოქმნილა (თუმცა ამის პოტენცია, შესაძლებლობა კი ჰქონდა), მაგრამ სადაც კი მინიმალური ფუნქციური სხვაობა მაინც დადასტურდა, ორივე ფორმა შემორჩა, — არა ორი სხვადასხვა დიალექტური წრიდან შემოსული, არამედ ერთი ენის ფარგლებში მოქმედი ორი სხვადასხვა ფორმობრი-

ვი სისტემის კუთვნილი ფორმა. სხვათა შორის, ამის გათვალისწინება უთუ-
ოდ იმასაც აკვიხნენ-ს, თუ რატომ არ ხდება რედუქცია ძალ-ით, ა-ძალ-ებ-ს
ტიპის ფორმებში დამოწმებულ ფუძეებში: არ მოხდა იმის გამო, რომ მათ სა-
ხელადი ფუძის სტატუსი შეინარჩუნეს და ფორმოზივე ასე დაუპირისპირდ-
ნენ ძლ (ვ-ძლ-ევ) და ძელ (შე-ვ-ძელ) ზმნურ ფუძეებს.

32. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სავსებით იდენტურ ფორ-
მოზივე სისტემებს სრულიად სხვადასხვაგვარად გადაანაწილებს ხოლმე ფუნ-
ქციური სისტემა, ფორმოზივე ერთი და იმავე დანიშნულების, რიგის ელე-
მენტებს სავსებით განსხვავებული დანიშნულებით გამოიყენებს. მაგალითი-
სათვის ავიღოთ უკრის განმოვანებაზე აგებული სქემა: ფუძე ა-განმოვანებით
(ა), ფუძე ე-განმოვანებით (ე) და რედუქციურებული ფუძე (0):

ა: ცაჲ (ე-ო-ცაჲ)	ძალ (ძალა)	ცარ (გა-ე-ცარ)
ე: ცაჲ (ლა-ე-ო-ცაჲ)	ძელ (შე-ე-ძელ)	ცარ (გა-ე-ცარ)
0: ცა (ლა-ცა-ა)	ძლ (შე-ე-ძლ-ებ)	ცრ (ე-ცრ-ი)

როგორც ვხედავთ, წმინდა ფუძის მიხედვით კლასიფიცირებისას სანივე
ეს ფორმა ერთ სისტემაში მოექცევა და ერთ ფორმოზივე კატეგორიას წარმო-
ადგენს. მაგრამ საკმარისია ერთი და იმავე ფუნქციის მიხედვით განვიხილოთ
ეს სამი რიგ-ს ფორმები, რომ აბსოლუტურად განსხვავებული პრინციპით მო-
ხდება მათი გადაანაწილება. მაგალითისათვის ავიღოთ ღროის ფუნქცია:

აწყო:	ვ-ო-ცაჲ	შე-ე-ძლ-ებ	ე-ცრ-ი
ნაწყო ძირ:	ღაჲ-ო-ცაჲ-ი ღაჲ-ო-ცაჲ	შე-ე-ძლ-ი	გა-ე-ცარ გა-ე-ცარ
ნეიტრ. (მასდარი):	ღა-ცაჲ-ა	შე-ძლ-ებ-ა	გა-ცრ-ა

მოცემული სქემის აღწერის გარეშეც ნათელია ის არსებითი ხასიათის
ძვრები, რომლებიც ფუნქციამ გამოიწვია ფორმოზივე სისტემაში: ფუძე ა-
განმოვანებით ერთ შემთხვევაში აწყო-სა და ნაწყო ძირითადში გამოიყენა
(ვიცაჲ — ღაჲ-ო-ცაჲ), მეორე შემთხვევაში საერთოდ ამოაგდო. როგორც სა-
ხელადი ფუძე (ძალა), მესამე შემთხვევაში მხოლოდ ნაწყო ძირითადში და-
ტოვა (გა-ე-ცარი); რედუქციურებული ფუძე პირველ შემთხვევაში მხოლოდ მას-
დარში დაუშვა (ღა-ცაჲ), მეორე და მესამე შემთხვევაში კი აწყო-სა და (მას-
ზე დამყარებულ) მასდარში. მხოლოდ ე-განმოვანებით წარმოდგენილი ფუძე
აღმოჩნდა ერთი და იმავე ფუნქციური რიგისთვის გამოყენებული (ნაწყო ძი-
რითადში) და ისიც ორ შემთხვევაში პარალელური ა-განმოვანებით წარ-
მოდგენილი ფორმის გვერდით...

33. როდესაც ფუნქციურ კატეგორიებზე ვლაპარაკობთ, აქ ძირითადად
ისევ ის კატეგორიები იგულისხმება, რომლებიც უკვე უძველესი გრამატიკე-
ბის კუთვნილება იყო და ღღესაც ფართოდ გამოიყენება, — კატეგორიები პერ-
სონალიზმისა, ღროისა, გვარისა, კილოსი... საქმე ისაა, რომ კლასიკურ გრა-
მატიკულ ლიტერატურაში გრამატიკული (ე. ი. ფორმოზივე) კატეგორიები გა-
მოყოფილია არა საკუთრივე ფორმის, არამედ არსებითად იმ ფუნქციის საფუძ-
ველზე, რომლის ძირითადი მატარებელია ეს ფორმა. სამართლიანადაა აღ-
ნიშნული. რომ ტრადიციული თვალთახედვით გამოყენებული „მორფოლო-
გიურ-სინტაქსური ცნებები ჰრელია, თავისი ბუნებით ეკლექტიკური...
უპირატესად ფუნქციონალური ცნებებია... ამიტომ შეიძლება ფუნქ-
ციონალური ცნებების აღსანიშნავად ახლა არსებული ტერმინები გამოვიყე-

ყენებინა...³. ამრიგად, პერსონალიზმი (პირი), დრო, კილო, გვარი... შეიძლება დავტოვოთ როგორც ფუნქციური კატეგორიების სახელწოდებები, ტერმინები. მართალია, ამას უთუოდ ახლავს წინააღმდეგობა, რადგან კლასიკურ გრამატიკას აქ გარკვეულად ფორმის გაგებაც შემოჰქონდა (ამ ფუნქციათა გამომხატველ ფორმისაღ გულისხმობდა), მაგრამ ამ საკითხს შედარებით ადვილად მოვევლება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ აღწერის ახალი პრინციპი ამ ძველი ტერმინებით მხოლოდ და მხოლოდ ენობრივ ფუნქციას გულისხმობს და არ ეხება მათ ფორმობრივ გამომხატვლებას.

34. ფუნქციური კატეგორიები ენობრივ მნიშვნელობათა კლასიფიცირებას ახდენენ ამ მნიშვნელობათა შედგენილობა-მიმართებათა პრინციპის მიხედვით. თავის მხრივ, ენობრივი მნიშვნელობები ენობრივი გამომხატვლებაა არაენობრივი ფაქტისა — ცნებითი კატეგორიებისა, რომელთაც ფილოსოფიის დარგები შეიწავლიან. ლოგიკური ცნებების გარდაქმნა ენობრივ მნიშვნელობებად საგანგებო ყურადღებას იმსახურებს და მისი შესწავლაც საშური საქმეა...

35. ფუნქციური კატეგორიები თავისი შედგენილობით შესაძლოა იყვნენ ერთწევრიანი (მარტივი) და მრავალწევრიანი (რთული). ერთწევრიანად განიშარტება ისეთი ფუნქციური კატეგორია, რომელიც მოიცავს მხოლოდ თავის თავს, რომლის დასახასიათებლად (აღსაწერად) საჭირო არ ხდება სხვა ფუნქციების გამოყენება.

მრავალწევრიანად განიშარტება ისეთი ფუნქციური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა ფუნქციათა თვისობრივი ურთიერთშეკავშირებით წარმოიქმნება. მისი ნიმუშია პერსონალიზმი, რომელიც მოიცავს პირისა და რიცხვის ფუნქციას, აქტიურობა-პასიურობა, რომელიც გარდამავლობის, დინამიკურობა-სტატიკურობის, უკუქცევითობის, ქცევის, კაუზალობის ფუნქციათა გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების პრინციპზე აიგება.

36. ფუნქციური და ფორმობრივი კატეგორიების ზემოხსენებული პრინციპით გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს ენა აღიწეროს და ენობრივი მოვლენები აიხსნას თავის დინამიკაში, მოქმედებაში.

Б. А. ДЖОРБЕНАДЗЕ

ФОРМАЛЬНЫЕ И ФУНКЦИОНАЛЬНЫЕ КАТЕГОРИИ ЯЗЫКА

Резюме

1. На основании выявления особенностей языковой формы и функции делается попытка установить формальные и функциональные категории языка.

2. Категории рассматриваются как понятия, которые отражают реально действующие факторы в языке — принципы строения формальных и функциональных систем.

3. Системы, рассматриваемые как формальные и функциональные категории, могут совпадать и не совпадать; их сложные взаимоотношения образуют конкретный облик каждого языка.

³ არს. ჩ ი ქ ბ ა ე ა, დასახ. ნაშრომი, იხ. წიგნი: მარტივი წინადადების პრობლემა ჭარულში, I, თბ., 1968, გვ. 262, 264—265.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი

თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გ. მოსცა ცისანა აბულაძემ, რედაქტორი ს. ჭიჭია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 83+47, 1975 წ.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით კი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის, შესასწავლად მეტად საყურადღებო წყაროები მოიპოვება თურქულ ენაზე. ქართველი თურქოლოგები ნაყოფიერად მუშაობენ ამ წყაროების თარგმნა-გამოცემაზე და მათ არაერთი თურქული დოკუმენტური თუ ნარატიული წყარო გამოაქვეყნეს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ცისანა აბულაძის მიერ ახლახან გამოცემული გურჯიზაძეს „თბილისის დაპყრობის წიგნი“. ეს თურქული წყარო შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს XVIII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის.

გურჯიზაძეს „თბილისის დაპყრობის წიგნი“ ისტორიოგრაფიაში დღემდე არავის გამოუყენებია და იგი პირველად ქვეყნდება. მართალია, ფ. ბაბინგერი წერს, რომ ი. ჰამერს „ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში“ გამოყენებული აქვს გურჯიზაძეს ეს „წიგნი“ 1579 წელს ყარსის გამაგრებისა და მუსტაფა ლალაფაშას მიერ თბილისის ციხის დანგრევასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არაა მართებული, ამ ფაქტს საერთო არაფერი აქვს გურჯიზაძეს თხზულებაში მოთხრობილ ამბავთან, რადგან გურჯიზაძეს აღწერილი აქვს 1723 წელს ოსმალთა მიერ თბილისის დაპყრობის ისტორია და მასთან დაკავშირებული ამბები.

„თბილისის დაპყრობის წიგნის“ გამოსაცემად ც. აბულაძემ გამოიყენა ორი ხელნაწერი. ერთი დატულია სტამბოლში, სულეიმანიეს მეჩეთში, ესაღვეჟენდის ბიბლიოთეკაში, მეორე — ბრიტანეთის მუზეუმში. ამ ხელნაწერების გაანალიზების შედეგად ც. აბულაძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი მათგანი არაა ავტოგრაფი და რომ სტამბოლის ხელნაწერი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრიტანულიდან გადაწერილად (გვ. 8).

ც. აბულაძის მიერ გამოცემული თურქული ტექსტი დადგენილია ორივე ხელნაწერის მიხედვით, ხოლო მათ შორის განსხვავებანი ჩამოტანილია სქოლიოში. თურქული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი, როგორც ზემოთ მცნუთითეთ, ქვეყნდება პირველად, თარგმანს დართული აქვს კომენტარი, შესრულებული მაღალ მეცნიერულ დონეზე. წიგნს დართული აქვს რუსული რეზიუმე, პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა სიძიებელი.

ამ „წიგნის“ ავტორია ვინმე გურჯიზაძე (ქართველიშვილი, ქართველის ძე) გამაჰმადიანებული ქართველი. მის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება არც თურქულ და არც ქართულ წყაროებში. ჩანს, გურჯიზაძე ქართლის ისმალო გამგებელთან (1724 წ.) რეჟებ ფაშასთან დაახლოებული პირი იყო. 1725 წელს, როდესაც რეჟები უკვე ალექსის ვალი იყო, მან დაავალა გურჯიზაძეს

დაეწერა „თბილისის დაპყრობის წიგნი“ ქართლში მისი მოღვაწეობის უკვდავ-საყოფად. თხზულების ბოლოს გურჯიზადე დასძენს, რომ ამ წიგნის „დაწერა მიზრძანესო“ (გვ. 46).

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 665) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: გაეგება (შერმალინი), მოეხუთა, ხელზე აკოცა, კოცნიდა, სიხარულით (იმდენ) ცრემლს ღჭრიდა, ველებს მორწყავდა; ეს თქვა: „ნეტარ, ღმერთო, ცხადს ვხედავ თუ მჩვენება? მე ამის ღირსი როგორ ვარ, რომ ჩემი თვლები უვნებელს ვხედავდნენ!“

671 ყმამან მდაბლად მოიკითხა, ზედა დასდვა პირი პირსა;

უბრძანა, თუ: „ღმერთსა ემადლობ, შენ თუ ჰირად არა გქირსა!“

ღიღებულთა თაყუანისსცეს, აკოცებდეს, ვინცა ღირსა,

და ზარსა სცემდეს, უხაროდა უფროსსა და თუნდა მცირსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 666) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოყვამ (ავთანდილმა) მდაბლად მოიკითხა, პირზე აკოცა: უბრძანა: „ღმერთს ემადლობ, რომ შენ არაფერი გქირსა!“ ღიღებულებმა თაყუანი სცეს, კოცნიდნენ, ვინც ამის ღირსნი იყვნენ, ზემობდნენ, ღიღეს თუ მცირეს უხაროდა.

672 მოვიდეს, სადა საყოფად სახლი დგა მუნ აგებული.

მოვიდა ნახვად ყოველი მია ქალაქისა კრებული.

მაშინვე დაქდა ნაჰიმად მორკმელი, ლალი, შტებული.

და ენა მის დღისა შტებასა ყოლა ვერ იტუისს გლებული.

საუბილეო გამოცემასთან (სტრ. 667) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ხელნაწერთა უზრავლესობა პირველ ტაეში საყოფის ნაცვლად მაინა ფორმას (სამყოფად, სამყოფლად) წარმოგვიდგენს. ვფიქრობ, ჩვენც ძირითად წაკითხვად სამყოფად უნდა მივიღოთ.

ს. ცაიშვილი: ტაეში საყოფად (საცხოვრებლად) აგებულ სახლზეა საუბარი. საყოფი მიმღობა აქ სუბსტანტივად არ არის ქცეული. ამიტომ ძირითად ტექსტში საყოფად უნდა დარჩეს.

ე. მეტრეველი მხარს უჭერს საყოფ-ფორმას, როგორც უფრო რველ წარმოებას სამყოფ-სამყოფელთან შედარებით.

დაავგინეს: დარჩეს წაკითხვა საყოფად.

ა. ბარამიძე: მესამე ტაეში ხელნაწერთა ნაწილი იძლევა წაკითხვას: მაშინვე დაქდა ნადიმად მორკმით ლალი და შტებული. ეს წაკითხვა უნდა მივიღოთ ძირითადად.

ც. კიკვიძემ და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ წაკითხვას, რომელსაც პროექტი წარმოგვიდგენს, გამოცემათა ტრადიციის უჭერს მხარს (სხვა ყველა გამოცემაში, ა-ის ვარდა). არც ხელნაწერთა ჩვენება იძლევა საფუძველს ტრადიციული ტექსტის შეცვლისათვის.

ა. ბარამიძის აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ ტაეის ამ ადგილს ერთნაირად (მორკმით ლალი და შტებული) კითხულობენ A2 და C3 — სხვადასხვა რედაქციის მნიშვნელოვანი ნუსხეში.

ი. გიგინეიშვილი: უნდა აღინიშნოს, რომ ტაეის ამგვარი წაკითხვა (მაშინვე დაქდა ნადიმად მორკმით ლალი და შტებული). ერთგვარ უხერხულობას ქმნის ორი ზმნისათვის ბიჭრობა: ნაღიმად მორკმით.

დაავგინეს: მიღებული იქნეს წაკითხვა: მაშინვე დაქდა ნადიმად მორკმით ლალი და შტებული (სასაქონლად გ. კარტოზია, ც. კიკვიძე; ი. გიგინეიშვილმა თავი შეიკავა).

სტროფის შინაარსი: მოვიდნენ, სადაც საცხოვრებლად სახლი იყო აგებული. (ავთანდილის) სანახავად მოვიდა მთელი ქალაქი. მაშინვე სანადიმოდ დაქდა მორკმით (თვალუბს) უხუცეადა, ლაპარაკობდა თვალუბის ფახურით: „უმისოდ მყოფს თანაბრად მიძანა სანახელ და ხულა (ქონი)“.

673 შერმადინს უთხრა, უამბო ყოველი მისგან ნახული,

ანუ ვით პოვა იგი ყმა, მისგანვე მზედ დასახული.

ავთანდილს ცრემლი უყოფდა, უზნობლა თქალდაფახული;

და „უმისოდ მყოფსა სწორად მიჩნს ჩემოთის დარბაზი და ხული“.

საუბილეო გამოცემასთან (სტრ. 668) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მიჩნს (მიჩნს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: შერმადინს უთხრა, უამბო ყველაფერი, რაც ნახა, ან როგორ იპოვა ის მოყმე, რომელიც მასვე მზედ ჰყავდა მიჩნეული. ავთანდილს ცრემლი (თვალუბს) უხუცეადა, ლაპარაკობდა თვალუბის ფახურით: „უმისოდ მყოფს თანაბრად მიძანა სანახელ და ხულა (ქონი)“.

674 მუნ ამბავი შინაური ეუბლაკი მოაქსენა:

„შენი წასლეა არეინ იცის, რაცა მოთხარ, ავრე ვქმენა!“

მას დღე მუნით არ წავიჯა, ინაღიმა, გაისუენა,

და ციკრად შექლა, გაემართა, დღე რა მზემან გაათენა.

საუბილეო გამოცემასთან (სტრ. 669) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მუნ (მან).

ც. კიკვიძე: სტროფის საწყის სიტყვად მან მხოლოდ B2-ში გვაქვს. ხელნაწერთა უზრავლესობა მუნ ზმნივლადს კითხულობს და ჩვენც ეს წაკითხვა აღვადგინეთ.

რედაქციის წევრებს სარწმუნოდ მიანიათ მან სიტყვის მეორეუღობა B2-ში. ასევე მეორეულია ზოგიერთი ხელნაწრის (A³A²A¹D 1): წაიხსნა: „ერმაჟინცა შინაური ყელაჟი მოახსენა. რედაქცია იზიარებს ი. გიგინეიშვილის სიტყვას რომ მუნ აქ ნინანეს „ამასუ“ და არა „იქ“.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამაზე (შერმალინმა) შინაური ამავე ყველაფერი მოახსენა: „შენ წასვლა არავინ იცის, როგორც მითხარი, ისე მოვიქცე!“ იმ დღეს იქიდან არ წაიღია, ინაღმა, დაისვენა, გათენებისს შეეცა ცხენზე, წაიღია, მზემ რომ დღე გაათენა (მზე რომ ამოვიღა, რომ გათენდა).

675 არცაღა დაჭდა ნაღიმად, არცა ქმნად კელა ხალაიოისა;

შერმალინ მახარობელი წავა მისღისა მათისა.

ფერცლა წაიღია, სავალი სამ დღე ელო დღისა თათა.

და მას ღომსა ნახვა უხარის მის მზისა მოკამაოისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 670) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: არცა ქმნად კელა (არცაღა ქმნად). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აღარც სანადიმოდ დაჭდა, არც გამარტოვდა (დასანავეებლად); შერმალინი წავა (ავთანდილის) მისვლის მახარობლად, სწრაფად წაიღია, ათი დღის სავალი სამ დღეში გაიარა. ღომს (ავთანდილს) უხარია (სილაშხით) მზის ბეტრქის (თინათინია) ნახვა.

676 შესთქალა: „მეფე უკარგი ხარცა მორქმით და დიდაობით;

ამა საქმესა ეკადრებ შიშით, კრძალვით და რიღობით;

მის უმისა ვერას ვერ მცნობი უქმობდი თავსა ფლოღობით,

და აჲ ვცან და გაცნეე უჭღლასა, მოვალ შუებით და მშუიღობით“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 671) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უქმობდი (უცნობობდი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: შეუთქალა: „შეუკადრებელი მეფე იყავ მორქმით და დიდი! ამ საქმეს შემოგებდაე შიშით, მოკრძალებით და მორიღებით: იმ მოყმის (ტარიელის) ამბის ვერ-შემეტყობი თავს შერცხენილად (ფლიდად) ვთვლიდი, ახლა გაიგე და ყველაფერს გაცნობებ, მოვლივარ ლაღად და მშუიღობით“.

1977 წ. 25 თებერვალი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ე. ბეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 676,1; 677; 677,1; 678 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანმა, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმანიშვილმა, ნ. ციციშვილმა); 679; 679,1; 680; 681; 682 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მახარაშვილმა, ე. ტურაბულიანმა).

- 676,1 ფიცხლავ გაჯაენეს მეღისა წინაზე შემეტყობელა:

„საბი წელია ქვეყანა ჩვენთვის უმზავოდ ბნელია“;

შესთვალეს უჭელა უცლებლად, რისცა იყო მკნელია;

და უპოენია რა მოსულა, არ ავი საქმებელია“.

1955 წ. გამოცემასთან (სტრ. 837) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უმზავოდ ბნელია (უმზავო, ბნელია), იყო (იყოს); პირველი და მესამე ტაქების შემდეგ მინიშა და წერტილ-მძიმის ნაცულად დასმულია ორწერტილი, მეორე ტაქის ბოლოს მძიმე შეცვლილია წერტილ-მძიმით.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ პირველ ტაქში მეფისა შეიცვალა წაიხსენა: მეფესა.

სტროფის შინაარსი: სწრაფად გაგზავნეს მეფის წინაშე მაინე: „სამი წელია ჩვენთვის ქვე-
ანა უმზეოდ (უკეთანდლიოდ) ბნელია“; შეუთვალეს უკლებლოვ ყველაფერი, რისი გამკე-
თებელიც იყო: „უპოვია (ტარიელი) და მოსულა, კარგი საქმენელი არის“.

677 როსტევენი -- მეფე უკადრი, მორჭმული, შეუპოველი!

შერმადინ მოციქულობა თუით მოაკსენა ყოველი:

„ათანდლი მოვა წინაშე, მის ყმისა ვისზე შპოველი“.

და ბრძანა: „ვეან ჩემი ღმრთისაგან სააყო და სათხოველი“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 672) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა, ოლონდ ი. გიგინეიშვილის წინადადებით პირველი ტაეპის
ბოლოს იახილის ნიშნის ნაცელად დაისვა წერტილი (წინააღმდეგი — ა. ბარამიძე).

სტროფის შინაარსი: როსტევენი — ამაყი, წარმატებული, შეუპოვარი მეფე. შერმა-
დინმა ყოველივე დანაბარები თვითონ მოახსენა: „ათანდლი მოდის თქვენ წინაშე, იმ ვი-
ლად მოყმის შპოვენლი“. თქვა (როსტევენი): „გაევიგე. რაც ღვთისადმი საეუდრებელი და
სათხოველი შქონლა“.

677.1 რა მოისმინა მეფემან სიტყუანი არსაწყინისა,

ბრძანა, თუ: „ღმერთმა კჳლა მოგჳცა ჩვენ დამართება ღმრთისა!“

მიეუგებნეთო, შესხდომა თქჳთეს ცისკრად განათინისა.

და შეიტყო, რომე ნაქმარი იყო ეს თინათინისა.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 8381) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: არ-
საწყინისა (არ საწყინისა), კჳლა (კვლავ), მოგჳცა (მოგვეცეს), განათინისა (განათილისა).
პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეფემ რომ მოისმინა არსაწყინი (გასახარელი) სიტყუები, თქვა:
„ღმერთმა კვლავ საღბინო საქმე დაგვმართა!“ მიეუგებნეთო, დათქვეს ამხედრებულებყვენ
ცისკრად გათენებისა. გაიგო, რომ ეს იყო თინათინის ნამოქმედარი.

678 თინათინს ჰკადრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა:

„ათანდლი მოვა წინაშე, გკადრებხ ამბაესა ამოსა“.

იგი მით აკრთობს ელვასა, მზისაცა უთამამოსა,

და მას საბოძვარი უბოძა, მისი ყჳელი დამოსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 673) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: პირველ ტაეპში უფრო მართებული წაკითხვაა ნათელსა და უ-
ღამოსა. რომელიც ზოგაერთ ხელნაწერშია (A4 A10 D1 D2) და ცუელი. და უღამებე-
ლი ნათელი ჩვეულებრივი გამოთქმაა ძველ ქართულ ჰიმნოგრაფებთან, მაშინ როცა
უღამო ნათელი მათთან არსად არ გვეხვედრ. და უღამო კი რუსთველური ვა-
რიანტია და უღამებელია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ნათელსა და უღამოსა.

სტროფის შინაარსი: თინათინს, დაულამებელ ნათელს, უთხრა შერმადინმა: „ათან-
დლი მოდის თქვენ წინაშე, საამო ამბაეს მოგახსენებთ“. ის (თინათინი) ამის გამო აფრ-
ქვეს ელვარებას. მზეზე უთამამეს (უფრო სრულს), მას (შერმადინს) საჩუქარი უბოძა, მი-
სი ყველა (მხლებელი) დამოსა.

679 მეფე შეჭდა, გაეგება ყმასა, მუნით მომავალსა;

ამას პირშე შეფისაგან ივალებდა ვითა ვალსა.

მიეუგება, მოეგება მხიარული გულმჭურვალსა.

და დიდებულთა ქარისაგან ზოგი ჰგვანდა ვითა მთრვალსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 674) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეფე ამხედრდა. შეეგება იქიდან მომავალ მოყმეს; ამას პირშე
(ათანდლი) შეფისაგან ისე იღებდა, როგორც ვალს (დიდ პატივად მიიჩნევდა). მხიარული
(როსტევენი) და გულმხურვალე (ათანდლი) შეეგებნენ ერთმანეთს, დიდებულთა კრებუ-
ლიდან ზოგი მთვარას ჰგავდა.

679,1 მოვიდა პირმზე აეთანდილ, მპოენელი ტარიელისა;
მეფე ეხუევის გულტბილად, ცრემლი აღარა დენისა;
გამზრდელ-გაზრდილთა საქებრად კმარება უნდა ენისა.
და ამთ უამბობს ამბავსა, მის მზისა ნახვასც ელისა.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 841) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: აღ-
რა (აღარა); პირველი ტაეპის შიგნით (ცეზურასთან) დასმულია მძიმე, მუხამე ტაეპის ბოლოს
მძიმის ნაცვლად დასმულია წერტილი.

რედაქციამ მეორე ტაეპის ბოლოს წერტილ-მძიმე შეცვალა წერტილად, მესამე ტაე-
პის ბოლოს წერტილის ნაცვლად დასა დახილის ნიშანი, პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ
იქნა.

სტროფის შინაარსი: მოვიდა ტარიელის მპოენელი პირმზე აეთანდილი; მეფე ეხევეა
ტბილად, ცრემლი აღარ სდის; გამზრდელ-გაზრდილის საქებრად ენას უნდა მოხმარება!
ამათ (მეფესა და დიდებულებს) უამბობს (ტარიელის) ამბავს, იმ მზის (თინათნის) ნახვასაც
ელის (ეთანდილი).

680 რა მიეახლა, გარდაცა ემა, თაუქანისცა მეფესა;
აყოცა როსტან, მიმზრდარმან ნიშატთა სიიფესა;
გულმზიარულნი, შუებულნი მივლენ დარბაზსა აფესა;
და მის ყმისა მოსლვა უხარის ყოველსა მუნ მეკრეფესა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 675). შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპის მეორე ნახევარში ზოგ ხელნაწერში (D¹ D²) უფრო
მართებული ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი: ყოველსა მუნ შემოქრეფესა.

ა. ბარამიძე: უმჯობესია წაიკითხვა ყოველსა შემოქრეფესა, რომელიც
უფრო მეტ ხელნაწერშია დადასტურებული (B² B⁶ B¹⁰ B¹¹ B¹³ D² D³).

გ. კარტოზია. ყველა დასახელებული ხელნაწერი ძლიერ ნარედაქციევიანია. საეკვია მათი
წაიკითხვის პირუანდლობა. ამასთან არ არის საფუძველი მეკრეფე ფორმის დაწუ-
ნებისათვის.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაიკითხვა: ყოველსა შემოქრეფესა (წინააღ-
მდეგი — გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: მოყმე (ეთანდილი) რომ მიუახლოვდა, (ცხენიდან) ჩამოტვა, თაყ-
ვანი სცა მეფეს; გახარებულმა როსტევანმა (როსტევანმა, რომელსაც ერგო სიხარულის სი-
უხვე) აყოცა; გულგახარებულში, ვალდებულები მიდიან სამეფო დარბაზში; იმ მოყმის
მოსვლა უხარია ყველა (იქ) შემოკრებილს.

681 მას აეთანდილ თაუქანისცა, ლომთა ლომმან მზეთა მზესა.

მუნ ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტრუთა სინაზესა.

პირი მისი უნათლვა სინათლესა ზესთაზესა,

და სახლ-საყოფი არა მართებს, ცამცა გაიდარბაზესა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 676) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ლომთა ლომმან და მზეთა მზესა დაიწერა შერწყმულად. პროექტი ამ
ცვლილებით მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილის აზრით, მართებს აქ ერთპირიანი ზმნაა. სახლ-საყოფი არა მარ-
თებს = სახლ-სადგომი არ არის შესაფერი (არ არის საქმად).

გ. კარტოზიას აზრით, მართებს ორპირიანი ზმნაა. ნახევარტაეპის აზრია: სახლ-
სადგომი არ შეეფერებათ.

სტროფის შინაარსი: მას (თინათნის) — მზეთამზეს თაყვანი სცა ლომთალომმა აეთან-
დილმა. ბროლი და ვარდ-გიშერი (= თინათნი) სინაზეს გაემშვენიერებინა. მისი (თინათნი-
ის) სახე ზეციურ სინათლეს უფრო ნათელია, სახლ-სადგომი მათთვის უქმარია, ცა უნდა
გაიხადონ დარბაზად!

682 მას ღლე დასდეს ნადიმობად, გამარავლეს სმა და ჭამა;

ყმასა მეფე ასრე უჭურეტს, ვითა შვილსა ტბილი მამა.

მათ ორთავე აშუენებდა, ფიფქსა — თოვნა, ვარდსა — ნამა.

და უხუად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი, ვითა ღრამა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 677) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შესაარსი: იმ დღეს დასდნენ სანადიმოდ, პურობა გაახანგრძლივეს; მეფე ისე უყურებს მოემეს (ავთანდილს), როგორც შეილს ტბილი მამა. ორივეს ამშვენებდა სიხარულის ცრემლი (თონა, ნაშეა) — როსტევენია ჰალარასაც (ფიქს) და ავთანდილის ლაწევესაც (ვარდს). უხვად ვასცეს საჩუქარი, მარგალიტი, როგორც ღრამა (წერილი ფული).

1877 წ. 4 მარტი

სლდომას ლავწარნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 683; 684; 685; 686; 687 (პროექტი რომზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულიძემ, ე. გვირიტიშვილმა, ლ. კიკვიძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

683 სმა ვარდაქლა, თაჟის-თაჟის გაიქარნეს მსმელნი შინა;
დიღებულნი არ გაუშენეს, ყმა ღაისტეს ახლოს წინა;
მეფე ჰკითხავს, იგი ჰჰადრებს, რაცა ჰკირი დათომინა,
და მერმე მისი, უცნობოსა, რა ენახა. რა ესმინა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 678)) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შესაარსი: ამა დასრულდა. თათავისთვის წაიღებენ შინ მონადიმენი; დიდებულები არ გაუშეა (მეფემ). მოემე (ავთანდილი) წინ ღაისცა; მეფე ეკითხება, ის მოახსენებს, რა ჰკირი გადაუტანია. მერმე იმ გონდაკარგულისა (ტარეილისა), რაც ჰქონდა ნანახი და მისმენილი.

ამა ამას ეაცხებებღ. ნუ გიკუტის, თქმა მკირდეს მიწყო ახისა!
მზე თუ ეტყუა მსგავსი მისი და ანუ მისისა სახისა,
ვინ უნახავქნის გონება ყოველთა კაცთა მნახისა:
და ვარდი დამქნარი ეკალთა შუა შორს მყოფი. ახ. ისა!"

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 679) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შესაარსი: პროცა მას ვახსენებ, ნუ გაიკვირებთ, რომ მუდამ ეობრადე (ახსნა ეამობაე)! მზე თუ იქსება მისი მსგავსი ან მისა სახა მქონე, ვინც უნახავს ხლის (ავთიფრენს) ყველას (ყველა კაცს) მნახველის გონებას: ახ. ის არის ეკალთა შორის (მოქცეული). შორს მყოფი დამქნარი ვარდი!"

685 რა მისა მისი სოიელმან მოუთმოს მოუთმინან.
ჰაკტი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან.
ავთანდილ, ნაძა მსგავსებმან, ღაწუი ცრემლითა მინამან.
და წმრლეო ეამბო ამბავი მან, მისმან მონამინამან:

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 680) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეორე ტექსტის ბოლოს მისამს ხეკვლია წაბტილია.

ი. გიგინეიშვილი: მეცავე ტავის სარითმო სიტყვად ზმნა იგულისხმება (მინამა ავთანდილმა ღაწუი ცრემლით), ამიტომ ბოლოკიდური ნ აქ ყოველთა გაუმარბულბელია. ის აქ გაიწეილი ხასს სხვა ტავებმის სარითმო სიტყვათა ანალოგიით. საოაც ბოლოკიდური ნ მოთხრობითა ბრუნვის ხსენება. საფრებებელია, რომ ბოლოკიდური ნ არც ამ სიტყვებში (მოთხრობითი ბრუნვის ფორმებში) — ნაა გეჭონილა იმთავითვე. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანში“ იწვიითაჲ. მკარამ მაინც გვხვდება მოთხრობითის გვიანდელი (ნ-მოკვეცილი) წარმოება სტროფის სარითმო სიტყვებში ბოლოკიდური ნ ყველგან უნდა მოიშალოს, როგორც ეს ი. აბულაძის (გ) და ინგოროყვის (ს. გ.) გამოცემებშია.

ა. ბარამიძე: საყურადღებოა, რომ სტროფის სარითმო სიტყვები ბოლოკიდური ნ-ს გარეშე არც ერთ ხელნაწერში არ ღასტურდება. მესამე ტავის მიწამან უნდა განვიხილოთ როგორც რიბის სავრებებით შექმნილი ხელნაწერი ფორმა, რომლის მსგავსი

მრავლად დაიქმნება გვიანდელი ხანის ძეგლებში („შაპ-ნამე“, თეიმურაზ პირელის თხზულებები...).

გ. კარტოზია: მინამან (მესამე ტაეში) შეიძლება გავიგოთ როგორც ორი სიტყვა: შნა (მინა=მინად აქცია) + ნაცელასხელი (მან). ტაების აზრი იქნება: მან, ავთანდილმა, მისმა (ტარიელის) მხსენებელმა, ლაწვი ცრემლით მინად აქცია. ამგვარი წაითხვა არ ეწინააღმდეგება რუსთველის ენის ნორმებს, ოღონდ საკითხავია, რამდენად მისაღება მხატვრული სახე — ცრემლით ლაწვის მინანქრად ქცევა.

რედაქციის წევრებმა მხარი დაუჭირეს მესამე ტაეშის სარიტომო სიტყვის ორ სიტყვად გაყოფას, ამათან აღნიშნეს, რომ მინად ქცევა აქ შეიძლება ნიშნავდეს გაფერმკრთალვას, გაუფერულვას. მინა=დამინა, გააფერმკრთალა, გაუფერულა.

დაადგინეს: შილებულ იქნეს წაითხვა: ლაწვი ცრემლითა მინა მან.

სტროფის შინაარსი: როდესაც გაუძღებელი სოფელი კაცს კირს მოათმენინებს, ლერწამი ქაცს, მინანქარი კი ზაფრანას დაემსგავსება (გაყვითლდება). ავთანდილმა, მისმა (ტარიელის) მხსენებელმა, ლაწვი ცრემლით დამინა (გააფერმკრთალა, გაუფერულა), დაწერილობით უამბო (მეფესა და დიდებულებს) ამბავი მან, მისმა (ტარიელის) მომამუნმა.

686 „ქუთაბი ომითა წაუხმან, სახლად აქუს დევთა სახლები,
საუჭარელისა მისისა ქალი ჰყავს თჳით ნახლები,
ვეფხისა ტაევი აცტია, ცუდად უჩნს სტაერა-ნახლები,
და აღარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწაქვს ახალ-ახლები“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 681) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უჩნს (უჩნს).

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეში რიგი ხელნაწერი და გამოცემა კითხულობს: ცუდად უც (ე. ი. უქმად აქვს) სტაერა-ნახლები. ეს უფრო სწორი წაითხვა უნდა იყოს.

ა. ბარამიძე: ვფიქრობ, არა გვაქვს საფუძველი უარყოთ უჩნს/უჩნს ფორმა, რომელიც ყველა რედაქცია ხელნაწერებშია წარმოდგენილი და გამოცემათა ტრადიციაც მხარს უჭერს. ცუდად უჩნს=უქმად, ამოდ მიანიხა.

დაადგინეს: დარჩეს წაითხვა ცუდად უჩნს.

სტროფის შინაარსი: გამოქვამულები ომით წაუტომეოა დევებისათვის, სახლად მთი სახლი აქვს, თავისი სატრფოს მოახლე თვით უახლებია, ვეფხის ტაევი აცტია, არაფრად მიანიხა სტაერა და ნახლი (ძვირფასი ქსოვილები), ზურგი შეაქცია წუთისოფელს, ახალ-ახალი ცეცხლად წავს.

687 რა დაასრულა ამბავი, საქმე მისისა კირისა,
ნახვა მის მზისა ნათლისა, მის თქალად არ დაუხპირისა,
ეამა ქება ვარდისა, ბროლისა განაჰქვირისა:
„ევე ქმა სიმკნე სიმკნისად, რაღლა ხარ მომხუტევი რისა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 682) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მეორე ტაეში ი. გიგინეიშვილის წინადადებით მის სიტყვის შემდეგ დაისვა მძიმე, (წინადადებები გ. კარტოზია), ა. ბარამიძის წინადადებით არღუხპირისა დაიწერა შერწყმულად: მის. თქალად არღუხპირისა.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს მესამე ტაეშის სხვადასხვაგვარი წაითხვისა და გაგების თაობაზე. ყარბოდ. ა. შანიძის კონიექტურაზე: ეამა ქება ვადისა ხელით მძლეღე დანამპკირისა. აღინიშნა, რომ ეს წაითხვა, გარდა იმისა, რომ კონიექტურას (ვადისა ხელით) შეიცავს, ხელნაწერებში დაცული სხვადასხვა წაითხვის კომბინირებითაა: ძღლებლი. რადგან რედაქციას პრინციპად აქვს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს კონიექტურას, ამიტომ იგი იღებს პროექტის წაითხვას და გაგებას. ქება ვარდისა, ბროლისა განაჰქვირისა = ვარდისა და გამოჰქვირვალე ბროლის (ე. ი. თინათინს) ქება.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით ამევე ტაეში ეამა შეიცვალა იამა ფორმით. იამა ქება = სასიამოვნოდ მოისმინა ქება.

სტროფის შინაარსი: როდესაც დაასრულა თავისი გაქირების თხრობა, როგორც ნახის ნათელი მზე (ტარიელი). შესახებდავად ლამაზი, სასიამოვნოდ მოისმინა ვარდისა და გა-

მომჭვირვალე ბროლის (ე. ი. თინათინის) ქება: „გ სიმამაცე საქმარისია (გეყოფა) სიმამაცედ, რაღად გინდა (სხვა) რამის შოვნა (შეძენა)!“

1877 წ. 11 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 688, 689 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

688 გამხიარულდა თინათინ ამა ამბისა სმენითა.

მას დღე იხარებს სმისა და ქამისა არმოწყენითა,

ქულა საწოლს დახტდა მის მზისა მონა სიტუითა ბრძენითა:

და მისლვა ებრძანა, ეამა, თქმა არ ეგების ენითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 683) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თინათინი ამ ამბის მოსმენით გამხიარულდა. (ავთანდილი) იმ დღეს ხარობდა ნადიმობით, ხოლო საწოლში (მოსასვენებელ აპარტამენტში) დაუხვდა იმ მზის (თინათინის) მონა ბრძნული სიტუეებით: მისლვა ებრძანა; (ისე) გაუხარდა, ენით არ ითქმის.

689 ემა წავიდა მხიარული, ლმობიერი, არ გამწყრალი,

ლომი მინდორს ლომთა თანა მოარული, ფერნამკრთალი,

ემა სოფლისა ხასიათი, ჭავარსრული, მრავალწყალი,

და მაგრა ჰქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 684) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მთავარმა რედაქციამ მეორე ტაეში მოარული შეეცალა გამოთქმით მინდორს რული, რადგან: ა) მოარული შინაარსობრივად შეუსაბამოა (კონტექსტი ნამყოს მიმღობას მოითხოვს და არა აწყყოსას); ბ) მოარული არ არის რუსთველური წარმოება (რემა ზნიდან ასეთი მიმღობა პოემაში სხვაგან არ იწარმოება); გ) ხელნაწერებში, სადაღე მოარული გვხვდება, ეს წაკითხვა აშკარად ნარედაქციევი (A¹² D¹ D² D³ D⁴ D⁵)

ამათან რედაქცია აღნიშნავს გარკვეულ უხერხულობას, რასაც მინდორ სიტუის ტაეტილოიური ხმარება იწვევს: ლომი მინდორს ლომთა ეანა მინდორს ჯელი, ფერნამკრთალი.

სტროფის შინაარსი: მოყმე წავიდა გახარებული, დამშვიდებული, არგამწყრალი, ლომი მინდორში ლომებთან მინდორში ნავალი, გაფერმკრთალებული, მოყმე — ქვეყნის მშვენება, მოხდენილი, ეღვარებით სავსე, მაგრამ ჰქონდა (ტარიელის) გულისათვის (თავისი) გული (ნის) გულში ნაცვლილი.

1877 წ. 25 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფი 690 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

690 მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორკმული, არნადვერი,

წყლად ეფფრატსა უხუდარ წყყო ედემს რგული ალვა მქვერი;

ბროლ-ბალახშსა აშქენებდა თმა გიგერი, წარბი ტვერი,

და მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, კამს, აქებდეს ენა ბეერი!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 685) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ მეორე ტაეის ბოლოს წერტილ-შიძიზი ნაცვლად დასვა შიძი, მესამე ტაეის ბოლოს — შიძიის ნაცვლად წერტილი. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამაყი მზე (თინათინი) ტახტზე ზის განდიდებულ-აღმატებულს. დაუჩაგრაყი, ეფერატს უხვად მოერწყო ედემში დარგული სწორი ალვა, ბროლ-ბადახშს (=პირისახეს) ამშვენებდა გიშრის თმა და ტვერით წარბები (ხშირი წარბები). მე ვინა ვარ, რომ ვაქებ? საჭიროა, ათენს მყოფ ბრძენთა ბეგრი ენა აქებდეს!

1077 წ. 1 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ციციშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 691 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 692; 693; 694; 694,1; 695; 696 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

691 უმა მხიარული წინაშე დასჯა სკამითა მისითა;
სხენან აავსენი ლხინითა, ორთავე შესატყუისითა;
უბნობენ ლაღნი, წყლიანნი არა სიტყუითა მქისითა;
ღა უთხრა: „პოვევა, პატეინი ნახენ ძებნითა ეისითა?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 686) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მხიარული მოყმე თავისი სკამით წინ დაისვა; სხედან აღესილნი ლხენით, ორივეს შესაფერთ; საუბრობენ მხიარულნი, ენაწყლიანნი არა მკვებ სიტყუით; უთხრა: „პოვე ის, ვისი ძებნითაც დაიტანჯე?“

692 ჰქაღრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,
ქაონა არა კამს ჰირისა, ვით დღისა გარდასრულისა.
ვაოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყლითა რწყულისა,
და მუნ პირი, მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერნაკულისა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 687) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: უთხრა: „წუთისოფელი კაცს რომ გულის წადილს აუსრულდეს, (ისევე) არ უნდა გაიხსენოს (გარდაბდილი) ჰირი, როგორც განვლელი დღე. ვაოვე ხე, ალვის ტანი, ქვეყნის წყლით (უხვად) მორწყული (ტანადი და მშვენიერი ტარიელი), ვარდის მსგავსი პირი, მაგრამ ახლა ფერდაკარგული.“

693 მუნ სარო, მსგავსი ვარდისა, ენახე, მისჰირდა, ში-, ნები;
იტყუის: „დაეკარგე ბროლი და სადა რთავს ბროლსა მინებში.“
მით ვიწუთი, რათგან ჩემებრევე ცეცხლი სწუთავს მოუთმინებში.“
ღა მერმე კულა ჰქაღრა ამბავი მან, მისგან მონასმინებში.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 688) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იქ სარო, ვარდის მსგავსი (ტარიელი) ენახე, მოშლოდა ნებისყოფი; ამბობს: „დაეკარგე ბროლი (ნესტანი) და სადაც ბროლს მინანქარი აქვს შერთული“. იმიტომ ვიწუთი, რომ ჩემსავით მოუთმენელი ცეცხლი წვავს“. შემდეგ ისევე (მეორედ) უამბავი მან (ავთანდილმა) მისგან (ტარიელისგან) მონასმენი ამბავი.

694 სიარულსა მისგან ძებნად, სრულ პატივთა მოსთქლის, ჰირსა;
მერმე ჰქაღრა, საწადლისა ღმერთმან პოენა ვით აღირსა:
„საწუთრო და სოფელს ყოფა, კაცი უჩნსო, ვით ნადირსა,
და ოღენ ხელი მკვეცთა თანა იარების მინდორს, ტირსა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 689) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უჩნსო (უჩნსო). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: (ტარიელის) საცებრად მის სიარულს. ყველა ტანჯვასა და ჭირს ჩამოთვლის (აუთანადლო): შემდეგ უთხრა (თინათინს), ღმერთმა როგორ აღირსა საწაღლის პონა: „წუთისოფელი, ამ ქვეყნად ყოფნა და ადამიანი ისე მოაჩნია, როგორც ნადირს. შმაგი მხოლოდ მხეცებთან დადის მინდორში და ტირის“.

694.1 ეგონების მისი მკვლელი, იარების ცრემლთა მფრქველი;
 არ შესყვრდეს შემოქმედსა, ზღუადცა მისცეს საქონელი;
 ცუდად შურების, იარების, გამოჭრილა ინდოელი,
 და მიწეუ უღებს ცეცხლსა ცხელსა მასვე მისი დამდაველი.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 857) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ინდოელი (მინდოელი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აცონდება მისი მკვლელი, დადის ცრემლების მფრქვეველი; არ დაუყვარებს შემოქმედს (ღმერთს), ზღუადც რომ მისცეს ქონება; ამაოდ შერება, დადის, გამოჭრილა ინდოელი, მედამ ცხელ ცეცხლსა უღებს მასვე მისი დამწველი.

695 წუ მკითხავ, ქება რა გაჯარო, ჩემგან რა გაგვეგონების?
 მისსა მნახავს ნახული აღარა მოეწონების;
 თული მჭურტელი, ეთ მზისა ციაცსა, დაელონების;
 და ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწ ია შეიკონების!-

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 690) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: „წუ მკითხავ, რა ქება გაგიბელო, მე უძლური ვარ (მისი ქება) გაგავებინო. მის მნახველს ნახული აღარაფერი მოეწონება; (მისი) მჭურტელი თული, როგორც მზის ციაცს (ვერ გაუძლებს), დაიხრება (დაიხუჭება); ვარდი ზაფრანად ქცეულა (მისი ღაწვები გაყვითლებულა), ახლა (მისგან) ია შეიკონება (გალურჯებულა)!“

696 წურილად ჰქაღრა, რა იცოდა, რა ნახულად, რა ნასმენად:
 ეთოა ეფხსსა წაფარნა და ქებაი აქტსო სახლად, მენად;
 ქალი ახლავს სასურაგელად, სულთა დგამად და ჭირთა თმენად“.
 და ეამ, სოფელმან სოფელს მყოფი ყოელი დასტა ცრემლთა დენად!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 691) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ეამ (ეა).

ი. გიგინეიშვილი: პირველი ტაეპის მეორე ნახევარში (რა ნახულად, რა ნასმენად) რა მიმართებითი ნაცვალსახელი (რაც) კი არ არის, არამედ მართებელი თუ კავშირის ფუნქციით არის ნახვარი. ამიტომ საჭიროა ეს მონაკვეთი გამოიყოს წინამავალი ნახევარტაეპისაგან: მის წინ დაისვას ორწერტილი ან ტირე.

დადგინებს: შეიყვალოს პირველი ტაეპის პუნქტუაცია: წურილად ჰქაღრა, რა იცოდა... რა ნახულად, რა ნასმენად:

ა. ბარამიძე: მესამე ტაეპში რიგი ხელნაწერი ($A^3 A^4 A^5 A^6 A^7$) და h გამოცემა კითხულობს: ქალი ახლავს სასურელისა. ეს უფრო მართებული წაკითხვაა.

ი. გიგინეიშვილი: გარდა იმისა, რომ სასურველად შინაარსობრივად მიუღებელია, ამგვარი წაკითხვის შემთხვევაში ქალი მსახურელი სიტყვის გარეშე რჩება და გაუგებარია, რომელ ჯალზეა საუბარი.

უ. კიკვიძემ და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ სასურველად აუცილებლად ინტონირ ურთიერთობას არ გულისხმობს (შდრ. ტრადიციული გაგება ამ სიტყვისა: საწუგე-შოუ). ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასურელია მხოლოდ ნარეაქციულ ნუსხებში გვაქვს: სასურველად რომ გადაკეთებულიყო სასურელია-დ, გასაგებია, საწინააღმდეგო პროცესი კი ძნელი ასახსნელია.

ს. ცაიშვილი: სასურველად მე პირადად სულაც არ მიმაჩნია საჩოთიროდ. მაგრამ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს და ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზი გახდეს.

ა. ბარამიძე: გამოითქვა კიდევ სათანადო მოსაზრება, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება პოემაში წარმოდგენილ ფაქტობრივ ვითარებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ქალი ახლავს საყვარლისა სულთა დემად და ქირთა თმენად (წინააღმდეგნი: გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

სტროფის შინაარსი: დაწერილებით მოახსენა, რაც იცოდა — ნახული თუ მოსმენილი: „ვეფხვივით წაყარან (მღვიმე, ნაბარლი) და გამოქვაბული აქვს სახლად, მენად (= არაბ. სახლი); (თავის) მიწურის ქალი ახლავს სულის ჩამდგმელად და ქირის მოათმენად“. ვაი, წუთისოფელმა ამ ქვეყნად მყოფი ყველა დასვა ცრემლის საფრქვეველად (ყველას ცრემლი აღინა)!“

1977 წ. 8 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ციციშვილი, შ. ძაბიჭური.

განისილეს სტროფები: 697; 698; 698,1; 699; 700; 701 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმბალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

697 ქალსა რა ესმა ამბავი, მიხუდა წადილი ნებისა,
განაოლა პირი მთუარისა, ვით ნათლად ნაენებისა;
იტყუის: „რა უთხრა პასუხი მას სათნებლისა თნებისა,
და რა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 692) შედარებით პროექტში შემოვიდა ცვლილება: უთხრა (ეუთხრა). პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ რა კავშირი საერთოა პირველი ტაების ორივე ზმნა-შემსმენლისათვის (ესმა, მიხუდა). პირველი ტაეი მთლიანად წარმოადგენს შერწყმულ წინადადებას, რომელიც ქვეწოობის წესით დაკავშირებულია მთავარ წინადადებასთან (განათლდა პირი მთუარისა). ეს ფაქტი სათანადოდ უნდა აისახოს სტროფის თარგმანში.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ეს მოსაზრება: სტროფის შინაარსი მათ ასე ეხმობ: ქალმა რომ ეს ამბავი მოისმინა და აუსრულდა გულის წადილი, განათლა მთვარის (თინათნის) პირი, როგორც ნათლად ამოსული მთვარისა; ამბობს (თინათნი): „რა ეუთხრა მას (ტარცილს) ამ სიამოვნების მონიჭების პასუხად. რაა მისი (ტარცილის) წყლულის განკურნების წამალი?“

698 ყმა ეტყუის: „ვის აქუს მინდობა კაცისა მომცქაფავისა?
მან ჩემთვის დაწუა თავისა დაღვა, არდასაწუავისა;
ღრო დამიც ჩემგან მიხლვისა, მიტქუამს დაღება თავისა,
და მზე შემოიფიცავს თავისა, ჩემგან მზეუ სახედავისა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 693) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა უკრძალდა რედაქციის მეორე ტაეში უჩვეულო ფრაზას: მან დაწუა თავისა დაღვა, საუად დაღვა ზმნა თავ სიტყვასთან კი არ ქმნის სესიტყვებას, როგორც მოსლოდნელი იყო, არამედ დაწუა მასდართან გამოდის დაკავშირებული, რაც შინაარსობრივად მთლად ნათელი არ არის. ა გამოცემის კონიექტურა — მასდარის ეთარებით ბრუნვაში რასმა — საქმეს არ შევსის, რადგან ამ შემთხვევაში გაუგებარა თავ სიტყვის ნათესაობითი, უნდა გვეჭონოდა მან დაღვა დაწუად თავის და არა თავისა. უფრო საფიქრებელია, რომ დაღვა ზმნა ამ სიტყვებაში მოვალური მნიშვნელობით იხმარება: თავისა დაწუა დაღვა — თავი დაწუა.

გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ მეოთხე ტაეში თავისა კუთვნილებითი ნაცვალსახელი კი არ არის, არამედ ნათესაობითი ბრუნვა თავ სიტყვისა, რომელიც უკვეცევიო ნაცვალსახელად გამოიყენება. ტაეშია აზრია: მზე შემოიფიცავს იმისი (თა არა: ჩემი მზე შემოიფიცავს), ვინც მზედ მიამინია. თავისა-ს კუთვნილებით ნაცვალსახელად გაგების შემთხვევაში გაუგებარია განკუთვნილი განსაზღვრების (ჩემგან მზეუ სახედავისა) ნათესაობითი ბრუნვა. უნდა გვეჭონოდა სახელობითი.

ი. გიგინეიშვილსაც უკუქვევით ნაცვალსახელად მიანჩნა თავისა.

ც. კიკვიძე, ს. ციციშვილი ფიქრობენ, რომ თავისა კუთვნილებითი ნაცვალსახელია, სახედავისა კი პოეტური ლიცენციაა, რითმის საჭიროებითი შეპირბუბული. უნდა

გვეწოდება: მზე შემოფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახეღავე (= ჩემი მზე შემოფიცავს, მე რომ მზედ ვხედავ).

რედაქციას სტროფის შინაარსი ასე ესმის: მოყმე (ავთანდილი) ეუბნება: „მატყუარა (ცრუ) კაცის ზინლობა ვის აქვს? მან ჩემთვის არდასაწევი თავი დაწვა; ჩემი მისვლის დრო დამინიშნავს, თავის დაღება აღმოთქვამს, შემოფიცავს მზე იმისი (თინათინისა), მე რომ მზედ ვხედავ (მიმანჩია).“

რედაქციის ზოგ წევრის (გ. კარტოზია, შ. ძიძიგურს) მიაჩნია, რომ დამიცი ზმნას (მესამე ტაქტში) აწმყოს გაგება აქვს და არა თურმეობითისა. დრო დამიცი ჩემგან მისვლისა = ჩემი მისვლის დროა (დრო მაქვს).

693.1 შამან ჰაიორა: „ეინ მიენდოა კაცსა ცრუსა, დაუნდობელს!
 იმა ლომმან ჩემთვის თავი დაქსლვა ბუთსა დასადნობელს;
 მუნ აღმოთქვამს მისლვა ჩემი რგებად მისსა ფიცით მხმობელს,
 და მზე მიფიცავს მისი, ვისთვის ეღვრი სისხლის ცრემლს შეუშრობელს“.

სტროფი არის N 473 ხელნაწერში (მიწერილია აშიაზე). 1956 წლის გამოცემაში შეტანილია 8601 ნომრით 860. (= ჩვენი გამოცემით 697) სტროფის შემდეგ. პროექტში სტროფი აღვიღვადანაცვლებულია; სხვა ცვლილებები არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოყმემ მოახსენა: „ეინ მიენდობა ცრუსა და დაუნდობელ კაცს! იმ ლომმა (ტარიელმა) ჩემთვის დაღო თავი დასადნობელ ბუთზე (ოქრო-ვერცხლის სადნობ ხელსაწყოზე); ფიცით მოლაპარაკეს აღმოთქვამს იქ მის (ტარიელის) დასახმარებლად მისვლა. იმის მზე დამიფიცავს, ვისთვისაც ეღვრი შეუშრობელი სისხლის ცრემლს“.

697 კამს მოყჭარე მოყჭრისათვის თავი კირსა არ დამრიდალ,
 გული მისცეს გულისათვის, სიყჭარული გზად და ქიდალ;
 კულა მიჯნურაა მიჯნურისა კირი უჩნდეს კირად დიდალ,
 და აა, მკექსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდალ!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 694) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უჩნდეს (უჩნდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეგობარმა მეგობრისათვის გასაკირს თავი არ უნდა არიდოს, გული მისცეს გულის სანაცვლოდ, სიყვარული (კი) — გზად და ხიდად; ასევე მიჯნურს მიჯნურის გაკირება (საკუთარ) დიდ გაკირებად უნდა მიაჩნდეს, აა, უმისოდ მყოფს ლხინი არმად შექნება და ფლიდი ვიქნები.

700 მზე ეტყუის: „მომხუთა ყოველი ჩემი წადილი გულისა:
 პირველ. მუნ მოხუტე მშვიდობით, მპოვნელი დაკარგულისა,
 მერმე, ზრდა სიყვარულისა გაქტს, ჩემგან დანერგულისა,
 და ვპოვე წამალი გულისა, აქამდე დადაგულისა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 695) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მზე (თინათინი) ეუბნება: „ამისრულდა ყოველი ჩემი გულის წადილი: ჭერ ერთი, მუნ მოხვედი მშვიდობით, დაკარგულის (ტარიელის) მპოვნელი, მეორეც, ჩემგან დანერგილი სიყვარული მოგმატებია, ვიპოვე აქამდე დადაგული გულის წამალი.“

701 საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხუტებდის:
 ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუტებდის.
 აქამდისა კირი ჩემზედა, აწ ესე ლხინი უხუტებდის,
 რა რათვან მტება აქტს სოფელსა. თუთონ რად ეინ შეუწუხებდის?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 696) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: წუთისოფელი ყოველ ადამიანს ამინდივით შეხვედბა (ყოველი ადამიანისათვის ამინდივით ცვალებადია): ზოგჯერ მზეა და ზოგჯერაც ცა რისხვით მოუქუტებდა (განურისხვებდა). აქამდე კირი (იყო) ჩემზე, ახლა ეს ლხინი მრავლებდა, რადგანაც შეედა აქვს წუთისოფელს. თუთონ რატომ შეუწუხებდა ვინმე?

1977 წ. 15 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 702; 703 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმბალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 704; 705; 705,1; 705,2 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

702 შენ არგატება კარგი გვირს ზენაარისა, ფიცისა.

კაშს გასრულება მოუჭრისა სიუჭარულისა მტკიცისა,

ქებნა წამლისა მისისა და ცოდნა კაშს უციისა,

და ჩემი თქვი, რა ვქნა ბნელქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი- ცისა?*

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 697) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინიშვილი: შესაძლებელია ტაეპი ზოგიერთი ხელნაწერის ჩვენების საფუძველზე ასე უნდა შესწორდეს: ქებნა წამლისა მისისა, ცოდნა კაშს უ უ ც ი ს ა. ტაეპის მეორე ნახევრის აზრია: საჭიროა ცოდნა სრულიად უცნობისა.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროექტის წაკითხვა, რომელსაც რიგი ხელნაწერი უჭერს მხარს, ენობრივად და შინაარსობრივად დამაკმაყოფილებელია. დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს უცვლელად.

სტროფის შინაარსი: შენ აღთქმის, ფიცის არგატება კარგი გჩვევია, საჭიროა მეგობრის მტკიცე სიუჭარულის სრულყოფა, საჭიროა მისი წამლის ქებნა და უცნობის ცოდნა (გაგება), ჩემი თქვი, რა ვქნა დაბნელებულმა, ცის მზე (ავთანდილი) (რომ) მიმეფარება (თვალთავან)?*

703 ყმამან ჰკადრა: „სიახლოთა შვერთე ჰირი შუიღსა მე რუა,

ცული არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერუა,

ცული არის სიუჭარული, ქვეითი კოცნა, მზისა წუჭერუა,

და თუ გვახლო, ერთხელ ეამ და, რა მოგშორდე, ათასჯერ ვა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 698) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოყმემ (ავთანდილმა) მოახსენა: „შენთან ყოფნით ჰირი მოვიმატე (შვიდ ჰირს მერვე დაეურთე), ამაოა დამზრალის გასათბობლად (ეცხლის მაგიერ) წყლისათვის შებერუა, ფუჰია სიუჭარული, ქვემოდან კოცნა და მზის წუჭერუა (მზის ვერ მიწვდენა), თუ შენთან ვიქნები, მწუხარებაა ჩემთვის, თუ დაგშორდი, მწუხარება გაათასკედლება!

704 ეამ თუ გაიჭრე, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწუჯეს სამალი!

გული ძეს საუნად ისრისა, მესრის საკრავად სამალი;

ღრო სიოცხლისა ჩემისა ღღესითგან ჩანს ნასამალი;

და მალეა მწადს, მაგრა გარდაჯდა ეამი პატყთა სამალი!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 699) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვამ (ეა), მესრის (მესრის), საკრავად (საკრავად).

ა. ბარამიძის წინადადებით პირველ ტაეპში სარიტმოდ სიტყვა ორ სიტყვად გაიყო: ს ა მ ა ლ ი. ს ა მ გაგებულია ნაწილაკად (ა-მამ).

რედაქციის წევრებს საჩუქნოდ არ მიაჩნიათ ს ა მ ა ლ ი (ა-სამ-ალი) სიტყვის არსებობა ცხელი ქარის, ქარცეცხლის მნიშვნელობით და მისი დაკავშირება სამუშთან. რედაქციის წევრები ასევე არ იზიარებენ ი. გვიგინიშვილის მოსაზრებას სარიტმოდ სიტყვად ა მ ა ლ ი ს (-სურვილი) მიღების შესახებ.

ი. გვიგინიშვილის წინადადებით მეაშე ტაეპში დღესითგან შეიცვალა წაკითხვით დ ლ ი ს ა ლ ა.

ი. გვიგინიშვილი ფიქრობს, რომ მეორე ტაეპში ნაცვლად მესრის ფორმისა უნდა მიღებულ იქნეს მ ე ს ვ რ ი ს.

რედაქციამ ტექსტში დატოვა მ ე ს რ ი ს.

სტროფის შინაარსი: ეი თუ გავიკრა, გაკირლს საღმე, ვეკლახ, დამწვევას, მამ, ალი! გუ-
ლი ძვეს ისრის სამიზნედ, მესერის დასკრელად მშვილი (არბალეტი); ჩემი სიციცხლის
დრო დღის მესამედილა დარჩა; მინდა დავმალო, მაგრამ გავიდა ტანჯვის დამალვის დრო.

705 მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე. რაცა პბრძანე!
ვარღსა ქაცუი მოაპონებს, ეკალამაცა რად ეფხანე!
მაგრა, მზეო, თავი მზესა ჩემოთის სრულად დააგვანე,
და სიციცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე!"

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 700) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მე-
სამე ტაეპის ბოლოს ძახლის ნიშნის ნაცვლად დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოვისმინე თქვენი ნათქვამი, გავიგონე. რაც ბრძანეთ! ვარღს ქაც-
უი მოგვაპონებინებს (უქაცეოა ვარღს ვერ მოიპონებ), ეკლებს რად ევხანუნო? მაგრამ,
მზეო, ჩემოთის სავსებით მზედ იქეცი (სავსებით მზეს დაამსგავსე თავი), სიციცხლის იმე-
დად რაიმე ნიშანი გამატანე!

705,1 მონა სელს უღვამს ავთანდილს, პირდაპირ მზისა ჯდებოდა,
უქერტდა მისსა ხელქმნელსა, ცეცხლი აღარა ზდებოდა,
ტყბილად უამბობს ამბავსა, იგ არ თუ ავაღ ყბედობდა.
და ქალი უქებთა სიძენესა, შეყრასა უიმელებდა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 869) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
პირველი ტაეპის ბოლოს წერტილის ნაცვლად დასმულია მძიმე, მესამე ტაეპის ბოლოს —
მძიმის ნაცვლად წერტილი. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მონა სელს უღვამს ავთანდილს, (ისიც) მზის (თინათინს) პირ-
დაპირ დაქდა, უყურებდა თავის გამხელებელსა, ცეცხლი აღარ ედებოდა, ტყბილად უამბობს
(ტარიელს) ამბავს, ცუდად კი არ ყბედობდა. ქალი უქებდა ვეკაცობას, შეუღლების
იმედს აძლევდა.

705,2 -ნუთუ ვარგო რა მას ხელსა, — კელავ წასულად ეთხოებოდა;
იგ სიციცხლისა ნიშანი მას მისგან ეთხოებოდა;
მან მარგალიტი შეიხსნა, რომელი მკლავსა ებოდა,
და კელავა უმტყიცებს ქმრობასა, სხუას არვის ეთხოებოდა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 870) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირ-
ველი ტაეპის ნახევარი ბრკვალეზშია ჩასმული და ტრეთი გამოყოფილია. პროექტი მიღებულ
იქნა.

სტროფის შინაარსი: „იქნებ რაიმე ვარგო იმ შმაგს (=ტარიელს)“, — ისევ წასასვლელად
ეთხოვებოდა (ავთანდილი თინათინს); სიციცხლის ნიშანს მას სთხოვდა; მან (თინათინმა)
მარგალიტი (სამკაული) მოიხსნა, რომელიც მკლავზე ება, ისევ პპირდება, რომ ქმრად
გაიხიოს, სხვას არავის მიეთხოვდებოდა.

1177 წ. 22 აპრილი

სხოომას დაწვრწნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძგური.
განიხილეს სტროფები: 706, 707, 707,1; 708; 709; 710; 711 (პროექტი მოამზადეს გ. კარ-
ტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტუბაბერიძემ).

706 უმა ტყბილი და ტყბილქართული, სიკეთისა კელის მკდელი,
ამაზედა ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი;
ქალმან მისცნა მარგალიტნი. სრულქმნა მისი საწაღელი,
და ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 701) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ტყბილი და ტყბილად მოსაუბრე (ტყბილი ქართულით მოსაუბრე),
ღირსეული („ღირსებით მოსარგებლად“, „რომელიც ღირსებით სარგებლობს“) მოყმე (ავ-

თანდოლო) ამაზე (ისე) ელაპარაკება (თინათინს), როგორც ტყბილი გამზრდელი გაზრდილს; ჯალმა მისცა მარგალიტის მძივი, ააჩუღა მისი წადილი; ღმერთმა ქნას და კარგი ბოლო ექნეს მათს ახლანდელ ლხენას (სიხარულს)!

707 რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,
ანუ ბაღს ალუა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს,
მისსა მჭურეტელსა აღხინოს, ვერმჭურეტსა ავაგლახოს!
და ეამ მოუქარისა გაყრილსა, ახი ოს ეყოს, ახი ოს!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 702) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ეამ მოუქარისა (ეამ მოყერისა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი; რა სჯობს (იმას), რომ კაცმა გიშერი (=წარბ-წამწამი) ბროლსა და ლალს (=ღაწეებს) შეახოს, ან ბაღში ალუა საროს (ცივიპარობის) ახლოს დაგვოს, მორწყოს, გაახაროს (ხედ აქციოს). მისი მჭურეტი გაახაროს, ვერმჭურეტი კი დააღონოს! ეამ სტროფისთან დაშორებულს, როცა ოხვრა (ახის თქმა) მოუწევს!

707,1 ემა მზიარული, წყლიანი დაიჩენს არ სიმძიმისა;
მისნი კბილნი და ბაგენი დაიშენებენ ღმირისა;
რა მოუშორვა მოუქარე, თქალთაგან დასდებდის მილსა,
და მუნით აღენდის წყაროსა, სოფლისა დასაწიმილისა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 873) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დაი-შენებენ (დაიშენებდეს), მოუშორვა (მოიშორა), დასდებდის (დასდებდი), აღენდის (აღენ-დი); შეაამე ტაეპის ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად მძიმეა. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მზიარული. ენაწყლიანი მოუქე არ იმჩნევს მწუხარებას; მისი კბი-ლები და ბაგეები ღმირის იმშვენებენ; როდესაც სტროფო მოშორდა, თვალებიდან (ცრემ-ლის) ნაკადს იღენდა, იქიდან აღენდა ქვეყნის დასაწიმიებელ წყაროს.

708 მათ მიხტულა ლხინი ყოველი ერთმანერთისა ქურეტითა.
ემა წამოვიდა გაყრილი, მთეა გულითა რეტითა.
მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღუისაყა მეთისმეტითა,
და იტუის: „ვერ გაძღა სოფელი, ეამ, სისხლთა ჩემთა ხტურეტითა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 703) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ეამ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მათ დილა (ასრული-) სისხრელი ხედათ ერთმანეთის ქურეტით. მოუქე გამოემშვიდობა და წავიდა, მიღის დარეტიანებული. მზე (თინათინი) ტირის ზღუაზე უფრო უხვი სისხლიანი ცრემლით, ამბობს: „ეაი, ვერ გაძღა წუთისოფელი (ქვეყანა) ჩემი სისხლის ხერკებით!“

709 ემა წავილა სეველიანი, მკერდსა იცემს, ამაღ იღებს,
როზე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გააფრდილებს;
რა ღრუბელი მიფარვის, მზე კმელეთსა დაანრდილებს,
და მის მოქარისა მოშორება ექლა ამინდებს, არ აღიღებს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 704) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

სტროფის შინაარსი: მოუქე წავილა სეველიანი, იმიტომ იცემს მკერდში ხელს (და) იღურ-ყებს, რომ სიკვარული კაცს ატირებს და ტანჯვს (აღბედურებს, ასაწყლებს); როცა ღრუ-ბელი გააფრდა, მზე ხმელეთს ანრდილებს; სტროფის დაშორებაც აგრეთვე (ღღეს) ბინდად აქცევს, არა დილად.

710 სისხლმან და ცრემლმან გარეეთ დაწი ქმნის ღარად და ღარად;
იტუის: „მზე ჩემგან თავისა ემა წასაუბლად აღარად;
მიტუის, თე გული აღმასი შეგამ წამწამან დაღა რაჟ!
და ვირე ენახედე, სოფელი მინი აღღხინოდ აღარად!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 705) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: თავისა (თავისად). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: (ერთმანეთში) არეული სისხლი და ცრემლი ღაწვს ღარავდა (ღარებად აქცევდა); ამბობს: „მზე (თინათინი) ჩემგან თავის დასაღებად აღარ ემარა (თინათინისათვის ჩემგან თავის დაღება აღარ ემარა): მიკვირს, ჩემი ალმასის გული (თინათინის) შავმა წამწამმა რად დადალა! ვიდრე ვნახე, საწუთროვ (ქვეყანავ), ვერ გამახარებ! (სასიხარულოდ აღარ მინდობარ!)“

711 ვინ უწინ ედგმს ნაზარდი ალვა მრგო და მრწყო. მახია,
 დღეს საწუთრომან ლახუარსა მიმცა, დანასა მახია,
 დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმითა დაამახია.
 და აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია:“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 706) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მრგო და მრწყო (მრგო, მომრწყო), დაბმითა დაამახია (დაბმით დამიბა, მახია).

გ. კარტოზია: პირველ ტაეპში ტრადიციული წაკითხვა მომრწყო კონიექტურაა. ხელნაწერთა დიდ ნაწილში იკითხება მრწყო, დამრგო. რომელიც შინაარსობრივად შეუსაბამოა. D2-ში გვაქვს მრგო დამრწყო, რაც, ეფიქრობ, ყველაზე უკეთ ასახავს პირვანდელ წაკითხვას.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ მრწყო, დამრგო ლექსთწყობის თვალსაზრისით უმჯობესია. რაც შეეხება შინაარსობრივ უხერხულობას (ყერ რწყვა და შემდეგ ღარკვა), იგი სერიოზულ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. რუსთველის პოეტური ენაა-თვის უკუბო არ არის მოქმედების თანმიმდევრობის დარღვევა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ალვა მრწყო, დამრგო, მახია.

მესამე ტაეპში აღდგენილ იქნა წაკითხვა დაბმით დამიბა, მახია. რედაქციის წევრებს არ ემქვედებოთ პარონომასული გამოთქმის დაბმით დამიბას რუსთველურობა. რაც შეეხება მახია ფორმას, იგი შეიძლება განვიხილოთ. როგორც ზელოვნური ფორმა (ისევე, როგორც დაამახია).

სტროფის შინაარსი: საწუთრომ, რომელმაც (მე) ადრე ედემში გაზრდილი ალვა მომრწყო, დამრგო, გამახარა (ხელ მაქცია), დღეს ლახვრით დამპრა (ლახვარს მიმცა), დანა დამცა (დანას შემახო), დღეს ჩემი გული უშრეტ (ჩაუქრობელ) ცეცხლზე დამიბა, მახეში მომიქცია. ახლაა გავიგე, რომ წუთისოფლის საქმე ზღაპარია და მოჩმახულია.